სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი

ინდირა გადილია
აბესალომ გადილია

ბრძოლის სიმღერა დარჩა მარადის

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 2011

UDC (უაკ) 821.353.1.09-1+821.353.1(092)
გ-146

2009 წელს გამოქვეყნდა პროფ. ინდირა გადილიას წიგნი „საქართველო იყო მათი საცნებო სახელი", სადაც განხილულია ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას, გიორგი ნაფეტვარიძის, სევერიან ისიანის, ვლადიმერ უბილავას შემოქმედება. ავტორი ოცნებობდა მომავალ შევსებულ გამოცემაზე, სადაც გაანალიზებული იქნებოდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ახალგაზრდა პოეტების: ნიკოლოზ კოპალიანის, შალვა იოსელიანის, დავით პატატიშვილისა და ვაჟიკა ფხოველის პოეზია. ნაადრევი გარდაცვალების გამო ეს ჩანაფიქრი შეუსრულებელი დარჩა. ინდირა გადილიას მამამ პროფესორმა აბესალომ გადილიამ ხორცი შეასხა შვილის კეთილშობილურ განზრახვას. შეისწავლა ზემოთ დასახელებული ადრე დაღუპულ სემოქმედთა ბიოგრაფიული ასპექტები და პოეტური მიღწევები, ამით შეავსო წინარე გამოცემა, რაც მკითხველს წარედგინება ინდირა და აბესალომ გადილიების თანაავტორობით.

ნაშრომში გაანალიზებულია წუთისოფლიდან ადრე წასული ნიჭიერი პოეტების შემოქმედების იდეურ-თემატური საფუძველი, მხატვრულ-სახეობრივი აზროვნების თავისებურებანი, ენისა და სტილის საკითხები. წიგნი ერთგვარ მეგზურობას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს, ყველა დაინტერესებულ პირს.

რედაქტორი: ტიტე მოსია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: მარინე ჯაიანი
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
მედეა კვარაცხელია
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

© ი. გადილია, ა. გადილია, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი", 2011

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-336-3

წინათქმა

XX საუკუნის 30-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდობა, რომელიც „ჩვენი თაობის“ სახელით არის ცნობილი. ეს ახალგაზრდული თაობა იყო ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე ტრაგიკული ბიოგრაფიის მქონე ქართული მწერლობის ისტორიაში. ბევრი მათგანის სიცოცხლე სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებში შეიწირა წუთისოფლის სიმუხთლემ. „მარად ჭაბუკებად დარჩენილმა“ ბიჭებმა ვერ მოასწრეს თავიანთი ნაწარმოებები დაბეჭდილი ეხილათ, ისე მიეფარნენ თვალს და ჩვენი მწერლობის ისტორიაში დატოვეს ამოუვსები სიცარიელე. ვერცერთმა მათგანმა 30 წელსაც ვერ მიაღწია.

30-იანი წლების იდეოლოგიამ თავისი დამთრგუნველი კვალი დაამჩნია ქართულ მწერლობას. ეს იყო ერთ-ერთი ტრაგიკული პერიოდი XX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში.

1932 წლის 23 აპრილს საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სამხატვრო-სალიტერატურო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“. ამ დროიდან მოყოლებული დიდი ხნის განმავლობაში ქვეყნად დამკვიდრებულმა იდეოლოგიურმა დიქტატურამ რკინის არტახებით შებოჭა შემოქმედებითი აზროვნების თავისუფლება და უდიდესი ენება მოუტანა სულიერი კულტურის განვითარებას. ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა საკავშირო მწერალთა პირველმა ყრილობამ (1934 წ.), რომელმაც საბჭოთა ლიტერატურის ერთადერთ მხატვრულ-შემოქმედებით მეთოდად სოციალისტური რეალიზმი გამოაცხადა.

ასე მოექცა მწერლობა ხელისუფლების ყოველდღიური ზედამხედველობის ქვეშ და მისი განვითარების პერსპექტიული გზები ოფიციალური დადგენილებებითა და დირექტივებით შებოჭა“[1] — წერს მკვლევარი ავთ. ნიკოლეიშვილი.

ქართული მწერლების საუკეთესო ნაწილიც იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო. იქმნებოდა „კოლექტიური“ შემოქმედების ნიმუშები. ლიტერატურული კრიტიკა იძულებული იყო ეს მეთოდი დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელად საუკეთესო საშუალე-

[1] ა. ნიკოლეიშვილი XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი, 200 წ., გვ. 12.

ბად ელიარებინა. კრიტიკა არნახულ პარტიულ ზეწოლას განიცდიდა.

ფიზიკური გადარჩენის მიზნით მწერალი იძულებული იყო ორმაგი სტანდარტებით ეაზროვნა. ასეთ ვითარებაში პარტიულ მწერლობას არავითარი ღირებულება არ ჰქონდა მომავალი თაობების სულიერი ცხოვრებისათვის.

70-წლიანი საბჭოური სისტემის რეჟიმში მასების რელიგიური აღზრდა ტაბუდადებული იყო, რამაც გამიწვია სულიერი დეფიციტი.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა უნაყოფო გახადა მწერლის შრომა. მხატვრულმა ნაწარმოებმა დაკარგა მკითხველზე ზემოქმედების ძალა.

„როცა ადამიანის ზნეობრივი ღირებულება ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით ფასდება და სხვა უფრო მაღალი კრიტერიუმი დაკარგული აქვს, როცა ადამიანი არ ფიქრობს სიცოცხლის, სიკვდილის, გონიერების, უგუნურობის, პატიოსნების, უსინდისობის, სილამაზის, სიგონჯის და სხვა ამგავრ პრობლემებზე და მისი რუასი დაკავებულია მხოლოდ დროებითი და წარმავალი საკითხებით, იგი უზნეობის ჭაობში ეფლობა, უზნეობა კი ბადებს ყოველგვარ ბოროტებას“[1]. სამართლიანად წერს მკვლევარი ზ. ცხადაია: „30-იანი წლების ქართული პოეზიისათვის განუყოფელ თემებად აქციეს საბჭოთა პატრიოტიზმი, შრომის ჰეროიკა, ახალი გმირები და მათი დაპირისპირება წარსულის გმირებთან, კოლექტივიზაციის თემა...

პოეტური სიტყვა საგანგებოდ, ხელოვნურად დამტკბარი გახდა, ასევე ხელოვნური, არაგულწრფელ ქება-დიდებათა გამოსახატავად. ქართული ლიტერატურა, ქართული პოეზია, გარკვეულწილად, არაბუნებრივი გზით მიედინებოდა, სოციალისტური რეალიზმი თანამედროვე შემოქმედთა შინასამყაროს ადეკვატურ სულიერ განწყობას ვერ წარმოაჩენდა, მაგრამ ის რაც იქმნებოდა, რაც შემორჩა ამ სახით, ეპოქის სურათია, ჩვენი ისტორიაა“.[2]

---

[1] აკ. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 199 წ., გვ.69.

[2] ზ. ცხადაია, XX საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 2006 წ., გვ. 11-12.

ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ქართულ მწერლობას ამ წლებში მნიშვნელოვანი არაფერი შეექმნას, პირიქით, — „ჩვენი ლიტერატურა სწორედ ამ წლებში გამდიდრდა ისეთი ნაწარმოებებით, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს“ (ა. ნიკოლეიშვილი).

30-იანი წლების ქართულმა პოეზიამ მაინც თქვა დიდი ღირებულების მქონე სიტყვა. ათწლეულის მიწურულს სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდნენ: ლ. ასათიანი, მ. გელოვანი, ა. საჯაია, გ. ნაფეტვარიძე, ს. ისიანი, ვლ. უბილავა...ნ. კოპალიანი, შ. იოსელიანი, დ. პატატიშვილი, უ. ფხოველი. მათი შემოქმედების შესახებ ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

1937 წელმა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა ქართულ მწერლობას. რეპრესიებმა შეიწირა მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი. შიშმა დაისადგურა ადამიანების სულში. პრესა აჭრელდა ლოზუნგით: „სიკვდილი სოციალისტური სამშობლოს მოღალატეებს“.

1937-38 წლების იარა ჯერ კიდევ არ იყო მოშუშებული, როდესაც ჩვენს ხალხს თავს დაატყდა მეორე მსოფლიო ომი. 1941 წელს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. საქართველოდან ჯარში გაწვეულ იქნა 700000 კაცი, რომელთაგან 350000-ზე მეტი შინ არ დაბრუნებულა. მიმოიხილავს რა ამ პერიოდს, მკვლევარი ლ. ავალიანი წერს: „მაინც საკვირველია ის ბედი და უბედობა, რაც ჩვენს თაობას დაჰყვა. სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის სამი მეოთხედი რომ 22-25 წლის ასაკში განადგურებულიყოს, მეორე ამგვარი შემთხვევა ქართულ მწერლობას არ ახსოვს. 1935-38 წლებში ჩვენი ლიტერატურის ახალ და ერთბაშად მოსულ საკმაოდ მრავალფეროვან თაობას კალამი სულ ოთხი-ხუთი წლის წინ ჰქონდა ხელში აღებული, რომ საბჭოთა ხელხს თავს დაატყდა თავისი მძვინვარებით გაუგონარი ომი, სწორედ სამამულო ომის წლებში, სულ სხვადასხვა პიროვნებებში და ერთიმეორის საწინააღმდეგო ვითარებაში დაიღუპა ბევრი ახალგაზრდა პოეტი და პროზაიკოსი, რომლებიც, ვინც იცის, როგორ ასახელებდნენ და რას შესძენდნენ შშობლიურ ლიტერატურ

რას, ოცდაათ წლამდე რომ დასცლოდათ სიცოცხლე და მოღვაწეობა“.[1]

დღეს, XXI საუკუნის დამდეგს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფრონტზე დაღუპულმა პოეტებმა ღირსეულად აღასრულეს ჩვენი სამშობლოს მოქალაქის ვალი — მკერდით დაიცვეს თავიანთი ქვეყნის ღირსება და დამოუკიდებლობა. ისინი გამარჯვების დღეს ვერ მოესწრნენ, მაგრამ გამარჯვების იმედითა და რწმენით აღსავსე ნაწარმოებები დაგვიტოვეს. მართალია, ფრონტზე არ დაღუპულან, მაგრამ მაინც ომის მიზეზით დაიღუპნენ ლადო ასათიანი და ალექსანდრე საჯაია. მათთვის სოცოცხლის უპირველესი დანიშნულება იყო — სამშობლო, მისთვის თავდადება, მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებები დღესაც ხიბლავს მკითხველს.

[1] ლ. ავალიანი, ალექსანდრე საჯაია, „ლიტერატურული საქართველო“, 1972 წ., №13.

ლადო ასათიანი

XX ს. 30-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მძლავრი ლიტერატურული თაობა, რომლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ლადო ასათიანი.

ლადო ასათიანი 1917 წლის 14 იანვარს ქუთაისში დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ - 1934 წელს - წარჩინებით დაამთავრა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და იმავე წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, საიდანაც მალე გადავიდა იქვე, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1938 წელს დაამთავრა.

როგორც ცნობილია, ასათიანები ლეჩხუმის ოც სოფელში ცხოვრობენ.

პოეტის მშობლები იყვნენ ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალას მკვიდრნი, მასწავლებლები - მელქისედეკ გუჯუს ძე ასათიანი და ლიდა ბართლომეს ასული ცქიტიშვილი. ასათიანები ბევრ სოფელში სახლობდნენ იმ დროს; კერძოდ, ეს სოფლებია: აღვი, ბარდნალა, გაგულეჩი, დერჩი, დებვირი, დღნონიისა, ვანი, ზოგიში, ლაშეჭინა, ლაილაში, მახაში, მექვენა, ნასპერი, ორხვი, ტვიში, უსახელო, ქვიშარი, ქორენიში, ჭყვიში, ცაგერი.

ლადო იზრდებოდა ღირსეულ და მყუდრო ლეჩხუმურ ოჯახში თავის და-ძმასთან. თბილ, ტრადიციულ ოჯახში აღზრდილ ლადოს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ამაღლებული სული და მოჭარბებული გრძნობიერება. მეგობრების გადმოცემით, ლადოს თურმე დიდად სიამოვნებდა ძველი, თამარისდროინდელი გვარი ასათისძე. ერთ ხანს ეს გვარი პოეტს ფსევდონიმადაც ჰქონია. ლადო ასათიანის ზოგიერთი ლექსი, რომელიც „ნორჩ ლენინელშია“ გამოქვეყნებული, ხელმოწერილია ამგვარად: ლ.ვარდოშვილი, ლ-ანი, ა-ნი, ლ.მაღალაშვილი, ლ.ასათიძე. „ასათი“, როგორც ნიკა აგიაშვილი იმოწმებს, ადამიანის საკუთარი სახელია, არაბული სიტყვაა და ქართულად „ლომს“ ნიშნავს.[1]

1937 წელს ლადოს დედას, ქ-ნ ლიდა ცქიტიშვილს, ტროცკისტობა დააბრალეს და გადაასახლეს.

---

[1] ნაგიაშვილი, ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ., 1980 წ., გვ. 52

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლადო თბილისში გადმოვიდა და „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა.

1940 წელს ცოლად შეირთო ანიკო ვაჩნაძე, რომლისგანაც შეეძინა ქალიშვილი მანანა.

1940 წელს გამოვიდა ლადოს ლექსების პირველი წიგნი.

1942 წელს ლადო ასათიანის მეორე პოეტური კრებული დაიბეჭდა, მაგრამ ხელისუფლებამ მთელი ტირაჟი გაანადგურა, მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი გადარჩა.

ლადო ასათიანი გარდაიცვალა 1943 წლის 23 ივლისს, თბილისში. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, ხოლო 1968 წელს დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

ლადო ასათიანს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დიდი სიყვარულით და გულისტკივილით აგონდებოდა მშობლიური კუთხე და ქართულ სამყაროში დიდი უშუალობით შემოიტანა ლეჩხუმის მადლი.

ლადოსთვის ლეჩხუმი, სოფელი ბარდნალა იყო პოეტურ, ცხოველმყოფელ შთაბეჭდილებათა აკვანი, მისი მხატვრული ფანტაზიის თვდაპირველი წყარო და ნიადაგი:

„ისევ მომინდა ჩემი სოფელი
ხალხურ ლექსებით და საკრავებით,
ეზოში - მწვანე და უშობელი
და მოკუნტრუშე თეთრი კრავები“.

ბარდნალა ლადო ასათიანის სოფელია ლეჩხუმში („ბარდნალა“ - ბარდნარს, ბარდებიან ადგილს ნიშნავს).

სწორედ აქ, ამ სოფელში - ბარდნალაში გაატარა პოეტმა უზრუნველი და ბედნიერი დღეები ბავშვობისა, აქ იხილა სინათლე მზისა, აქ ტკბებოდა მშობლების, და-ძმის სიყვარულით. აქ ესმოდა ჩიტების ჭიკჭიკი, წყაროს წყლის - ბინულის - ჩხრიალი, რომელიც მისი სახლიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით მორაკრაკებდა. პოეტს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „ვინც იხილავს ლეჩხუმის მშვენებას, სარეწკელასა და ორპირის კლდეკარებს, ლაჯანურის ხეობას, მურის, ორბელის, გვესოს ციხეებს - ის პოეზიის ერთგული დარაჯი იქნება მუდამ.“[1]

---

[1] ლ. ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 279-280

ლადო ასათიანის ლექსი „ბარდნალა“, 1940 წელს არის დაწერილი. ლექსი ასე იწყება: „რა კარგი იყო ბარდნალა, / ბარდნალელების ბორანი...“.

ყურს თუ მივუგდებთ ამ სიტყვების ჟღერადობას, იგი მხიარულ მელოდიას გადმოგვცემს. მკითხველი გრძნობს შინაგან რიტმს და სიტყვათა მუსიკალურ რხევადობას, რაც მიღწეულია ბაგისმიერი *ბ* და ნარნარა *ნ, რ, ლ* თანხმოვნების გამეორებით. *ბ* და *რ* ბგერები გამეორებულია 9-ჯერ, ხოლო *ნ* და *ლ* ბგერები 6-ჯერ.

„რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნარი
ბულბულთა ნაამბორალი.“

პოეტისათვის სოფელი თითქოს არაჩვეულებრივი ხმების, ელფერის მატარებელია („რა კარგი იყო ბარდნალა, / როგორი სათაყვანები“).

როგორც ვხედავთ, ლადომ მშობლიურ სოფელს ორი ეპითეტი მიუსადაგა - „კარგი“ და „სათაყვანები“. პირველი ეპითეტი ობიექტურია და გამოხატავს სოფლის გარეგნულ იერს, მეორე „სათაყვანები“ - სუბიექტური მიმართებაა სოფელთან - გრძნობისმიერი დამოკიდებულება ადგილთან, რომელიც თაყვანსაცემია.

პოეტის თვალწინ გაიელვებს ბარდნალელების ბორანი, სახლის წინ მდგარი ნაგრიგალარი, გაფითრებული ჭადარი; ხორგო და მარანი; კავი და სახნისი; თონე და ბელელი; პაწია ქოთანი, დულილით ნაქოთქოთარი; გუმარეშის ყანები; თოხი პირგამოპირული; გაციებული ბინული... ეს ადგილები, ეს ნივთები, ეს საგნები, ბავშვობის მოგონებები ლექსში ამაღლებულ განწყობილებას ქმნიან და პოეტი ცდილობს, მკითხველსაც ისე დაანახოს და განაცდევინოს ეს საგნები, როგორც თვითონ ხედავს და განიცდის.

ლექსში გამოყენებული ეპითეტები: „ვარდებიანი ბარდნარი“, „ნაგრიგალარი, გაფითრებული ჭადარი“, „ჯან-ღონე გაუტეხელი“, „გაციებული ბინული“, „ქოთანი დულილით ნაქოთქოთარი“, „თოხი პირგამოპირული“ მეტაფორიზებულია, მხტვრული სახის ფუნქციის მატარებელია. პოეტმა ამ ეპითეტების გამოყენებით, საკუთარი ჩვეულებრივ, რეალისტურ საგნებს აქტივობა, მოძრაობა მიანიჭა. საგნების ამოძრავება ცოცხალ სიყვარულს წარმოშობს, რომელიც ახ-

ლაც, ამჟამადაც აქტიურია. წინავითარების აღმნიშვნელი მიმღეობები, რომლებიც სარითმო სიტყვებად არის გატანილი, წარსული სიყვარულის აწმყოში გაგრძელების დასტურია /„ვერ დაივიწყებ“../.

შ.აფხაიძემ შენიშნა: „ლექსში „ბარდნალა“ გაშლილია ახალგაზრდობის მთელი დღესასწაული, დიდი ნატვრა წარსულ დღეთა განმეორებისა და რა მოკრძალებით, პატივისცემის გრძნობით იგონებს სოფლის ამ განუმეორებელ სურათებს... ეს ბულბულთა ნაამბორალი ტყეები და ჩირგვები, ბაღები და ხეივნები შრიალებენ ასე ჰარმონიულად ლექსში, რომლის მთელი ინტონაციური ჟღერა ნამდვილ მელოდიურ მუსიკაზეა აგებული.“[1]

ლექსში ლირიკული გმირის თანხვედრა ავტორთან წარსულში გადანაცვლების საგულისხმო მხატვრული ხერხია: “ლირიკული გმირი ყველა პოეტს არა ჰყავს. რუსი ლირიკოსებიდან ის ყველაზე უფრო მ.ლერმონტოვის, ა.ბლოკის, მ.ცვეტაევას, ვ.მაიაკოვსკის, ს.ესენინისათვის არის დამახასიათებელი. და თუმცა ჩვენ მას ცალკეულ ლექსშიც ამოვიცნობთ, მაგრამ მთელი სისრულით და გარკვეულობით ის ვლინდება პოეტის შემოქმედების კონტექსტში, ლექსების კრებულში ან ციკლში. ჩვენთვის საინტერესო ტერმინი პირველად შემოღებული იყო ი.ტინიანოვის მიერ, რომელიც წერდა: ბლოკი არის ბლოკის პოეზიის ყველაზე დიდი ლირიკული თემა. ეს თემა გვიზიდავს როგორც ჯერ ახალი, არდაბადებული (ან გაუცნობიერებული) ფორმაციის რომანის თემა. ამჟამად სწორედ ამ ლირიკულ გმირზეა საუბარი. ის აუცილებელი იყო, ის უკვე ლეგენდით არის გარემოცული, და არა მხოლოდ ახლა - არამედ თავიდანვე. ისე ჩანდა, თითქოს ის წინ უსწრებდა ბლოკის პოეზიას და მისმა პოეზიამ მხოლოდ განავითარა და შეავსო პოსტულირებული სახე. ამ სახეში პერსონიფიცირებულია ბლოკის მთელი ხელოვნება; როდესაც ლაპარაკობენ მის პოეზიაზე, თითქმის ყოველთვის, უნებლიეთ, პოეზიის უკან გულისხმობენ ადამიანის სახეს - და ყველამ შეიყვარა სახე და არა ხელოვნება“.[2]

ორიგინალურია ბავშვობის დღეების გაცოცხლება. პოეტი საკუთარ თავს შეახსენებს საოცნებო წარსულს:

„გახსოვს, ტყეები? ირიბად

---

[1] შ.აფხაიძე, სიჭაბუკის მომღერალი, ჟურნ. „მნათობი“, 1958 წ., № 6, გვ. 137

[2] Бройтман С.Н., Лирический субъект, в кн.: Введение в литературоведение, М., 1999, стр. 147

ხეზე დაკრული თარჯები...
გახსოვს, ცხენისწყლის ნაპირი
თევზაობა და აპრილი?
გახსოვს, ამტყდარი ავდარი
და სარეწკელას ბილიკი...“

ამ ექვსტაეპედში სამგზის გამეორებული „გახსოვს“ სინტაქსურ პარალელიზმს წარსულის უწყვეტი ხსოვნის დამღით ალბეჭდავს. განწყობილება, რომელსაც ლექსში ქმნის ავტორი, წარსულის რომანტიკულ ხილვებში იშლება:

„ეჰ, რა იქნება ხელახლა
დაიწყებოდეს თავიდან,
რაც დროის დენამ შელახა,
რაც დროსთან ერთად წავიდა!“

დრო - წარსულის ყველაზე მთავარი გმირი კვლავ სინტაქსური პარალელის ძირითადი ფიგურა ხდება. იგი მოძრავი აწმყოს ცვალებადობას განსაზღვრავს უცვლელ საგნებსა და მარადისობასთან მიმართებაში: არ შეცვლილა ტყეები და ჭალები, არც ცხენისწყალი და ბარდნალა, ულმობელმა „დროის დენამ შელახა“ მხოლოდ პოეტის ცხოვრება.

„კაენის აჩრდილმა ასათიანების ოჯახსაც მიაკითხა... ბარდნალაში ააღწია და უკეთილშობილეს ქალბატონს, მასწავლებელ ლიდა ცქიტიშვილს „უდანაშაულო დამწაშავეთა“ ხვედრი არგუნა მოსწყვიტა ოჯახს, სკოლას და მოუშუშებელი ჭრილობა დაუტოვა შვილებს, მეულლეს.“[1] - წერს ლ.დუმბაძე.

„ბარდნალაში“ პოეტმა თავისი დრამატული ბიოგრაფია გააცოცხლა. დედის „ნაადრევად წასლამ“ თან გაიყოლა პოეტის ჩუმი სიყვარული:

„შენ, მამაჩემო,რად დარდობ,
რამ დაგისველა თვალები?
ან შენ სადა ხარ, დედილო,
რომ ლექსი გამაბედვინო?!“ -

ეს არის შორეულ ციმბირში გადაკარგულ დედაზე ფიქრი, დედასთან გასაუბრების სურვილი, რომელიც მუდამ თან სდევდა.

---

[1] ლ. დუმბაძე, ლადო ასათიანის ცხოვრების ერთი ფურცელი, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 2000 წ., № 6, გვ. 78

სოფლის იდილია ბავშვობის ტკბილი დღეები, თითოეული კუთხე-კუნჭული, ნივთები - ასე მშობლიური და საყვარელი, ლექსის ბოლოს დანგრეულია და განადგურებული: დედა გადასახლებული, კერა გაციებული. სასოწარკვეთილი პოეტი კითხულობს:

„რად არ ჭიხვინებს ვეება
ლაფშა, ლაგამის მკვნეტავი?
ჰეი, ბავშვობის დღეებო,
დაბრუნდებოდეთ ნეტავი!“

მეტი გამომსახველობის მისანიჭებლად პოეტმა ამ სტროფში ანჟამბემანი გამოიყენა. იგი ემოციურად შეფერილი მეტყველებით გვიმხელს პოეტის მიმართებას გადმოცემულ ფაქტთან. ანჟამბემანი, გადატანა ხომ პირდაპირ უკავშირდება ლირიკული გმირის შინაგან მღელვარებას, ემოციურობას.

ლადო ასათიანისათვის რითმას, კეთილხმოვანების გარდა, აზრის გამოკვეთის ფუნქციაც ჰქონდა. ერთ-ერთ ლექსში („პუშკინი ჩემთან“) პოეტი წერს: „რითმა ლამაზი ოქროს ფასია, / მკითხველი ლექსის ჯახირს ვერ ითმენს“ და ამ სიტყვებით მიანიშნებს, რომ გაუმართავი რითმა, არაკეთილხმოვანი დაბოლოება ტაეპებისა ხშირად ბუნდოვანი აზრისა და სათქმელის ადეკვატურია.

დაბალი შაირით (5/3) დაწერილი ეს ლექსი სხვადასხვა რითმას შეიცავს. მონაცვლეობს ჯვარედინი (àbab) (სახნისი - დიასახლისი; ბელელი - გაუტეხელი; ხელახლა - შელახა; თავიდან - წავიდა) რითმა და წყვილადი (aabb) (ლარჩვალი დამხრჩვალი; პირგამოპირული - ბინული).

ლადო ასათიანი მოწიწებით ეპყრობოდა ხალხურ საუნჯეს, კრებდა და სწავლობდა მას. ლექსში „ბარდნალა“ გვხვდება დიალექტური სიტყვები: ინული - წყარო; თარჯი ხეზე ამოჭრილი ნიშანი საზღვრის აღსანიშნავად; ხორგო - დიდი საწნახელი.

ამავე ლექსში გამოყენებულია ტოპონიმები: ბარდნალა და ლარჩვალი - სოფლებს ჰქვია; ვარდიგორა - ადგილია ზემო ბარდნალაში; სარეწკელა მდებარეობს სოფელ ლარჩვალის ბოლოს.[1]

ლექსში „ბარდნალა“ ერთ-ერთ სტროფში ვკითხულობთ:

---

[1] მალაქიძე, ლადო ასათიანი (ბიოგრაფიულ-შემუარული ნარკვევი), ჟურნ. „რიონი“, 1961 წ., № 4, გვ. 98

„გახსოვს, ჩვენ ორნი მარტონი
და ვარდიგორას ხანძარი
და დიდი გუჯუ ბატონი
თავისი ქამარ-ხანჯალით?“

ლექსში ნახსენები „გუჯუ ბატონი“ ლადოს პაპაა. ლადო ასათიანმა თავის ბაბუას მიუძღვნა ლექსი „პაპიჩემის ლექსებიდან“, რომელსაც აქვს ეპიგრაფი: „პაპა სიკვდილამდე ლექსებს წერდა.“[2]

როგორც აღვნიშნეთ, ასათიანების სახლიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით მორაკრაკებდა წყაროს წყალი - ბინული. პოეტი ლექსებში ხშირად იხსენებდა მას და „სიცოცხლის წყალს“ უწოდებდა.

ლოგინად ჩავარდნილი პოეტი ამ წყაროს წყალს ნატრობდა. ნატრობდა „სიცოცხლის წყლით“ აევსო მამაპაპური ცისფერი სარწყული, „ამპარტავანი, ყურჭრელი“,- რომელიც იჯდა სუფრაზე, ისე „ვით ლურჯი ფრინველი“.

„კვლავ შენ გნატრულობ, რომ მკერდზე სიცოცხლის
წყარო მასხურო,
ბავშვობასავით ცისფერო, მამაპაპური სარწყულო!“
/„სარწყული“/

მეტერლინკის „ლურჯი ფრინველის“ წყალობით XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ეს შესიტყვება მუდმივ ეპითეტად არის ქცეული და მოუხელთებელი ბედნიერების სიმბოლოდ მოიაზრება. უკვდავების წყაროს წყალივით ასაზრდოებს პოეტის სიცოცხლეს ბავშვობის ხსოვნა, რადგან ბედნიერების ძიების გარეშე შემოქმედება აზრს ჰკარგავს.

ლადო ასათიანის ლირიკაში საპატიო ადგილი დაიკავა ლეჩხუმურმა პეიზაჟებმა. მის ლექსებში მკითხველს ესმის სოფლის სუნთქვა, თვალნათლივ ხედავს გუმარეშის ამწვანებულ ჭალებს, ნამკაშურის წისქვილებს, „მის ლექსებში შრიალებს მშობლიური მწვანე ეზო, სადაც ყოველი ხის ჩრდილში ბავშვობა ნებივრობს და დარბის, სადაც ბუნება დღესასწაულობს მარად სიცოცხლეს.“[1]

---

[2] ლ. ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 160

[1] შ. აფხაიძე, სიჭაბუკის მომღერალი, ჟურნ. „მნათობი“, 1958 წ., № 6, გვ. 132

ლექსში „ნამკაშურის წისქვილები“ პოეტი მიმართვის ფორმით აღწერს და გადმოგვცემს ულამაზეს შთაბეჭდილებებს, ლეჩხუმურ პეიზაჟებს.

„შთაგონებების უნეტარეს სადგურს“, ნამკაშურის წისქვილებს გატაცებით მიმართავს პოეტი:

„თქვენ, წისქვილებო, უნეტარესი
შთაგონებების რომ ხართ სადგური,
თქვენ, გუმარეშის მწვანე ჭალებში
ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული...
მკლავს ნამკაშური - მინდვრის იმედი,
ფოთლების ნამით ადიდებული
და ცეცხლაპირას ნედლი სიმინდი,
გლეხის ბიჭივით ატირებული.“

ამ ამონარიდში ერთმანეთს ენაცვლება ტრადიციული და ნოვატორული: წისქვილის კარგად ნაცნობი მხატვრული სახე - სიმბოლო, ეპიკური ჟანრისთვისაც მომგებიანი, ლადო ასათიანის ამ ლექსში ლირიკის ძალას იძენს: ნამკაშურის წისქვილების მინდვრის იმედის სახით დაკონკრეტება და ერთმანეთს ერწყმის ლირიკული და ეპიკური მოტივები: რეალისტური (ნედლი სიმინდი) და სუბიექტური განცდით მოპოვებული: ნედლი სიმინდის ჩვილი რძე გლეხის ბიჭის ცრემლებთან არის შედარებული.

გ.კალანდაძე წერს: „ნამკაშურის წისქვილებში“ რომანტიკული ელემენტი ჭარბობს. პოეტის გული უფაქიზესი სასიცოცხლო ძაფებით არის მიბმული მშობლიურ მიდამოებს, რომლებსაც ის „განუკურნებელი სიყვარულით“ შეუბოჭავს და მიუზიდავს. ცეცხლის პირას „გლეხის ბიჭივით ატირებული“ სიმინდისა და ნამკაშურის საოცნებო წისქვილებზე „ახლადდაფქული ხორბლის სურნელი“ პოეტის სულის ღაღადისად ქცეულა.“ [1]

ლადო ასათიანის ლექსებში წარმოდგენილი პეიზაჟი ხშირად მხატვრული დაპირისპირების საუკეთესო ნიმუშია. ქვემოთ მოხმობილ ციტატში ამგვარი დაპირისპირებული წყვილებია: შევარდენი და მეწისქვილე:

---

[1] გ.კალანდაძე, ლადო ასათიანი (1917-1943), ჟურნ. „მნათობი“, 1971 წ., № 10, გვ.108

„მკლავს შევარდენი, ფრენით მოღლილი,
მზის ბრწყინვალებით დაფეთებული
და მეწისქვილე წელში მოხრილი,
სულ ერთიანად გათეთრებული.“

ლადო ასათიანის ლექსში „ლეჩხუმური შემოდგომის სურათები“ ხორბლითა და სიმინდის ტაროებით იხატება შემოდგომის პეიზაჟი, რომელიც მზისა და ნამის გარეშე არ წარმოედგინა პოეტს: ხორბალს მზე ამწიფებს, სიმინდს კი ცვარ-ნამი ასაზრდოებს:

„ხორბლის სურნელი ასდით კალოებს,
მზეც ძველებურად არ იკბინება
და უელვარებთ სავსე ტაროებს,
ნამით ნაფერი ოქროს კბილები.“

ეს არის დეტალებით მდიდარი პეიზაჟი, რომელიც უტყვი და უძრავი კი არ არის, ხმაურითა და ქმედებით არის ამოძრავებულ-გაცოცხლებული:

მთა მთას გასცქერის, მთა მთას გასძახის,
სადღაც საყანედ ახოებს ჭრიან,
და გაბმულ ყეფას აგებებს ძაღლი,
ორღობეებში ურმების ჭრიალს.“

ლადო ასათიანის პოპულარობამ პოეტის სიკვდილის შემდეგ მოიმატა, სიცოცხლეში კი აკრიტიკებდნენ კომკავშირელთა ყოველ მორიგ კონფერენციაზე. როგორც აღვნიშნეთ, სტამბაში დაუჭრეს მეორე წიგნი.

ლადო ასათიანის მეგობარი მწერალი ვ.ჭელიძე იგონებს: „გამოჩნდა კრიტიკულ წერილები. ამჟამად უკვე სალიტერატურო პრესაში ისეთივე მკაცრი და უსამართლო. ზედიზედ აკრიტიკებენ მის საუკეთესო ლექსებს, როგორც არაჯანსაღი განწყობილების გამომხატველებს... აკრიტიკებენ მის ერთ-ერთ შედევრს „ცაგერის ბაზრობას“, როგორც სინამდვილიდან განდგომისა და ისტორიზმში გადასვლის ნიშანს.“[1]

ლადო ასათიანის „ცაგერის ბაზრობაც“ ვერ ასცდა კრიტიკას, ისე როგორც მისი მრავალი ლექსი. განსაკუთრებით მძიმე იყო ქართული მწერლობისათვის 1937 წლის მომდევნო პერიოდი. ლა-

[1] ვ.ჭელიძე, ძვირფასი სილუეტები, თბ., 1989 წ., გვ. 142

დო ასათიანი თავის „უბის წიგნაკში“ წერს: „ახალგაზრდობის შექებას ძალიან გაურბიან კრიტიკოსები, ვითომ არ გვანებივრებენ, ამიტომაც ყოველი ტკბილი სიტყვა გვაკვირვებს და გვაოცებს.“[2]

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ცაგერის ბაზრობა“ ლადო ასათიანის პოეზიაში გამორჩეულია.

ამ ლექსში ყოფის გამჭვირვალება და პოეტური აღმაფრენა ერთმანეთს მჭიდროდ შეერწყა. ცაგერში „ყოველწლიურად დაწესებული იყო ორი ბაზრობა. ერთი სექტემბრის თვეში, ორკვირიანი - ცაგერის ბაზრობა, რომელსაც „დიდი ეკენობა“ ერქვა და მეორე ორბელში ახალჭალას, შვიდდღიანი. იგი მაისში იცოდნენ და „იარმუკას“ (Ярмарка) ეძახდნენ. პარასკევ-კვირაობით ვაჭრობა წარმოებდა ცაგერში, ლაილაშსა და ჭრებალოში.

ლადო ასათიანის შედევრი „ცაგერის ბაზრობა“ მკითხველმა ისტორიულ ასპექტში უნდა გაიაზროს.“[3] ადამიანი-ავტორი ამ ლექსში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოეტი-განმცდელი. ლადო ასათიანი ცდილობს, ისტორიკოსის, მემატიანის თვალით დანახული ობიექტური სურათი საგნებითა და ადამიანებით ავსებული და მოძრავი - დახატოს. საგანი აქ, ბაზრობაზე, უფრო მოძრავია, ვიდრე ადამიანი: გამყიდველები დგანან და საგნები კი ახალ პატრონებს ეძებენ, იწყებენ მოგზაურობას. ხედვის რაკურსის გადანაცვლება ლექსს საზეიმო და ამაღელვებელ განწყობილებას სძენს: მიღება-გაცილება ახმაურებს სტრიქონებს.

„სახელგანთქმული“ მურის ხიდი, მურის ხიდამდე გამწკრივებული სვანები და ლეჩხუმელები, წითელფარჩამოხურული სვანის ქალები, შრომაში ხელებდაკოჟრილი გლეხკაცები, ხორბლისა და ღვინის სურნელება, სამჭედლო, სადაც ვილაცას ურმის ბორბალი შეაქვს შესაკეთებლად, მდინარე ცხენისწყალი, რომელიც შელამებისას, „როგორც ფანდური, ჩაიღიღინებს ამ ბაზრობის თავგადასავალს“, - ეს გახლავთ რეალობაც და პოეტის ფანტაზიაც.

„ყოველი მხრიდან შემოდიან ცაგერში ამ დღეს!
ზოგნი ქვეითად, ზოგიერთნი კიდევ ცხენებით.
ბაზრის ბოლოდან სახელგანთქმულ მურის ხიდამდე

---

[2] ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 289

[3] მ.ალავიძე, 55 წლის ლადო ასათიანი, გაზ. „ქუთაისი“, 1972 წ., 15 იანვარი

გამწკრივდებიან სვანები და ლეჩხუმელები“.

პოეტის თანასოფელსა და მეგობარს მალავიძეს ახსნილი აქვს ლადო ასათიანის ლექსებში გამოყენებული ლეჩხუმის ტოპონიმები.

მური მურისებური (მოშავო ფერის) კლდეკარი, ცხენის-წყლისა ცაგერთან.

ბერძნული წყაროებიდან ცნობილ ფორმაში „სქიმარი“ კ.კეკელიძის ახსნით, უეჭველად იგულისხმება „მურის ციხე“, სადაც ეწამა და გარდაიცვალა მეშვიდე საუკუნის ფილოსოფოსი მაქსიმე აღმსარებელი. იგი იქვე, მურის მოედანზე, დაუკრძალავთ. [1]

მ.ჩიქოვანის თვალსაზრისითაც, ბერძნული „სქიმარი“ ადგილობრივი სახელწოდების შესატყვისს წარმოადგენს და არა თარგმანს, მაგრამ საამისოდ მან მოძებნა სვანური სიტყვა „სგიმ“, რაც მჟავე, ანუ მლაშე წყალს გამოხატავს. ასეთი მინერალური, უსახელო წყალი ახლაც მოედინება დეხვირ-ლასხანის საზღვარზე. „სქიმარს“ ის დეხვირის ციხედ თვლის. „სგიმ სქიმარის“ შემცველი სვანური ტოპონიმის არსებობა ადვილი წარმოსადგენია, რადგან აქ სვანიზმები უხვად გვხვდება. [2]

ეს ვარაუდი ნაკლებ სარწმუნოა ორი მიზეზით: 1. მაქსიმეს თავგადასავლის დასადგენად უნდა დავემყაროთ ბერძნულ თხზულებას და არა მისგან განსხვავებულ ლეჩხუმურ ლეგენდას; 2. ტოპონიმი ან ჰიდრონიმი „სგიმი“ სოფელ დეხვირის მიდამოებში არ მოიპოვება.[1]

მკვლევარი გ.კანკავა წერს: „ოსტატურადაა შესრულებული ლექსი „ცაგერის ბაზრობა“. ცაგერის ბაზრობის ფერადოვანი სცენები პოეტური ჟანრული ფერწერისათვის და ამ სურათში ჩართული ნატურმორტისათვის კარგი მასალა აღმოჩნდა. ლადო ასათიანის ამ ნაწარმოებში თითქოს არც არის დაცული „პერსპექტივა“ და ფერწერულად იგი ერთპლანიანი ჩანს. გამოსახულია უშველებე-

---

[1] კ. კეკელიძე, შოთა რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 29, 1966 წ., გვ. 120-128

[2] მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971 წ., გვ. 86-88

[1] მ. ალავიძე, ლეჩხუმის ტოპონიმია, ჟურნ. „განთიადი“, 1982 წ., № 1, გვ. 180-181

ლი ტერიტორია, დიდი მოცულობის მონაკვეთი ცაგერის საბაზრო ადგილისა."[2]

ბაზარი - სავაჭრო ადგილი - ასე განმარტავს მას სულხან-საბა ორბელიანი.[3]

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ასეა ახსნილი: ბაზარი (ბაზრისა) (სპ. ბაზარ) სურსათ-სანოვაგისა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილი (ჩვეულებრივ, მოედანი); 2. გადატ. საუბრისათვის გასავალი, გასაქანი; 3. ეკონომიური საგნის მიმოქცევის სფერო.[4]

ლადო ასათიანის ლექსის „ცაგერის ბაზრობის" მიხედვითაც, „ბაზარი" სურსათ-სანოვაგით და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილია, სადაც გასაყიდად გამოტანილია: ოჯალეში, სულგუნი, გოგრა, მწვანილი, ქლიავისა და ვაშლის ჩირი, ღორის შაშხი, სვანური ქუდები, ხორბალი... და ეს ყველაფერი ეკუთვნით მშრომელებს, რომელთა საქმიანობას დინჯად უთვალთვალებს ლეჩხუმის უტყვი მემატიანე, მურის სამი ციხე.

ლექსში უხვად არის გამოყენებული ეპითეტები, რომლებიც ლადოსეულია. ეს ეპითეტები ე.წ. „მუდმივი ეპითეტები" კი არ არის, არამედ ჩვენი მწერლობისათვის ახალია. ისინი პოეტურ განსაზღვრებებს წარმოადგენენ, რომლებიც გადმოცემულია ზმნიზედით, ზედსართავი სახელით, არსებითი სახელით და გამოხატავენ განწყობილებას, ელფერს, თვისებას... „ოჯალეში შარშანწინდელი", „გოგრა უზარმაზარი", „კიტრი ნამნაკურები", „მოსირმული ქუდები", „ყველგამოჭრილი ტახებივით", „სიმინდიანი, ცერცვიანი, თეთრი პურები".

უილიამ თეკერეიმ თავის რომანში „ამაოების ბაზარი" აგვიწერა ისეთი ბაზარი, სადაც ამქვეყნიური ამაოებანი იყიდება: „... დიდი სმა-ჭამაა გამართული, დიდი არშიყობა და პრანჭვა-გრეხა, სიცილი და ტირილი, თუთუნის წევა, მოღორება, აყალ-მაყალი, ცეკვა და ვიოლინის წრიპინი... დიახ, ეს გახლავთ ამაოების ბაზარი! რა თქმა უნდა, ვერაფერი ზნეკეთილი ადგილია."[1]

---

[2] გ.კანკავა, სამი პოეტი, ჟურნ. „მნათობი", 1960 წ., № 7, გვ. 107-108

[3] ს.ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1991 წ., ტ.I, გვ. 91

[1] უ.თეკერეი, ამაოების ბაზარი, წიგნი I, თბ., 1971 წ., გვ. 21

ლადო ასათიანს არ ხიბლავდა „ამაოების ბაზარი“. ეს ჩანს პოეტის „უბის წიგნაკში“ ჩანაწერიდან: „თეკერეის რომანი „ამაოების ბაზარი“. რამდენი მისი და მისტერ კროულია აქ! ვინ ვისი შვილია, ვინ ვისი ძმა, ვინ ვისი მამიდა და ბიძაშვილი? უნდა იფიქრო და ტვინი იღრძო. მისივე „ჰენრი ედმონდის თავგადასავალი“ მირჩევნია.“[2]

ლადო ასათიანის „ცაგერის ბაზრობის“ ინტონაცია და პოეტური განწყობაც ახალი ასპექტით ამდიდრებს XX ს ქართულ პოეზიას: ავტორი კარგად იცნობდა სოფლის ცხოვრებას, გლეხის შრომა-გარჯას. ამის შესახებ ლადოს „უბის წიგნაკში“ ასეთ შენიშვნას ვხვდებით: „ქართველი გლეხი, ნამდვილი გლეხი. კარგად ვიცნობ იმერელ გლეხს, ლეჩხუმელს, მეგრელს, გურულს და რაჭველს... ქართლელსა და კახელს - უფრო წიგნებით.“[3]

„ლექსი „ცაგერის ბაზრობა“ დაიწერა 1940 წ. ლადომ გარდასული სინამდვილე ასახა, გარჩაკეტილი კუთხის მცხოვრებთა ყოფა დახატა ნაირფერად.

სად იყო წინათ ისეთი სატრანსპორტო მიმოსვლა, როგორიც დღესაა?! წყალტუბო-ცაგერის გზატკეცილზე ავტომანქანით თვით ლადო ასათიანსაც კი არ გაუვლია. ცხენისწყლის ხეობის ლეჩხუმლები, ქვემო სვანეთის მკვიდრნი, იკრიბებოდნენ მხოლოდ ცაგერში... ცაგერის ბაზრობა გაქრა, მაგრამ ვერ წაიშალა - გადარჩენილ სურათად იარეკლა ქართულ პოეზიაში.“[4]

„ცაგერის ბაზრობაში“ აღწერილი ბაზრის სურათი ხალისიანია, მაგრამ ბაზარი ბაზარია და არ არის მოკლებული კომიკურობასაც. „კითხულობ „ცაგერის ბაზრობას“ და თქვენ ცოცხლად წარმოგიდგებათ თვალწინ ჟანრული სურათები, სავსენი უწყინარი ჰუმორითა და პოეტის ტუჩის კუთხეში მიფენილი ღიმილით. მთელ ლექსში მოჩანს პოეტის დაკვირვების მშვენიერი უნარი და კონკრეტულ მოვლენებზე შეჩერების მოთმინება, ამასთანავე, პოეტი გვხიბლავს მდიდარი პოეტური შედარებებით, სახეებით, პარალელებით.“[1]

---

2 ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 265

3 ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 272

1 შ.ფუტკარაძე, სიჭაბუკის მომღერალი, ჟურნ. „მნათობი“, 1958 წ., № 6, გვ. 137

ლადო ასათიანმა ლექსში საბაზრო თავყრილობა, ბაზრისათვის დამახასიათებელი ხმაური, „მთელი ბაზრის ბორგვა“ გადმოგვცა შესანიშნავი შედარებებით: „ოქროსფერ სირმით მოსირმული ნაბდის ქუდები / თავზე ახურავთ სვანის ქალებს, ვით სილამაზე“.

შედარება გამოყენებულია მშვენიერების, სილამაზის გამოსახატავად: „სვანის ასულებს მოუხურავთ წითელი ფარჩა / და სვანურ ბგერებს ღულუნებენ, როგორც გვრიტები.“

მოძრავ, ხმაურიან და მბორგავ ბაზარს, თურმე „ბაზრის ზარმაცებიც“ ჰყოლია, რომლებიც პოეტმა მოხდენილი შედარებით გადმოგვცა: „ყელგამოჭრილი ტახებივით წვანან გუდები, / უქნარობაში ატკავრებენ ბაზრის ზარმაცებს“.

„ცაგერის ბაზრობაში“ შედარების წევრები, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს ედარებიან მაქვემდებარებელი კავშირებით: „როგორც“, „ვით“, „... და მურის ციხე გადმოსცქერის, ვით ზარბაზანი“, „დაღამდება და ცხენისწყალი, როგორც ფანდური,/ ჩაიღიღინებს ამ ბაზრობის თავგადასავალს“.

„ცაგერის ბაზრობას“ დინამიურობას სძენს ლექსის მეორე, მესამე, მეხუთე, მეშვიდე, მეთერთმეტე სტროფებში ხალისიანი შეძახილები, მუშტრის მოსაზიდად წამოძახილი ფრაზები, რომლებიც ამოძრავებს და სიცოცხლეს ანიჭებს ბაზარში დახვავებულ საგნებს. მოძრავი დეკორაციების, ცოცხალი მანეკენების როლის შესრულება ულამაზეს სვანის ასულებს დააკისრა პოეტმა, რომელთაც ქართულ პოეზიაში ნამდვილად არა ჰყავთ წინამორბედი ამ მხრივ. საყურადღებოა, რომ ეს ასულები, „როგორც გვრიტები, სვანურ ბგერებს ღულუნებენ“.

ბაზრის არეულ-დარეულობას, ქაოსს ეს ღულუნი ჰარმონიას და ბუნებრიობას ანიჭებს. ფანდურის ღიღინი, რომელიც ლექსის დასასრულს ცხენისწყალს დაუკავშირდება, მურის ციხე, რომლის სიმკაცრე ბაზრის ორომტრიალს აწესრიგებს, და სვანი ქალების ღულუნი ერთგვარი კომპოზიციური საყრდენებია ლადო ასათიანის ამ ლექსში, რომელიც ლირიკის უნაზესი და უმკაცრესი კანონების მიხედვით არის გამართული.

ლექსში „ცაგერის ბაზრობა“ გამოყენებულია დიალექტიზმები: აბილაური - საზამთრო თეთრი ვაშლი, ყინული - საზამთრო წითელი ვაშლი, წიფხა - ცაცხვის ან თელას ქერქისაგან გაკეთებული

ჭურჭელი, ტკეჩით შეკერილი - ფქვილის, მარილის ან მარცვლეულისათვის.

ლადო ასათიანის ლექსის რიტმში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დაკისრებული ისეთ ვერსიფიკაციულ მოვლენას, როგორიც არის გადატანა. ლადო ასათიანის ვერსიფიკაცია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ შესწავლილი და განხილული არ არის.

აკაკი გაწერელიას მოსაზრებით, ქართულ კლასიკურ ლექსში ანჟამბემანი არ გვხვდება და მისი შემომტანი ჩვენს ვერსიფიკაციაში არის ნიკოლოზ ბარათაშვილი.[1]

საგანგებო გამოკვლევები უძღვნა აკაკი ხინთიბიძემ გადატანის საკითხს აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პოეზიაში.

თეიმურაზ დოიაშვილმა გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი გადატანის შესახებ (თ.დოიაშვილი, Enjambement, თბ., 2000 წ.).

ლადო ასათიანის ლექსებში ხშირად წინადადება არ მთავრდება სალექსო სტრიქონთან ერთად და აზრი გადადის სტრიქონიდან სტრიქონში: „ოქროსფერ სირმით მოსირმული ნაბდის ქუდები / თავზე ახურავთ სვანის ქალებს“ ერთი მარტივი წინადადებაა და სიტყვებს შორის პაუზის არსებობა გამორიცხულია, მაგრამ ლექსის რიტმი მოითხოვს სტრიქონის ბოლოს, სიტყვა „ქუდების“ შემდეგ მეტრულ პაუზას. წინადადება იკვეთება, სტრიქონის ბოლოს უმნიშვნელო პაუზა რჩება. ფრაზა პირველ ტაეპს ავსებს და მთავრდება მეორე ტაეპის ბოლოს.

საერთოდ, გადატანა მოკლესაზომიანი ლექსის კუთვნილებაა, მაგრამ ლადო ასათიანმა ანჟამბემანი გრძელსაზომიან ლექსშიც საუცხოოდ გამოიყენა: „ცაგერის ბაზრობა“ თოთხმეტმარცვლიანი /5/4/5/ ტაეპებისაგან შედგება.

ლადო ასათიანი სანიმუშოდ იცავდა სალიტერატურო ენის ნორმებს, მაგრამ „ცაგერის ბაზრობაში“ შეიმჩნევა სალიტერატურო ენის კანონებიდან გადახვევა. ლექსში ვკითხულობთ:

„შორით მოსულებს ეშინიათ გაავდარების“.

„აგერ დედაკაცს აუვსია წიფხა ხორბალით“.

„დაბინდებამდე თავს ადგია გრძელი ფარდული“.

---

[1] აკ.გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953 წ., გვ. 159

იოსებ ნონეშვილის ლექსი „შემოდგომა თბილისში“ პოეტური გადაძახილია ლადოს ლექსისა „ცაგერის ბაზრობა“. შეუძლებელია, თვალში არ მოგხვდეს მათ შორის მსგავსება ცალკეული დეტალების მხრივ: „ყელგამოჭრილი ტახებივით წვანან გუდები“ („ცაგერის ბაზრობა“) - „და ტიკები ლოთებივით / ბოძებს მიჰყუდებიან“ („შემოდგომა თბილისში“).

„ერთი ხელადა, მარტო ერთი ხელადა დარჩა,
ჩქარა იყიდეთ ოჯალეში შარშანწინდელი.“
(„ცაგერის ბაზრობა“)

“ჩემი ღვინო სხვას არ სჯობდეს,
მაშ, შემირცხვეს სახელი! -
კარდენახულ ღვინოს აქებს
ბიჭი კარდენახელი“
(„შემოდგომა თბილისში“)

ამგვარი პოეტური გადაძახილი ორივეს ჰმატებს ღირსებას: ლადო ასათიანი ამჩნევს და ქართულ პოეტურ სინამდვილეში ამკვიდრებს ჩვენებური ბაზრობის ეშხსა და ლაზათს, ხოლო იოსებ ნონეშვილს არ ავიწყდება ეს პოეტური ტრადიცია, რომლის ღირსეულ გამგრძელებლად მიაჩნია საკუთარი თავი. ლექსში პოეტური ინტიმი ორიგინალური ხერხით მყარდება: ხალხმრავლობაში, ბაზრის ჟრიამულში ერთმანეთს ერწყმის ყაყანი და შეძახილები, გამოკვეთილი, მოსხლეტილი დიალოგები.

სხვისი მეტყველების მხატვრული ფუნქციის პრობლემა, როგორც ცნობილია, პირველად მიხ.ბახტინმა განიხილა. მის ნაშრომებში გამოელენილია აგრეთვე კავშირი სხვისი მეტყველებისა და მხატვრული მეტყველების დიალოგიზაციის პრობლემებს შორის: სხვისი მეტყველებისა და ავტორისეული კონტექსტის ურთიერთშეწყობის გზით მყარდება დიალოგური რეპლიკების ურთიერთმიმართების ანალოგიური კავშირები. ამის მეშვეობით ავტორი გმირს გვერდით ამოუდგება და ხერხდება მათი დამოკიდებულებების დიალოგიზირება.

„პოეზია, როგორც მეტყველების ტიპი, ლინგვისტურად მონოლოგიურობისაკენ მიისწრაფვის. იმის გამო, რომ ხელოვნებაში ნებისმიერ ფორმალურ სტრუქტურას აქვს შინაარსობრივი დატვირთვის ტენდენცია, პოეზიის მონოლოგიზმი იძენს კონკრეტულ მნიშ-

ვნელობას და ზოგიერთ სისტემაში განიმარტება როგორც ლირიზმი, სხვებში კი - როგორც ლირიკულ-ეპიკური საწყისი (იმისდა მიხედვით, ვინ მიიჩნევა პოეტური სამყაროს ცენტრად)“ წერს ი.ლოტმანი.

პოეტური ტექსტის პოლიფონიურობა „ცაგერის ბაზრობაში“ ეშსახურება სამყაროს ჭრელი სურათის წარმოდგენას ერთი კონკრეტული ბაზრობის ფონზე.

ლადო ასათიანის „ცაგერის ბაზრობის“ ჭრელი ფერადოვნება შორს დგას აღმოსავლური ბაზრის პრიალა და მბზინვარე ბრჭყვიალებისაგან. „ცაგერის ბაზრობის“ მკითხველი „თვალისა“ და „სმენის“ პოეზიის ჰარმონიული, ზომიერი შერწყმის მიჯნასთან დგას, ბარიერის პასუხისმგებლობას წარმატებით გადალახავს პოეტთან ერთად და “შინ“ ბაზრობისაგან დაღლილი კი არა, ნანახითა და განცდილით აღფრთოვანებული ბრუნდება.

ლეჩხუმის სურათები ლადო ასათიანის პოეზიაში ცოცხალი და ხელშესახები ხდება. თუ რომელიმე მწერალს თავისი კუთხის დახატვაში წარმატება ჰქონია, ეს ლადო ასათიანზეც თამამად ითქმის.

ლეჩხუმის ბუნება და ლეჩხუმელთა ყოფა-ცხოვრება ცალკე თემაა პოეტის შემოქმედებაში. ლადო ასათიანის პოეზიაში ლეჩხუმის სურათების ჩვენება მხოლოდ ამ თემაზე შექმნილი ლექსების განხილვით არ ამოიწურება. პოეტი კოლორიტულად ხატავს ლამაზ სამყაროს, რომელშიაც ცხოვრობს, და ცდილობს ჩვენც დაგვანახოს მისი სილამაზე. პოეტს ხიბლავს საქართველოს მშვენიერი სანახები. ის ბუნებას არასოდეს გაქვავებულად და უსიცოცხლოდ არ წარმოგვიდგენს. პოეტი ბუნებას სისხლხორცეულად განიცდის, თვითონაც ამის განუყოფელ ნაწილად გრძნობს თავს:

„მე ქალის თმების სურნელის მსგავსად,
ვეტრფი მოხნული მიწის ოხშივარს...
მე ქალის თმების სურნელის მსგავსად,
მათრობს სიმინდის ულვაშის სუნი...“

/„მე მიყვარს“/

„ბუნება არაა თავისთავადი, არამედ ადამიანის მიერ ხელშეხებული, ორგანულად განცდილი და სასიცოცხლო ნაყოფის მომცემი.“[1]

პოეტური პარალელიზმის გამოყენებით ლადო ასათიანი ხატავს ერთმანეთის მსგავს და ურთიერთდამაზუსტებელ სურათს: „მიწის ოხშივარი“ და „სიმინდის ულვაშის სუნი“ ლირიკული სუბიექტის მიერ განიცდება, როგორც სიცოცხლის მიმართ გაძლიერებული, ინტენსიური დამოკიდებულება.

ხელოვნებაში პარალელიზმის დიალექტიკურ ბუნებაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ ვესელოვსკი: „ჩვენ არ ვაიგივებთ ადამიანის ცხოვრებასა და ბუნების სიცოცხლეს, არც ვადარებთ მათ (რაც გულისხმობს შესადარებელი საგნების ურთიერთგამიჯნულობას), ჩვენ მათ შევაჯერებთ მოქმედების ნიშნის მიხედვით.“[1]

ამგვარად, პარალელიზმში, იგივეობისა და სრული ურთიერთგამიჯნულობისაგან განსხვავებით, ხაზგასმულია ანალოგია. რ.აუსტერლიტსი პარალელიზმს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ორი სეგმენტი (ტაეპი) პარალელურია, თუ ისინი იგივეობრივია; განსხვავდება მხოლოდ მათი ესა თუ ის ნაწილი, რომელსაც ამ სეგმენტებში დაახლოებით ერთი და იგივე პოზიცია უკავიათ“. იგი პარალელიზმს არასრულ განმეორებას უწოდებს.

როგორც ვხედავთ, პარალელიზმი წარმოადგენს ორწევრედს, რომლის ერთი ნაწილი შეიმეცნება ანალოგიური მეორე ნაწილის მეშვეობით. ეს უკანასკნელი პირველი წევრის იგივეობრივი არ არის, მაგრამ არც გამიჯნულია მისგან; ის ანალოგიის მდგომარეობაშია - გააჩნია საერთო ნიშნები.

ეს ორი წევრი იდენტური არ არის, მაგრამ გარკვეული გაგებით, ერთგვაროვანია, ამიტომ პირველი მათგანის შესახებ ჩვენ ვმსჯელობთ პარალელის მეორე წევრის მიხედვით.

ლადო ასათიანის საანალიზო სტროფში „ქალის თმების სურნელის მსგავსი“, პარალელური, ანალოგიური განცდა („მიწის ოხშივარი“, და „სიმინდის ულვაში“) თითქოს ქალური და ვაჟური საწყისების - მიწისა და ნაყოფის შერწყმა-შეერთების სურათის

---

[1]გ.კალანდაძე, ლადო ასათიანი (1917-1943), ჟურნ. „მნათობი“, 1971წ., №10, გვ. 106

[1] А.Н.Веселовский, Историческая поэтика, М., 1989, с. 121

ფონზე ხორციელდება. მოახლოებული განცდა სიკვდილისა პოეტს სიცოცხლის გამძაფრებულ შეგრძნებებს უღვივებდა.

ლადო ასათიანის უმეტესი ლექსების ფონი ლეჩხუმის, ცაგერის, საკუთარი სოფლის, და საერთოდ, საქართველოს ბუნებაა. მისთვის ბუნება არა მარტო ფონია, არამედ თემაც, საშუალებაც, საზომიც სიდიადისა:

„რა გაზაფხული, რა სიცოცხლე იხილა თვალმა,
სიმწიფით სკდება ალუბლის და ნუშის კვირტები“...
„ეს გაზაფხულიც სიხარულით ამინთებს სახეს,
ეს გაზაფხული- ასე ტკბილი - ცისფერთვალება.“
/„ქუჩა პალმებში“/

„ვეტყვი, რა იყო ის გაზაფხული...“ („ალბომიდან“) გაზაფხულთან პოეტის სულიერი განწყობილებაა აქცენტირებული.

პოეტის მეგობარი შ.ქურიძე იხსენებს: „ქუთაისი ყოველ დროს დიდებულია, მაგრამ აქაური გაზაფხული მაინც სულ სხვაა - ატმისა და ტყემლის ყვავილებით თეთრ-წითლად გადაპენტილი ქალაქი, რაღაც თავისებური, განუმეორებელი სურნელი, რიონი, მთვარე, სიჩუმე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს და გრძნობის გასაოცარ მოზღვავებას იწვევს. სწორედ, გაზაფხულის ერთ ასეთ ღამეს დაიბადა ლადო ასათიანის ლექსი, რომელიც მე მომიძღვნა და დღემდე არსად გამომიქვეყნებია... მისი თითოეული ლექსი ცოცხალი შთაბეჭდილების ნაყოფია, იგი იდეიდან კი არ მოდიოდა სინამდვილისაკენ, პირიქით, სინამდვილე აღძრავდა მასში გარკვეულ გრძნობას, რომელიც შემდეგ იდეად ყალიბდებოდა. ამას მოწმობს „მე და მთვარის“ დაწერის ისტორიაც:“ [1]

„და ანათებ, მთვარევ, ისე
როგორც ვერცხლის თასი,
როგორც ტყვიით განგმირული
შუბლი ილიასი.“
/„მე და მთვარე“/

ლექსის სათაურშივე მჟღავნდება პოეტის აქტიური დამოკიდებულება ბუნების მოვლენებისადმი. ლირიკული სუბიექტის განცდაში მთვარეს ტრაგიკული, განწირული სიმბოლოს ფუნქცია აქვს დაკისრებული. ილიას შუბლივით განათებულა ღამის წყვდიადში მთვარე და ფიქრისაკენ უბიძგებს მკითხველს. მთვარე, ვარსკვლავე-

[1] შ.ქურიძე. ფურცლები ლადო ასათიანის ცხოვრებიდან, გაზ. „ქუთაისი“, 1972 წ., 14 ნოემბერი

ბი, ღრუბლები, ქარი, ცა - ყველაფერი ეს მკითხველის თვალწინ ცოცხლდება და ახალ მნიშვნელობას იძენს ლირიკული სუბიექტისა თუ საკუთარი, ცხოვრებისეული თუ ლიტერატურული გამოცდილების შერწყმის შედეგად. ლადო ასათიანის საბავშვო ლექსში „მზიას ბანაკში მიუხარია“ ბუნების მოვლენები პერსონიფიცირებულია და ორიგინალურად წარმოდგენილი:

„... მთები წალკოტით დახატულია
და გრძელი სიო ჰქრის ონავარი.“

ბუნებასთან გმირის დამოკიდებულებით გადმოცემულია პოეტის სულიერი სამყარო და განწყობილება:

„ეს რა ეშმაკმა ააბორგა ამალამ ქარი,
ამიწიოკა, დამირწია მან შთაგონება.“

/„ფიროსმანის მეგობრებთან“/

ბუნების ბობოქარი მოვლენები აღვიძებს პოეტურ შთაგონებას და იწვევს ალმაფრენას, რაც ასე აუცილებელია შემოქმედებითი პროცესისათვის. ერთი შეხედვით, კონტრასტულია და ურთიერთგამომრიცხავი ზმნები და მათთან დაკავშირებით - შთაგონება: „ამიწიოკა, დამირწია მან შთაგონება“, მაგრამ პოეტური ლოგიკის ძალით ამ ორტაეპედში ბუნდოვანი არაფერია!

„წვიმა კი რბოდა როგორც აფთარი,
ცას გაუშავა ნაზი ღაწვები.“

/„წვიმაში“/

- ლადო ასათიანის პოეტური ფერწერის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ფერს იყენებს მხატვარი და ამით ქმნის ფერწერულ ტილოს, რომელიც, არსებითად, „თვალის ხელოვნებაა“.

ლირიკაში სიტყვით ხორცშესხმული გრძნობა, ემოცია, მოძრაობა ავკამებს და აერთიანებს ცალკეულ დეტალებს. ასე იქმნება ჰარმონია, ყველაფერი ეს საშუალებაა, ხოლო მიზანი - მხატვრული იდეის სრულყოფილი განხორციელება.

ბუნება საკმაოდ მრავალფეროვანია. ფერი, მუსიკასავით, სამყაროს ენაა, ხატოვანი, მრავალფეროვანი, მრავალსახოვანი, დახვეწილი და ჰარმონიული. სხვადასხვა ფერი ჩვენს ცნობიერებასა და გრძნობებზე სხვადასხვანაირად მოქმედებს, ემოციების ნაირსახეობა კი მრავალმხრივ არის დამოკიდებული ფერების აღქმის როგორც ფიზიკურ, ასევე ესთეტიკურ უნარზე.

ლადო ასათიანი დიდ ეფექტს აღწევს ბუნებრივი საღებავების ოსტატურად გამოყენებით.

„არის ფერების თამაში ლალ-ფირუზ მინანქარისა,
იღიმებიან მტევნები გიშრისებრი და ქარვისა,
მათი მზერა და ტრფიალი არ მოსწყინდება არვისა“.
/„ოდა ვენახს“/

ვენახის ფონზე ათამაშებული ფერები ლირიკული თხზულების საყრდენია ამ სტროფში; ფერთა ელვარება სიცოცხლის, მოძრაობის შეგრძნებას ბადებს. ამ ლექსში გიშრისფერი გამოყენებულია როგორც შავის ეპითეტი (შავი ყურძენი), ხოლო ქარვისფერი როგორც დამწიფებული ფერი ყურძნის, ნაირფერი - შავი და ყვითელი - დამწიფებული ყურძნის დასახატავად გამოიყენა პოეტმა, ხოლო ბრჭყვიალა ძვირფასი ქვების - ლალის, ფირუზის, მინანქრის გამოყენებით შექმნა შესანიშნავი გამა - ფერების თამაში.

ზოგჯერ შავი ფერი ლ.ასათიანის პოეზიაში გამოყენებულია პირდაპირი მნიშვნელობით - მწუხარების, გლოვის, სიკვდილის სიმბოლოდ, იქვე კი გამძლეობისა და სიმტკიცის ნიშნად:

„დამიგეთ მაგრად, დამახურეთ შავი ნაბადი.
ვიდრე სიკვდილი გამახვევდეს შავ მოსასხამში“.
/„ვიდრე სიკვდილი“/

„შავი ნაბადი“ და „შავი მოსასხამი“ ამ შემთხვევაში დაპირისპირებული, ანტინომური წყვილებია.

პოეტი მოახლოებული სიკვდილის „შავ მოსასხამს“ მემკვიდრეობით ნაანდერძევ შავ ნაბადს უპირისპირებს. პაპისეული ტახტი კი მატერიალიზებულია და განსულიერებული; იგი სიკვდილისაგან იცავს თავის შთამომავალს და სიცოცხლის გახანგრძლივებას ჰპირდება.

ლადო ასათიანის პოეზიაში ფერები თვითმიზნურად როდია გამოყენებული. პირიქით, ისინი გარკვეულ ადამიანურ ემოციებს ერწყმიან, ახალი შინაარსით ივსებიან, სულ სხვა, ახალი შეფერილობით იტვირთებიან და მხატვრული სამყაროს ფერებად გარდაიქმნებიან:

„სიწითლისგან დაბრაწულო, კანდამსკდარო ბროწეულო,
ნაცრისფერი ღრუბლის ძნებო, ფიჭვის ტევრში გარეულო...“
„ერთო ქალო, თეთრო ქალო, ქალო ბაგეთაფლიანო,
თავთავებით ოქროსფერად მოსირმულო მთავ ფრიალო;
მთებო, მთებო, რუხო მთებო, ნისლების თავსაფრიანნო,
ზვარო, ზვარო ჯიშიანო, ოჯალეშის ჯიშის ზვარო,

ზვარო მტევნებგიშრიანო, გლეხი კაცის სანუკვარო...“

/„ჩემი ქვეყნის ოქროყანა“/

ამ შვიდტაეპედში ევფონიური კეთილხმოვანება ფერთა გამას ერწყმის და ბგერა ეხმარება პოეტს მხედველობითი ეფექტის მიღწევაში. მკითხველი ერთდროულად ალიქვამს ჩვენი „ქვეყნის ოქროყანას“ მხედველობითა და სმენით. ლადო ასათიანი კი, ერთსა და იმავე დროს, თვალის პოეტადაც გვევლინება და სმენასაც ესალბუნება.

წითელი პოზიტიურ ფერად არის მიჩნეული. ამ ფერში ხატავენ აგზნებულ სიყვარულს, ხშირად სიცოცხლის ჟინსა და სიხარულს განასახიერებს იგი.

ლადოს პოეზიაში წითელი და თეთრი ფერები სილამაზის უმაღლესი გამოხატულებაა. ყაყაჩო ხომ წითელი ფერისაა და პოეტმა ამ ყვავილით - წითელი ფერით - ლამაზი, მომხიბვლელი ასული დაგვიხატა („ყაყაჩო“, „ქართლის გზაზე“).

წითელი ფერის ფუნქციას ასრულებს შინდისფერიც:

„როგორ გიხდება და გრთავს,
ეს შინდისფერი კაბა!“

/„იმ სილამაზეს წარსულს“)

ლურჯი და ცისფერი იდეალისა და მასთან დაკავშირებული ყველა არსისა და მოვლენის სიმბოლოა პოეზიაში:

„მოცქრიალდი ჩემს საფლავთან,
ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი.“

/„სასაფლაო“/

გასაოცარ მხატვრულ ღირებულებას ქმნის ის სტროფები, სადაც გამოყენებულია ძვირფასი ქვები - ლალი, ფირუზი, ზურმუხტი, გიშერი, ძვირფასი ლითონები - ოქრო, ვერცხლი.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, ნაირფერებით ნაქარგი.
„ჩემი საშობლო ზურმუხტის და მარგალიტის სადარი.“

/„ჩემი სამშობლო“/

აკაკი წერეთლის უკვდავი მეტაფორის ამგვარი მომარჯვება ზემოხსენებულ სტრიქონებში მხოლოდ საკუთარ პოეტურ ძალაში დარწმუნებულ პოეტს შეეძლო.

ან კიდევ: „ისე ბრწყინავდა ვერცხლის ხეხილი,
გაოცდებოდით ფერთამხილველი,
ოქროს მთა-ბარი და მთაგრეხილი,

გამოცხადება გასაკვირველი!“

/„სიზმრად ნახული“/

თ.ჭილაძე წერს: „ლადო ასათიანი ყოველ ლექსს თავის დაღს ასვამდა, მისი ლექსები დიდი ოსტატობის სიმაღლეზე ადის და პოეტი ცისარტყელასავით სხვადასხვა ფერს ერთ მთლიანობაში კრავს.“ [1]

დიდი ხანია, იწერება ლადო ასათიანის სულისმიერი ბიოგრაფია. იწერება დიდი სითბოთი და სიყვარულით, ტოლ-მეგობრები, რომლებიც ასე უხვად ჰყავდა ლადოს, იხსენებენ პოეტთან გატარებულ წლებს.

ქუთაისში სტუდენტობის წლებში ერთ ჯგუფში (№ 33) სწავლობდნენ: შ.ქურიძე, ნ.დუმბაძე, მ.ალავიძე, ა.მიშველაძე, ლ.კიკნაძე, გ.შალამბერიძე და ლ.ასათიანი.

თითოეულმა მათგანმა, მათს ხსოვნასა და მეხსიერებაში აღბეჭდილი, ლადოს ახალგაზრდული საქმიანობისა და მჩქეფარე სიცოცხლის ბრწყინვალე სურათები დაგვიხატა. მათ წელთა მანძილზე მრავალი კრიტიკული წერილი და გამოკვლევა მიაწოდეს ლადოს ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს.

განსაკუთრებით დიდი პატივი დასდეს ლადო ასათიანს: მ.ალავიძემ, ნ.დუმბაძემ, შ.ქურიძემ, გ.შალამბერიძემ და ყველაზე მეტად კი - ნ.აგიაშვილმა.

ლადო ასათიანის ცხოვრებაში ტრაგიკული ხანა იყო 1937-38 წლები, როცა დედა დაუპატიმრეს და გადაუსახლეს. ამ უმძიმეს პერიოდში ლადო მარტო არ დაუტოვებიათ ნ.აგიაშვილსა და ინსტიტუტელ მეგობრებს, რომელთაც გულწრფელად ანდობდა თავის საწუხარს. მეტად საინტერესოა ნ.აგიაშვილისა და ნ.დუმბაძისადმი გაგზავნილი წერილები, რომლებიც ლადოს სულისკვეთებას გამოხატავს.

1938 წლის 14 იანვრით თარიღდება ლადოს წერილი-ლექსი, რომელიც მან თავის მეგობრებს გამოუგზავნა:

„თქვენ შემაყვარეთ მე სიცოცხლე მზის ბრწყინვალებით,
არ მიმატოვეთ ობოლი და მიუსაფარი,
თქვენ შემომხედეთ ბიბლიური მტრედის თვალებით
და მომაგონეთ დედის მიერ თქმული ზღაპარი.

---

[1] თ.ჭილაძე, ოთხი პოეტი, ჟურნ. „მნათობი“, 1956 წ., № 4, გვ. 128

თქვენ მომაგონეთ დედა ტკბილი, დედა მშობელი,
ჩემს სასთუმალთან დაჩოქილი გარიჟრაჟისას,
სტიროდა იგი, - თვალზე ცრემლებშეუშრობელი...
რა ატირებდა? - ალბათ, ბედი თავის ვაჟისა."

„ალალი სიჭაბუკის მეგობრებს: ნელის, მაროს, მარუსიას და სხვებს, თუ კი არიან სადმე." [1]

ასეთ ვითარებაში მყოფ ლადოს სჭირდებოდა ადამიანური ურთიერთობები მეგობრებთან, ახლობლებთან და ყველა მათთან, ვინც ამ დროისათვის ხვდებოდა მას.

მის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „რაღაც სიცარიელეს ვგრძნობ, თითქოს რაღაც დავკარგე, ოდესღაც შემეძლო ადამიანების სიტყვით მოჯადოება და დღეს აღარ შემიძლია... თითქოს ეს გული ამომგლიჯეს, წაიღეს სადღაც და მერე გვიან დამიბრუნეს - გაძარცვული და დაკაწრული."

„დაკაწრული და გაძარცვული" გული გაუმრთელეს, ტკივილიც კი დაუამეს ერთგულმა მეგობრებმა.

ლადო ასათიანი ნელი დუმბაძეს სწერდა: „მე ქვეყნად 4 მეგობარი მყავს". ოთხ მეგობარში კი გულისხმობდა: მარიამ ტრაპაიძეს, მარო ბარეკაძეს, შოთა ქურიძესა და ნელი დუმბაძეს.

„ლადოს მეგობართა წრე თანდათან იზრდებოდა. ლადოს ნამდვილი მეგობრები ჰყავდა. ლადოსა და მის მეგობრებს სწამდათ: „გული გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად". ამ მხრივ ლადო ნამდვილად ბედნიერი იყო.[1]

ლადო ასათიანი ყოველთვის მოვლენების ცენტრში იდგა, ცხოვრობდა თავისი დიდი სიმართლით, როცა საჭირო იყო, ბობოქრობდა. მაგრამ ისეთი წმინდა და ალალმართალი გული ჰქონდა, „მეგობრობის წმინდა სავანე რომ ეთქმის".

ლადო იყო ამაღლებული სულის, ფაქიზი განცდის ადამიანი, რომელიც ყოველთვის ისწრაფვოდა, აღედგინა ადამიანთა შორის ჰარმონია. მას პირადული სიამოვნებისათვის ერთ დღესაც არ უცხოვრია.

---

[1] ჟურნ. „ჭოროხი", 1975 წ., № 5 (ნ.დუმბაძის პუბლიკაცია) გვ.71

[1] ნ.დუმბაძე, ლადო ასათიანის ყმაწვილკაცობის ფურცლები, ჟურნ. „ჭოროხი" (ბიოგრაფიული მემუარული ნარკვევი), 1974 წ., № 4, გვ. 49

„ლადოს ბობოქარი სული და უნაზესი გრძნობა ჰქონდა... ლადო წუთისოფლის იშვიათი სტუმარი იყო.“[2]

ნაგიაშვილის მოგონებით, „ლადოს უყვარდა მზე, პოეზია, უყვარდა საქართველოს ალისფერი განთიადი, მისი ზღაპრული მთვარიანი ღამეები, უნდოდა გულთბილ მეგობრებთან ერთად ყოფნა და მათთან მწერლობასა და ლექსებზე ხალისიანი საუბარი, უყვარდა კარგი წიგნი და კარგი, თავანკარა ღვინო, მძაფრშინაარსიანი კინოსურათები და ლექსთა თავისებური ბუტბუტ-ღილინით რუსთაველის პროსპექტზე სიარული.“ [3]

მეგობართა დახასიათებით, ლადო ტანად მაღალი ყოფილა, გამხდარი, წაბლისფერი თმით და თაფლისფერი თვალებით, ხასიათით ძალზე ფიცხი, ამავე დროს, ძალზე კეთილი, თურმე, წუთში იცოდა აფეთქება, აბობოქრება...

სცოდნია არათანაბარი ნაბიჯებით სიარული. ვ.ჭელიძე იგონებს: „ახლაც თვალწინ მიდგას, თითქოს ცოცხლად ვხედავდე, ნელი, ძალიან არათანაბარი ნაბიჯებით მოდის და დროდადრო ერთბაშად შედგება... თავს აწევს, ცას ახედავს და ისევ წამოვა; თუ ზაფხულია, შარვალზე გადმოშვებული, ჯიბეებიანი მოთალხო ბლუზა აცვია, წელზე ბრტყელი ქამარი შემოურტყამს; ზამთარში სიახლედაკარგული პალტო აცვია, საყელო წამოუწევია, ღილები კი გახსნილი აქვს, ღია ნაცრისფერი კაშნე მოუხვევია, ქუდი ლამის თვალებზე ჩამოუფხატავს... და როცა მოგიახლოვდება, ერთბაშად თვალები შემოგანათებს დიდრონი, ანთებული თვალები... როცა დაგინახავს, გულწრფელი სიხარულით გაგიღიმებს და თავის ვეება ხელის მტევანში მოიქცევს შენს ხელს... ლაპარაკობს გატაცებით, მგზნებარედ... ტანმაღალია, ძვალმსხვილი, შუბლმაღალი და შუბლნათელი.“ [1]

ლადომ ქუთაისში გაატარა თავისი სიჭაბუკის წლები, პირველი სიყვარული აქ იგრძნო და პირველი ლექსის დაბეჭდვით გამოწვეული სიხარულიც აქ განიცადა.

ქუთაისში ცხოვრებისას ლადო, „სტალინელის“ რედაქციის თანამშრომლებთან ერთად, ხშირად შეივლიდა ხოლმე თეთრი ხი-

---

[2] მ.ალავიძე, ლადო ასათიანი, ჟურნ. „რიონი“, 1961 წ., № 4, გვ. 92

[3] ნ.აგიაშვილი, ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ., 1980 წ., გვ. 10

[1] ვ.ჭელიძე, ბეირუთის სილუეტები, თბ., 1989 წ., გვ. 129-130

დის მახლობლად მდებარე „ცისფერ კაფეში“. რომელიმე წიგნის განხილვისას ხშირად „ხელჩართული ბრძოლა იმართებოდა“. ლიტერატურაში თუ რამ ახალი გამოჩნდებოდა, უეჭველად კაფეში „აკურთხებდნენ“. აქვე უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს, საუბრობდნენ თეატრზე, კინოზე.[2]

წლების მანძილზე მოგონებად გაჰყვა ლადოს „ცისფერი კაფე“. შემდეგ ლექსიც კი მიუძღვნა მას:

„იმ ცისფერ კაფეს ვიგონებ ახლაც,
დღემდე იმგვარად დარჩა ის, მგონი;
დღემდე მეც ძვირფას ოცნებად მახლავს
ჩაის ვარდები და ჩაის ბოლი.“

/„კაფე რიონის პირად“/

“ცისფერი კაფეს“ ხშირი სტუმრები იყვნენ პოეტები: ბონდო კეშელავა, გიორგი ნაფეტვარიძე, გრიშა იმედაძე, ლადო ასათიანი, მხატვარი ვიქტორ ცომაია. ისხდნენ და „იგონებდნენ მამა-პაპათა გმირულ ამბებს, ახსენებდნენ ნაცნობ-მეგობრებს, თეატრებსა და კინოებში ნანახ სპექტაკლებსა და ფილმებს, კარგ-კარგ წიგნებს, პოეზიას, სიყვარულს, ნამდვილ ძმა-ბიჭობას.“ [1]

ლადო ასათიანს უყვარდა ქუთაისის ბაღი, განსაკუთრებით, ჭადრის ჩერო, იქ გრძელ სკამზე ჩამომჯდარს დაუწერია თავისი შედევრები: „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“, „ვენახის ქება“, პოემა „კოლხიდის“ რამდენიმე თავი.

ამ ბაღში პოეტი ხშირად მჯდარა დავით მესხთან, რომელიც ლადოს მოუთხრობდა თავისი ოჯახის ამბებს, ლადოს უნდოდა შეექმნა წიგნი „მესხების ოჯახი“, მაგრამ ეს სურვილი ვერ აისრულა.

მეგობრებთან ერთად პოეტი ბევრჯერ სათაფლიაშიც ყოფილა. ლადო ასათიანს აქვს ლექსი „ქარო, იზუზუნე“, რომელიც პოეტის ლექსების კრებულში შესული არ არის. ამ ლექსს ბოლოში მიწერილი აქვს: „ეს სტრიქონები იმ დღის მოსაგონებლად, როცა ვიყავით სათაფლიაში 1937 წლის შემოდგომაზე და ვიმგზავრეთ

---

[2] გ.ჩორგოლაშვილი, ჩემი გაზაფხულის ყვავილები, თბ., 1987 წ., გვ. 10
[1] ნ.აგიაშვილი, პირად-პირადი, თბ., 1986, გვ. 180

წყალტუბოში ქუთაისის მატარებლით - ქარსა და წვიმაში. ვუძღვნი პეტრე ჭაბუკიანს, ელიოზ ხუციშვილს, ნიკა აგიაშვილს, პავლე ლომიძეს, გრიშა იმედაძეს, დოროთე ეგუტიძეს, შალვა კოხოძეს და კიდევ ბევრ სხვა ვინმეს, ვინც ჩვენს შემდეგ ნახავს ამ საუცხოო ადგილებს. ლადო ასათიანი, 1937 წლის 7 ოქტომბერი."

მკვლევარი რ.თვარაძე წერს, რომ უცნობი სტიქიონის - „ქარის" აღმოჩენა ქართულ პოეზიაში გალაკტიონს მიეწერება. [2]

ეს სტიქიონი, თურმე, ეული და სევდიანია, რომელიც რაღაც დაკარგულს, გაფრენილს, სიზმარივით გაუჩინარებულს დასტირის. ამავე აზრითაა ნახმარი „ქარი" ლადო ასათიანის ლექსში „ქარო, იზუზუნე".

„ქარო, იზუზუნე...
ქარო, იგრიალე,
ქარო, დამანახე ფოთლების თამაში,
იგი შორს წასულა, იგი იგვიანებს,
იგი გვიან მოვა, საღამოს, და მაშინ...
ნისლო, აიშალე,
ზღვაზე იქრიალე,
ფრთები გაიშალე,
სახე გაიშშრალე,
გულის საბუდარი დამიფიქრიანე!
ქარო, გამიტაცე,
არ მინდა მიწაზე...
ქარო, წამიყვანე აშარ ნისლიანად.
ქარო, თუ გიყვარდე,
მასთან მიმიყვანე,
ვინც გულის პერანგი დამისისხლიანა.
გაფრინდი და მალე,
ხელები დამალე,
უცხო კარნავალთან
არა ხარ ნავალი.
მთვარისკენ მიმავალ ბილიკებს რა მოშლის,
თეთრ ქულებს ჩამოშლის

---

[2] რ.თვარაძე. ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა, თბ., 2001 წ., გვ. 106

ღრუბლების ქარავანი.
და შენ, მეგობარო,
უნდა მოგებარო,
ახელებს მნახველებს
ლექსის აგონია.
ო, სხვა სიხარული, ო.. სხვა აღმაფრენა
ლექსის სიყვარულთან გამონაგონია!
ე... საით მიდიხარ?
თუ ღრუბლის ბინდი ხარ?
ვარამის ხიდი ხარ,
არარად მინდიხარ
რატომ მიმატოვე?
მომკლავს სიმარტოვე,
რატომ მიმატოვე, ღრუბლის გავა-ტანო?
ზეცის სიფართოე
და მის ქვეშ მარტო მე...
ახლა სიმღერები ვისღა გავატანო?
ბარო, იზუზუნე...
ქარო, იგრიალე,
ქარო, დამანახე ფოთლების თამაში.
იგი შორს წასულა, იგი იგვიანებს.
იგი გვიან მოვა, საღამოს, და მაშინ...

ლადო ქუთაისიდან საცხოვრებლად და სამუშაოდ თბილისში გადმოდის. „ეს იყო 1938 წლის ივნისი, - წერს ნ.დუმბაძე - წავიდა პოეზიის, სიყვარულის და სიცოცხლის გზნებით ანთებული „მარტოოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება“.[1]

თბილისში კი მას დახვდნენ თანატოლები: რეზო მარგიანი, ალექსანდრე საჯაია, ლადო ავალიანი, გიორგი კალანდაძე, ალეკო შენგელია, მირზა გელოვანი, კოტე ჯიმშიაშვილი, გაბრიელ ჯაბუშანური და ნიკა აგიაშვილი, რომლებმაც მზრუნველობა გაუწიეს ლადოს.

---

[1] ნ.დუმბაძე. ყმაწვილკაცობის ფურცლები, ბათუმი, 1977 წ., გვ. 93.

„ეს ერთი თაობა იყო, ნიჭიერი და იმედისმომცემი თაობა... აქ მას დახვდა ჯერ ისევ გაუყუჩებელ ტკივილიანი მოგონება ტიციან ტაბიძეზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, პაოლო იაშვილზე. აქ ის მწერალთა კავშირში თუ თბილისის ქუჩებში ყოველდღე ხვდებოდა გალაკტიონს, ნიკო ლორთქიფანიძეს, ლეო ქიაჩელს, კონსტანტინე გამსახურდიას... იგი აქ ხვდებოდა და ესაუბრებოდა ხალხს, რომელთაც საკუთარი თვალით ენახათ, გამოლაპარაკებოდნენ ფიროსმანს, რომლის შეყვარება ახალგაზრდა პოეტმა ადრევე მოასწრო.“[2]

ლადო ასათიანი თბილისში ჩამოსვლისთანავე ლიტერატურული ახალგაზრდობის გარემოცვაში მოხვდა და მალე ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქციის კარიც შეაღო. „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე ხშირად ბეჭდავდნენ თავიანთი შემოქმედების პირველ ნიმუშებს: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია, ვლადიმერ უბილავა, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, გაბრიელ ჯაბუშანური, ანდრო თევზაძე, გიორგი კალანდაძე, ალეკო შენგელია, რევაზ მარგიანი, იოსებ გრიშაშვილი, შალვა ამისულაშვილი, ლადო სულაბერიძე, ლადო ავალიანი...

თბილისში ეს ახალგაზრდები თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, უმთავრესად რუსთაველის გამზირზე, ყველაზე ადრე ლადო გამოდიოდა, რადგანაც იქვე, „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში, მუშაობდა. ის ხშირად იდგა ალ.ჭავჭავაძის ქუჩაზე ერთი ჭადრის ქვეშ, თითქოს ამოჩემებულივით. მეგობრებმა „ლადოს ხე“ შეარქვეს ამ ნორჩ ჭადარს.

განსაკუთრებით საღამოობით გამოდიოდნენ ხოლმე ახალგაზრდა მწერლები რუსთაველის გამზირზე და ბჭობდნენ, საუბრობდნენ, კამათობდნენ.

სწორედ ამ დროს გაჩნდა ლადოს „უბის წიგნაკში“ ჩანაწერი: „რა ლამაზია ყველაფერი ამ ქვეყანაზე. აი, თუნდაც ეს მოშრიალე „ჩვენი ჭადარი“ რუსთაველზე... გინდა სულ უმზირო და იფიქრო უკედაებაზე.“[1]

„იმ ჭადრის ძირში მალე სხვებიც მოიყრიდნენ თავს და ამის გამოა თქმული ლადოს მიერ:

„ჟალმართის და გამოღმართის,

---

[2] ვ.ჭელიძე, ძვირფასი სილუეტები, თბ., 1989 წ., გვ. 133

[1] ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 266

ზემოთის და ქვემოთის,
პოეტები შეგროვილან,
სიმონიკაც ქვე მოდის," -

ეს გახლდათ აწ განსვენებული ლიტერატორი და პედაგოგი სიმონ სხირტლაძე, ახალგაზრდა პოეტთა მეგობარი, მათი ხშირი თანამგზავრი, დავა-კამათის აქტიური მონაწილე, არიფთა უცვლელი მეინახე და „ლხინის პაპა"...

„დადიოდნენ თბილისის ქუჩებში, თეატრებსა და კინოებში, ლიტერატურულ საღამოებზე, კრებებსა და მოხსენებებზე, მთაწმინდის პლატოზე, ოქროყანაში, ბოტანიკურ ბაღში, ერთად იღებდნენ სამახსოვრო ფოტოსურათებს, სულ გარეთ და გაშლილ ჰაერზე უნდოდათ ყოფნა..."[2]

თავისი ლექსების გამოქვეყნება ლადოს ბავშვივით ახარებდა, ბედნიერი იყო მაშინ. ვერ ურიგდებოდა ლექსების ცვლილებით გამოქვეყნებას. არ თმობდა სიტყვის ამოგდებას და წაშლას. მღელვარებდა და ბორგავდა. ეს მღელვარება მის ბარათებშია გაფანტული. „ჩვენი თაობის" მაშინდელ რედაქტორს, დიმიტრი ბენაშვილს, ლადომ გალექსილი წერილი გამოუგზავნა, სადაც სწერდა:

„ალბათ, ახალ „თაობაში" ძველებურად ზიხარ ისევ,
გვერდით გიზის ერემია, გემატება სიხალისე;
მომენატრა, დიმიტრიჯან, ძველებური ქამანჩობა,
შენ, „თაობავ", გაგიმარჯოს, შენ, დიმიტრი, გამარჯობა!
მე კარგად ვარ, დენთი ვიყავ და ისევე ვრჩები დენთად,
საქართველოს სიყვარულით ჩემი სული დაითენთა...

და ისევ თხოვნა, მუდარა:

„მე კარგად ვარ, დიმიტრიჯან, მხოლოდ ერთი უნდა გთხოვო,
ჩემი ლექსი სულ დაბეჭდე, ნომერი არ გამოტოვო."

ლადო თუ ოდესმე მარტო რჩებოდა, ეს აბასთუმანში იყო. სიმარტოვეს ვერ ეგუებოდა. ეს წერილი აბასთუმნიდანაა 1940 წლის 5 ივლისს გამოგზავნილი. აქაც მარტოობას უჩივის:

„სად მცალია, ლექსებს ვმღერი, ბუნებაში ვიყურები,

---

[2] ნ.აგიაშვილი, ლადო ასათიანი, ერთტომეულის წინასიტყვაობა, თბ., 1979 წ., გვ. 20

მარტოობით ვიმოსები და დუმილით ვიხურები,
დავანგრიე და დავლეწე ტყეში ნიცშეს ჯიხურები!"
წერილი-ლექსი ასე მთავრდება:
„ეს წერილი, აბასთუმნის მწვანე ტყიდან მონაბერი,
მოვა შენთან თავდახრილი, ისე, როგორც მონა ბერი,
იტყვის: თვალებს ბენაშვილის კიდევ უნდა დავენახო...
პოეტებო, მომღერლებო, სახლო, ეზოვ და ვენახო,
მერე წუთით დაფიქრდება, ეგონება თავი სტამბოლს:
შევიშლები და კაცს მოვკლავ, ახლა რომ არ დავისტამბო!"

„ჩვენი თაობა" ყველა პირობას ქმნიდა, რომ ახალგაზრდა მწერლების ნიჭი, შემოქმედებითი უნარი სავსებით გაშლილიყო. ჟურნალ „ჩვენი თაობის" ფურცლებზე სხვადასხვა დროს დაიბეჭდა ლადო ასათიანის ლექსები და პოემა „კოლხიდა".

ტ.კვანჭილაშვილი წერდა: „ჟურნალმა „ჩვენმა თაობამ" პოეტის ალმაფრენასა და შთაგონებას, შემოქმედებითს ამაღლებას და დაოსტატებას სხვა საზრდო მიაწოდა, სულ სხვა ეშხი შესძინა".[1]

ლადოს დახვეწილი სტრიქონებით მოხიბლულ ლეო ქიაჩელს კერძო საუბარში შეუნიშნავს ლადო ასათიანის ახალგაზრდული შემართება. მოწონება გამოუხატავს პოეტის რწმენით ნათქვამ, ასერიგად ნალოლიავებ სიტყვებზე, მისი თვალები არწივის მართვის თვალებისათვის შეუდარებია.

კონსტანტინე გამსახურდია მოხიბლული იყო მისი სტრიქონების მხარგაშლილობით და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

სიმონ ჩიქოვანს ხშირად ზეპირადაც წარმოუთქვამს მისი სტრიქონები, გიორგი ლეონიძე ეპითეტებს არ ზოგავდა მის შესაქებად, ალექსანდრე ქუთათელი თანატოლივით მეგობრობდა მასთან, საერთოდ, ბევრი მკითხველი და პატივისმცემელი ჰყავდა და ჰყავს.[2]

ლადო ექსპრომტის დიდი ოსტატი იყო. მის მიერ ექსპრომტად გამოთქმული სტრიქონები ბევრ სახელგანთქმულ პოეტს შეშურდებოდა.

---

[1] ტ.კვანჭილაშვილი, ლადო ასათიანი, ჟურნ. „ცისკარი", 1984, № 9, გვ. 44

[2] ე.ქარელიშვილი, „მცირე მოგონება", წიგნიდან - ასე იტყვიან ჩემზე.., 1987 წ., გვ. 116-117

ერთხელ ლადოსთვის მიხეილ მამულაშვილს უთხოვია, დაუფიქრებლად ჩაეწერა მისთვის ექსპრომტად რაიმე. ლადო არც დაფიქრებულა, ორიოდე წუთში მიხეილისათვის მიუმართავს:

„მამულაშვილო, კარგი გაქვს გვარი,
მაგრამ მამული რით დააფასე?
ერთხელ თუ მაინც დაფიქრებულხარ,
რის მაქნისი ხარ ამ ქვეყანაზე?“

ცნობილია ლადოს ექსპრომტი მებუფეტე გაიანესადმი, რომელიც ლადოს ხშირად ნისიად უმასპინძლდებოდა, რადგანაც, ეს წერა-კითხვის უცოდინარი დედაკაცი, პოეზიის დიდი მოყვარული ყოფილა. სწორედ, ამ გაიანეს დაუწერა ლადომ ექსპრომტად:

“ფული არ გაქვს გადახდილი
ადექი და გაიარე, -
ამას ამბობს გულმოსული
მებუფეტე გაიანე.“

გაიანეს ისე მოსწონებია ექსპრომტი, რომ ლადოსთვის აღუთქვამს: „სამ დღეს მუქთად გაჭმევ, ნისია კი რამდენიც გინდა წაიღეო.“[1]

ბოლო წლებში ლადო ლოგინად ჩავარდა, ავადმყოფობა მოეძალა. ერთი წუთითაც არ მიუტოვებიათ მეგობრებს. თითქმის ყოველდღე დადიოდა სიმონ ჩიქოვანი, კლავდია დევდარიანი, რომელიც ღვიძლ დასავით ზრუნავდა მისთვის. სიკვდილის დღეს კონსტანტინე გამსახურდიას უნახულებია. “გაბადრულ მთვარესავით გაუხდა ლადოს ნატანჯი სახე, - იგონებს ნ.აგიაშვილი, ლოგინიდან წამოდგა. ტკბილმა და გულთბილმა საუბარმა ხალისიან გუნებაზე დააყენა, ხველება დაუცხრა და შვება იგრძნო“.[2]

„ყველაზე მეტად სიმონ ჩიქოვანი მიეალერსა ლადოს, ომი იყო და სასიკვდილოდ განწირულს სანოვაგეს უზიდავდა ძმასავით... მერე გარდაცვალების წლისთავზე ათასგზის აჩეხილ-დაჩეხი-

---

[1] მ.მამულაშვილი, „ორი მოგონება ლადო ასათიანზე“, წიგნიდან - ასე იტყვიან ჩემზე“, 1987 წ., გვ. 91

[2] ნ.აგიაშვილი. პირად-პირადი, თბ., 1986 წ., გვ. 219

ლი წიგნი გაუმთელა, საკუთრივ ძვირფასი წინასიტყვა დაუწერა და ასე გამოსცა ის წიგნი".[1]

„ბაღში გაზაფხული იყო, ალუბლები ჰყვაოდნენ, ის კი ჭლექით კვდებოდა..." ეს სიტყვები ლადოს „უბის წიგნაკში" ჩაუწერია, როდესაც ახალგაზრდა პოეტი „ვასო ლომიძე ლოგინს მიჯაჭვული სიკვდილს ებრძოდა, „სანთელივით ჩამომდნარს, სახეზე მიწის ფერი ედო... გათხელებული, გამჭვირვალე ცხვირი... ჩამოლვენთილი თითები!.."[2]

საოცარია, როცა ამ სიტყვებს წერდა, საკუთარ ლირიკულ გმირს თუ გულისხმობდა.

ლადოს კუბოსთან დაჩოქილმა, მოთქმით დაიტირა მეგობარი ალიოშა საჯაიამ, სხვა მეგობრებთან ერთად. მირზა გელოვანმა ფრონტზე გაიგო ლადოს სიკვდილი. ფრონტიდან იწერებოდა: „მინდა, აქედან თქვენს მწუხარებას შევუერთო ჩემი ქვითინიც და ერთად ვიგლოვოთ საყვარელი ლადო... დაეცა ჩვენი ნორჩი მედოლე, მაგრამ სიმღერა იცოცხლებს მისი!... კაი ყმა სიკვდილის შემდეგაც იცოცხლებს!"

არც ერთი სტრიქონი არ დასცდენია ლადოს სიკვდილის შიშზე. მხოლოდ პირად წერილებში თუ ახსენებს სიკვდილს სევდანარევი ირონიით. ლექსებში კი, თითქოს აგდებულად და, ხანდახან, საყვედურითაც კი, გაეპაექრება მას, ისე უბრალოდ და ამხანაგურად, როგორც უყვარდა კამათი და საუბარი თანატოლებთან, როგორც უყვარდა და იცოდა მოსწრებული სიტყვა, სხარტი ნაკვესი, დაუზოგავი ეპიგრამა.

ლადო ასათიანი ნიკა აგიაშვილს სწერდა: „მე, დაწყევლილი ლადო ასათიანი, ერთი კვირაა, რაც გეახელით თბილისს. თითქმის ხუთი თვე გავატარე აბასთუმანში აბსოლუტურად მარტომ. არავითარი გაუმჯობესება არ მიმილია ჯანმრთელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მიხედვით, მე მალე უნდა მივიცვალო. ძვირფასო, და

---

[1] მ.ლებანიძე, „კრწანისის ყაყაჩოები", წიგნიდან - ასე იტყვიან ჩემზე.., 1987 წ., გვ. 79

[2] ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ. 1979 წ., გვ. 294

აბა, შენ იცი, ცრემლებს ნუ დაღვრი. როცა ჩამოხვალ, შენ ნახავ ჰეკზამეტრებით წაწერილ ეპიტაფიას ჩემს სამარის ქვაზე".[1]

„ამ წერილის ავტორი კი, სიცხისაგან გათანგული, ულმობელი სენისაგან ფილტვებდაღრღნილი ახალგაზრდა კაცი, მიუჯდება უფარდაგო მაგიდას და მოწაფური მელან-კალმისტრით ცალხაზიან რვეულზე ყრუ ხველებით დაწერს ლექსს „გულბაათ ჭავჭავაძეზე", ქეიფით, ყიჟინით, სალაღობო მოტივით სავსე ლექსს. იმისათვის, ვინც გმირობას ხმლის ჭნევაში არ ხედავს, ეს საქციელი ჭეშმარიტი გმირობაა."[2]

ტუბერკულოზით დაავადებულ პოეტს ჰქონდა ადამიანური სევდის მიზეზი, მაგრამ მან შეძლო, ეს ფიქრები სიცოცხლის შეუპოვარი რწმენით დაეძლია და ომახიანი ლექსები ეწერა. ლადო ასათიანმა შეძლო, უბრალო პასუხი გაეცა იმ კითხვაზე, რომელიც მას სიყმაწვილიდან აწვალებდა სიკვდილ-სიცოცხლის მძაფრმა დილემამ სრულიად ბუნებრივი გამოსავალი პოვა მის ლექსში:

„თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს,
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს."
/„საქართველოში"/

ლექსი „საქართველოში" /5/5/ თავიდან ბოლომდე ჰიმნია სიცოცხლისა:

„საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე:
ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე." -

- ეს ქრესტომათიული სტრიქონები აწმყოდან წარსულში გამუდმებული მოგზაურობის წასვლა-დაბრუნების შესანიშნავი ნიმუშია. როგორც ცნობილია, პროზის სიუჟეტებთან შედარებით, პოეტური სიუჟეტები გამოირჩევა განზოგადების გაცილებით მაღალი დონით. „პოეტური სიუჟეტები არ მიიისწრაფვის, მოგვითხროს ერთი რომელიმე ჩვეულებრივი ამბავი; მან უნდა გადმოგვცეს მთავარი

---

[1] იქვე, გვ.350

[2] რ.მიშველაძე. უახლესი ქართ. ლიტ. ისტორია, თბ., 1998 წ., გვ. 354

და ერთადერთი მღვლენა, ლირიკული სამყაროს არსი. ამ გაგებით, პოეზია უფრო ახლოს არის მითთან, ვიდრე რომანი. ამიტომ ის გამოკვლევები, რომლებიც მიზნად ისახავენ ლირიკის, როგორც ბიოგრაფიის რეკონსტრუქციისათვის საჭირო ჩვეულებრივი დოკუმენტური მასალის გამოყენებას, წარმოგვიდგენენ პოეტის არა რეალურ, არამედ მითოლოგიზებულ სახეს. ცხოვრებისეული ფაქტები საჭიროებს განსაზღვრულ ტრანსფორმაციას, რათა პოეტურ სიუჟეტებად გამოდგეს", - წერს ი.ლოტმანი.

„ლადო ასათიანი ვერ გატეხა პირადი ბედის უკულმართობამ, იგი ვაჟკაცურად შეებრძოლა საშინელ სენს, პირდაპირ გაუსწორა თვალი სიკვდილს და თქვა სიცოცხლისა და შემოქმედების დაუვიწყარი საგალობელი".[1]

გარდაცვალება სიკვდილს კი არ ნიშნავს, ლადო ასათიანის აზრით, არამედ სიცოცხლე გადადის სხვა განზომილებაში. ამიტომ მტკიცედ ამბობს:

„ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ, შეიძლება, ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს."

ლირიკით, პოეტური სიტყვით ებრძვის ლადო ასათიანი სიკვდილს, და აზრით, ემოციით, რწმენით ძლევა საძულველი სენისა უკვე რეალური გამარჯვება იყო: მატერიალიზებული სული აცილებდა საკუთარ ცხედარს და ნეტარი ამბო თბილელივით მიაცილებდა პოეტი სამარისაკენ თავის სხეულს, სული კი გამარჯვებას ზეიმობდა.

ლადო ასათიანი ნიკა აგიაშვილს სწერდა: „დღეს „ბახტრიონის" წაკითხვა მომენატრა: კვირიას სიზმარი, ლელას გამოჩენა, ლუხუმი და გველი, ესაა თითქოს ყველაფერი და კიდევ, შინ რომ შევაბიჯებ, ჩემი ჩიტუნია-მზეწვია, პაწაწინა მანანა. მისი ღიმილი ყველაფერს მირჩევნია და სულ სიცოცხლის გაგრძელება მენატრება. მინდა სულ ვიძახო: „იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე."[2]

---

[1] შ.ქურიძე, წერილები ქართულ საბჭ. ლიტერატურაზე, ბათუმი, 1962 წ., გვ. 171
[2] ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 355

ლექსი „როგორ არ მინდა, ძლიერო სენო“ /5/5/ ამბოხებაა და არა სასოწარკვეთა:

„როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!
როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუკეს
დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები!“

ლ. ასათიანს სიტყვების „სიკვდილისა“ და „ჭლექის“ ხსენებაც კი სამარცხვინოდ, ლაჩრობად მიაჩნდა, თავის ჯანსაღ პოეზიას არ აკარებდა თუნდაც წამიერ სასოწარკვეთას. ამგვარი რწმენითა და მარადიული სიცოცხლის წყურვილით ლადო ასათიანი გმირს, რაინდს, სულისათვის წამებულ წმინდანებს უტოლდება.

„არ სურდა, მაგრამ მის სიჭაბუკეს მაინც დააჩნდა ჭლექის შავი ჩრდილები და პოეტი განსაკუთრებული გულწრფელობითა და უშუალობით გვამცნობს თავის გრძნობებს, თავის განცდებს, არაფერს არ გვიმალავს და პირდაპირ გვეუბნება, თუ რა ტკივილებით მიდის ოპტიმიზმამდე.“ [1]

ლადო ასათიანი საყვედურობს ჭლექს ვაჟას ფილტვების დაღრღნას, მაგრამ თვითონ ჯიუტად არ ნებდება:

„მაგრამ ახალი დროის ქალ-ვაჟებს
ამოდ ცდილობ, რომ მოერევი!
შენ შეგრჩეს ვაჟას ფილტვების დაღრღნა
და ჩემს დაცემას ნუ ლამობ ახლა...“

ლადო ასათიანის პოეტური მეხსიერება იმ ფაქტებს, დოკუმენტურ კადრებს აცოცხლებს, ქართველთა ცნობიერებაში უსიამოდ რომ დალექილა, მაგრამ იმედიანი ვაჟკაცი არ აპირებს ქედის მოხრას.

იმ დროისათვის დაუმარცხებელ დაავადებას, რომლისგანაც, მართალია, გარდაიცვალა იგი, სენის მძვინვარების პერიოდშივე ამარცხებს არნახული სიმტკიცით. ზეციურ საუფლოში გადასახლებამდე ქედუხრელი, სიტყვას შერკინებული პოეტი თავის სასიცოცხლო ენერგიას მთლიანად ღვრიდა ლექსებში ომახიან შეძახილებად. ვითარცა ბოროტ სულს, განაგდებდა თავისაგან:

---

[1] შ. ჭურიძე, წერილები ქართულ საბჭ. ლიტერატურაზე, ბათუმი, 1962 წ., გვ. 173

„ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო,
ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს.“

ლექსი „უცნობი პოეტის რვეულიდან“ /5/5/აბაბ; აა/ ღრმად ფილოსოფიური ამოძახილია მგოსნისა. მძიმე სენით შეპყრობილი პოეტი, ლექსში არსად მოიხსენიებს მას:

„შენ, როცა ამ წიგნს ხელში აიღებ,
ცოცხალთა შორის მე არ ვიქნები,
მაგრამ, კეთილო, მიხვდი, გაიგე,
ადრე წასული კაცის ფიქრები,“ -

მიმართავს პოეტი მკითხველს. პოეტი „წარსულიდან“ გვესაუბრება, რადგან იცოდა, რომ მისი სიცოცხლით, სიყვარულითა და მზის სხივებით სავსე პოეზია თაობებს გადასწვდებოდა:

„ჭაბუკი ვიყავ, ქარბუქი ვიყავ...
მე ერთი მქონდა მგოსანს ქონება -
კადნიერება არწივებური,
და მეც შენსავით მქონდა გონება
კახური ღვინით გაბრწყინებული“

1941 წ. 7 აგვისტოს პოეტი აბასთუმნიდან თბილისში აკაკი გაწერელიას სწერდა: „დავწერე ლექსი სახელწოდებით „სასაფლაო“. დიდი ხანია მინდოდა დამეწერა და აბასთუმანში ერთმა შემთხვევამ განმახორციელებინა. აქაური სასაფლაო ვნახე. უცნაურია: მთაში რამდენიმე საფლავია, გვირგვინების ნარჩენები, ნიალერისაგან მიწის პირზე ამოყრილი თავის ქალები, ყბები. ჰოდა, ყველა ეს არაფერი იქნებოდა, რომ ერთი არ იყოს ამ უიმედო სანახაობაში: საფლავებს შორის მოჰქრის ნაკადული, მთის ნაკადული, ორ ნაწილად ჰყოფს სასაფლაოს. მოჰქრის როგორც სიცოცხლე. მე მგონი, შესანიშნავია.“ [1]

პოეტის სიყრმის მეგობარი შ.ქურიძე ამ ლექსის შესახებ წერს: „გავიხსენოთ როგორ აღწერა ლადო ასათიანმა სასაფლაო, სიკვდილის ეს სამეფო. აბა, სად უნდა ზეიმობდეს სიკვდილი, თუ არა აქ, საგოდებელზე, სადაც ათასობით ცხედარია?! მაგრამ არა! პოეტი აქაც სიცოცხლეს ხედავს და სიცოცხლის ხმაური ესმის.“[2]

---

[1] ლ. ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 366.

[2] შ.ქურიძე, წერილები ქართულ საბჭ. ლიტერატურაზე, ბათუმი, 1962 წ., გვ. 172.

„ვის უნახავს სასაფლაო, უფლის ხელით დახატული,
ვის უნახავს, საფლავებში როგორ მოქრის ნაკადული,
როგორ მოქრის, როგორ მოქუხს, ვით სიცოცხლე
უშიშარი...“

როგორც მიუთითებენ, კარგი ლექსების ფუნქციის შესრულება კულტურის ამა თუ იმ სისტემაში ძალუძს მხოლოდ მაღალინფორმაციულ ტექსტებს. ეს კი გულისხმობს კონფლიქტს, მკითხველისეულ მოლოდინთან დაძაბულობას, ბრძოლას და, საბოლოოდ, მკითხველისათვის რომელიღაც ახალი, ჩვეულებრივზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი მხატვრული სისტემის იძულებით თავს მოხვევას, მაგრამ მკითხველის დამარცხების შემდეგ მწერალი არ უნდა შეჩერდეს: გამარჯვებული ნოვატორობა შაბლონად იქცევა და ინფორმაციულობას კარგავს. ის ყოველთვის როდი გულისხმობს ახლის გამოგონებას. ნოვატორობა - ეს არის ტრადიციისადმი ნიშნადი დამოკიდებულება, მისი გახსენება და, ერთდროულად, მისი უგულებელყოფა.

ამ კუთხით ლადო ასათიანის „სასაფლაო“ კარგი ლექსია: ტრადიციული სურათი ახალ ინფორმაციულობას იძენს.

ვაჟა-ფშაველამ წმინდა შეგონებად დაგვიტოვა შემდეგი სიტყვები: „გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა და იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გბულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, იგი არის მახინჯი გრძნობების პატრონი, იგი თავისივე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა“.[1]

ლადო ასათიანის პატრიოტული ლირიკა, ძირითადად, ორი თემატური რკალით წარმოგვიდგება: პირველი - წარსულის ლირიკული გაცოცხლება, გარდასულ დღეთა გმირული ისტორია; მეორე - საქართველოს აწმყოს დრამატული განცდა-გააზრება.

წარსული ლადო ასათიანის შემოქმედებაში წარმოდგენილია, როგორც ქვეყნის განუყოფელი ნაწილი - ხელშესახები და ცოცხალი.

ილია ჭავჭავაძე ანდერძად გვიტოვებს: „აღდგენა ისტორიისა - ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან.“[2]

---

[1] ვაჟა-ფშაველა, პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი, თხზულებანი, თბ., 1986წ., გვ.3 65
[2] ი.ჭავჭავაძე, პუბლიცისტური წერილები, ტ. IV, თბ., 1987 წ., გვ. 162

ეროვნული გრძნობები, უპირატესად, წარსულით იკვებება. ქართული პატრიოტული ლირიკის ნიშუშებს, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის თან ახლავს პათეტიკა, თუმცა ამით სიმძაფრე არ აკლდება ლექსებს.

ლადო ასათიანის მეორე წიგნს, რომელიც სტამბაში გაუნადგურეს, „წინაპრები" ერქვა.

1942 წლის 24 სექტემბერს ლადო ასათიანი ფრონტზე მყოფ ნ.აგიაშვილს სწერდა: „წიგნს „წინაპრები" უნდა დავარქვა და იმ წინაპართა გმირული საქმეები აღაფრთოვანებენ ჩვენს მამაც მებრძოლებს მტერთან შეტაკებაში.

წიგნის („წინაპრების") გეგმა და „პროექტი" უკვე მოფიქრებული მაქვს. წიგნი არ იქნება დიდი, ზომით ძალზე პატარა - შიგ მოთავსდება სულ 16 ლექსი: „სალაღობო", „ცხრა ძმა ხერხეულიძე", „ქართველი ოქროსმაძიებლების სიმღერა", „ასპინძა", „გულბათ ჭავჭავაძე", „კრწანისის ყაყაჩოები", „ციხის სიზმარი", „ქართული ენა"... წიგნს ზიზილ-პიპილოები რად უნდა, შიგ მხოლოდ კაი-კაი ლექსები იყოს! თუ თავად არ ვარგისხარ, რაც უნდა გასტენო... მაინც არ გამოვა „პასტერნაკული"... თუ ცოცხალი დავრჩი და შენც ცოცხალს მომისწარი, როცა ჩამოხვალ, კაი ლამაზ წიგნს დაგახვედრებ."[1]

1943 წლის 20 მარტით თარიღდება ლადო ასათიანის წერილი ნ.აგიაშვილთან:

„...ჩვენი დრო ითხოვს ვაგნერისებური მუსიკის მაღალი ძაბვისა და მძაფრი დენის სუნთქვას პოეზიაში, ტანგეიზერის უვერტურასავით გამყივანად, ამაღლებულსა და დამბნედს, შალიაპინის მქუხარე ხმით რომ იმღერება, როცა ქვეყნიერება წინა დგამს გიგანტურ ნაბიჯებს და ყველაფერი მაღლა და მაღლა მიიწევს."[2]

ალიოშა საჯაიას ლექსად გაგზავნილ წერილში სწერდა:

„საქართველოს წარსულისკენ უნდა გავხსნათ ერთი კარი,
აღვადგინოთ პოეზია გმირული და უშიშარი...
ორბელიანს, ჭავჭავაძეს, ბარათაშვილს ჩვენ ვერ დავთმობთ,
დიდ რუსთაველს, დიდ აკაკის - პოეზიის უკვდავ მნათობთ".

---

[1] ლ. ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 351

[2] იქვე. გვ. 257

„განცდა და გაცნობიერება წარსულისა არასოდესაა ანდა არასოდეს არ უნდა იყოს მხოლოდ პასიური ტკბობის სათავე. პირიქით, მისი განვრცობისა და სრულყოფილების ვნება, ახალ სიმაღლეთა დაძლევის სურვილი, როგორც აუცილებლობა, უნდა აწვალებდეს შთამომავალთ. ამ მაღალი ადამიანური და შემოქმედებითი პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ჩვენთვის აგრერიგად სათაყვანებელი სულიერი მამანი...“,[3] - წერს გ.ბენაშვილი.

ეროვნული ცნობიერების პათოსითაა გაჟღენთილი ლადო ასათიანის ისტორიულ თემაზე შექმნილი ლექსები.

ქართულ პოეზიაში არაერთი კარგი ლექსი დაწერილა კრწანისზე. ლადო ასათიანმა ყაყაჩოების ლამაზ ფერებად ააბრდღვიალა კრწანისის ველი და, როგორც გურამ ასათიანი იტყვის: „თითქოს მიაგნო მათ ფარულ აზრს, მიუხვდა, იგრძნო და ჩვენც გაგვიზიარა ამ სილამაზის საიდუმლო.“[4]

„კრწანისის ყაყაჩოები“ სამასი არაგველის ხსოვნას ეძღვნება. გმირი წინაპრების სახეებს პოეტური წარმოსახვა აცოცხლებს. პოეტმა შავჩოხიანი ვაჟკაცის სისხლი კრწანისის ველზე აბრდღვიალებულ ყაყაჩოს წითელ ფერს შეადარა.

„ლადო ასათიანს ეკუთვნის, - წერს გ. ასათიანი, - რამდენიმე პოეტური სახე, რომელიც მუდამ იელვარებს ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

რამდენ პოეტს აწვალებდა ქართლის ველ-მინდვრებზე ხანძარივით აბრიალებული პატარა მეწამული ყვავილის ხილვა, რამდენი თვალი მოუტაცნია მის შეუდარებელ სილამაზეს!..

ყაყაჩოს შუქი პოეტისათვის ჩვენს მიწა-წყალზე დაღვრილი მაღლის, კდემამოსილების და, მასთან ერთად, რაინდული გზნების სიმბოლოც იყო.“[1]

„კრწანისის ყაყაჩოებში“ ავტორი აშკარად ხსნის თავის მეტაფორულ-სიმბოლურ სახეს.

„მეტაფორა, როგორც ერთი წარმოდგენის სახელწოდების შეგნებული გადატანა მეორე სფეროში მეორე წარმოდგენაზე, რომელიც რაიმე თვისებით პირველის მსგავსია ან არაპირდაპირ

---

[3] გ.ბენაშვილი, ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდები, თბ., 1989 წ., გვ. 10

[1] გასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988 წ., გვ. 439

მასთან რაიმე „ანალოგიებს“ გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკია მეტაფორაზე, როგორც ნამდვილ „გადატანაზე“: ორივე მნიშვნელობა სავსებით განსაზღვრული და დამოუკიდებელია და მათ შორის როგორც terminus a quo da terminus ad quem-ს შორის ხორციელდება წარმოდგენების და ცნებების მოძრაობა, რომელიც იმაზე მიიყვანება, რომ ერთი გადაიქცეს მეორედ და ერთი შეიცვალოს მეორით გამოსახვის თვალსაზრისით.[1]

სამართლიანად წერს მ.კვაჭანტირაძე: „მეტაფორა არის ჩვენი სულის დამოკიდებულება მოვლენებისადმი, ენით გამოხატული სულისა, რომელიც რაღაც ღრმად დამარხულ თუ დავიწყებულ საიდუმლოს გვიმხელს.“[2]

ლადო ასათიანმა კრწანისის ველზე გმირულად დაცემული ვაჟკაცების ხსოვნას ხალისი და სიმღერა მიუსადაგა, რადგანმ წარსული აწმყოში გააცოცხლა და აახმიანა: ხმლის სიმღერით სამომავლო ფიქრი გამოალვიძა:

„შავჩოხიანო ვაჟებო, ასე რამ გაგახალისათ,
ჟრიალი ხომ არ მოგესმათ ოჯა ჯურხაის ფარისა!
სიმღერა ხომ არ მოგესმათ პატარა კახის ხმალისა?“

„რომ არაფერი ვთქვათ ხალხში გავრცელებული იმ რწმენის შესახებ, რომლის მიხედვითაც, გმირთა სისხლით მორწყულ ადგილას გაზაფხულობით ყაყაჩოები აყვავდებიან ხოლმე, აქ ძნელი არ არის შევიცნოთ ხალხური ლეგენდის გამოძახილი.“[3]

„ბეთლემის კარზე ჰკიდია,
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუელის ომის წადილი,
წამოუქროლებს ქარიო“.

ვინ იყო ჯურხა?

„ეს ტექსტი პირველად ალ.ყაზბეგს ჩაუწერია და გამოქვეყნებულია გაზეთ „ივერიაში“ (1885 წ. № 5), შემდეგ იგი გადმობეჭდილია აკ.შანიძის ხალხური პოეზიის პირველ ტომში (1931 წ.,

---

[1] Э.Кассирер, Сила метафоры. В кн.: "Теория метафоры", М., 1990, с.35

[2] მ.კვაჭანტირაძე, წერილები ლიტერატურაზე, თბ,- 2001 წ., გვ. 98

[3] გ.ბარნოვი, ლადო ასათიანის შემოქმედების ზოგიერთი ხალხური წყაროს შესახებ, ჟურნ. „მაცნე“, № 2, 1968 წ., გვ. 160

გვ. 383), დაბეჭდილია აგრეთვე „ქართულ ხალხურ სიბრძნეში“ (ტ. IV, გვ. 96).

აკ.შანიძე ზემოდასახელებულ წიგნში (გვ. 29) აქვეყნებს ლექსს „ბალათურას ფარი“, რაც იდეურ-შინაარსობრივად ახლოს დგას ჯურხაის შესახებ ზემოთ მოტანილ ხალხურ ლექსთან. აი ისიც:

„მიქელის კარს შაჰკიდეთ
ბალათურაის ფარიო,
მაუკლის ომის წადილნი,
დასძრავს ხანდახან ქარიო.
შამდინარ-შამამდინარმა
სწორებმ დაუდგან თვალიო.“

აკ.შანიძე ამ ლექსის გამო წერს: „აქ რომ საუბარია ფარის შეკიდებაზე, რათა პატრონის ნაცვლად, მისი სიკვდილის შემდეგ, ქარმა შესძრა-შემოსძრას, გავრცელებული მოტივია მთის ხალხურ პოეზიაში, იგი გატარებულია „თორლვას ლექსშიაც“ (იქვე, გვ. 383).

ტექსტის ვაჟა-ფშაველასეული ვარიანტი კი ასეთია:

„ალაზნის თავსა ჰკიდია,
ხარის ჯურხაის ფარიო,
მაუკლის ომის ხალისი,
მალი-მალ შაძრავს ქარიო.“

/ვაჟა-ფშაველა, ტ.III, 1961 წ., გვ.149/

პროფ. ალ.ღლონტის წიგნში „ქართული შაირები“ (1941 წ.) დაბეჭდილი ვარიანტი ჯურხას ზედწოდებისა „ვოჟა“ შეცვლილია სახელით „კოჟა“. ეტყობა სხვადასხვა ვარიანტებში სიტყვა „ვოჟა“ განიცდის ცვლილებას, ეს ცვლილება ასეთია: „ვოჟა“, „ხარი“, „კოჟა“, „ბაღათურა“, „ოჟა“.

მაშასადამე, ჯურხა სახალხო გმირია - მისი ფარი და ხმალი ბევრჯერ შეფერილა მტრის სისხლით. ასეთი გმირი არ ავიწყდება ხალხს და ქება-დიდებას უძღვნის მას.“[1]

ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“ ერთგვარი დიალოგია არა მარტო ჩვენი ერის წარსულთან, არამედ იმ სახალხო მთქმელებთანაც, ვინც პირველად აახმიანა „ვოჟა ჯურხაის“ ფარი.

---

[1] ა.სპარხიაშვილი, ვინ იყო ჯურხა? გაზ. „სახალხო განათლება“, 1974 წ., 12 ივლისი, № 56

მ.ბახტინი ნაშრომში „შინაარსის, მასალისა და ფორმის პრობლემა სიტყვაკაზმულ მხატვრულ შემოქმედებაში“ (1924) შენიშნავს, რომ ხელოვანს, სინამდვილის გარდა, საქმე აქვს აგრეთვე წინამორბედ და თანამედროვე ლიტერატურასთან, რომელთანაც ის გამუდმებულ „დიალოგს“ აწარმოებს. „დიალოგი“ აქ გაგებულია როგორც მწერლის ბრძოლა არსებულ ლიტერატურულ ფორმებთან.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ ლადო ასათიანის ლექსსა და ხალხური მთქმელის სტრიქონებს, ვნახავთ, რომ ეს დიალოგი ომის წადილით, შებრძოლების ჟინით, გაპაექრების სურვილით არის აღსილი: ხალხური რვამარცვლიანი დაბალი შაირი (5:3) ლადო ასათიანს გაუორკეცებია, თექვსმეტმარცვლიანი, რუსთველური საზომით (53/53) წარმოუდგენია და, შესაბამისად, ბრძოლის პათოსით აუვსია.

ლადო ასათიანი სამასი ლომგული ვაჟკაცის საფლავთან იხრის მუხლს და ყაყაჩოების ცეცხლით „აბრდღვიალებს“, აცოცხლებს არა მარტო ბებერ კრწანისს, არამედ ხელახლა ხსნის შეხორცებულ, მოუშუშებელ ჭრილობებს; იარებს გაუტკივარების ნებას არ აძლევს.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“ ქართველთა გმირული ბრძოლის მონატრებაა, როგორც მოგვიანებით მურმან ლებანიძე იტყვის: „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, არა დაღვრილის, დასაღვრელის ალბათ, მაცნეა!“. მ.ლებანიძის პოეზიაში, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ლ.ასათიანის ყაყაჩოები ბრიალებენ, ხოლო ომის მონატრების ყიჟინა გალაკტიონის 1948 წელს დაწერილ ლექსში „ასპინძა“ ისე ხმიანობს, რომ ქართული საომარი გენის სადიდებელ ჰიმნად წარმოგვიდგენს მსგავსი თემატიკით შექმნილ ლექსებს.

ლექსში „ცხრა ძმა ხერხეულიძე“ პოეტი ალიტერაციის მომარჯვებით შხუილით, ხმაურით, რაშების თქარუნით აცოცხლებს წარსულს:

„ეს გაფრენილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?!
საით წავიდნენ ვაჟები, რად მიატოვეს რაშები,
რაშები თამაშ-თამაშა, ომებში ნათამაშები?!“

უმხედროდ დარჩენილი რაშები გამჭვირვალე ალეგორიაა უპატრონოდ დარჩენილი ქვეყნისა, რომელსაც გმირები მონატრებია. სტროფის პირველივე ტაეპი იგივეობით აკავშირებს ერთმანეთთან რაშის ფაფარსა და „მშობლიურ ნისლს“, რომელიც ქართული კლასიკური პოეტიკის ლექსიკონში, ვაჟა-ფშაველას მკითხველის ცნობიერებაში ფიქრთან ასოცირდება. რეცეფცია „მშობლიური ნისლისა“ თანამედროვე მკითხველის ცნობიერებაში იშიფრება, როგორც ფიქრი სამშობლოზე, მის გმირულ წარსულსა და ომში თამაშით, ხალისით წასულ მეომრებზე, რომელთაც სასოწარკვეთილი მამული ელოდება.

„ფოლადის ბეგთარიანებს ბნელში ამაოდ დაეძებთ:
ისინი მამულისათვის მარაბდის ველზე დაეცნენ!
ერთი მათგანი დაჭრილი უბეში დროშას მალავდა,
იწვა სისხლისგან დაცლილი... კურთხეულ იყოს მარაბდა!“

მამულის ბნელი, გაუთენებელი ღამეები უსასრულოდ გაგრძელდა - მარაბდიდან მოკიდებული - ლადო ასათიანის საუკუნემდე, როდესაც ეროვნული დროშაც კი დავკარგეთ, იგი ერთ-ერთი ძმის უბეში დარჩა სამუდამოდ. სტროფის უკანასკნელი ტაეპი ლირიკული გაჩუმებითა და რიტორიკული შეძახილით მთავრდება. ლექსის ინტონაციური ჟღერადობა ჰეროიკულია და ეთანხმება პოეტის შინაგან განწყობილებას.

ცხრა ძმა გმირულად დაეცა ბრძოლაში, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ დამთავრებულა. ქაფმორეული რაშების მოუსვენარი წრიალით პოეტი კიჟინებს, რომ ფაფარაყრილი რაშები, ხერხეულიძეთა მსგავსად, ახლა სხვა ცხრა გმირს შეისვამს.

„... დაწრიალებენ, დაძრწიან ქაფმორეული ლაშებით...
მხედრებო, ასე უღმერთოდ რად მიატოვეთ რაშები?! -

რიტორიკული მიმართვა მხედრებისადმი სპობს სამსაუკუნოვან სიშორეს და დრო-სივრცული მონაკვეთის აღქმა მკითხველისა ეთანადება პოეტის ემოციურ მეხსიერებას: ამბავი, მომხდარი სამასი წლის წინათ, თითქოს დღევანდელი სიმძაფრით არის აღდგენილი. ეს არის სწორედ ის „ქმედითი განცდა ისტორიისა“, რაზედაც საგანგებოდ მიუთითებდა გრ.რობაქიძე.

„პოეზიისათვის განსაკუთრებით ძვირფასია წარსული“ (ვალ.გაფრინდაშვილი), ისტორია პირადი განცდაა, ამბავი, მომხდა-

რი ათას წლის უკან - თითქოს შენი საკუთარი ამბავია, და შენი საკუთარი ამბავი, მომხდარი ახლა, თითქო შორეული ამბავია შენი ხალხის. პლატონის გენიალური თქმა რომ ვიხმაროთ, „ისტორია“ არის მოგონება (ანამნეზის), მართალს იტყვის ამდროული გერმანელი ავტორი: „წარსული მისი (ადამიანის) ხალხის (მისი) პიროვნული ხსოვნაა, ხოლო მომავალი მისი ხალხის - მისი პიროვნული საქმეა“ (მარტინ ბუბერ) დიახ! ისტორია ქმედითი ხსოვნაა“ — აცხადებდა „ცისფერყანწელთა“ ერთი-ერთი ლიდერი.“[1]

როგორც რაშები - პატრონებს, პოეტი უხმობს გმირებს. გმირულ სულს აწრთობს, რომელიც არ ურიგდება მარცხს. გმირული სული ქედუხრელია, მიუხედავად ბრძოლის ველზე მხედრების დაცემისა. ლექსის ლირიკული გმირის თანხვედრა რაშების მშფოთვარე სულთან ზრდის ემოციურ დაძაბულობას. ნ.ბარათაშვილის „მერანისაგან“ განსხვავებით, ამ ლექსში ბედისწერის საზღვრის გადალახვა და განგებისგან დაწესებული ჰარმონიისაკენ სწრაფვა უმხედრო მერნებს - რაშებს დაკისრებიათ: მხედრის გარეშე ისწრაფვის მერანი საბედისწერო საზღვრის გადასალახავად.

ლექსის პირველი სტროფი მთლიანად პოეტურ შეკითხვა-შეძახილს წარმოადგენს, ხოლო მომდევნო სამ სტროფში კი გაშლილია პასუხი. ლექსი დატვირთულია მეტაფორული სახეებით.

„მეტაფორა აზროვნების აუცილებელი იარაღია, - წერდა ხოსე ორტეგა ი.გასეტი, - მეტაფორა ემსახურება აზროვნებას. ის საჭიროა იმისათვის, რომ ობიექტი ჩვენი აზრისათვის მისაწვდომი გახდეს. მეტაფორა არა მხოლოდ გამოხატვის საშუალებაა, არამედ აზროვნების მნიშვნელოვანი იარაღია.“[2]

პოეტის ღირსებას წარმოადგენს ახალ მოვლენათა შორის მსგავსების საფუძველზე ახალი შესატყვისი მეტაფორის შექმნა, რომელიც მანამდე პოეტურ ენაში არ იყო ნახმარი.

„ეს მშობლიური ქარია ჩვენი ალგეთის ველების,
თუ სუნთქვა ქარბუქიანი ფაფარაყრილი მერნების?“

ლადოს იშვიათ მეტაფორულ ბრწყინვალებას და მაღალმხატვრულ გემოვნებას აშკარად გვაგრძნობინებს ზემოთ მოყვანილი

---

[1] თ.ბარბაქაძე, 10 წერილი ქართულ ლექსზე, თბ., 1993 წ., გვ. 12

[2] ი.გასეტი, „ორი დიდი მეტაფორა“, ჟურნ. „საუნჯე“, 1992 წ., № 4, გვ. 312

სტროფები. „ავტორის რომანტიკულმა განწყობილებამ გამოიწვია მოვლენათა ჰიპერბოლური გააზრება. მაგალითად, მთელს ლექსში არც ერთხელ არ არის ნახსენები სიტყვა „ცხენი“. მის მაგივრად გვხვდება: „ბედაური“, „დარახტული“, „თეთრონი“, „რაშები“, „ფაფარაყრილი მერნები“.[1]

ცნობილი ფაქტია, რომ კრწანისი და მარაბდა ქართველთა მოურჩენელი იარაა, ქართველთა დამარცხებების ადგილებია, მაგრამ აღნიშნულ ომებში იჩინა თავი ქართველების უდიდესმა პატრიოტულმა მგზნებარებამ, მათი ხასიათის გაუტეხლობამ და თავისუფლებისმოყვარეობამ.

ოდითგანვე ცეცხლის კვერი ტრიალებდა ქართულ მიწაზე. ოდითგანვე ხმალს იქნევდა ქართველი კაცი, სისხლით წერდა თავის ერის ისტორიას და მუდამ მამაკაცებს გვერდით ედგნენ, „ვით ფოლადის ფარები და მტერს შიშის ზარს სცემდნენ საქართველოს ქალები.“

ჩვენი ხალხის ისტორიის უმძიმესი, ბრძოლებით აღსავსე დღეების ხილვა ქართველი გმირი ქალების გარეშე შეუძლებელია.

ლადო ასათიანის „უბის წიგნაკის“ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ხალხის შვილები: თამარ ვაშლოვანელი... მაია წყნეთელი, თინა წავკისელი, ხვარამზე და სხვები - ნამდვილი გმირები - რა ითქვა მათზე აქამდის?“

პოეტმა ეს ხარვეზი შეავსო - მისი ლექსი „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“ /44/43/ საქართველოს ისტორიაში ცნობილ გმირ ქართველ ქალებს ეძღვნება.

დიმ.ჯანაშვილი ამ შესანიშნავ ქართველ ქალებს შემდეგნაირად ახასიათებს: „ქართლის ცხოვრებაში“ ბევრი გმირის დედაკაცის სახელი არის გამოტოვებული. მაგ. მე-18 საუკუნეში მოქმედებდნენ სამნი გლეხის ასულნი. იმათი გული ისე დამწვარ-დადაგული ყოფილა სამშობლო ქვეყნის მწარე მდგომარეობით, რომ ველარ მოუთმენიათ და ქალობაშივე აუღიათ ხელში ხმალი მტრის გასაწყვეტად. ასეთი ქალები იყვნენ წყნეთელი მაია, წავკისელი თინა, ვაშლოვანელი თამარი. თვალით მნახველ და მომსწრე პირთ დაუტო-

---

[1] გ.კალანდაძე, ლადო ასათიანი (1917-1943), ჟურნ. „მნათობი“, 1971 წ., № 10, გვ. 105

ვებიათ მოთხრობა, რომ ისინი ბევრჯერ გაჰყოლიან მეფე ერეკლეს ლაშქრობაში და გამოუჩენიათ დიდი უშიშარობა, მხნეობა და ვაჟკაცობა. არაერთხელ თვითონ წასძღოლიან მეფის ჯარს, გაუმხნევებიათ მამაკაცნი და დიდად დაუმარცხებიათ მტერი. ისინი ებრძოდნენ თურმე არა მარტო გარეშე მტრებს, არამედ შინაურსაც, რადგან მათი სიცოცხლისათვის გაუკრავთ კლანჭი შხამიან დროთა შვილებს. მათი მოქმედების ასპარეზზე გამოსვლის მიზეზი ყოფილა ბატონთა ავად მოპყრობა."[1]

„შვილებს ომში აგზავნიდნენ წარბშეკრული დედები,
აგზავნიდნენ, აბარებდნენ დედურ დაიმედებით:
თუ ისარი ზურგში მოგხვდეთ, არ დაიჭრათ მკერდები,
ხელმეორედ ნუ გენახოთ საქართველოს ქედები."

ლადო ასათიანის მიერ დახატული ქართველი ქალის სახე გაგრძელებაა ქართული მწერლობის ტრადიციებისა.

„საქართველოს არსებობას თქვენ შთაბერეთ სული", - ასე მიმართავდა ქართველ ქალებს გ.ლეონიძე.

„საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი" შერეული სტროფიკით დაწერილი ლექსია. უნიკალურადაა მოძებნილი ლექსის შინაარსის გამოხატვის მხატვრული ქსოვილი: კატრენით დაწერილ სტროფს ენაცვლება ორტაეპედი და სამტაეპედი.

ქართველ გმირ ქალთა განდიდებაა ლექსი „გაიფიქრებ და გაგიხარდება". ლექსი თამარ ვაშლოვანელისადმია მიძღვნილი და ეპიგრაფად უძღვის სტროფი:

თამარსა ვაშლოვანელსა
ვაშლი უდგია თავსაო.
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს
მისი სამარის კარსაო."

ზეპირსიტყვაობაში შემონახული ცნობების მიხედვით, მეფეებს ომში ხშირად ახლდა ქალთა ლაშქარი. იმერეთში ჩაწერილი თქმულებით, თამარ მეფეს, ჩვეულებრივ, არასოდეს შორდებოდა ომის დროს ქვეითი და ცხენოსან ქალთა ლაშქარი. ერთხელ მას ომი გამოუცხადა ირანის ძლიერმა შაჰმა. თამარმა შეკრიბა ქალთა

[1] დიმ.ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, ჟურნ. „ივერია", 1882 წ., № 12, გვ. 71

ლაშქარი და მტრის შესახვედრად გაემართა ზღვის მიმართულებით. წვიმდა. მებრძოლი ქალები დასვენებისას იცილებდნენ მაღალ ქოშებზე მიკრულ ტალახს, რომელიც მათ სიარულს უშლიდა. ქალთა ლაშქარი ისე მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ ქოშებიდან ჩამოცლილი ტალახით ბორცვები გაჩენილა. ამ ბორცვებს „ნაქოშარი“ ეწოდება.[1]

ლექსში „გაიფიქრებ და გაგიხარდება“ ვკითხულობთ:

„მას უფრო მეტი ჰქონდა სინაზე,
უფრო ნაკლები ღონე და ჯანი,
მაგრამ მას ჰყავდა მტრების ჯინაზე
ლეჩაქიანი ქალების ჯარი.“

ლადო ასათიანი ურჩევს მეგობარ პოეტებს, ემთხვიონ „სისხლიან ლეჩაქს“, უმღერონ „მთაწმინდის ნიავს და ვაშლოვანის ვაშლისფერ ზეცას.“ „ვაშლისფერი“ ახალი მეტაფორაა, ახალი ფერი - მსაზღვრელი.

რბარბაქაძე წერს: „ფერი გამოიყენება არა მარტო კონკრეტულ კოლორიტულ მახასიათებლად - რაიმეს შეფერილობის, საღებავის გადმოცემის, მხედველობითი შთაბეჭდილების დემონსტრირების მიზნით, არამედ აგრეთვე იდეათა აბსტრაჰირებული გამოსახვის საშუალებადაც - გარკვეული ლოგიკურ-აზრობრივი ქვეტექსტების გამოყენების საფუძველზე. მწვანე საღებავით ფერმწერს საშუალება ეძლევა დახატოს ხე, სახლის სახურავი, ადამიანის სახე, ანდა გადმოსცეს მისი განწყობილებანიც კი, როგორც ეს ხდება რემბრანდტისეულ მომწვანო-მოყავისფრო კოლორიტებში, ხოლო სიტყვით „მწვანე“ პოეტს შეუძლია გამოიწვიოს სავსებით განსხვავებული ასოციაციები... უკვე ნაცნობ ასოციაციებსა და ნაცნობ განწყობილებებზე დაყრდნობით, შექმნას ახალი განწყობილებები და ახალი წარმოდგენები“.[2]

ლადო ასათიანის პოეზიაში ფერი თვითმიზნურად როდია გამოყენებული. პირიქით, იგი გარკვეულ ემოციებს ერწყმის, ახალი შინაარსით იცვება, ახალი შეფერილობით იტვირთება.

---

[1] ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949 წ., გვ. 129-130

[2] რბარბაქაძე, ფერის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1993 წ., გვ. 23

ლადო ასათიანის შემოქმედებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მეფე თამარის სახეს.

თამარ მეფის ეპოქაა გაცოცხლებული ლადო ასათიანის ლექსში „ციხის სიზმარი“, სადაც მძიმედ სძინავს ციხეს, თამარის საოცნებო სენაკს -

„და სიზმარში ხედავს,
რომ მის ბებერ გალავანზე
არწივები სხედან.
რომ კვლავ ისმენს ძველთა ველთა
ნიავ-ქარის ნანას,
რომ მის ბებერ საძირკველთან
ქართველები დგანან.“

„ციხის სიზმარში“ ჩაძინებული არწივების მხატვრულ სახეს განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება: გვახსენდება გალაკტიონის ცნობილი „არწივებს ჩასძინებოდათ“, სადაც ბნელ ღამეს „ააქარცივებს მკივანი მიკიოტების“ ხმა. ლ.ასათიანის ლექსში არც პოეტი და არც ციხე არ ეგუება უსუსურობას. მთვლემარე არწივები გაიღვიძებენ და აახდენენ ციხის სიზმარს:

„... და გრუხუნებს ნაადრევი
გაზაფხულის გვარად.
მერე ისევ ალამაზებს
სიზმრით თავის სვე-ბედს
და ხავსიან გალავანზე
არწივები სთვლემენ.“

ლექსში სიზმარს დიდი ფუნქცია აკისრია - „ძილშიც არ სძინავს ქვეყნის უბედურებით გულ-აღტკინებულს“ (ილია).

XIX საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის უდიდესმა წარმომადგენლებმა - ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვებმა შექმნეს სახე თამარისა და ლადო ასათიანს ამ მხრივაც მდიდარი ტრადიციის წიაღში მოუხდა დაბრუნება.

ჩვენი ქვეყნის წარსულს ეძღვნება „პირველი მჭედლები“:

„იბერიელთა სოფელი... მაღალ-მაღალი ცხენები...
ხალიბის ფოლადს აღნობენ მამაცი ხალიბელები...
პირფელყოფილი სამჭედლო - გრდემლი და ურო ძლიერი,
ქართულ იარაღს აწრთობენ მამაცი იბერიელნი...“

ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულების გაცოცხლება და მათი პოეტური ფუნქციით აღჭურვა ამ ლექსში სავსებით გამართლებულია: „თხუთმეტწყრთიანი შუბები“, სწორედ იმ მხატვრული ეფექტის მისაღწევად სჭირდება პოეტს, რომელიც პირველი ქართული მჭედლების სახეების გაღვიძებისას უნდა მიაღწიოს.

„პირველი მჭედლები“, ვერსიფიკაციული ოსტატობით, მეტად საინტერესო ლექსია: თექვსმეტმარცვლიანი, დაბალი შაირის რიტმული წყობით /53/53/, მრჩობლედით გამართული სტროფები.

აკ.ხინთიბიძე ამ ლექსს, რითმის თვალსაზრისით, განიხილავს წერილში „რითმა ლამაზი ოქროს ფასია“, სადაც წერს: „პირველ მჭედლებში რითმა ერთნაირადაა ჩართული ლექსის მუსიკალურ და შინაარსობრივ კონტექსტში. პირველი რითმა: ცხენები - ხალიბელები ერთგვაროვანია, სანახევროდ გრამატიკული -ები-თ წარმოებული და კარგ რითმად ვერ ჩაითვლება: მაგრამ ე ხმოვნის განმეორებას (ორ-ორი ე სარითმო სიტყვებში) საგანგებო დატვირთვა აქვს. ზედიზედ ხუთ რითმაში ე ბგერა მონაწილეობს: ცხენები ხალიბელები, ძლიერი იბერიელნი, მჭედელი - გაუხედნელი, დაჟანგებული - ავკანყებული, აბრეშუმები - შუბები.

რითმის გავლენით ეს მონაკვეთი მთლიანად ე ხმოვნით არის ასონანსირებული. პირველი სიტყვა იბერიელთა ორ ე -ს შეიცავს, მას მოსდევს სოფელი და შემდეგ კიდევ 21 ე. თავისი სიხშირით იგი თითქმის უტოლდება ქართულ ენაში ფართოდ გავრცელებულ ა -ს.

მაგრამ მთავარი სხვა არის. ე გრძელი ხმოვანია ქართულ ასოთა მოხაზულობაში. სულხან-საბას იგი მშვილდთან აქვს შედარებული: „ენსა მშვილდად აიბმიდა“ („რა ოსტატი ასოთ სხმიდა“). და ამ გრძელ ე-ს ლექსში აზრობრივი ფუნქცია აქვს დაკისრებული. იბერიელთა სოფელში მაღალ-მაღალი ცხენებია, სახლებში გრძელი, თაღებამდის გაჭრილი ფანჯრებია, კედლებზე თხუთმეტწყრთიანი შუბებია. ხალიბები ხალიბურ ფოლადს, ქართულ იარაღს აწრთობენ, ეს იარაღები გრძელია: შუბი და ხმალი („ომში ხალიბურ ხმალს ვახელებდით“). ძველი იბერიელები მაღალ-მაღალი, ვეება, ბრგე ვაჟკაცები არიან.

და ყველაფერი ეს სათავეს ლექსის პირველი რითმიდან იღებს, რაც იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ ალბათ, ავტორის-

თვისაც ქვეცნობიერი იყო და საგანგებო გაშიფრვის გარეშე მკითხველისთვისაც აუხსნელი რჩება."[1]

ქართული პატრიოტული ლირიკის შედევრს წარმოადგენს ლადო ასათიანის ლექსი „სალაღობო".

1940 წლის 14 აგვისტოს ლადო ასათიანი მეულლეს, ანიკო ვაჩნაძეს სწერს: „ჩვენს თაობაში" იმ ერთი ლექსის გარდა, რომელიც, მაგათი ანგარიშით, № 7-ში უნდა დაიბეჭდოს, კიდევ აქვთ ერთი ლექსი „ასათიანური" და თუ არ დაბეჭდავენ, გამოართვი."[1]

„სალაღობოს" თავდაპირველად დედანში „ასათიანური" ერქვა (ალ.საყვაიამ შეარქვა). აქ სალაღობო და თავშესაქცევი მართლაც არაფერია. ეს არის ახალგაზრდა ქართველი პოეტის ერთი კარგი, ვაჟკაცური, სწორედ, „არწივების ასაფრენი" სიმღერა იმაზე, „რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად, რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს."[2]

გ.კალანდაძე არ ეთანხმება ნ.აგიაშვილის მოსაზრებას ლექსის სათაურის - „სალაღობოს" გააზრების შესახებ. ის წერს: „არ ვეთანხმები არაერთგზის გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს ამ ლექსში სალაღობო არა იყოს-რა. ლადო ასათიანის მიერ აქ შექებული სამშობლოსათვის თავდადებული გმირი - მაჩაბელი განა სალაღობოთი (შადიანით) არ შეიჭრა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და დაიღუპა კიდეც?!... ლადო ასათიანმაც ამ თავის უაღრესად საბრძოლო განწყობილების ლექსს ამ ასოციაციებით შეურჩია სათაურად „სალაღობო" და, ვფიქრობთ, იგი ზედგამოჭრილია."[3]

ლადო ასათიანის პოეტური კრედო „ასათიანურით" განისაზღვრა, სწორედ, აქ გამოვლინდა პოეტის თვითმყოფადი, განუმეორებელი ინდივიდუალობა. ლადომ შესანიშნავად შეძლო სრულყოფილი ფორმა მოეძებნა სათქმელისათვის.

მამულის სიყვარული, მარადიული ახალგაზრდობა, სიცოცხლის აპოლოგია, ლადოს მთელ შემოქმედებაშია განფენილი, მაგრამ

---

[1] აკ.ზინთიბიძე, „რითმა ლამაზი ოქროს ფასია", ჟურნ. „მნათობი", № 11-12, 2002 წ., გვ. 93

[1] ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 19079 წ., გვ. 314

[2] ნ.აგიაშვილი, ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ., 1980 წ., გვ. 17-18

[3] გ.კალანდაძე, ლადო ასათიანი (1917-1943), ჟურნ. „მნათობი", 1971 წ., № 10, გვ. 103-104

„სალალობოში“ ყველაზე უფრო მკაფიოდ აირეკლა პოეტის სულის ძახილი, რომელიც მიმართვა-შეძახილის ხერხით განხორციელდა.

„სალალობოს“ ძირითადი ტექსტი ცხრა სტროფისაგან შედგება და, ერთი სტროფის გამოკლებით, ყველა დანარჩენი იწყება ომახიანი პოეტური შეძახილით: „დაუკარით“, რომელიც ლექსში თორმეტჯერ მეორდება - ამ პოეტური რეფრენით პოეტმა მაჟორული განწყობილება, თამაშის, ლხინის იმიტაცია შექმნა.

ტ.ჭანტურია წერს: „ლადო ასათიანის ერთ შედევრს - „სალალობო“ - ასეც ერქვა თავის დროზე: „ასათიანური“. დიახ, არსებობს ასეთი ლექსიც უმდიდრეს და უმშვენიერეს ქართულ პოეზიაში - „ასათიანური!“ და თუ თავის დროზე მავანსა და მავანს ეტოშა ჭაბუკი პოეტისაგან ამგვარი თითქოსდა კადნიერი დაჩემება, იმავე დროს მთლიანად დაადასტურა ჯერაც დაუღვინებელი ლადო ასათიანის თუმც კი თამამი მაგრამ სწორი პრეტენზია.“[1]

„სალალობო“ თავისი კომპოზიციური აღნაგობით იქცევს ყურადღებას. ლექსის დასაწყისი სტროფი ოცმარცვლიანი /55/55/ სტრიქონებითაა გამართული, ჩართულია ორი სხვადასხვა ნიმუში ხალხური პოეზიიდან, ხოლო ლექსის ძირითადი ნაწილი თორმეტმარცვლიანი /4/4/4/ სალექსო საზომით არის დაწერილი.

„ამ უაღრესად პატრიოტულ ლექსში პოეტი სამშობლოს კიდევ უფრო მეტ სილამაზესა და სიმშვენიერეს ნატრობს:

ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი
მინდა, -
ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის
დარბაზივითა“-

მაგრამ იგი თითქოს წინასწარ გრძნობს მკითხველის გაოცებას და თავის, ასე ვთქვათ, „გადაჭარბებული სურვილის“ გასამართლებლად ხალხურ ლექსს იშველიებს.“[2]

„კაცის გული ისეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა,
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა.“

---

[1] ტ.ჭანტურია, ყულაბა სავსე ოცნებით, თბ., 1981 წ., გვ. 24-25

[2] გაბრნოვი, ლადო ასათიანის შემოქმედების ზოგიერთი ზოგიერთი ხალხური წყაროს შესახებ, ჟურნ. „მაცნე“, 1968 წ., № 2, გვ. 157

ლექსის ძირითადი ნაწილი ასე იწყება:

„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას, საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!“

ამ ლექსით ლადო ასათიანმა, როცა მხოლოდ 23 წლის ჭაბუკი იყო, სამშობლოს სიყვარულის პოეტური ასახვის შესანიშნავი განაცხადი გააკეთა.

მ.ალავიძე გვაწვდის ლექსის ამ სტრიქონის „რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს“...გ.ახვლედიანისეულ განმარტებას:

“ზოგიერთს სუსტი ჰგონია, მაგრამ ეს არის ერთ-ერთი უძლიერესი ადგილი ლექსში. მეტაფორული ტროპია, რომელშიც „ძველი“ ნიშნავს მოქმედებაში ნამყოფს: „ელდა ეცეს“ - დაიორთქლოს (ქარქაშში დიდხანს ამოუღებლივ მყოფობის გამო), „ელდა“ - ორთქლი; ხანჯალს ელდა ეცეს“ - ხანჯალი გაშიშვლდეს“.[1]

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ასეა ახსნილი: ელდა (ელდისა) უეცარი, ანაზდეული გრძნობა დიდი შიშისა, ზარი - შიშის ზარი. თავზარი, შეკრთომა (გამოწვეული, ჩვეულებრივ, მოულოდნელად გაგონილი დიდად სამწუხარო ამბით), საზარი რაისამე ნახვით, ზოგჯერ მოულოდნელი სიხარულითაც.

ელდა ეცემა, თავზარი დაეცემა, დიდად შეწუხდება (რაიმე მოულოდნელის გამო).[2]

„დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია.“

მხატვრულ სახეში „საქართველოს ცხელი გული“ მეფე ერეკლე მეორე იგულისხმება, რომელიც მცხეთაში, სვეტიცხოვლის დიდ ტაძარშია დასაფლავებული და „რომელსა თანა არს დამარხულ დიდება და კეთილი ივერიისა“ (გრ.ორბელიანი).

მ.ალავიძე იძლევა ლექსში გამოყენებული ზმნის „გასცვენია“ - ახსნა-განმარტებას: „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შე-

---

[1] მ.ალავიძე, პოეტური ქარგა „სალალობოდან“, გაზ. „ქუთაისი“, 1967წ., 23 ივნისი.

[2] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1953 წ., ტ. III, გვ. 318

დის რჩეული ნიმუშები ლადო ასათიანის სიტყვობრივი საუნჯიდან, მაგრამ გამორჩენიათ ზმნური ლექსიკური ერთეული „გასცვინდება“ (გასცვინდა, გასცვენია). დინამიკური ვნებითი გვარის ზმნის ეს ფორმა ხალხური ნეოლოგიზმია. მგოსანი დაესესხა ცოცხალ მეტყველებას, სადაც გავრცელებულია ფრაზა ფოთლები გასცვენია (ხაროს), თმა გასცვენია (ადამიანს).

განმარტებით ლექსიკონში მოქცა მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმა „გააცვენს“ (გააცვინა, გაუცვენია). ეს ერთეული აკ.შანიძის მიერ აღნუსხულ ხმოვანმონაცვლე ზმნათა სიაში არ მოიპოვება. ლადო ასათიანისეული „ცვენ-ცვინ“ ძირიც დონიანი ვნებითი გვარის ზმნათა განხილვაშიც არ ჩანს“.[1]

„დაუკარით და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს,
დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!“

როგორი სიძლიერით გამოხატა ლადომ ამ ლექსში დაუოკებელი სიცოცხლის წყურვილი და გზნება, ცხოვრების სიყვარული. „დაუკარით!“- ისე მძლავრად შემოგვძახის პოეტი, რომ მართლა გგონია, დაბერილი ფილტვები გტკივა.

„დაუკარით და იმღერეთ შადიანი,
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი.
დაუკარით ძველებური დარდიანი,
დაუკარით არწივების ასაფრენი.“

შადი (შადისა) (სპარსული შად) - მხიარული, გახარებული. ძვ. ერთგვარი (სუფრული) სიმღერა.[2]

სპარსული სიტყვა „შადი“ „ვეფხისტყაოსანშიც“ მოლხენას გამოხატავს (იხ. აკ.შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი). თეიმურაზ ბაგრატიონისეული ფორმა „შადიანი“, რაც „მოლხენის“ მნიშვნელობით პოეზიაში პირველად გამოიყენა ლადო ასათიანმა, ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონს შეემატება.“[3]

---

[1] მ.ალავიძე. „სალაღობოს“ ფილოლოგიური განხილვა, ჟურნ. „განთიადი“, 1987 წ., № 2, გვ. 166

[2] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1962 წ., ტ. VII, გვ. 604

[3] მ.ალავიძე. „სალაღობოს“ ფილოლოგიური განხილვა, ჟურნ. „განთიადი“, 1987 წ., № 2, გვ. 165

როგორც ვხედავთ, „შადი“ სპარსული სიტყვაა და მხიარულ სიმღერას ნიშნავს. ლადო ასათიანიც მას ამ მნიშვნელობით ხმარობს.

მაჩაბელი (გარდაიცვალა 11/IX-1795 წ) ქართული კულტურის მოღვაწე XVIII საუკუნის II ნახევარში. მაჩაბელის ნამდვილი სახელი და გვარი ცნობილი არ არის (მაჩაბელი ანუ აჩაბეთელი ზედწოდებაა). თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, მაჩაბელი ქართველი იყო. დაბალი ფენებიდან გამოსული. მაჩაბელი თავისი შესანიშნავი ოსტატობით სამეფო კარზე ცნობილი პიროვნება გახდა და მას თბილისის „მსახიობთა უფროსობა“ (დასის ხელმძღვანელობა) მიანდვეს. 1795 წლის 11 სექტემბერს, როცა კრწანისის ბრძოლის დროს ქართველთა ლაშქარი დამარცხების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თბილისში მცხოვრებლებმა შეიარაღებული რაზმი შექმნეს, სათავეში მაჩაბელი ჩაუყენეს და ბრძოლის ველზე გაგზავნეს. მაჩაბელი დაირაზე სალხინო ჰანგის -„შადიანის“ დაკვრით გაუძღვა წინ თბილისელთა, ქიზიყელთა და არაგველთა (300 არაგველი) რაზმს და გმირულად დაიღუპა.[1]

ე.ი. მაჩაბელი იყო მომღერალი, მსახიობი, რომელიც წინ მიუძღოდა ქართველთა ჯარს სიმღერით კრწანისის ველზე, ამხნევებდა მეომრებს, ამხნევებდა ლექსით, სიმღერით - „შადიანით“, რომელიც იარაღზე უფრო მჭრელი იყო.

მაჩაბელა საზანდარსა და 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, თბილისში მისი გმირულად დაღუპვის შესახებ ცნობები მოცემულია თეიმურაზ ბაგრატიონის ფოლკლორულ ჩანაწერებში.[2]

„ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრავჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრავჯერ მწარედ გავიცინებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!“

---

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1983 წ., ტ.VI, გვ. 508

[2] იხ. მაცნე, № 5, 1969 წ., გვ. 188, „თეიმურაზ ბაგრატიონის ფოლკლორული ჩანაწერები“, გ.შარაძის პუბლიკაცია

მ. ალავიძემ და გ.კალანდაძემ ახსნეს ლადო ასათიანის ლექსში გამოყენებული რიცხვი „ცხრას“ მნიშვნელობა.[3]

ქართველებისათვის რიცხვი „ცხრა“ საკრალური დანიშნულებისაა. მიაჩნდათ წმინდა რიცხვად, ისევე როგორც რიცხვი „სამი“.

თ.სახოკიას წიგნში - „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ რიცხვი „ცხრა“ შემდეგნაირადაა ახსნილი:

ცხრა მრავალი, ნაირ-ნაირი. „უბრძანა ცხრათა ხადუმთა დადგომა მცველად კარისა“ (რუსთაველი)...

ქართველთა შორეულ წინაპრებს, უნდა ვიფიქროთ, ცხრა ბევრის, მრავალის, მრავალფერის აღმნიშვნელ ცნებად მიაჩნდათ. ქართულში ამის სამოწმებელი მრავალი მაგალითის მოტანა შეგვიძლია: „ცხრად მოკეცილი“, „ცხრა დღის სავალზე“, „ცხრა მთას იქით“..[4]

რიცხვი „ცხრა“ უხვადაა მიმობნეული ხალხში გავრცელებულ ანდაზებში: „არ მინდამ ცხრა ხინკალი შეჭამაო“, „ცხრა სუფრა გამოიარა და შინ მშიერი მოვიდაო“, „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“...

ქართველი კაცის სიმპათია „ცხრა“ რიცხვისადმი ლექსში „ცხრა წყარო“- ასე გამოხატა პოეტმა ალ.აბაშელმა:

ჩვენ რატომღაც ყველაფერი ცხრა გვიყვარს:
ცხრა მზე, ცხრა ზღვა, ცხრა მუხა და ცხრა კარი,
აგვაფრენს და ცხრას მთას იქით წაგვიყვანს,
ცხრათვალა მზის ცხრაფრთიანი ზღაპარი.“

როგორც დაკვირვება ცხადყოფს, ლადო ასათიანის ლექსში რიცხვი „ცხრა“ შემთხვევით არაა მოხვედრილი.

„დაუკარით! მოასწარით, თორემ ჰერი...
და სიბერეც ბუ მგელივით მოგვიხტება,
დაუკარით ძველებური მოსალხენი:
შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება.“

გ.ბარნოვმა პარალელი მოუძებნა ამ სტროფს ფოლკლორში: ბუნებრივია, მკითხველს მოაგონდება ქართული ხალხური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში: „ბინდისფერია სოფელი“.[1]

---

[3] იხ. მ.ალავიძე, „სალალობოს“ ფოლკლორული განხილვა, ჟურნ. „განთიადი“, 1987 წ., № 2; გ.კალანდაძე, ლადო ასათიანი (1917-1943), ჟურნ. „მნათობი“, 1971 წ., № 10

„დაუკარით ძველებური ლოთიანი,
საათნავა რომ მღეროდა შაითანთან,
დაუკარით! განა ყველა ლოთი არი?!
განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?!“

ამ სტროფში მოხსენებულია სიყვარულის საქეყნოდ ცნობილი მომღერალი საიათნოვა, თბილისური ბოჰემის წარმომადგენელი, რომელმაც იცის პოეტური სიტყვის ყადრი და რომელიც სამართლიანად ითვლება მუხამბაზური ლექსის დამამკვიდრებლად ქართულ პოეზიაში.

ლადო ასათიანი „სალალობოში“ იყენებს პოეტურ შედარებებს: „და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება“ და „თორემ დარდი ღრებულივით გასივდება“. თუ პირველს ანალოგი ეძებნება ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, მეორე ინდივიდუალურია იმდენად, რომ სამუდამოდ ლადოს სახელს უკავშირდება.

ლექსის ბოლო სტროფში თორმეტმარცვლიან /4/4/4/ სტრიქონს რვამარცვლიანი /5/3/ ხალხური სტროფი ჩაერთვის, რომელსაც შემდეგ ოცმარცვლიანი /5/5/5/5/ სტროფი ენაცვლება და ლექსი კომპოზიციურად იკვრება.

ლადო ასათიანის „სალალობო“ მუსიკალურად ნატიფია და რაფინირებული.

გ.შალამბერიძე წერს: „ლადოს რამდენიმე ლექსზე მუსიკა დაიწერა და იმღერება. მე კი, რატომღაც, მგონია, მის თითქმის ყველა ლექსს საკუთარი მუსიკა აქვს. თვითონ არის სიმღერა, რომლის მსგავსი არც ერთ მომღერალს არ უმღერია. მართალია, ლადო არ იყო მომხიბლავი დეკლამატორი, მაგრამ ლექსებს მთელი გზნებით კითხულობდა, ღვთიური შუქით გასხივოსნებული თვალები შორს, სადღაც უსაზღვროებისაკენ იცქირებოდნენ, თავი ოდნავ მარჯვნივ გადახრილი ჰქონდა, ლოყები ალანძული, მაღალ შუბლს წაბლისფერი თმა უმშვენებდა და... მღეროდა, მღეროდა... თავად ლექსი იყო სიმღერა და ავტორი მას კი არ წარმოსთქვამდა, თითქოს მღეროდა.“[2]

---

[1] გ.ბარნოვი, ლადო ასათიანის შემოქმედების ზოგიერთი ხალხური წყაროს შესახებ, ჟურნ. „მაცნე“, 1968 წ., № 2, გვ. 157

[2] გ.შალამბერიძე, მომღერალი მომღერლების ქვეყანაში, თბ., 1993 წ., გვ. 50.

ლადო ასათიანის „სალაღობო“ ტრუბადურთა პოეზიას გვახსენებს: რაინდობა, ბრძოლის სიყვარული გადაჯაჭვულია ქალის ტრფიალსა და სიცოცხლის ჭარბ ჟინთან. ტრუბადურთა ლირიკა „ჭარბი სიცოცხლისუნარიანობის გამოვლენით გამოირჩეოდა და შორს იდგა ხალხური სიმღერის გულუბრყვილო უშუალობისაგან: მას თავისებური გამომსახველობითი ტექნიკისა და ოსტატობის კვალი ახლდა.“[1]

საერთოდ, ლადო ასათიანის ლექსები სასიმღერო რიტმიკას ეფუძნება. სიმღერებად ქცეულ მის ლექსებს ცოტა წვლილი როდი მიუძღვით მგოსნის უჩვეულო პოპულარობაში. ლადო ასათიანის ლექსები მკითხველმა გაითავისა.

როგორც ცნობილია, ლექსის კეთილხმოვანებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რითმას. ეს არის ლექსის ჰარმონიის ერთი აუცილებელი პირობა. ამიტომაც „ყოველი ახალი რითმა წარმოუდგენელ აღტაცებას ჰგვრიდა ლადოს. ხანდახან ქუჩაში მიმავალი რაღაც სიტყვებს ჩუმად ბუტბუტებდა, თითქოს მღერისო. ამით, ალბათ, ამოწმებდა რითმის მუსიკალობას. ახალგაზრდა პოეტს უნდოდა, რომ გაკვალული გზით არ ევლო და ლექსში ისეთი რითმა გამოეყენებინა, რომელიც სხვა პოეტს არ ჰქონდა ნახმარი.“[2]

ლადო ასათიანი ლექსში „სალაღობო“ იყენებს ზმნურ რითმებს: გასცვენია - ასვენია, გაისარჯოს - დაიხარჯოს, დაგვებეროს - დაგვაბეროს. რითმა ასონანსებს:

მინდა - გავაზივითა, მაჩაბელი - ასაფრენი, შაითანთან - დაიშანთა.

„ლადო ასათიანის რითმა შემკულია თითქმის ყველა ღირსებით, რაც საერთოდ ქართულ რითმას ახასიათებს. „რითმების ტურნირში“, რომელიც ჩვენთან გასული საუკუნის 10-20-იან წლებში იმართებოდა, ლადოს არა ერთი რითმა დაიკავებდა საპატიო ადგილს.“[3]

---

[1] თ.ბარბაქაძე, „— და მაინც ცისკენ, ბროლკრიალა მეცხრე ცისაკენ!“ ნ.დარბაისელის „დილისპი რულის“ წინასიტყვაობა, თბ., 2002 წ., გვ. 4

[2] მ.შალამბერიძე, მომღერალი მომღერლების ქვეყანაში, თბ., 1993 წ., გვ.46

[3] ა.ხინთიბიძე, რითმა ლამაზი ოქროს ფასია, ჟურნ. „მნათობი“, 2002 წ., № 11-12, გვ. 90

თუ რა ძლიერი იყო ლადო ასათიანის პატრიოტული გრძნობა, ეს ნათლად ჩანს მეორე მსოფლიო ომის დროს დაწერილი ლექსებიდანაც. პოეტი მტერთან მებრძოლ თანამემამულეებს შეუპოვრობასა და გმირობას შთააგონებდა:

„ამხედრებულო ვაჟკაცო, წვერ-ულვაში რომ გიხდება,
ასჩეხე, სანამდისინაც მარჯვენა გადაგიწვდება,
გახსოვდეს, ლამპიონებით განათებული ასპინძა, -
მამულისათვის ქართველი მტერს როგორ გაუმასპინძლდა.“

/„ქართველ ცხენოსანს“/

„დასჭექე, დააგუგუნე მამაპაპური „ვარადა“, - ასე ამხნევებდა პოეტი გმირ თანამემამულეებს, რომლებიც ფიცხელ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული.

ლადო ასათიანის ლექსების ერთი ნაწილი, სწორედ ომის დღეებში იქმნებოდა და მაშინ განსაკუთრებით საჭირო იყო ადამიანთა გამხნევება, გმირობისა და მამულისათვის თავგანწირვის ჩვენება. პოეტს ურყევად სწამდა გამარჯვებისა და კიდევაც გამოხატა ლექსებში: „ჯახიევის ჯავშნოსანი“, „ახალი წლის ხმა“, „ქართველ ცხენოსნებს“...

ლექსში „ოქროსმაძიებლების სიმღერა“ მღერიან ოქროს მაძიებლები, ოქროს საძებრად დაექვთ წერაქვი, ცხრილი და ტომრები, იმოსებიან ძაძებით და მალავენ მოძიებულ ოქროს, მტერი რომ მოატყუონ, რათა არ შემოესიონ ოქროს მხარეს:

„ასე რომ არა, ეს არემარე
მონობის თალხით დაისუდრება.
ჩვენ ოქრო გვიყვარს, მაგრამ მეტადრე
გვიყვარს ზვიადი თავისუფლება.“

შეუძლებელია, ამ სიტყვებმა მკითხველს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები არ გაახსენოს, არ მოაგონოს.

ქართველი ოქროსმაძიებლები, ოქროზე მეტად ზვიადი თავისუფლება რომ უყვართ, იხსენებენ:

„ჩვენ ამავე დროს ვართ მეომარნი,
ომში ხალიბურ ხმალს ვახელებდით,
ჩვენი სამშობლო სახელოვანი
არტაანია და სამღერეთი...“

ასეთი წინაპრებით გასულდიდებული ვაჟკაცი პოეტი ომახიან სიმღერას აგუგუნებს სამშობლოს სიყვარულზე პატრიოტიზმით აღბეჭდილ ლექსებში.

ლადო ასათიანის მიერ ისტორიულ წარსულზე შექმნილი ლექსების გვერდით უნდა დავასახელოთ მისი ლექსი „ქართული ენა“ /42/42/.

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ...
გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება, -
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება.“

პოეტი მარჯვედ მიგნებული სინონიმებით ვირტუოზულად გამოხატავს სათქმელს („ფარა“ ნათესაობით ბრუნვაში ემთხვევა სიტყვა „ფარს“!).

სამწყსოს სისპეტაკე და მარადიული ბრძოლის ურთიერთგაპირობებულობა, თანაარსებობა განსაზღვრავს, ალბათ, უწმინდესი საგანძურის გადარჩენის აუცილებლობას. „გაფანტული ფარა“ ღვთიური განჩინების, პროვიდენციალური ჭეშმარიტების მარადიულობისაკენ მიმართავს ჩვენს მზერას. „მთაზე დაჯანღება“ ფარისა ნისლის, ფიქრის შემოკრების ლადო ასათიანისათვის ჩვეული მხატვრული სახის დაბადებას გვაუწყებს. ფიქრმა კი ბრძოლის აუცილებლობა უნდა გვიკარნახოს.

ენა მსუყეა და სავსე ისე, როგორც - „მწიფე პურის ყანა...“. ოდითგან მოდიოდა, მდიდრდებოდა, იხვეწებოდა, იწრთობოდა და რვალის სიმაგრეს იძენდა, საღვთო ქართული ენა - „მთვარიან ღამეში სიყვარულის ლიბო ენა“.

ლადოს ხანმოკლე, მაგრამ დიადი სიცოცხლის მთელ მანძილზე მის სასთუმალზე სიზმრებად თვლემდა „ხმათა ხავერდების“ ენა.

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ“.

სასიკვდილო არეცელზე მიჯაჭვულმა ლადომ ეს ლექსი 1943 წელს დაწერა და მას შემდეგ მხოლოდ რამდენიმე თვეს იცოცხლა.

სამშობლოს გულმხურვალე და სათუთი სიყვარული არ აპატიეს პოეტს. ის ნაციონალისტად მონათლეს. შოთა ქურიძე იგო-

ნებს: „ლადო პირწავარდნილ ნაციონალისტადაც კი გამოაცხადეს, რა თქმა უნდა, არა საჯაროდ, არა საქვეყნოდ, არამედ ზურგს უკან, კულისებში, როგორც ეს ჩვეულებრივ სჩვევიათ ავკაცებს. შემდეგ მავან გავლენიან პირებსაც ჩააწვეთეს ეს ამბავი ყურში. ასეთი ბინძური საქციელით შეეცადნენ ისინი, პოეტისათვის არ მიეცათ ნიჭის სრულად გამოვლინების საშუალება და ჩამოეცილებინათ გზიდან. ცდა ბედის მონახევრეაო, - უთქვამთ. ერთხელ რომ მიაღწიეს მიზანს, როცა ინსტიტუტიდან გაარიცხვინეს, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც, ასე თუ ისე, გაუმრუდეს გზა, იქნებ მეორედაც გაგვიმართლოსო და კვლავ აღმართეს მახვილი პოეტის თავზე.“[1]

ლადო ასათიანის ლექსი „ჩემი სამშობლო“ ერთტომეულში (1979 წ.) თარიღდება 1936 წლით.

1938 წლის 26 მარტს პოეტი ალიო მირცხულავას სწერს: „ჩემი ლექსი „სამშობლო“, როგორც ნიკამ მითხრა, უნდა დაბეჭდილიყო, თურმე, თქვენი ჟურნალის ა.წ. მეორე ნომერში, მაგრამ უკვე დაბეჭდილი, ამოგიღიათ. ამის მიზეზი ყოფილა ჩემი წერილი, სადაც ნიკას ვწერდი, ჩემი გულისათვის თქვენ არაფერი ცუდი შეგხვდეთ-მეთქი. აქ მე აქაურ „მწერლებთან“ ცოტა წალაპარაკება მომივიდა; ისინი დამექადნენ, ინსტიტუტში გაგებინებთ პასუხსო, მეც ავდექი და ნიკას მივწერე. ჩემი გულისთვის თქვენ არაფერი შეგხვდეთ-მეთქი, რადგან აქ ზოგიერთები მექადნებიან-მეთქი. ამ ამბავმა ჩვეულებრივად ჩაიარა, მე არსად პასუხი არ მიგია, რადგან პასუხსაგები არაფერი არ ჩამიდენია. ეს იყო და ეს - სხვა არაფერი. მხოლოდ ამან შეაფერხა ჩემი ლექსის დაბეჭდვა. ახლა ჩემი მდგომარეობა ნ.აგიაშვილმა შეამოწმა ქუთაისში. ენდეთ ჩემს პატიოსან სიტყვას და მუდამ მართალ ნიკა აგიაშვილს. იმედი მექნება, თქვენი ჟურნალის მარტის ნომერში დაიბეჭდება ჩემი ლექსი.“[2]

ერთი წლით ადრე - 1937 წ. ლექსი „სამშობლო“ ქუთაისის საქალაქო გაზეთში დაიბეჭდა.

„ახალგაზრდა პოეტის პატრიოტული ლირიკის ეს მშვენიერი და დღეს უკვე ფართოდ პოპულარული ნიმუში მკაცრი კრი-

---

[1] შ.ქურიძე, ჭაბუკი იყო, ქარბუქი იყო, ბათუმი, 1985 წ., გვ. 168-169

[2] ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 382

ტიკული განსჯის საგნად იქცა. იმავე წელს ქუთაისში გამართულ მწერალთა და ჟურნალისტთა საერთო კრებაზე თბილისიდან ჩამოსულმა მომხსენებელმა ბ.ჟღენტმაც და სიტყვაში გამოსულებმაც ლადო ასათიანის აღნიშნული ლექსი ნაციონალისტური ხასიათის ნაწარმოებად მიიჩნიეს. აი, რას წერს ყოველივე ამასთან დაკავშირებით ამ კრების უშუალო დამსწრე მ.ალავიძე: „ბესარიონ ჟღენტმა ლადო ასათიანის „სამშობლო“ ნაციონალისტურ ლექსად შეაფასა. ჯიჯგნა და ჯიჯგნა ყოველი სტრიქონი. მან ლექსი თავიდან ბოლომდე წაიკითხა ზერელედ, დუნედ, ხელოვნური ტონით და დამცირებით. ახლაც ყურში ჩამესმის ენამოჩლექილი ახალგაზრდა ორატორის ბგერები, მწარე ქირქილი.“[1]

1940 წლის 1 ნოემბერს საბჭოთა მწერლების კავშირის საქალაქო შეკრებაზე ლადო სიტყვით გამოდის (სიტყვა დაცულია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში). ლადო ასათიანი საჯაროდ აღიარებს თავის „შეცდომებს“ და ამ ლექსს ასე განმარტავს: „ჩემი ლექსი „სამშობლო“ დაიბეჭდა საქართველოს რამოდენიმე ცენტრალურ და რაიონულ გაზეთში. შევიდა სამშობლოსადმი მიძღვნილ კრებულში და დაბეჭდილია, აგრეთვე, ქართული კალენდრის ფურცლებზე. ამ ლექსში მე შედარებების ხშირი განმეორების ფონზე ვცადე მომეცა ჩემი დიდი სამშობლოს სიმდიდრე, სილამაზე, მისი ხალხის ვაჟკაცობა.“[2]

როგორც აღვნიშნეთ, ლადო ასათიანის ვერსიფიკაცია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ შესწავლილი და განხილული არ არის.

საგანგებო გამოკვლევა უძღვნა აკაკი ხინთიბიძემ ლადო ასათიანის ლექსის რითმას („რითმა ლამაზი ოქროს ფასია“), სადაც წერს: „ლადოს ძალზე უყვარს წყვილადი რითმა, რომელიც ზოგჯერ მრჩობლედის სტროფებს ქმნის, ზოგჯერ განცალკევებულ ორტაეპედს, ზოგჯერ კი კატრენშიც გამოჩნდება (ააბბ).

ტკბილია, როგორც დედის რძით ბალღი ტუჩშეუშრობელი,
ტკბილია, როგორც ცის ნამი, როგორც ალერსი მშობელის,

---

[1] ავთანდილ ჭილაშვილი, XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი, 2002 წ., გვ. 471

[2] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1987 წ., 10 ოქტომბერი

ტკბილია, როგორც ველებზე ჯეჯილის მწვანე ფაფარი,
ტკბილია, როგორც ძილისპირს ძველი ქართული ზღაპარი.“

ზოგჯერ ორჯერად რითმაში სამჯერადია ჩართული (ააა), რაც კიდევ უფრო იშვიათია ქართულ რითმოლოგიაში და ეს ჩართვა შინაარსობრივადაა მოტივირებული:

„ჩემი სამშობლო ქვეყანა რა ლამაზია, რა კარგი,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, ნაირფერებით ნაქარგი.“

ამის შემდეგ „ჩემი სამშობლოს“ ავტორი, წესით, ახალ რითმაზე უნდა გადასულიყო, მაგრამ „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტმა“ აკაკი მოაგონა და მესამე სტრიქონი და მესამე რითმაც ჩართო:

„ტკბილია როგორც რუსთველი, ტკბილია, როგორც აკაკი.“

ორტაეპიდან სამტაეპედზე გადასვლა არა მხოლოდ შინაარსობრივად, რიტმულადაც მოუხდა ლექსს.“[1]

რითმა სიმბოლურად გამოხატავს სამყაროში არსებულ ფარულ ჰარმონიას. მას, მართალია, ესთეტიკური ფუნქცია ეკისრება, მაგრამ, მასთან, იგი უფრო მძაფრად წარმოგვიდგენს პოეტურ იდეასა და სახეს, ანიჭებს ლექსს ჰარმონიას.

ერთი საზეობის ლექსს, ჩვეულებრივ, ერთი და იმავე გრძლიობის რითმები აქვს - ლადო აქაც არ ღალატობს ტრადიციას. რითმები მიჰყვებიან სტრიქონის რიტმს. მათი ევფონია ცალკე არ არსებობს და სტრიქონის საერთო ჟღერადობაზეა დამოკიდებული, რადგან ისინი ორგანულად არიან შესული სტრიქონის მთლიანობაში. აქედან გამომდინარე, ლადო ასათიანის პოეზია მაღალი პოეტური კულტურით გამოირჩევა. რითმათა და ინტონაციათა არაჩვეულებრივი სიმდიდრე, ლექსის ძალდაუტანებელი, ლაღი მდინარება, აზრის სიცხადე და ემოციურობა განუმეორებელ პოეტურ ხიბლს ჰმატებს მის პოეზიას.

თავისი გრძნობების გამოსახატავად პოეტი ნაირ-ნაირ ხერხს მიმართავს და ერთი ჟანრის ფარგლებში უჩვეულო მრავალფეროვნებას აღწევს. ლექსი „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“ /44/44/ მიმართვითი ფორმით არის გამართული. იგი მთლიანად ალიტერირებულია: „წ“-ს, „ო“-ს, „ქ“-ს, „ნ“-ს, „ტ“-ს, „ს“-ს, „შ“- თანხმოვანი ბგერე-

---

[1] აკ.ხინთიბიძე, რითმა ლამაზი ოქროს ფასია, ჟურნ. „მნათობი“, 2002 წ., № 11-12, გვ. 90

ბის მეშვეობით ალიტერაცია ამ ლექსის აზრობრივ და მუსიკალურ საყრდენს წარმოადგენს.

კიდევ ერთი თავისებურება ლადო ასათიანის პოეზიისა, რომელიც ლექსში გამოიკვეთა - ესაა ავტორის გამახვილებული სმენა ლექსის განწყობილებისა და შინაარსის შესაბამისი რიტმის, მუსიკის შერჩევა.

საერთოდ, ლადო ასათიანის ლირიკაში რიტმი და მუსიკა შინაარსის კარნახით იცვლება, ამის გამო ლექსის ემოციური ღირებულებაც იზრდება.

ბალადა „გულბაათ ჭავჭავაძე“ 1942 წლით თარიღდება. ამ დროს პოეტი ჭლექით იყო ავად. ფიზიკურად გატეხილმა პოეტმა სწორედ ამ დროს შექმნა ისეთი ლექსები, რომლებიც სავსეა სიცოცხლის წყურვილით.

„გულბაათ ჭავჭავაძე“ საყოფაცხოვრებო სახის ბალადაა. მასში პოეტის განწყობილება დახატულია განთქმული თამადის გულბაათ ჭავჭავაძის საქეიფო თავგადასავლის გადმოცემის საშუალებით.

ლადო ასათიანმა „ გულბაათ ჭავჭავაძეში“ ქართველ თავადაზნაურთა ლხინი და შეკრება გვიჩვენა.

გულბაათ ჭავჭავაძე ღვინის სმით განთქმული ძველი კახელი თავადია. ლადო ასათიანი მას ასე ახასიათებს: „დასვეს თამადად გოლიათი მსმელი კახელთა.“

პოეტი გულბაათის პორტრეტის შესაქმნელად იყენებს ტუნგ, თითო-ოროლა პოეტურ შტრიხს: „მან ჯერ ულვაში გადიგრიხა ყურებზე, უკან, / მერე პირველმა, წესისამებრ გატეხა ლუკმა“, ამ პიროვნების სპეციფიკური თვისების გამოყოფით ავტორმა ვირტუოზულ ეფექტს მიაღწია.

„გრძელდებოდა წლიდან წლამდე გულბაათის გულბაათობა საქართველოში, თუ სადმე დაპატიჟებული არ იყო, ყოველდღე თავად მოაწვევინებდა გიგო მოურავს სტუმრებს და ილხენდა...

საქართველოში სტუმრად მყოფ ალექსანდრე იმპერატორს ისე მოსწონებია, პეტერბურგს მიიწვია, უარი არ გაუვიდა გულბაათს, ჩავიდა იმპერიის სატახტო ქალაქში, შეიყარა მთელი სასახლე, გაიმალა ვეება სუფრა.

შეაესო ოთხლიტრიანი ყანწი გულბაათ ბატონმა, ადღეგრძელა იმპერატორი და დალია. ყანწი რომ დაუშვა და ირგვლივ მიმოიხე-

და, ნახა, თითქმის ყველა მამაკაცი გაქცეულიყო სუფრიდან, - იმპერატორის არდღეგრძელობა როგორ იქნებოდა, არადა, არავის შეეძლო იმ ყანწის დაცლა.“[1]

„უკვე ჩათავდა სოფლად რთველი. და ყურძნის კრეფა“, - ასე იწყება ლადო ასათიანის „გულბაათ ჭავჭავაძე“ და ამ პოეტურ სახეში ერთმანეთთანაა შერწყმული შემოდგომის როგორც ყოფითი, ისე რომანტიკული ბუნება. პოეტმა შექმნა შემოდგომასთან დაკავშირებული ლხინის დაუვიწყარი კოლორიტი:

„ჩანდნენ ორ მწკრივად ჟღალ ჩოხებში ძველი მსმელები,
ღვინო სწყუროდათ, ღვინის ეშხით ვერ ისვენებდნენ.“

ქართული ლხინის ეს ფორმა, რომელიც ლადო ასათიანმა დაგვიხატა, ქართულ ლიტერატურაში პირველად რომანტიკოსმა პოეტებმა ასახეს.

„XIX საუკუნის დამდეგი არის ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის ეპოქა, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უკიდურესი დაკნინების ხანა, და ამავე დროს, ქართული სუფრის კულტურის თუ კულტის არნახული გაფურჩქნა-აყვავების დასაწყისიც.“[2]

ქართული ლხინისადმი სიყვარული გრ.ორბელიანმა გამოხატა „სადღეგრძელოში“:

„და შენ, ჰე, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო!
ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე!
გულის ჭირთ მდევნო! ნიჭო ციურო,
ვინ არს, რომელ გჰსვას და არ ალხინე?“ -

ტოლუმბაშის (თამადის) ეს სიტყვები ბახუსის ნამდვილი ჰიმნია.

ღვინით ქეიფისა და დროსტარების თემას ეძღვნება ალ.ჭავჭავაძის ბევრი ლექსი.

„მაშ, მოდით, ისევ ღვინითა,
დრო გავატაროთ ლხინითა,
ქეიფი მაინც მოგვივა,
გოგრითა ვსვათ თუ ჩინითა!“

---

[1] ზ.ქინქლაძე, ქართული სადღეგრძელოები, თბ., 1996 წ., გვ. 46

[2] ლ.ბრეგაძე, სადღეგრძელო და მისი კომპენსატორული ბუნება“, გაზ. „კავკასიონი“, 1997 წ., 6 თებერვალი, № 5

/„ლოთური სიმღერა“/

ქართული ლხინი ჩვენი ქვეყნის ბუნებისნაირია: უხვი და მრავალფეროვანი. კარგ სუფრად მხოლოდ ის იწოდება, სადაც მაღალხარისხოვანი ღვინო დაილევა. ეს ტრადიცია უხსოვარი დროიდან მომდინარეობს, რომელიც კარგად ჩანს ერთ ხალხურ ლექსში: „ღვინო კი მათრობელი სჯობს, / ძაღლი თეოზე მყეფარი.“

ლადო ასათიანმა „მათრობელი ღვინო“ ასვა მოქეიფეებს: „სვეს უმოწყალოდ ღვინოები ცეცხლის მფრქვეველები“... და „მოფარდაგულზე გაიშხვართნენ მსმელი კაცები.“

ქართველი კაცი ღვთის სახელზე ხატების გვერდით - ფრიად საყვარელ მცენარეს - ვაზს გამოაქანდაკებდა ხოლმე, მის გვერდით კი - ჭინჭილას, კულას...

„საქართველოს განმანათლებელმა ნინომ, რომელმაც ჯავახეთის უვენახო ქვეყანა გამოიარა, ხალხის წარმოდგენამ მას ვაზის ჯვარი მისცა. ძველი საქართველოს მსოფლმხედველობის მიხედვით ეს იყო ამ მცენარისთვის უმაღლესი რანგის მინიჭება.“[1]

ხშირად სუფრაზე, ღვინის მოზომილი სმისას, წყვეტდნენ სახელმწიფო საქმეებსაც.

ლადო ასათიანმა გულბაათ ჭავჭავაძე შეადარა შედან ჭილაძეს: „გადაირია, როგორც ერთ დროს შედან ჭილაძე.“

- ვინ იყო შედან ჭილაძე?

არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაში“ მოხსენიებულია „ერთი დიდებული, რომელიც ისე გამოჩენილი იყო სმაში, რომ მისი სახელი მთელს ირანშიც გავრცელდა. ამ ხელმწიფემ კაცი გამოუგზავნა დადიანს და შემოუთვალა, რომ გავიგე, შენს სამთავროში ასეთი გამოჩენილი მსმელი გყოლია და გთხოვ, გამომიგზავნოო. დადიანმა დაუყოვნებლივ გაატანა სპარსეთში შაჰის ახალგაზრდა საცოლეს, რომელიც იყო ათაბაგის სახლის შვილი და ისიც მიეშგზავრებოდა ირანში. ირანში რომ ჩავიდნენ, შაჰი ერთიორად იყო მოხარული, რადგან მიუვიდა ახალგაზრდა ცოლიც და შესანიშნავი მსმელიც. ჭორწილის გამო მრავალი წვეულება იყო, სადაც მუდამ პატიჟობდნენ შედან ჭილაძეს. ეს იყო მსმელის სახელი და გვარი. მან იქაც ისახელა თავი და ყველას ჯობნიდა სმაში.

---

[1] ნ.ჯაცხოველი, ადამიანი და ბუნება, თბ., 1974 წ., გვ. 51

ამის გამო მუდამ ჯილდოს იღებდა... შაჰმა მოინდომა მასთან სმაში შებმა და იქამდე სვა, ვიდრე არ დასნეულდა და სული არ განუტევა. ჭილაძე კი საჩუქრებით გამდიდრებული სამშობლოში დაბრუნდა."[1]

სწორედ ძველი სამეგრელოს ამ განთქმულ მსმელს შედან ჭილაძეს შეადარა ლადომ ღვინის სმით სახელგანთქმული ძველი კახელი თავადი - გულბაათ ჭავჭავაძე.

ლადო ასათიანმა გულისნადების გამოხატვა მოახერხა ფიგურალური მეტყველების საშუალებით. ლექსში გამოყენებული შედარებები, გამეორება თუ ალიტერაცია ახდენს ნაწარმოების ლაიტმოტივის გახსნას.

შედარება ლადო ასათიანის პოეტური სტიქიაა. პოეტის ფანტაზიის სიღრმემ და სილამაზემ, სწორედ, შედარებაში იჩინა თავი. ლექსში გამოყენებული სამი შედარება განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ქმნის: „და აზარფეშამ ფრინველივით გაინავარდა", „ლეკურებივით მოიქნიეს სველი ყანწები", „თაიგულივით ხელში შერჩა ჭრელი ჭინჭილა".

ლადო ასათიანმა სრულიად განსხვავებული საგნების შედარება მოგვცა და ამით მკითხველს დიდი სიამოვნება მიანიჭა. შედარებას ქმნის *კით* თანდებულიანი სახელები (ფრინველივით, ლეკურებივით, თაიგულივით).

წმინდა ეროვნული ინტერესების დაცვით, მოლხენა მაღალ ეთიკურ მრწამსს უნდა ექვემდებარებოდეს.

პოეტმა შესანიშნავად გამოხატა ალიტერირებული სტრიქონით (წაიბორძიკა, წაიფორხილ-წაიბანცალა) თამადის მდგომარეობა.

ლექსის ბოლო სტროფში:

„გაჩაღებოდა მაღვალაკი თვალი კახურში,
და სუფრის ბოლოს ხითხითებდა მთვრალი ბახუსი" -

მოცემულია შეხედულება წრეგადასულ სმაზე: პოეტი მიმართავს მეტად ორიგინალურ ხერხს, მოქმედი პირის როლში გამოჰყავს ბახუსი (ღვინო). ბახუსი დასცინის („ხითხითებდა მთვრალი

[1] ა.ალაბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938 წ., გვ. 49-50

ბახუსი") ღვინით ძლეულ მოქეიფეებს; აქვე ლადო ასათიანი იყენებს დიალექტიზმს - მაღვალაკი (მავნე).

ლექსის მეტრული სქემა ასეთია /5/4/5/. „გულბაათ ჭავჭავაძე" რითმის მხრივ გამართულია. ერთ სტროფში ორ-ორი სიტყვაცაა შერითმული, „მსმელი კაცები - სველი ყანწები."

ლადო ასათიანი გაურბის არქაული სიტყვების ხმარებას, მაგრამ ისინი აქა-იქ მაინც გვხვდება.

* * *

ასპინძის ომის თემაზე ქართულ ლიტერატურაში მრავალი ნაწარმოები შეიქმნა. მათ შორის, ქრონოლოგიურად, პირველია ბ.გაბაშვილის სახოტბო პოემა „ასპინძისათვის", შემდეგ კი ალ.ორბელიანის მოთხრობა „ასპინძის ომი", ვ.ორბელიანის პოემა „ირაკლი და კოხტა ბელადი", რ.ერისთავის პოემა „ასპინძის ომი", ი.გოგებაშვილის მოთხრობა „ასპინძის ომი" და სხვ.

ლადო ასათიანის „ასპინძა" /53/53/ /აა/ ააა/ 1942 წ. დაიწერა. ავტორი მას ბალადას უწოდებს. პოეტი 1942 წლის 24 სექტემბერს ნ.აგიაშვილს სწერს: „თუ ავადმყოფობამ არ შემიშალა ხელი და არც სხვა რაიმე უხიაკობა არ გამომიტყვრა საიდანმე, მინდა ცალკე წიგნად გამოვცე „ასპინძა", ეს ბალადა და სხვა ასეთი ლექსები."[1]

ზოგიერთი კრიტიკოსი (გ.ჯიბლაძე) „ასპინძას" „გრძელ ლექსად" მიიჩნევს: „მეორე პოემას „ასპინძა" ეწოდება. ფორმის მხრივ შეიძლებოდა მისთვის ჰეროიკულ-რომანტიკული გრძელი ლექსი გვეწოდებინა და არა პოემა."[2]

ლადო ასათიანის „ასპინძა" ეძღვნება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ ამბავს (კერძოდ, 1770 წლის 20 აპრილის ბრძოლას), რომელიც ასპინძის ომის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს ნაწარმოები სახელოვანი ერეკლე მეფისა და მისი ეპოქის აპოლოგიაა. ამ ომში, ერეკლე მეფის გარდა, მონაწილეობდნენ ცნობი-

---

[1] ლასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 350

[2] გ.ჯიბლაძე, ლადო ასათიანის ლექსები და ლექსები, ჟურნ. „ცისკარი", 1972 წ., № 12, გვ. 116

ლი ისტორიული პირები: დავით ორბელიანი - ერეკლეს სიძე, გიორგი ბატონიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, ლევან ბატონიშვილი, აღაბაბა ერისთავი, სვიმონ მუხრანბატონი, ხუდია ბორჩალოელი, მეფის მდივანბეგი ზაალ ბარათაშვილი და სხვ. ისტორიიდან ცნობილია, რომ ამ ომში მონაწილეობას იღებდა შვიდი ხევსური, რომლებიც მეფესთან ერთად ეკვეთნენ მტერს, სამწუხაროდ, მემატიანემ მათი სახელები არ შემოგვინახა.

ისტორია შემდეგს გვამცნობს:

1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. რუსეთისათვის კავკასიის ქრისტიან ხალხთა მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველ პოლიტიკოსებს არაერთხელ დაუყენებიათ საკითხი საიმპერატორო კარის წინაშე, კავკასიაში ჯარის შემოყვანის შესახებ. რუსეთის სამეფო კარიც იყო დაინტერესებული, ომში ჩაება საქართველო, ამდენად, შეთანხმება ადვილად იქნა მიღწეული და საქართველოში გამოიგზავნა რუსთა საგანგებო რაზმი, გენერალ გოტლიბ ტოტლებენის მეთაურობით, რომელიც 1769 წლის აგვისტოს მიწურულს, დარიალის გზით, შემოვიდა საქართველოში.

ერეკლემ ისარგებლა რუსთა ჯარის შემოსვლით საქართველოში, სათანადოდ შეაფასა შექმნილი ვითარება და შეიმუშავა გეგმა ახალციხეზე ერთობლივი გალაშქრებისა. ერეკლე იმედოვნებდა სამცხე-ჯავახეთისა და ახალციხის - ამ ისტორიული მიწა-წყლის უკან დაბრუნებას.

1770 წლის გაზაფხულზე ერეკლე მეორე 7000 კაცით და 3 ქვემეხით, ბორჯომის ხეობით, ახალციხისაკენ გაემართა. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ტოტლებენმა უღალატა ერეკლეს და ბრძოლის დაწყების წინა დღეს - 19 აპრილს - თავისი რაზმით უკან გაბრუნდა. ერეკლე მარტო დარჩა თურქთა პირისპირ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ დაიბნა და განაგრძო წინსვლა და ასპინძას მიადგა.

ერეკლემ, ტაქტიკური მოსაზრებით, უკან დაიხია, მტერი მტკვარზე გადმოიტყუა, ღამით (19 აპრილს), მისი დავალებით, აღაბაბა ერისთავმა, სვიმონ მუხრანბატონმა და ხუდია ბორჩალოელმა მალულად აჰყარეს ხიდი მტკვარზე (ხიდის თავხეები დახერხეს). ამით თურქები მოსწყდნენ თავიანთ რეზერვებს და უკან დასახევი გზაც გადაეჭრათ (ეს სამხედრო სტარტეგიული ხერხი

ქართველ მხედართმთავართაგან პირველმა თორნიკე ერისთავმა გამოიყენა 979 წლის 24 მარტს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში).

20 აპრილს გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა,რომელიც ქართველთა იერიშით დაიწყო. თვითონ ერეკლე მეფე ქართველთა ლაშქარს გმირობისა და თავდადების მაგალითს უჩვენებდა. ერეკლემ თავის ხელით მოკლა ლეკთა სახელგანთქმული მეთაური კოხტა-ბელადი (მალა ჩალა). მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა 4000 მოკლული. პანიკით მოცული მტერი ხიდისკენ გაიქცა, მაგრამ, რადგანაც ხიდი აყრილი იყო, ბევრი ადიდებულ მტკვარში ჩაიხრჩო. ქართველებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ათეული ტყვე, 25 საბრძოლო დროშა და მტრის მიერ დაგდებული დიდი სიმდიდრე. ქართველებმა ამ ომში მოკლულთა სახით დაკარგეს მხოლოდ 25 კაცი (ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია). ეს ყველაფერი მოხდა ერეკლე მეორის დიდი სამხედრო ნიჭისა და მამაცობის წყალობით.

ეს გახლავთ ჭეშმარიტი ისტორია. სწორედ ამ ისტორიულ ფაქტს ეძღვნება ლადო ასათიანის ბალადა „ასპინძა“. ლადო ისტორიას არ ღალატობს, რადგანაც, როგორც თვითონ მიუთითებდა, მას იზიდავს „ყველაფერი რეალური, ყველაფერი სინამდვილე, ყველასათვის ცნობილი ადგილები, ცნობილი გმირები და საბრძოლო ეპიზოდები.“[1]

“ლადო ასათიანს უყვარს ისტორია. განსაკუთრებით, თავისი სამშობლოს წარსული, მაგრამ მარტო იმიტომ არა, რომ იგი ჩვენ დიდ მამა-პაპათა ბრძოლების მატიანეა, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ ეს მატიანე მეტად მღელვარეა, უსწორმასწორო, სისხლით მორწყული და, როგორც იტყვიან, დრამატული. პოეტს ეს მხარე უფრო აღელვებს, ფანტაზიას უცხოველებს.“[2]

ლადო ასათიანისათვის ისტორია ფაქტთა მშრალი ქრონიკა როდია. პოეტი მარტო წარსულის მჭვრეტელი კი არ არის, არამედ მონაწილეა ამ დიდი ისტორიული ქარტეხილებისა.

„თვით პოეზია ანუ შენს წინ ათრთოლებული ლექსი წარმოგადგენინებს წარსულის სისხლიანი ეპიზოდების რომანტიკულ სუ-

---

[1] ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 279

[2] გ.კანკავა, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1964 წ., გვ. 98

რათებს, ქართველთა თუ სხვათა ზნეობრივი გმირობის ამაღლებულ მაგალითებს, ყოფითი ცხოვრების ტრაგიკომიკური ნიღბების კარნავალს... ეს ყოველივე დიდი ნათელივით ეფინება ჩვენი სულების უშორეს კუნჭულებს".[1]

ასპინძის ადგილის დედა ნაომარი ქართველი მხედრების გმირობაზე ჩურჩულებს:

„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუმასპინძლდით, როგორ გავრეკეთ ურჯულო,
გადაიარა წმინდაწყლის ბრძოლების პაპანაქებამ,
ხალხს დასვენება უნდოდა, მხედრობას - დაბანაკება."

მოსასვენებლად მწვანე ბალახში გართხმულნი, ღონიერი სუნთქვით ბალახს არხევდნენ რაინდები („სუნთქვა მძინარე რაინდთა აბიბინებდა ბალახსა"), რომელთაგან „ზოგი ლომია ლომგული, ზოგი ვეფხვია ბწკლიანი."

ფიცხელი ომის შემდეგ:

„წუთით გატრუნულ ქარიშხალს ცხენის ფაფარში ეძინა.
იქნებ სიზმარი გვესიზმრა, იქნება, არის ზღაპარი,
ვით შეიკედლებს ქარიშხალს ფიცხელი ცხენის ფაფარი?
ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუმასპინძლდით, როგორ გავრეკეთ ურჯულო."

ბრძოლის წინა ღამეს პატარა კახი ადგილს ვერ პოულობს. უთვალავი მტერი მოდგომია ასპინძას. არადა, მტერი მაშველ ჯარსაც ელის. მცირედნი არიან რიცხვით ქართველები. „რაღა მაშველი სჭირდებათ, - ბევრი არიან ისედაც." გამოსავალს ეძებს მეფე - იპოვა კიდევაც. მეფის წინაშე სმენადქცეული აღაბაბას და ხუდიას „ასპინძის ხიდის ისრების" გადახერხვა დაევალათ:

„ამაღამ ხერხი ვიხმაროთ, ხვალისთვის ხმალი ვინებოთ,
აბა, გაფრინდით, სამშობლოს დროშა გფარავდეთ , შვილებო!"
ომს ქართველობა ცისკრისას აპირებს, ჯერ კი -
„გარშემო ისევ ულრანი ღამეა ჩამოძენძილი,
ძილფხიზლად სძინავთ ვაჟკაცებს, ღელავს ულვაშთა ჯეჯილი."

---

[1] გაბენაშვილი, „პოეზია, როგორც სიბრძნე მშვენიერებისა", წიგნში: „ლიტერატურული მედიტაციები", თბ., 2002 წ., გვ. 160

ახლოვდება დაძაბული საომარი წუთი.

„ინათა... ცისკრის ვარსკვლავის ბრწყინვამ წყვდიადი გარიყა,
ატოტდნენ თეთრი ცხენები, გამოელვიძა ქარიშხალს.“

განუმეორებელი სილამაზითა და სიამაყით აღწერს ლადო ასათიანი სანაქებოდ მოგებულ ასპინძის ბრძოლებს. მისი მახვილი მზერა სწვდება ჩვენი წინაპარი ქართველი მამულიშვილების გმირულ შემართებას. ხედავს, რომ

„წინა რიგებში მოგელავს, პატარა კახი ცხენითა,
შეხვდება კოხტა ბელადსა, ხმალდახმალ გამოიტყუებს,
ტყვიას დაახლის ბეჭებში, უსულოდ დაცემს მიწაზე.“

სწორუპოვარ მეფე სარდალს, უებრო მეომარს, პატარა კახს, ვერანაირი დუშმანი წინ ვერ უდგება ხელჩართულ ბრძოლისას. მეფეს მხარს უმშვენებენ სამშობლოსათვის თავდადებული მოლაშქრე ვაჟკაცები.

ლადო ასათიანი აღტაცებულია წინაპართა სამაგალითო თავგანწირვით. ხარობს და იმედოვნებს, თუ კი სათაყვანო სამშობლო მხარის ზეცას ქუფრი ღრუბელი მოადგება, ქართველი გმირები ერთ შემოყივლებაზე - „ქართველო მამულიშვილო, ხელი ვადაზე გაიკარ!“ - გალომებული ეკვეთებიან მტერს. აკი –

„კაფეს და კაფეს ქართველთა, ვიდრე ჰყოფნიდათ ხმლის სისქე,
შეშინებულმა მტრის ჯარმა პირი იბრუნა ხიდისკენ.“

როგორც ვხედავთ, ლადო ასათიანი არა მხოლოდ საქართველოს ისტორიის ცოდნას ავლენს, არამედ მას აქვს განცდილი და გააზრებული, მის მიერ წარსულიდან გამოწვეული სახეების, ვითარებების და ფაქტების მნიშვნელობა. პოეტი არაჩვეულებრივი წარმოსახვით, ფანტაზიით აცოცხლებს რეალურ ვითარებას.

სავსებით სამართლიანად წერს გ.ჯიბლაძე: პოეტი, მეომართა „გმირული სახე რომ გვიჩვენოს, მიმართავს ჩვენს პოეზიაში სრულიად უცნობ პასაჟს: „სუნთქვა მძინარე რაინდთა აბიბინებდა ბალახსა.“ ეს მართლაც გმირული, რაინდული სუნთქვაა, ხოლო ლირიკული პასაჟი მთლიანად ასათიანურია. ასეთი რამ არავის უთქვამს, როგორც არავისგან გვსმენია ომის წინ სამარისებური

მყუდროების ამგვარი წარმოსახვა: „წუთით გატრუნულ ქარიშხალს ცხენის ფაფარში ეძინა.“[1]

მრავალგზის აღვნიშნეთ, რომ ლადო რითმის კარგი ოსტატია, რომ მას არაერთი კარგი რითმა მოეპოვება. მკითხველს უთუოდ დიდხანს დაამახსოვრდება „ასპინძიდან“ - ასპინძის - გავუმასპინძლდით, ჩურჩულობს - ურჯულო...

„ლადო ასათიანის „ასპინძას“ საერთო აქვს ბესიკის პოემასთან „ასპინძის ომზედ“. ორივე დასაწყისიდანვე იქცევს ყურადღებას. ბესიკის ჩინებულ ალიტერაციას: „ასპინძის მიწა გიწამებს“, ლადომ ასევე ჩინებული შიდარითმა დაუპირისპირა: ასპინძის - გავუმასპინძლდით.“[2]

* * *

ლადო ასათიანმა თავისი კალამი ეპოსშიც მოსინჯა. მან მოასწრო ორი მცირე მოცულობის, მაგრამ ფრიად ორიგინალური პოემაც შეექმნა.

ისტორიის „ქმედითი ხსოვნა“ ემოციურად ამეტყველდა პოემაში „ბასიანის ბრძოლა“.

პოემა „ბასიანის ბრძოლა“ თამარის ეპოქას ეხება. წმინდანად შერაცხული მეფე ქალი ქართველი ხალხის წარმოდგენაში ყოველთვის იყო ჩვენი ერის „ლამაზი დედა“ (ვაჟა-ფშაველა).

„თამარი იყო „აფხაზთა და ქართველთა, კახთა და რანთა, სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანმა და შაჰანმა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელი“, - ასე იწოდებოდა სრულიად საქართველოს მეფე თამარი, რომელმაც თავისი ზეობის პერიოდში, აქტიური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებით, ქმედითი სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით განაგრძო ის მაგისტრალური გზა ქვეყნის განვითარება-აღმავლობისა, რომელსაც ასე წარმატებით ჩაუყარა საფუძველი და რეალური საქმი-

---

[1] გ.ჯიბლაძე, ლადო ასათიანის ღღეები და ლექსები, ჟურნ. „ცისკარი“, 1972 წ., № 12, გვ. 116

[2] აკ.ხინთიბიძე, რითმა ლამაზი ოქროს ფასია, ჟურნ. „მნათობი“, 2002 წ., № 11-12, გვ. 91

ანობით განვითარების მწვერვალზე აიყვანა დავით IV ალმაშენებელმა."[1]

სწორედ თამარის მეფობის დროს - 1205 წელს - მოხდა ბასიანის ბრძოლა.

მაჰმადიანური სამყარო არასდროს შერიგებია ქართველთა გამძლავრებას და აღზევებას. სელჯუკ მფლობელთა შორის ყველაზე უფრო ძლიერი და აგრესიული განწყობილების რუმის, ანუ იკონის სულთანი რუქნადდინი ყოფილა. რუქნადდინს გადაუწყვეტია გამოლაშქრება საქართველოზე და დაუწყია ჯარის შეგროვება. მას თურქთა ის ტომები შეურჩევია, რომელნიც სახელგანთქმული მეომრები იყვნენ. ეს ტომები მრავალრიცხოვანიც ყოფილან. რუქნადდინი ფიქრობდა, რომ წამოწყებულ საქმეს, სწორედ, ლაშქრის სიმრავლით მოიგებდა.

რუქნადდინს, თურმე, პირველ ღონისძიებად მიაჩნდა ისეთი სტრატეგიული ადგილის შერჩევა, რომელიც მისი მრავალრიცხოვანი ჯარისთვის ხელსაყრელი იქნებოდა და ასეთ ადგილად შეურჩევია ბასიანი (დღეს ეს ტერიტორია ოსმალეთის საზღვრებშია მოქცეული).

იკონიის სასულთნოდან ფრიად თავხედური წერილი მოვიდა: „მე, რუქნადდინ, სულტანი ყოვლისა ცისა-ქუეშისა უმაღლესი, მიმსგავსებული ძლიერებასა ანგელოზთასა, თანამდგომი ღმრთისა, მოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს:

„ყოველი დიაცი რეგუენია და შენ გიბრძანებია ქართველთად აღებად ხრმალთა და ღვთისგან საყუარელისა ისლემთა ერისა დახოცად მუსულმანთა და კუალად ნათესავს ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური. და აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა და განგწუართო შენ და ერი ეგე შენი. არაოდეს კადრებად აღებად ხრმლისა, რომელი ღმერთსა ჩუენდა უბოძებია. ხოლო ცხოვრებით იგი ოდენ ვაცხოვნო! რომელმან უწინარეს მოსვლისა ჩემისა თაყუანისმცეს წინაშე კარვისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება მოჰამად მოციქულისა და უარყოს სჯული ჩუენი ხელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწად ჯუარისა,

---

[1] რ.მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991 წ., გვ. 335

რომლისა მიმართ დაგიცეს ცული სასოება, და აწ მოელოდი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვიე სპარსთა.“[1]

ლადო ასათიანი ამ ისტორიულ ფაქტს ასე გადმოგვცემს:

„დედაქალაქში მოვიდა დესპანი გამოჩენილი,
ნუქარდინს გამოეგზავნა თამარისათვის წერილი,
ენისგან უთქმელს, უკადრისს იწერებოდა მურდალი:
„მე, იკონიის სასულთნოს სახელოვანი სულთანი,
გაცნობ ქართველთა მეფესა (მეფეთა გადამჯეგელი),
რომ დედაკაცი ყოველი არის შენსავით რეგვენი.“

როგორც ვხედავთ, ლადო ასათიანი ზედმიწევნით იცავს ისტორიული დოკუმენტის სიზუსტეს.

საქართველოში ნუქარდინის დესპანი მაშინ ჩამოდის წერილით, როდესაც ქართლის სამეფო ჰყვავის:

„ცას ჰგვანდა ვარსკვლავიანსა სამეფო სახლის თავანი,
ტახტზე დიდბუნებოვანი შვენოდა მეფე თამარი.“

სალოცავი ქვეყნის ცაზე ქუფრს არ გააკარებდა მეფეთ მეფეს წერილი კი შეურაცხყოფას აყენებდა არა მარტო მეფე თამარს, რომელსაც „რეგვენ დედაკაცს“ უწოდებდა, არამედ მთელ საქართველოს იგდებდა აბუჩად.

მეფეს გვერდით ედგნენ დიდებულები. არავის შეაბღალინებდა მეფე ქალის პატივს ზაქარია მხარგრძელი. წერილით ხელში შუბლშეჭმუხნილ თამარს შეჰყურებდა იგი და ნატრობდა: „- ნეტავი დღესვე მიბრძანოს ურჯულოებზე თარეში.“

შიკრიკი კი თამარის წინაშე იდგა და ამაყობდა კიდეც, თავისი მბრძანებლის ველური საქციელით. მან ურცხვად გაიმეორა ნუქარდინის დანაბარები:

„სხვა ესეც შემოგითვალათ: „თუ რჯულს დასტოვებს თამარი,
შევინდო, ცოლად შევირთო, ვუბოძო საქმრო ქამარი,
მაგრამ თუ ასე არ იზამს, მტერი ყოფილა თავისა,
რჯულს ძალით შევაცვლევინებ და მერე ხასად დავისვამ.“

„საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო ვაზირს („მინისტრს“), ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელს, ვეღარ მოუთმენია მოციქულის ასეთი უგუნური საქციელი და სახეში სილა ისე გაურტყამს, რომ რუქნადდინის შიკრიკი იქვე წაქცეულა. ამ ინცინ-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბ., 1959 წ., გვ. 133-134

დენტის შესახებ ისტორიკოსი წერს: „წამოდგა ზაქარია ამირსპასალარი და უხუთქა ხელითა პირსა, და ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა.“[1]

პოეტის მიერ სავსებით ბუნებრივად არის აღდგენილი და გაცოცხლებული ეს ეპიზოდი:

სისხლი მოაწვა მხარგრძელსა, გული ქარ-ცეცხლით აევსო,
ერთი ხმამაღლა შეჰკივლა: - რა სიტყვით სწამლავ ჰაერსო.
და პატრონივით ენაბილწს სილა გააწნა ისეთი,
გონდაკარგული დაასკდა იატაკს ეშმაკისერთი.“

გმირი წინაპრების შემართებით აღფრთოვანებული ლადო ასათიანი აკეთებს წიაღსვლებს მშობლიური ქვეყნის წარსულისკენ: პოეტის აღფრთოვანებას იწვევს წინაპართა ერთსულოვნება, რომელიც სისხლში ჰქონდა გამჯდარი ქართველს. სწორედ ამ ძალის შემწეობით გადავიხედეთ მასშტაბური ომები. უხსოვარი დროიდან მოყოლებული, მტერი არ გააბატონეს ქართულ მიწაზე.

თამარ მეფემ სასწრაფოდ გამართა თათბირი; გადაწყდა, გაეგზავნათ შიკრიკები ქვეყნის ყველა მხარეს, რათა ერი გმირულად დახვედროდა სისხლისმსმელ მტერს.

შეიკრიბა ლაშქარი „ელვისებური სისწრაფით“. ლაშქარი საომრად გაემზადა და - „ეზოში ზარბაზნებივით დაიღრიალეს ლომებმა“.

საქართველოს ყველა კუთხიდან გამოიწვიეს ჯარი, „ვინც კი იარაღს ატარებს“, „ვინც დროშას გორგასლიანს დაუჩოქა და შეჰფიცა“ - ვალდებულია დაიცვას სამშობლო.

მეფემ გადაწყვიტა, სულთანისათვის მიეწერა საპასუხო ბარათი. თამარ მეფის წერილი შესანიშნავად არის შედგენილი და დღესაც დიდი ინტერესით იკითხება: „... ძალსა ღმრთისა ყოფლისა მპყრობელისასა მინდობილმან, და მარადის ქალწულისა მარიამის მვედრებელმან, და პატიოსანისა ჯუარისა სასოებით მოსავმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ჰოი, ნუქარდინ, და ვსცან სიცრუენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს; არა გასმიესა, რამეთუ „ყოველი ცრუდ მფუცავი სახელსა ღმრთისასა მის მიერ აღიხოცოს?“

შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ უმეცარი მსჯავრსა ღმრთისასა, ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა... არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა

---

[1] იცინცაძე, ბასიანის ბრძოლა, თბ., 1971 წ., გვ. 18-19

მპყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჯუარისასა, რომელსა შენ ჰგმობ. ესე-რა-ვითარი შემოგეთუალა, წარმომივლენია მხედრობა ქრისტეს მოსახელე, არა შენდა თაყუანის - ცემად, არამედ დამხობად შენდა ზუავისა მაგის და ამპარტავნისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღმრთისა მიერ არღარა გმობად სახელსა მისსა. იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი! სამართალი მისი და ნუ შენი!"[1]

გულუხვად დაასაჩუქრეს შიკრიკი, „უცხო სამოსით შემოსეს", სიამაყით გადასცეს საპასუხო გრაგნილი, ფეხმარდი ლაფშაც მიართვეს და -

„მიჰქონდა ოქრო და ვერცხლი, თვლები და მარგალიტები,
და ყბაზე დამლა - მხარგრძელის კელაპტრის სიმსხო თითები."

ზაქარია სპასალარის ნათითარები შემთხვევით არ ემსგავსება კელაპტარს: ლადო ასათიანისათვის ადამიანური ღირსების დაცვა რჯულისა და სარწმუნოების მტკიცე დაცვასთან არის ასოცირებული, უერთმანეთოდ ორივე ფუჭია: ურწმუნო კაცის ღირსება ისევე დაუჯერებელია, როგორც ნიადაგში უფესვო ხის მყარად დგომა. „კელაპტრის სიმსხო თითები" ჰიპერბოლაც არის და ზუსტი ასახვაც მომხდარი ფაქტისა. მის დასტურსაყოფად, დასამოწმებლად, ბეჭდის დასასმელად მართლმადიდებლურმა საქართველომ ურჯულო ქვეყნის ელჩს თავისი მხედართმთავრის ძალის მუდმივი ხსოვნა „აჩუქა".

იმერთა და ამერთა ლაშქარი ერთსულოვნად შეიკრიბა:
„შეკრბა სრულიად სამეფო სპა იმერთა და ამერთა,
ზღვის ფსკერზე ქვიშას, ზეცაში - ვარსკვლავებს გადაამეტა.
ერთ ძლიერ ჯარად შეკრული, დაუშლელ-განუფანტავი,
ქართველი მამულიშვილი ნიკოფსით დარუბანდამდი...
აბორგდნენ, აბობოქარდნენ, როგორც ზვირთები არაქსის
და მეფის ირგვლივ მოგროვდნენ ვარძიის ციხე-ქალაქში".

„დავით სოსლანი თავისი მხედრობით ბასიანს მივიდა, სადაც მას დახვდა უზარმაზარი ბანაკი რუქნადდინისა და მისი თურქობისა. დავითმა ფიცხლავ განაწყო ჯარი საომრად. მეწინავე ჯარს სარდლებად უჩინა ძმები შალვა და ივანე აბალციხელები, ზაქარია მხარგრძელი და თორელნი, ხოლო ძირითადი ძალები ორად გაჰყო:

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბ., 1959 წ., გვ. 135

მარჯვნივ აფხაზ-იმერნი, მარცხნივ ქართლელნი, კახნი და ჰერნი.“[1]

ქართველთა შეტევა მეხთატეხას ჰგავს პოემაში. პოეტი გვიხატავს გაფიცხებული მხედრების ბრძოლების მშვენიერ სურათებს. შეუნელებელი ინტერესით მიჰყვები სტრიქონებს და ქართველი რაინდების მხარდამხარ თითქოს შენც იბრძვი:

„კალთამდე შემოაფხრიწეს შალვას ავაზას ტყავ-კაბა,
როცა ბრძის მისაშველებლად ცხენ-კაცთა ტევრი გაკაფა“.

შალვა ახალციხელის ბრძოლა უნებურად ასოცირდება ხატაელებთან მებრძოლ ტარიელის პორტრეტთან („ცხენ-კაცისა დავდგი გორი“): ღალატისა და შეურაცხყოფის თავიდან ასაცილებლად ვაჟკაცს თავდაცვა სჭირდება ყოველთვის.

გრიგალივით იბრძოდა გრიგოლ ასათიძე. შემოტევებულ მტერს თავი ისე გაუპო ივანე ციხისჯვარელმა, რომ ტვინი ღრუბელსა გარია, მაგრამ

„მაინც ვერ გაძლა ბრძოლითა მარჯვენა წარბგაჩეხილი.
ომი გაგრძელდა ... გაძნელდა.“
“... და ომი ისევ შენივთდა.“

გატყდა ნუქარდინის ლაშქარი და დაიხია. გაალმასებულნი „...დაედევნენ ქართველნი კაფვით, ხანჯლების კისკასით, / მეორედ აღარ გაბედოთ შემოჭრა ქართლის ჭიშკარში.“

ომი დამთავრდა. მალემსრბოლი აფრინეს თამართან. ქართული ჯარი გამარჯვებას ზეიმობს და „ჯარის წინ სახელოვანი სარდლობაც გამომზიანდა.“ გამარჯვებული „ჯარი ძველ ლაშქრულს მღეროდა, ებანებოდა ტყე-ველი“.

ქართველთა ჯარის ღირსეულ გამარჯვებას ლადო ასათიანი აგვირგვინებს არაქსის ნაპირებიდან არწივთა გუნდის აფრენითა და ქართველ რაინდთა მხრებზე მათი დაბინადრებით:

„არწივთა გუნდი აფრინდა არაქსის ნაპირებიდან.
ჯერ გაჰკრეს, გაინავარდეს, მზის შუქზე გაფერნაირდნენ
და მერე მსხვილი ჯოგებით მხრებზე დაასხდნენ რაინდებს“.

თამარის თანამეცხედრე, სოსლანი მოდის და მოაქვს ლაჟვარდში ლომის ფაფარივით გაშლილი -

„გორგასლიანი ალამი - ვაჟკაცთა თავშესაფარი...
და საქართველო, იდგა ვით გოდოლი შეურყეველი.“

---

[1] ლ.სანიკიძე, დედა ისტორია, I, თბ., 1986 წ., გვ. 143

სამშობლოს სიყვარულით შეძრული პოეტი, განუმეორებელი პოეზიით, თავად დგას, როგორც „გოდოლი შეურყეველი“.

„პოეტი, უმეტეს შემთხვევაში, მხატვრულ სახეებს აგებს კონკრეტული მოვლენის საფუძველზე, მაგრამ ისე, რომ კერძო შემთხვევას ცხოვრებისეულ ფაქტებს უკავშირებს და ამ გზით ახდენს მის პოეტურ განზოგადებას. ეს არის მხატვრული სახის წარმოქმნის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ხერხი ხელოვნებაში.“[1]

„ეს ნაკადული ნანაობს, თუ ყანა ნათავთავარი?“ - ლიტერატურული პარალელიზმია და ბუნების მოვლენებია ერთმანეთთან შეფარდებული. ეს პოეტური ხერხიც მოარგო ლადომ თავის პოეზიას.

როგორც ცნობილია, პარალელიზმებით მდიდარია ხალხური შემოქმედება, ხალხური შაირები. მე-19 საუკუნის პოეზიაში ამ ხერხს ხშირად მიმართავდა ვაჟა-ფშაველა, მე-20 საუკუნეში კი გიორგი ლეონიძე.

ფრიად საინტერესოა აკ.ხინთიბიძის მოსაზრება პოემის შესახებ: „ბასიანის ბრძოლის“ ყველა მოქმედი პირის სახელი რითმაშია გატანილი, უმრავლესობა - ბოლორითმაში, ზოგიც შიდარითმაში. თუ სხვა პერსონაჟები თითოჯერ ირითმება, მთავარი გმირები: თამარი და ნუქარდინი ოთხჯერ-ხუთჯერ ქმნიან რითმას. რითმათა თანაბარი რაოდენობა, რაც ავტორისათვის, ცხადია, ქვეცნობიერია, მკითხველისათვის მნიშვნელობას არ არის მოკლებული. ბასიანის ომი თამარისა და ნუქარდინის ლაშქართა ჭიდილია. თანაფარდობა ერთნაირი უნდა იყოს, უძლიერესი ომმა უნდა გამოავლინოს.

რითმაში ნათლად ვლინდება ავტორის დამოკიდებულება ამ ორი პერსონაჟისადმი.

პირველად ნუქარდინია ნახსენები: „ნუქარდინს გამოეგზავნა თამარისათვის წერილი“... შორეული შიდარითმით ეს პერსონაჟი იმთავითვე ნეგატიურ ასპექტშია წარმოდგენილი. ზემოთ მოტანილ სტრიქონს უშუალოდ მოსდევს: „ენისგან უთქმელს, უკადრისს იწერებოდა მურდალი“. სტრიქონთა მეზობლობაში მკითხველი ადვილად დაიჭერს რითმას: ნუქარდინს - უკადრისს. ეს დახასიათება

---

[1] გრ.ხერხეულიძე. პოეზიის სამყაროში, თბ., 1971 წ., გვ. 130

აქვე ბოლორითმით არის გამაგრებული: მურდალი სულთანი. შემდეგ ნუქარდინი ირითმება სიტყვებთან: მუქარით, უქადის, ცრუ ქადილს.. სამივე თანაცალი ნათლად წარმოგვიდგენს ნუქარდინის ხასიათს.

ახლა თამართან შერითმული სიტყვები ვნახოთ: თავანი („სამეფო სახლის თავანი"), ნათავთავარი, ქამარი („საქმრო ქამარი"), მთავარი გვირგვინოსანი თამარი ძირითადად თავის საკადრის სიტყვათა გარემოცვაშია."[1]

პოემა „ბასიანის ბრძოლა" ყურადღებას იქცევს კომპოზიტთა რაოდენობით: „ნათავთავარი", „ტვინამღერებული", „ფიცვერცხლნაჭამი", „ფრთებგანათებული", „ჯვარისმტვირთველი", „გულმარხიანი", „გულმკერდგახურებულნი", „მარჯვენაწარბგაჩეხილი", გაფერნაირდნენ", „შიშშეუვალი" - ყველა ამ კომპოზიტს სათანადო ადგილი აქვს მოძებნილი პოემაში.

ლადო ასათიანმა ქართული სალიტერატურო ენა გაამდიდრა მშობლიური სიტყვების ძირებისაგან შედგენილი კომპოზიტებით პოემაში გამოყენებულ კომპოზიტთაგან ბევრი მისი საკუთრებაა, ბევრიც სხვისია, მაგრამ კარგად გამოყენებული. მის მიერ შემოტანილი სიტყვათა ფორმები ახალი ემოციური ელფერის მქონეა.

ჭეშმარიტი პოეზია ნოვატორული ძიების გარეშე არ არსებობს, და ლადო ასათიანიც ქმნიდა ახალ სიტყვებს, ახალ პოეტურ სტრიქონებს.

ლადო ასათიანმა 1939 წ. გამოაქვეყნა ლირიკული პოემა „კოლხიდა" (დაიბეჭდა „ჩვენი თაობის" 1939 წ. № 5-ში).

აეტორმა სცადა, გადმოეცა ურთიერთდაპირისპირება, ურთიერთბრძოლა ბოროტსა და კეთილს, ბნელსა და ნათელს შორის. პოეტის მიერ სიმბოლურ ასპექტშია გადაჭრილი კოლხეთის ჭაობის ამოშრობის პრობლემა.

ლადო ასათიანის „უბის წიგნაკის" ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ერთმა კრიტიკოსმა (და კიდევ ერთმა!) ჩემი პოემა „კოლხიდა" გააბიაბურა. არ ღირდა ამ პოემაზე კალმის წვერის დაღლა, მელნის დახარჯვა, თოლიევით ქათქათა ქაღალდის დასვრა... ამდენადაც

[1] აკ.ხინთიბიძე, რითმა ლამაზი ოქროს ფასია, ჟურნ. „მნათობი", 2002 წ., № 11-12, გვ. 96

არაფერია ეს პოემა. ამის შემდეგ, იქნებ, გველირსოს და ტალახიდან ამოგვიყვანოს იმ კრიტიკოსთა სიმძლავრემ, მათმა დიდებამ, მათმა მზეჭაბუკობამ და სიქველემ."[1]

„კოლხიდა" ლირიკული პოემაა, მაგრამ ძალიან ორიგინალური. მას, შეიძლება, ჰქონდეს გარკვეული ნაკლი, მაგრამ თემის ასახვის სიახლით ეს ნაწარმოები საყურადღებო იყო და არის პოეტის შემოქმედებით გზაზე. პოემის სუსტ მხარეს თვითონ პოეტიც გრძნობდა: „კოლხიდაში" მაქვს ყველაზე გაცვეთილი რითმები, რაც კი ოდესმე დაწერილა: საწერ-კალამი, წრფელი სალამი, მაგრამ მაინც თავის ადგილას ზის. ხელს არაფერს უშლის... „კოლხიდაში" ვივარჯიშე მხოლოდ, პოემა არ გამოვიდა. აქა-იქ ლექსს არა უშავდა რა. ამ ეტაპზე რაც შემეძლო, არაფერი დამიკლია. მაგრადაც გამაკრიტიკეს. თუმცა ის კრიტიკა ჩასაფრებული კაცის ქირქილი და გამოხდომა იყო. იმ კაცისგან ქებაც არ მიამებოდა. ვინც გიყვარს, იმისგან ლანძღვაც კარგია. თუ მელირსა და თავს მოვესწარი, იქნებ, მოვაბერხო დაოსტატება."[2]

მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ პოემაში იყო მაღალპოეტური, ოსტატური რითმებით გამართული სტრიქონები. თვითონ უწოდა „კოლხიდას" გმირობისა და ბრძოლის პოემა."

ავტორი პოემის დასაწყისში ქება-დიდებას უძღვნის ადამიანებს, მათ, „ვინც ღია გულით კაცსა კაცური უთხრა სიმღერა", შეჰხარის მათ, „ვისი ჩონგურის დღესაც გაისმის სიმღერის ჟღერა", ვისაც სიცოცხლის ფასი შეუგნია, ვისაც მგოსნის სინდისი ჰქონია და მიწაზე კვალი დაუტოვებია, დინოზავრების ნაფეხურების მსგავსად. ლადო ასათიანი აძაგებს ისეთ პოეტებს, „ვინც უნიჭობით ერთი მაგარი სიმღერა ვერ თქვა", ვინც ნაადრევი თოვლივით ქრება და, ვისაც ერთხელ მაინც არ განუცდია „დიდი ღელვა და აბობოქრება".

საუკუნოვან კოშმარულ ღამეს პოემის ფინალში ცვლის ახალი კოლხეთის გაზაფხული, მისი აყვავილება, სიხარულისა და ბედნიერების ტრიუმფი - ტურფა ასულივით შემობრძანებული დილა./

---

[1] ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 294

[2] ნ.აგიაშვილი, ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ., 1980 წ., გვ. 223-224

როგორც აღვნიშნეთ, გარკვეულ ხარვეზებთან ერთად, პოემა მრავალ მაღალპოეტურ სტრიქონს შეიცავს.

„მე შენს ხმაურში სიცოცხლეს ვეძებ და სიჩუმეშიც შრიალი მესმის“, - მიმართავს პოეტი ფაზისს

„მზე იყურება ბავშვის თვალებით და დედამიწას უგზავნის ალერსს!“ - ოსტატურად მიგნებული შედარებაა.

ან კიდევ ასეთი სტროფი პოემიდან:

„ო, მე არ მინდა სხვა საჩუქარი,
და არც ჰაფიზის ვნატრულობ ვარდნარს,
მე პოეტი ვარ ფიცხი და ჩქარი
და მიყვარს ციდან ვარსკვლავთა ვარდნა,“ -

ციური მადლის დედამიწაზე დამკვიდრების გზას პოეტიც ემსახურება და ამ საღვთო საქმის განხორციელება სიცოცხლეზე უფრო ძვირფასია ლადო ასათიანისათვის, რომელმაც შეძლო საბჭოთა საქართველოს მშენებლობის გამაყრუებელ ხმაურში უნაზესი ჩურჩულის მიყურადება და თავის ეპიკურ ქმნილებებშიც შემოგვინახა ლირიკის კანონებით გამართული სტრიქონები.

ცნობილია, რომ „ერთი და იგივე მოტივი ამა თუ იმ ეპოქის ლირიკულ ნაწარმოებებში სხვადასხვა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, რაც მეტყველებს პოეტების სიახლოვესა და, იმავდროულად, ორიგინალობაზე“.[1]

ლადო ასათიანის სატრფიალო ლირიკის ადრესატი კონკრეტული პიროვნებაა. პოეტის ინტიმური ლირიკა მისი პირადი ცხოვრების ავტობიოგრაფიაა, წრფელი სულიერი აღსარებაა მკითხველის წინაშე. „მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ლადო ასათიანის სატრფიალო ლირიკა არ ექცევა ვიწრო პირადული განცდების რკალში, მასში ჩვენ უხვად შევხვდებით ზოგადადამიანურ განწყობილებებსა და გულისტკივილს, ფიქრებსა და გრძნობებს, რაც მოუცილებელია მხატვრული განზოგადებით ამაღლებული პოეზიისათვის“. [2]

---

[1] Введение в литературоведение, М., 1999, с.235

[2] გ.ბერხეულიძე, პოეზიის სამყაროში, თბ., 1971 წ., გვ. 133

ლ.ასათიანის მეგობარი ნ.დუმბაძე იგონებს: „შავთვალა გოგონასადმი მის გულისხმიერებას პირველი კურსის პირველი თვეებიდან ვისმენდით... იგი ხმამაღლა მღეროდა „შავ თვალებზე“, „შავი თვალებით“ ზომავდა მთელ ქვეყანას და თავის სამზეოს საინტერესო მხატერული სიმბოლოც შეურჩია - „შავ თვალებს, ბნელ ღამეს.“[1]

ვინ იყო ეს შავთვალა გოგონა, რომელსაც ეკუთვნოდა ახალგაზრდა ლადო ასათიანის სიყვარული?

„1935 წ. ზაფხულში, არდადეგების დროს, სტუდენტები შაბათობაზე გაიწვიეს. ავადმყოფობის გამო გამოვაკლდი ჩემს კურსს, მეგობრებს... საინტერესო ამბებს ყვებოდნენ ბანაკის ცხოვრებიდან. ლადო განაწყენებული იყო, რადგან „შავ თვალებს“ მეტი მდუმარება გამოუხატავთ. თავიდან ასე დაიწყო. ლადოს რჩეული გოგონა დუმდა...“,[4] - ვკითხულობთ ნ.დუმბაძის მოგონებაში.

ვეცნობით პოეტის ბიოგრაფიულ შტრიხებს და ვგებულობთ, რომ ამ ქალისაგან (მ.ტრაპაიძე) პოეტს საპასუხო სიყვარული არ მიულია. იგი დუმილით შეგებებია პოეტის ნაზ გრძნობებს.

ლადო ასათიანის შინაგანი სულიერი განწყობილება იგრძნობა ლექსში „სევდისა და სულის ყვავილი“, რომელიც 1935 წელსაა დაწერილი:

„ჰაუ, რამდენი ღამე ვათიე,
ჰაუ, რა გვიან მე შეგიცანი.
მინდა დღეიდან „შენ“ არ ვიხმარო,
რადგან ყოფილხარ სულის ყვავილი...“

ლექსს ასეთი სახის მინაწერი აქვს: „ ნუ გამაწბილებთ, რომ ფორმით უბადრუკი იყოს ეს ლექსი, მაგრამ მოიგონეთ, რომ გაკვეთილზეა იგი დაწერილი“.[2]

„სულის ყვავილისა“ და „ვარდის“ იდენტურობა ამ ლექსში მშვენივრად ერწყმის პოეტის მძაფრი გრძნობის შინაარსსა და მისი გამოხატვის შეუძლებლობით გამოწვეულ უკმარობის განცდას. ლადო ასათიანის ადრეული სატრფიალო ლირიკა ვერ ძლევს ტრაფა-

---

[1] ნ.დუმბაძე, ლადო ასათიანის ცხოვრების ფურცლები, „ჭოროხი“, 1974 წ., № 4, გვ. 49

[2] ნ.დუმბაძე, ლადო ასათიანის ცხოვრების ფურცლები, „ჭოროხი“, 1974 წ., № 4, გვ. 50

რეტს, შაბლონს და იზღუდება გამოხატვისათვის საჭირო, აუცილებელი სიტყვების მოუძიებლობის გამო.

ლადო ასათიანი საყვარელ ქალს ვარდს ადარებს. „ვარდის მხატვრულ გააზრებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მცენარეთა მითოლოგიურ სახეებს შორის, ამიტომ ყოველი დიდი შემოქმედის მხატვრულ-სააზროვნო სისტემაში ვარდს, როგორც შედარებას, როგორც ეპითეტს, მეტაფორას, სიმბოლოს და ალეგორიული გამოსახვის საშუალებას, განსაკუთრებული დატვირთვა აკისრია.“[1]

ვარდი - ბუნების ეს უმშვენიერესი ქმნილება - პოეზიაში უხსოვარი დროიდან დამკვიდრდა და სიყვარულისა და სილამაზის სიმბოლოდ გვევლინება.

ყვავილთა სიმბოლიკას თავიანთ შემოქმედებაში მიმართავდნენ: თეიმურაზ პირველი, ბესიკი, ალ.ჭავჭავაძე, ნ.ბარათაშვილი, აკაკი, ილია, ვაჟა, გალაკტიონი... და საერთოდ, ძნელად მოიძებნება ისეთი პოეტი, რომლის პოეტური ჩანგი ბუნების ამ ფაქიზი და ულამაზესი ქმნილების სიტურფეს არ აეჟღერებინოს. თითოეულმა პოეტმა თავისებურად აღიქვა და გაასულიერა იგი.

ცნობილია ბესიკის ნარგიზი, ვაჟა-ფშაველას სამყაროს კუთვნილებაა ია და პირიმზე, გალაკტიონის - ატმის ყვავილები, ანას - იასამანი.

ქალის გარეგნული სილამაზის გადმოსაცემად ლადო ასათიანმა ვარდსა და ყაყაჩოს მიმართა.

ვარდი და ყაყაჩო - ეს ორი პოეტური სიმბოლო - მიმანიშნებელია ქალის სიწმინდესა და სიფაქიზეზე.

ვარდი, როგორც უმაღლესი მშვენიერების სიმბოლო:

„ერისთვის ქალო, ფიქალო,
ადრე დამჭკნარო ვარდო.“ /მეტაფორა/
/„მანანა ორბელიანის სურათზე“/

ვარდი, სიწმინდის, სიფაქიზის სიმბოლო:

„მე პოეტი ვარ და ქუჩის ლოთი,
შენ კი, მაისის ვარდივით წმინდა.“ /შედარება/
/„სპარსელ ასულს“/

---

[1] ნ.სულავა, „გალაკტიონის ვარდთმეტყველება“, გალაკტიონოლოგია, I, თბ., 2002 წ., გვ. 137

თუ ვარდის სიმბოლო ქართული პოეზიის მდიდარი ტრადიციებით იყო ნასაზრდოები, ყაყაჩოს მხატვრული სახე, შეიძლება თამამად ითქვას, ლადო ასათიანის მონაპოვარია, მისი ლირიკის მეშვეობით დამკვიდრდა ეროვნულ მწერლობაში. ლადო ასათიანის ლექსებში ყაყაჩო თავგანწირული სიყვარულის, რაინდული თავდადების, გაუხუნარი გრძნობის სიმბოლოდ მოგვევლინა. ყაყაჩოები ჭრილობიდან მომდინარე სისხლის წვეთებივით გაბნეულან პოეტის ლექსებში და, მიუხედავად იმისა, რომ იგი პოეტური ძიების ნაყოფია, ბუნებრივი და ორგანული გვეჩვენება. „პატარა ნიჭის პოეტს იშვიათად ახასიათებს სიტყვის განსაკუთრებული ძიება. საამისო პათოსი მას არა აქვს, ის ყოველთვის კმაყოფილი დარჩება, თუ მან შეძლო ლექსში თავისი აზრის ზედმიწევნითი სისწორით გამოხატვა. სიტყვის ძიების დროს პოეტი შეიძლება სრულიად მოულოდნელად გამდიდრდეს, ისე როგორც ავანტიურისტი... სიტყვების ძებნის პროცესში პოეტის აზრმა შეიძლება სრულიად ახალი განათება მიიღოს“,[1] წერდა კ.ჭიჭინაძე. სწორედ ამგვარად ანათებენ ლ.ასათიანის ლექსებს პოეტის მიერ მოპოვებული ყაყაჩოები:

„ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ,
დაფდაფითა და ბუკითა,
ახლა ყაყაჩო შემომხვდა
ლამაზი ქალის შუქითა.

წარსულის ფერისცვალების მხატვრულ-სახეობრივი გააზრება, - სადაც ტრაგიკულ სიმძიმეს ლირიკის სიმსუბუქე ცვლის, - უკეთესად წარმოდგენა ძნელია. ყაყაჩო - ლამაზი ქალის შუქით გასხივოსნებული ახალი სიცოცხლის სიმბოლოდ გვევლინება.

ლადო ასათიანის ყაყაჩო მარადიული ახალგაზრდობის, სიკეთის, სიცოცხლის სიმბოლოცაა; პოეტმა მყარ მეტაფორად აქცია თავის ლექსებში „ყაყაჩო - ლამაზი ქალის შუქი“, რაც მომავლის, სიცოცხლის გაგრძელების საწინდრად უნდა იქცეს. ქვეცნობიერმა, ძლიერმა იმპულსმა, სიცოცხლის სიყვარულმა მოაძებნინა პოეტს სისხლისა და სიყვარულის ტოლფარდი ყვავილი.

„... გზაში ყაყაჩოს შეხვედრა სიკეთედ დაგვებედება...
მოდი, ჩვენ ესეც ვიკმაროთ და სხვა დიდება ნუ გვინდა,

---

[1] კ.ჭიჭინაძე, ალიტერაცია ქართულ პოეზიაში, თბ., 1979 წ., გვ. 105

ყაყაჩომ თუ მოგვანათოს ლამაზი ქალის შუქითა!“

/„ქართლის გზაზე“/

ყვავილის პერსონიფიცირება, ლამაზი ქალის ბრწყინვალებასთან მისი დაკავშირება გადაჯაჭვულია სიკეთესთან. კლასიკური, აპოლონური, ჰარმონიული სახისმეტყველება - სიკეთისა და სილამაზის ერთიანობისა - ფორმისა და შინაარსის დაუნაწევრებლობა, განუყოფლობა, საერთოდ, ლადო ასათიანის პოეზიის არსს წარმოადგენს. მთლიანი, მონოლითური სული რაინდი-პოეტისა არ ცნობს სულისა და სხეულის საბედისწერო განცალკევება-დაპირისპირებას. ყვავილი, როგორც ხილული გამოხატულება უხილავი შინაგანი მდგომარეობისა, სტატიკური, უძრავი, უსულო საგანი კი არ არის, არამედ მოძრავი, ქმედითი, დინამიკური პროცესის წარმმართველი. დინამიკური ვნებითი გვარის ზმნები: „ეფინება“, „ედება“ სტროფული მონაკვეთის ბოლოს მოქმედებითი გვარის ზმნით: „მოგვანათოს“ ფორმით იცვლება, და ყაყაჩოს ნაზი რხევა მთელ ლექსს ამოძრავებს და აცოცხლებს.

ყაყაჩო ხომ მინდვრის ყვავილია, წარმავალი სილამაზის გამოხატულებაც („... ყვავილი ველთა წარმავალი და დაუდგრომელი“) და მარადიული მშვენიერების კონკრეტული განსახიერებაც.

ლადო ასათიანი ქალის გარეგნული სილამაზის დასახატავად ხშირად მიმართავს ტრადიციულ პოეტურ სახეებს, რითაც ქმნის ინდივიდუალიზებულ პორტრეტს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1935 წ. დაწერილი ლექსი „შენ იძინე, მე ვიცინი“. ეს ლექსი ს.მგელაძეს ეძღვნება, რომელიც ავტორს, წერილთან ერთად, გაუგზავნია ადრესატისათვის. „გიგზავნით ჩემს ერთ-ერთ ლექსს. იგი ტევრში დავწერე ივლისის 20-ს. ჩვენი ურთიერთობისათვის იგი უხამსი და შეუფერებელია. ჩემი იდეებისთვის მოულოდნელი. მაგრამ პოეტური ფანტაზიის შედეგია, უხეირო, მაგრამ ნაცადი - მოგიძღვნია იგი თქვენთვის...“[1]

„მე შხამს დავლევ, გაიხარე. დამეწვება ნაწლავები,
ოღონდ მხრებზე დაიყარე: შენი ოქროს ნაწნავები,
ხედავ? წყარო ამომშრალა. არ ღვივიან ნახნავები,

---

[1] ი.ჩხარტიშვილი, ლადო ასათიანი და საფო მგელაძე. ჟურნ. „განთიადი“, 1993 წ., № 1-2, გვ.141

ხევში ნისლი იფანტება და ლერწამის სტირის ღერო,
ნუთუ კიდევ იბადება? შენისთანა, მშვენიერო.
წამოდექი გამთენია. ყვავილები განაბულა.
შენი ტანი ნამყენია, ყელი გიგავს არაბულას,
შენი გული ბორანია ყვავილებით მოფენილი.
თვალ-წარბი კი ყორანია, ხევებიდან მოფრენილი.
ტუჩმა ღიმი გამოდენა. ღამე რად არ გძინებია.
ვიცინი... და ამოდენა მე ჯერ არსად მიცინია...
თვალები გაქ შევარდენა, ელვა შენი სიცილია..."
/„შენ იძინე, მე ვიცინი"/

საგულისხმოა, რომ ლექსი „შენ იძინე, მე ვიცინი" არ არის შეტანილი ლ.ასათიანის ერთტომეულში (თბ., 1979), არც სხვა გამოცემებში გვხვდება. ჩვენ მხოლოდ ჟურნ. „განთიადის" პუბლიკაციით შევძელით, მას გავცნობოდით. როგორც ვხედავთ, ლექსი „შენ იძინე, მე ვიცინი" ქალის გარეგნული სილამაზის ქებათა-ქებას წარმოადგენს. კონკრეტული ადრესატის პორტრეტულ მსგავსებას ემყარება ლექსის სტრიქონები, რომელიც 16 მარცვლიანი მაღალი შაირით არის გამართული და სასიმღერო რიტმს ემყარება.

პოეტის ადრინდელი, სტუდენტობისდროინდელი ლექსები არ არის შესული „ერთტომეულში", მაგრამ გამოქვეყნებულია ნელი დუმბაძისა და შოთა ქურიძის კომენტარებით.[1]

ამ ლექსებს, ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება პოეტის შემოქმედების ზოგიერთი საკითხის გასარკვევად.

ამ პერიოდის ლექსებიდან აღსანიშნავია: „ლირიკა მთვარის ციკლიდან", „სევდის ტირილი", „სევდისა და სულის ყვავილი", „გედის სიმღერა", „თითქოს დამეცა გულზე ისრებად", „შენ მახარობლად მოხვედი ჩემთან", „საკუთარ განცდებიდან", „საკუთარ წიგნაკიდან" და სხვ.

„ამ ლექსებს რომ წერდა, ლადო ასათიანი თვრამეტი-ოცდაერთი წლისა იყო, და როგორც თვითონ ამბობდა, სისხლი მაჭარივით უდუღდა. უყვარდა თანაკურსელი გოგონა, რომელსაც „გულვარდი" შეარქვა. ბევრი ლექსი სწორედ მის გარშემო ტრიალებს და სიყვა-

[1] ნ.დუმბაძე, შ.ქურიძე, ლადო ასათიანი, ყმაწვილკაცობის ფურცლები, ბათუმი, 1977 წ.

რულით ალბრულ გრძნობებს გადმოგვცემს, მის იმდროინდელ მიდრეკილებას, სურვილებსა და მისწრაფებებს კონდენსირებულად გამოხატავს ტაეპი: „მინდა სიყვარული და ცხოვრება ადამიანური.“[1]

„ლადოს სიყვარულიც ლამაზი ოცნება იყო, უფრო პოეტური გზნებით ნაშობი, ვიდრე სინამდვილის ნერგზე ამოზრდილი. სიყვარული მისი პოეტური გატაცება იყო, შთაგონება, მუზის მასტიმულირებელი და ამდენად ჰქონდა მნიშვნელობა მის ცხოვრებაში.“[2]

„ქალი მუზაა ჩემთვის მარტოდენ,
არა საწოლის თანაზიარი,
არ მინდა მუდამ ვნებას ნატრობდეს -
ხან უჭკუო და ხან აზრიანი.“

/„საკუთარ წიგნაკიდან“/

ლადო ასათიანი სიყვარულის პოეტური გამოხატვისას ობიექტური სინამდვილიდან აღებულ მკაფიო საგნობრივ ფორმებსა და საღებავებს მიმართავს.

1938 წლის ზაფხულში ლადო ასათიანი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. თბილისში გადმოსვლისთანავე გაიცნო და შეიყვარა ახალგაზრდა ქალი - ანიკო ვაჩნაძე, რომელმაც გაუგო პოეტს, ყურადღებითა და ალერსით გაათბო და უმაგალითო მეგობრობა გაუწია. ლადოს გატაცებით შეუყვარდა და არც მალავდა, სადაც უნდა ყოფილიყო, ამ სიყვარულზე ფიქრობდა. „ხომ იცი, რომ მე მიყვარხარ და არა ისე, როგორც უყვართ, არამედ უფრო მეტად და სხვანაირად“,[3] - ატყობინებდა აბასთუმნიდან ლადო ანიკო ვაჩნაძეს.

ანიკოც სიყვარულითვე პასუხობდა. არ უშინდებოდა ცხოვრების სიმძიმეს, უფულობას, უბინაობას, შინაურთა წინააღმდეგობასაც კი, ყოველთვის ახერხებდა, ლადოს ხან აბასთუმანში დაესვენა, ხან კიდევ წაღვერში, რომ მისთვის სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა.

წაღვერიდან გამოგზავნილ ერთ წერილში ლადო ანიკოს სწერდა: „დავდივარ მარტოდმარტო ნაძვნარში, მაგონდება ჰაინეს

---

[1] ნ.დუმბაძე, შ.ქურიძე, ლადო ასათიანი, ყმაწვილკაცობის ფურცლები, ბათუმი, 1977 წ. გვ. 5

[2] შ.ქურიძე, ჭაბუკი იყო, ქარბუქი იყო, ბათუმი, 1985 წ., გვ. 112

[3] ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 312

ნაძვი, ხომ გაგიგონია ჰაინრიხ ჰაინეს ნაძვი, სამხრეთზე რომ ოცნებობს, ამ ნაძვს ვგავარ ახლა მე. დავდივარ და ვფიქრობ საქართველოზე ჩემს ულამაზეს სამშობლოზე და შენზე, ერთადერთ ქალზე, რომელმაც მიუხედავად სხვათა და სხვათა, მომაჯადოვა, ჯადო გამიკეთა.“[1]

ლადო ასათიანმა თავისი უმწიკვლო და ულამაზესი გრძნობებით სავსე სტრიქონები უძღვნა მას:

„მე ვეტრფი მხოლოდ შენს ლამაზ თვალებს
და სურნელებას შენი ტანისას,
გაშლილო მზეო, გავსილო მთვარევ,
ღაჟღაჟა ვარდო წინანდალისა,
მე ვეტრფი მხოლოდ შენს ლამაზ თვალებს
და სურნელებას შენი ტანისას.“

/„ა.ვ.“/

„დიახ, ცხოვრების ნახევარი ადამიანისათვის დაფარული რჩება, თუ მას ვნებიანი სიყვარულით არ ჰყვარებია“ (სტენდალი).

ლადო ასათიანის სატრფიალო ლირიკის უმშვენიერესი ნიმუშებია: „ნუ მათქმევინებ“, „ალბომიდან“, „იმ სილამაზეს წარსულს“, „რად გაიფურჩქნე წინანდლის ვარდო“ (ციკლიდან „ოთხი უსათაურო“), „სპარსელ ასულს“, „ანდერძი“, „გიმზერ და მჯერა“, „ანიკო ვაჩნაძეს“, „გზაში“, „აბასთუმანში პატარა გალია“ და სხვ.

სატრფო, მისი ლექსების ლირიკული გმირი, არა მხოლოდ მძაფრი სიყვარულის განცდის იდეალური სახეა, არამედ მთელი სამყაროს განცდათა წარმოსახვა. პოეტის შემეცნებაში ქალი შენივთებულია სამშობლოსთან, ყოველივე ეს პოეტში შემოდის არა ხელოვნურად, ძალდატანებით, არამედ პოეტური სამყაროს რეალური აღქმით. ერთი სიტყვით, ლადო ასათიანისათვის ქალის სახე შერწყმულია სამშობლოს, ხელოვნების, ბუნების სიყვარულთან:

„მე შენ მიყვარხარ და საქართველო,
უთქვენოდ, აბა, რამ გამახაროს...
მე ვეტრფი მეტად რუსთველის სახელს,
ვით საქართველოს სინდისს და ნამუსს...
ქართულ ჩონგურს და ქართულ სალამურს,

[1] ლ.ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 310

თბილისის ცას და თბილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას."

/„ა.ვ"/

პოეტს სწამს, რომ სიყვარულია პოეზიის სათავე, რომელსაც გაფრთხილება და თაყვანისცემა უნდა მოკვდავთაგან, რადგან ეს ძალა შეგაცნობინებს სიცოცხლისა და ბედნიერების სიტკბოებას. სიყვარულით ნასწავლი გულთა თანაზიარობა და ამ გრძნობისაგან გამოწვეული ჭრილობა ყველაზე მეტად ძვირფასია ლირიკული გმირისათვის:

„მე დაჭრილი ვარ უიარაღოდ,
მე შენს სიყვარულს ვერ გაექეცი,
ვერ იტყვი ჩემზე, გული არ აქვსო,
მე გული მჭონდა და შენ მოგეცი."

/„ა.ვ."/

ლადო ასათიანის სატრფიალო ლირიკის ზემოქმედების ველი ქართველი მკითხველისათვის ძალიან გაფართოვდა: ლექსების უმრავლესობა კონკრეტულ ადრესატსა და გარემოს გულისხმობდა, მაგრამ სამიჯნურო ლექსების აბსტრაჰირებული მხატვრული სახეები კარგა ხანია განზოგადდა და, საერთოდ, ქართული გულისა და ქართული სიყვარულის ფორმაციებად იქცა. „ნაწარმოების ზემოქმედების „პროგრამა"აშკარად უფრო ვიწროა მისი აღქმის პოტენციალზე, რომლის გახსნაში მონაწილეობს მრავალსახოვანი და მოულოდნელი რეალური მკითხველი - „ყველა უცნობი მეგობარი" (ტოლსტოის საყვარელი გამოთქმით): როგორც თანამედროვენი, ისე შთამომავალნი. ნაწარმოები კი იქმნება *ახლა* და *აქ* და ორიენტირებულია მკითხველზე, რომელსაც მისი გაგების უნარი აქვს."[1]

ლექსში „ალბომიდან" ლადო ასათიანი, არსებითად, ღრმად ადამიანური, რომანტიკული სიყვარულის მქადაგებლად მოგვევლინა. მოულოდნელი მხატვრულ-სახეობრივი აზროვნებით გვაოცებს ლადო ასათიანის ფიქრების კონკრეტიზაცია, რომელსაც მატერიალური ძალა შემატებია და სატრფოს ჯებირად აღმართვია:

„ვაი, სად გნახო, საით იქნები,

---

[1] Л.В.Чернец, Адресат, В кн.: "Введение в литературоведение", М., 1999, с. 27

ვიცი, გარბიხარ და მემალები.
შენ დაგეძებენ ჩემი ფიქრები
და ამღვრეული ჩემი თვალები,
ჩემს სიყვარულში დაგაჯერებენ,
შემოგხვდებიან ჩემი ფიქრები
და ჩემს მაგივრად გაგაჩერებენ."

/„ალბომიდან"/

ლადო ასათიანს აქვს ერთი მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი ლექსი („თავადის ქალს"), რომელშიც სატრფოს ხატი იქმნება და იხატება არაპირდაპირი გზით, ზოგადი წარმოსახვით. პოეტი ლირიკულ გმირს არწმუნებს, რომ სამყაროს შეცნობა, მისი შეფასება შეუძლებელია სიყვარულის გარეშე:

„თავადის ქალო, სიზმარია ჩვენი ცხოვრება,
ჩვენ კი - ღამეში მოცახცახე შავი ლანდები,
გავჩნდებით ერთხელ, ეს ქვეყანა გვეუცხოება
და ხელმეორედ სიყვარულში დავიბადებით".

/„თავადის ქალს"/

პოეტის სიყვარული არ შეიძლება მისუსტდეს, მინაელდეს და მიიცვალოს. ის მკვდრეთითაც აღსდგება და სიყვარულში ხელმეორედ დაიბადება:

„მეც ხელმეორედ დავიბადე შენს სიყვარულში,
ლოთი, ოხერი, უგზო-უკვლო, ვინმე ყარიბი,
ტრფობის ალმური უჩვეულოდ ალმინთე გულში
და სიყვარულით მოწამლული დავიარები".

/„თავადის ქალს"/

ლადო ასათიანის სატრფიალო ლირიკაში შეიძლება განსაკუთრებული ადგილი მივუჩინოთ ლექსს „სპარსელ ასულს". სპარსელ ქალში პოეტი ფერეიდნელს გულისხმობს: „ვინ მოგასწავლა ანთებულ გულთან, ფერეიდნელო ალმასის თვალო?" - ეკითხება პოეტი სპარსელ ასულს.

ფერეიდანი ხომ ქართველი კაცის მოურჩენელი ტკივილია. ლადოსაც სტკიოდა ეს სატკივარი, ამიტომაც მის შემოქმედებაში ფერეიდანის თემამ რამდენჯერმე გაიჟღერა.

„ახლა ერთია ჩემი სურვილი:
თან წამიყვანე მგზავრი გვიანი,

გახელებული ტრფობის წყურვილით,
შენზე ოცნებით კაეშნიანი“.

/„სპარსელ ასულს“/

ლადო ასათიანს გრძნობებით, განცდებით შევყავართ ჩვენთვის უცნობ გარემოში, იმ გარემოში, რომელიც ლირიკოსმა იგრძნო, შემდეგ კი გარე სამყარო, მთელი სინამდვილე მისი მეშვეობით ჩვენც განვიცადეთ.

ლადო ასათიანი ლექსში „იმ სილამაზეს წარსულს“ წერს:

„სხვა რამ შაირის გარდა,
როგორ გაკადრო, აბა?
რარიგ გიხდება და გრთავს
ეს შინდისფერი კაბა!
ხედავ? ზამთარი ქრება,
ყვავილებს გაშლის ნუში;
ყველგან ხალისი... სევდა -
მხოლოდ პოეტის გულში...“

ლადო ასათიანმა გრძნობადი წარმოდგენებით, ასოციაციებით გააერთიანა საგანთა თვისებები და მხატვრული აქცენტი გადაიტანა ძირითადზე - სიყვარულის საგანზე. „შინდისფერკაბიანმა“ გოგონამ პოეტს ზამთარში („ხედავ? ზამთარი ქრება“) გაზაფხული მოაგონა, როდესაც მიძინებული ბუნება გამოიღვიძებს, „ყვავილებს გაშლის ნუში“.

„ლადო ასათიანის ლექსების კითხვის დროს, გრძნობთ, რომ მას შეეძლო უსაზღვრო სიყვარული და უზადო ერთგულება. პოეტისათვის სატრფო სიცოცხლეა, მარადიული ბედნიერება, რომელსაც იგი სიცხიანი ხელებით ეფერება. რაც არ უნდა დიდი შეტევა განეცადა ავადმყოფობისა, მის გულში ყოველთვის რჩებოდა ადგილი სიყვარულისათვის, სატრფოსათვის, რომლის ჩაუმქრალი ცეცხლიც აბასთუმნის თვალუწვდენელ ნაძვნარებს უნათებდა მას. პოეტი გულისტკივილით მიმართავდა საშინელ სენს: „ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე,/ პირს მარიდებენ ქალიშვილები“.[1]

ავადმყოფობით დაუძლურებულ, ლოგინში მწოლიარე პოეტს მაინც შეეძლო სიყვარულისათვის ემღერა, სიყვარული ხანძრად

---

[1] თ.ჭილაძე. ოთხი პოეტი, ჟურნ. „მნათობი“, 1956 წ., № 4, გვ. 128

წარმოედგინა და სიცოცხლის ბოლომდე ამ გრძნობის დამფასებელი ყოფილიყო:

„პატარა სახლიდან შარაგზის პირამდე,
უეცრად იფეთქებს ნაძვნარი;
ეს - იგი გამოჩნდა და ბილიკს მინათებს
მისი ნაწნავების ხანძარი.“

/„აბასთუმანში პატარა გალია“/

ლადო ასათიანმა ამ შემთხვევაშიც შექმნა მხატვრული გამომსახველობის საკუთარი, ინდივიდუალური ფორმა.

ცნობილია, რომ „ხელოვანი კაცის ჭეშმარიტი ბედნიერება მის მიერ შექმნილი ნაწარმოების სიცოცხლის განცდაა, სიცოცხლისა, რომელიც აუდიტორიის პოეტურ რეაქციაში ცხადდება და დასტურდება. ამიტომაა, რომ ხელოვანი მოუთმენლად ელის გამოძახილსა და გამოხმაურებას, და ჭეშმარიტად ბედნიერია... პოეტი, როცა ლექსის კითხვისას მსმენელთა თვალებში ამ ლექსის უკუფენილ შუქს წააწყდება.“[1]

ასეთი განცდა ლადო ასათიანს ცხოვრებაში არ დაუფლებია, რადგანაც იგი ჩვენგან ძალიან ადრე წავიდა.

ლადო ასათიანის პოეტურ გზნებას ხშირად აღძრავდა ეროვნული კულტურის მოღვაწეთა საქმეებისა და სახელების გახსენება, მათი არსებობით გამოწვეული სიამაყის გრძნობა კვებავდა პოეტის შთაგონებას, ამიტომაც მისი ლირიკა მდიდარია მიძღვნითი ხასიათის ლექსებით.

ლადო ასათიანის მიძღვნითი ხასიათის ლექსებს განეკუთვნება: „ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი“, „გურამიშვილის ჩივილი“, „ილიასადმი“, „ეძახის“; „გალაკტიონს“, „სიზმარი“ (ბალადა ვანო სარაჯიშვილზე), „ვერიკო ანჯაფარიძეს“, „მანანა ორბელიანის სურათზე“, „ივანე ჯავახიშვილისადმი“, „ვაჟა-ფშაველას ნაამბობი“ და ა.შ. ასევე რამდენიმე ლექსი, რომელიც ნიკო ფიროსმანიშვილს ეძღვნება.

---

[1] ზ.კაკაბაძე, ხელოვნება , ფილოსოფია, ცხოვრება, თბ., 1979 წ., გვ. 63

ლადო ასათიანის მიერ ამ სახელოვან ადამიანთა სახეების ხედვა თავისებური და ორიგინალურია. ერის გამოჩენილ მოღვაწეთა დაფასებისას ლადო ასათიანი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მათ საკაცობრიო მნიშვნელობას, მათი აზრებისა და იდეების სიძლიერეს.

რთული, დრამატიზმით აღსავსე სინამდვილე გადაიხსნება ლექსში „გურამიშვილის ჩივილი“.

მკითხველის წარმოსახვაში ცოცხლდება სამშობლოდან გატაცებული, ტრაგიკული პათოსითა და ნაღველით მოცული გურამიშვილის სახე, რომელიც ნაწამები სხეულის უცხო მიწაში ჩასვენების წინ ჩივის:

„დავჭკნები, როგორც დაჭკნა სუმბული,
ხევის ყვავილი მზისკენ მზირალი
და ვახტანგივით სადღაც ჩავკვდები
ჩემთა მკვიდრთაგან დაუტირალი...“

დავით გურამიშვილის სუმბულთან შედარება წარმატებული პოეტური რემინისცენციაა: ნიკ. ბარათაშვილის „სუმბულისა და მწირის“ პერსონაჟი ყვავილივით ნაზი და მტკიცეა, „მერანის“ მხედარივით თავგანწირულია დ.გურამიშვილის სულიც, რომელიც ასე უყვარს ქართველ ერს.

შემთხვევითი არ არის, რომ ლადო ასათიანი დიდი სიყვარულით ხატავს ნ.ბარათაშვილის სახეს. ლექსის ყოველ სტრიქონში ჩაქსოვილია უდიდესი სიყვარული და მოკრძალება დიდი პოეტისადმი. ნ.ბარათაშვილს „ლექსის უნარის“ შთამაგონებელს უწოდებს: „შენი სტრიქონი, საკაძის ხმალივით ბასრი,
წელთა ქროლვაში არასოდეს დაიჟანგება,
საუკუნეებს გააღვიძებს მარადი აზრი,
გადაქცეული პოეზიის უკვდავ ჰანგებად.“

„საუკუნე აშორებდათ ერთმანეთს. ორივე 17 წელს დაიბადა. ერთი XIX საუკუნეში, მეორე XX-ში. ორივემ ცოტა ხანს იცოცხლა, ერთმა 27 წელი, მეორემ - 26. მაგრამ ორივემ ამ მცირე დროში ბევრის გაკეთება მოასწრო. ბარათაშვილის ხატება სიცოცხლის თანამგზავრად დაჰყვებოდა „შენ შთამაგონე პოეზია, ლექსის უნარი...“ კარგად გრძნობდა ბარათაშვილის სიდიადეს: „შე-

ნი სტრიქონი სააკაძის ხმალივით ბასრი, წელთა ქროლვაში არასოდეს დაიჟანგება“.[1]

ილია ჭავჭავაძის სახე ლადო ასათიანმა უკვდავყო თავის პოეზიაში ლექსებით: „ილიასადმი“ და „ეძახის“ (რომელიც ილიას ხსოვნას ეძღვნება).

ლექსი „ილიასადმი“ დაწერილია 1936 წელს. ამ ლექსის შესახებ დ.ბრეგაძე იგონებს: „მახსოვს, ილიას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, რომელიც მაშინ ძველი სასამართლოს შენობაში იყო მოთავსებული. როდესაც სცენაზე მხარაწეული, წარმოსადეგი ლადო ასათიანი გამოჩნდა, ტაშის გრიალმა დარბაზის კედლები შეაზანზარა. უკვე იცოდა ახალგაზრდობამ, რომ მათ წინაშე მართალი, ნამდვილი პოეტი გამოდიოდა და თავისი აღტაცება ტაშით გამოხატა.

დინჯად დაიწყო ლადომ:

„საგურამოში ხე არის ერთი,
ხე-რხეული და რტოებხნიერი,
აქ ისვენებდა მუზების ღმერთი
და შუბლმაღალი ოლიმპიელი.“

თანდათან აუწია ხმას. შიგადაშიგ სტროფებს რეფრენი ამშვენებდა: „ჰე... რა საამო მოსაგონია საგურამოში დიდი კაკლის ხე“ და ბოლო სტროფი ტაშის გრიალში წაიკითხა.“[2]

„მისი სიმღერა თერგივით რბოდა,
და ელტვის ახლა ქვეყნად გმირს გმირი:
წარსულმა დაწნა მისი გოლგოთა,
აწმყომ დაუწნა დაფნის გვირგვინი.“

ლადო ასათიანი ილია ჭავჭავაძეს უწოდებს „მუზების ღმერთს“ და „შუბლმაღალ ოლიმპიელს“, რომელმაც „მოსტაცა დიდი სინათლე დღეს და პრომეთეს ცეცხლი მისცა უკუნეთს.“

ლექსში „ეძახის“ მთაწმინდიდან წამომდგარი ილია ჭავჭავაძე საქართველოს მიწისა და ცის გასაგონად იძახის“:

„ქართლის ველებო, მთათა ჩრდილებო,

---

[1] აკ.ხინთიბიძე, რითმა ლამაზი ოქროს ფასია, ჟურნ. „მნათობი“, 2002 წ., № 11-12, გვ. 97

[2] დ.ბრეგაძე, მოსაგონარი, წიგნიდან - „ასე იტყვიან ჩემზე“, 1987 წ., გვ. 46

მოგვშუშებია ჭრილობა ძველი,
გული გახსენით ჩემო გმირებო,
აყვავებულა სამშობლო ჩვენი!“

ლადო ასათიანმა ქართულ პოეზიაში პირველად გააცოცხლა ტერენტი გრანელის სახე. „1939 წლის ზამთარი“, ასე ჰქვია ლადოს ლექსს, რომელიც ტ.გრანელისადმია მიძღვნილი. ლექსის შექმნის ისტორია ასეთია: ერთ ზამთრის პირს, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე თეთრ საყდართან ხის ძირას მხართეძოზე წამოწოლილ ტ.გრანელს შეხვედრია ნ.აგიაშვილი.

ნ.აგიაშვილი იგონებს: „... შეხვედრის ამბავი მოვუყევი ლადო ასათიანს და მირზა გელოვანს... იმ კვირაში ლადო კვლავ ამოვიდა ჩემთან. დაღონებული იყო: საყრადთან გამოვიარე და გზადაგზა ეს ლექსი გამოვთქვიო...

ასეთი ლექსი ჯერ არ დამიწერია, - თითქოს ბოდიშობდა ლადო... მეტისმეტად ნაღელიანია, მაგრამ ეს ხომ ტერენტი გრანელზეა ნათქვამი. ძალიან შემეცოდა, სხვაგვარად დაწერა კი არ შემეძლოო.“[1]

გაუტანელმა დრომ, რომელიც სავსე იყო ღალატით, ვერც სიცოცხლეში და არც შემდეგ დაინდო პოეტის - ტერენტი გრანელის - სახელი:

„თოვს და თოვაში აქ დგახარ მარტო
და ძაღლის ხმაზე გაბმულად ტირი.“

ფერმწერის თვალით ხედავდა, თითქოს, ლადო ტერენტის სახეს, როცა მისი სულიერი მდგომარეობის შესატყვისი აღმოჩნდა ამინდიც - ცივი და გაყინული. თოვს და თოვა სიცივის გრძნობას ამძაფრებს:

„თოვს და თოვაში გიგონებ, ძმაო,
ვინ გაგიყუჩებს წუხილს და ვარამს?
მჭკნარი ფოთოლი დახვალ ამაოდ,
აქამდე არვინ არ შეგიყვარა.“

ლადო ასათიანმა გულისტკივილით, სათუთი სიყვარულის გრძნობით შეთხზა მოსაგონარი დიდი პოეტისადმი, შეგვაცნობინა ამაღლებული ტკივილების სიდიადე და, უდავოა, ამ სტრიქონებმაც

---

[1] ნ.აგიაშვილი, ჰაპუკები დარჩნენ მარად, თბ., 1980 წ., გვ. 243-244.

შეუწყო ხელი ტერენტი გრანელის დაბრუნებას ჩვენს მწერლობაში:

„ათოვს თბილისს და თბილისის ღამეს,
გათეთრებულა საყდარი ჯავრით,
- აქ უცხოვრია ტერენტი გრანელს! -
იტყვის და მშვიდად ჩაივლის მგზავრი! -

ბრწყინვალე პოეტური სახეა: „გათეთრებულა საყდარი ჯავრით“ გვახსენდება ტერენტი გრანელის უსაზღვრო სიყვარული ეკლესიისადმი, ტანჯული მაცხოვრისადმი, საკუთარი ალტერ ეგოს ძიება ანგელოზის სახეში, და თოვლის ფანტელების სითეთრეში გასპეტაკებული ტაძარი ტერენტი გრანელის სულის ანარეკლად ილანდება.

ლადო ასათიანისათვის გ-ტაბიძე იყო ძვირფასი ხატი, იდეალი და „ლექსის მეორედ მოსვლა“. მას გალაკტიონი მიაჩნდა მეოცე საუკუნის პოეტური სიტყვის მესიად, ეროვნული პოეზიის წინამძღოლად, რომელმაც უმშვენიერესი ქართული სიტყვა არნახული მასშტაბებით დაგვანახა და ახალი განზომილებანი მოუძებნა პოეტურ მეტყველებას:

შენა ხარ ლექსის მეორედ მოსვლა,
და, რომ არ გითხრა, ივარგებს განა?!“

ლადო ასათიანი გალაკტიონის შეგირდად თვლიდა თავს და მართალიც არის, ლადოს შემოქმედებაში შეინიშნება გარკვეული რემინისცენციები გალაკტიონის პოეზიიდან.

ლადო ასათიანმა თავის პოეტურ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა ჩვენი ისტორიოგრაფიის ფუძემდებელს ივანე ჯავახიშვილს:

„როცა წარსულის სიღრმისაკენ ეტრატით ხელში
შებრუნდებოდი და შუქს ჰფენდი, როგორც მთოვარე,
მაგონდებოდა მე მშვენება ვახტანგ მეექვსის,
სამეფო კვერთხით სამეუფო ტახტზე მჯდომარე“ -

კითხულობ ლექსს და თვალწინ გიდგას პორტრეტი დიდი მეცნიერისა, საქართველოს ისტორიის „რჯულმდებლისა“, ლადოს მიერ პოეტური საღებავებით შესრულებული, საოცარი სიზუსტით, შინაგანი ბუნების წვდომით აღქმული და მეტაფორული განზოგადებით დანახული:

„ვით ჯადოკაცი, უხსოვარი დროის უბეში
შეიჭრებოდი, რომ იქიდან გამოგეტანა
პერგამენტივით დახვეული ფიქრის ღრუბელი...“

ლადო ასათიანმა მოწიწებით გაუღო პოეზიის კარი მანანა ორბელიანს, ვერიკო ანჯაფარიძეს და დაგვანახა მათი როლი და ადგილი ეროვნულ კულტურაში.

„შენ, შაოსანო, შავთვალავ, შავ სამარეში გბინავს,
ჯერ კარგად არც კი გამთბარა ჩემი პატარა ცირა,
შენი სახელი დავარქვი, მინდა შენ გგავდეს მარტო,
ერისთვის ქალო, ფიქალო, ადრე დამჭკნარო ვარდო!“ -

ასე მიმართა პოეტმა მანანა ორბელიანს და ადრე გარდასული სილამაზისა და მშვენიერების სევდა განგვაცდევინა.

მხატვრულ სახეთა კეთილხმოვანებისათვის პოეტმა ალიტერაციას მიმართა. „შ“ ასოს ალიტერაცია მხატვრული სიძლიერით მოქმედებს მკითხველზე და ხელს უწყობს პოეტური სახის ესთეტიკურად ათვისებას: შენ, შაოსანო, შავთვალავ... ერთმანეთის მიყოლებით სამი ეპითეტი, ერთი და იმავე ფერის სხვადასხვა ელფერითა და ასპექტით გამოხატვა (შაოსანო, შავთვალავ, შავ) ლადო ასათიანის პოეტური ნიჭის ექსპრესიას და წარმოსახვის უდიდეს უნარს გვიდასტურებს.

პოეტისათვის მანანა ორბელიანი სილამაზის, სიკეთის, სიწმინდის, სიყვარულის განსახიერებაა, სწორედ, ამიტომ შეურჩია მისი სახელი თავის ქალიშვილს. პოეტის ნატვრაა, რომ მისი პატარა მანანა ძვირფასი წინაპარივით მშვენიერი, სათნო, განათლებული გაიზარდოს, და, რაც მთავარია, „სამშობლოსათვის ღელავდეს...“.

პოეტის ოცნება სინამდვილით არის ნასაზრდოები და სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალების ნატვრით ნაკვები:

„მინდა, რომ შენებრ კერავდეს ის საქართველოს ალამს.
პირმოქარგული ბალიშით, ძვლის ყაისნაღით ხელში...
შენსავით გაიშრიალოს, ხმელეთი გადალახოს...
მე კი, თუნდ მიწა მეყაროს სადმე, თბილისის ახლოს.“

აქ კიდევ ერთხელ ალიტერირდება „შ“ ბგერა („შენსავით გაიშრიალოს“), ოღონდ უკვე გაცოცხლებული, ამოძრავებული, რადგან იგი უკვე მომავალს მიემართება.

ლადო ასათიანი დიდი სიყვარულით ხატავს „ანჯაფარიძის ზვიად ქალს“:

„მიხარის, როცა სცენაზე გიმზერ,
ანათებ, როგორც ზღაპრული დალი
და როგორც ნისლი უფსკრულის პირზე
ირხევა შენი ლამაზი ტანი.“

პოეტი ამ უმშვენიერესი ქართველი ქალის სილამაზის ასახვისას გარეგნული ნიშნებით კი არ კმაყოფილდება, არამედ გვანდობს თავის ნატვრასაც:

„მოვმკვდარიყავ და ქართულ ლეჩაქში
მენახა შენი ქართველი დედა.“

ლადო ასათიანმა სიყვარულით აღსავსე სტრიქონები უძღვნა უახლოეს ადამიანებს: პაპას - გუჯუ ასათიანს, მეულლეს - ანიკო ვაჩნაძეს, ქალიშვილ მანანას.

ლადოს გატაცებით ჰყვარებია გუჯუ ბაბუა, რომლისგანაც ისმენდა ხალხურ ზღაპრებსა და წინაპართა გმირულ თავგადასავლებს.

ბაბუა კარგი მოშაირე ყოფილა. თურმე, ლექსებსაც წერდა და ხშირად საკუთარი ლექსებითაც ართობდა შინაურებს. ლადოს ხშირად დაატარებდა სათევზაოდ და სანადიროდ.[1]

ლადომ ბაბუას სახე უკვდავყო ლექსში „ბაბუაჩემი“. ხატავს რა ბაბუას გარეგნულ პორტრეტს „წვერებიანს და ქამარხანჯალ-ყაწიმით“ დამშვენებულს, ამავე დროს, გვაძლევს მისი სულიერი სამყაროს დახასიათებასაც:

„ენამზიანი და ზამთრის გულში
ტკბილი ქართულით მოლაპარაკე,
ჰყვებოდა მშვიდად ბუხრის გუგუნში
საბა-სულხანის იგავ-არაკებს.“

გულის სიღრმემდე გამთბარი ლადო ასათიანის ეს პოეტური სტრიქონები (მიძღვნები) უკვდავყოფენ ქართულ პოეზიაში ამ სახელოვან და ღვაწლმოსილ ადამიანებს.

ქართულ პოეზიაში ფიროსმანის თემა „ცისფერყანწელებმა“ დაამკვიდრეს. „ფიროსმანიშვილს მეორე სიცოცხლე მისმა სათაყვა-

---

[1] შაფხაიძე, ადამიანები და წიგნები, თბ., 1964 წ., გვ. 228

ნებელმა ქართულმა მწერლობამ დაუბრუნა. სწორედ, ქართული მწერლების ჯიუტი მეცადინეობის წყალობით დაიმკვიდრა მან თავისი ღირსეული ადგილი.“[1]

გ.ლეონიძის და ტ.ტაბიძის შემდეგ ლადო ასათიანმა კიდევ უფრო განამტკიცა ნიკო ფიროსმანიშვილის უკვდავება ქართულ ლექსში.

ნიკო ფიროსმანიშვილი (ფიროსმანი) სანამ ცოცხალი იყო, ცოტა ვინმემ თუ იცოდა მისი ქმნილებების ფასი. მისი, როგორც თვითნასწავლი მხატვრის, შემოქმედებაში ძლიერია მიამიტობის, გულუბრყვილობის ელემენტები. განუმეორებელი, თავისთავადი, უტყუარი ფერწერული ნიშნებით ალბეჭდილი მხატვარი იყო და ამიტომაც შექმნა დიდი შინაგანი ძალის მქონე სურათები.

ტრაგიკული იყო მისი ბედი, მარტოსული უკიდურეს სიღატაკეში გარდაიცვალა, საფლავიც კი დაიკარგა.

ნიკო ფიროსმანი „გვეხატება, როგორც გაღვიძებული გოლიათი, რომელმაც იგრძნო მაგიური ძალა საღებავისა, ნიალვარივით გამოხეთქა მასში დაგუბებულმა გენიამ, რომ მადლით და ნიჭის ცეცხლით მოერწყო ჩვენი დროის საქართველოს მხატვრობის ყამირი მიწა.“[2]

ფიროსმანის შესახებ ცნობები შეკრიბა შ.დადიანმა. საინტერესოა ცნობა ფიროსმანიშვილთა გვარის შესახებ:

რას ნიშნავს სიტყვა ფიროსმანი?

აღმოსავლურად „ფირი“ ნიშნავს ხელობას და „მანი“ კიდევ კაცს, ასე რომ ფიროსმანი ხელობის კაცი ყოფილა.[3]

ლადო ასათიანი გატაცებული იყო ამ „უცნაური“ კაცით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პოეტმა ფიროსმანის ფიგურა ქართულ პოეზიაში თავისი საჭრეთლით გამოკვეთა და დიდად შეუწყო ხელი მისი პოპულარობის ახალი, ორიგინალური კუთხით წარმოჩენას.

ნ.აგიაშვილი იგონებს: ლადო ასათიანი მეტეხის მუზეუმში „ფიროსმანის გამოფენას რომ ათვალიერებდა, დარბაზის დატოვება აღარ უნდოდა, დიდხანს იყდა სკამზე მშვიდად, მდუმარედ შეჰყუ-

---

[1] თ.ჭილაძე, ნიკო ფიროსმანიშვილი, ჟურნ. „მნათობი“, 1972 წ., № 10, გვ. 158

[2] ტ.ტაბიძე, წერილები, ნარკვევები, თბ., 1957 წ., გვ. 198

[3] მოგონებანი ფიროსმანზე, თბ., 1986 წ., გვ. 26

რებდა კედლებზე ჩამწკრივებულ სურათებს და მხოლოდ ფართოდ გაღებულ თალებში უკრთოდა გაოცება და სიხარული."[1]

ლადო ასათიანი ფიროსმანის სულიერ სამყაროში ნათესაურს, ნაცნობს და საერთოს პოულობდა, ამიტომაც იყო ასე მახლობელი და საყვარელი მისთვის დიდი მხატვრის სახე.

ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს რ.მარგიანისადმი მიწერილ წერილში: „... ჩემს ცხოვრებასა და ამ უიღბლო კაცის ცხოვრებას შორის მოვნახე რაღაც ნათესაური. მე ფიროსმანის „პრიმიტივი" მესმის, როგორც მაღალი ხელოვნება. ყოველი დიდი კულტურული პოეტი ასე რომ აკეთებდეს (ეს ტერმინი ფიროსმანს არ უხდება, მაგრამ არაფერია!) ლექსებს, როგორც ფიროსმანი თავის სურათებს, რაღა გვიჭირდა მაშინ! ფიროსმანის უზრუნველობა მინატრია მე ჩემი ლექსებისათვის, კაცს ფეხზე ჰკიდია ყველაფერი - ხატავს, მორჩა და გათავდა, რამდენი „კულტურული" მხატვარი ინატრებდა მის სურათებს.

ვიმეორებ, ყოველი ჭეშმარიტი პოეტი ისე უნდა წერდეს ლექსს, როგორც ნიკო ფიროსმანი წერს თავის სურათებს. თუმცა ფიროსმანი ნასწავლი მხატვარი არ იყო, მაგრამ ნიჭმა გადაწყვიტა ყველაფერი. ნიჭი ქმნის კულტურას, რა თქმა უნდა, უდიდესი ბედნიერებაა, როცა კულტურული პოეტიც ხარ, ნიჭიერიც და ფიროსმანის სურათების გვარად უბრალო და ცოცხალ ლექსებს ქმნი."[2]

ლადო ასათიანმა სამი ფრიად გახმაურებული ლექსი უძღვნა ნიკო ფიროსმანს: „ფიროსმანის დუქანი"; „ფიროსმანის მეგობრებთან", „არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა", ხოლო რამდენიმე ლექსში ფიროსმანის იდუმალებით მოცულმა სახემ მიმზიდველად გაიელვა.

სიყვარულის მფეთქავი ცეცხლით ანთებული პოეტი ჩვეული გზნებით გვიხატავს ფიროსმანის ზუსტ პორტრეტს, მის კოლორიტულ ფიგურას.

ლადო ასათიანის ლექსში „თავადის ქალს" პირველად ჩნდება ნიკო ფიროსმანის სახე. იგი დაწერილია 1938 წელს. დედასთან

---

[1] ნ.აგიაშვილი, პირად-პირადი, თბ., 1986 წ., გვ. 260

[2] ციტირებულია ნ.ცხვედიანის წერილიდან, ლადო ასათიანი და ნიკო ფიროსმანი, ჟურნ. „ცისკარი", 1992 წ., № 12, გვ. 159

დავარცხნილი თმით. საშუალო წვერი და ქვევით დაშვებული ულვაშები ჰქონდა, ფერმკრთალსა და მოტეხილ სახეს კულტურული კაცის სირბილისა და სიწყნარის იერი ეფინა, ეცვა ნაცრისფერი პიჯაკი და ჭუჭყიანი, საღებავებით მოთხუპნილი შარვალი."[1]

ლადო ასათიანმა უტყუარი ფერებით გამოძერწა მხატვრის კოლორიტული ფიგურა, მისი პორტრეტი: „ჩამოხეული", „ტანმაღალი", "მარად ხიზანი", „მარტოსული", „თვითრჯული", „ლოთი მხატვარი", „არც კოხტა", „არც ართვალი" - აი ის ეპითეტები, რომლითაც წარმოგვიდგება გენიალური მხატვარი.

ცნობილია, რომ ფიროსმანს ყოველთვის არ ჰქონდა საღებავები, ზეთი, მუმია, მაგრამ ყოველთვის ჰქონდა ნახშირი, რომელიც ჯიბეში ეყარა და, რაც მთავარია, ჰქონდა დიდი ნიჭი, „რაღაც ჯადო-თილისმა".

„თვითრჯული იყო, აუმღვრია სისხლი თბილისმა,
სულ მარტო იყო, მარტო სვამდა, მარტო გათავდა.
ფუნჯის მოსმის დროს ჰქონდა რაღაც ჯადო-თილისმა,
არაყს დალევდა და ქვეყანას დაგიხატავდა."

გ.ლეონიძის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ნ.ფიროსმანი ყოფილა ამაყი, გაუტეხელი, მაგრამ ამავე დროს, მოხათრებული: „... გაუტეხელი და ამაყი ნიკალა, მხოლოდ ბოლო დღეებში მიხვდა, რომ უსიხარულოდ თავდებოდა მისი ტანჯული სიცოცხლე... ამაყი, მოხათრებული ის არ მიიღებდა არც ფულს, არც შეგზავნილ კერძს... ნიკალას ყოველთვის ამაყად ეჭირა თავი პირადი ღირსების შეგნებით. ხათრიანი და შემბრალებელი ყოფილა."[2]

კ. ზდანევიჩის მოგონებიდან: „ნიკო იყო ამაყი და დამოუკიდებელი ადამინი. ტყუილად კი არ შეარქვეს ხუმრობით „გრაფი". იგი არასდროს არ მიუჯდებოდა უცხო სუფრას, ძნელი იყო მისი დაპატიჟებაც."[3]

ახლა კი ლადოს მოვუსმინოთ:

„არც კოხტა იყო საცოდავი და არც ართვალი,
ამაყი იყო, ჩვენ მორჩილად ვიდექით მასთან,

---

[1] მოგონებანი ფიროსმანზე, თბ., 1986 წ., გვ. 50

[2] გ.ლეონიძე, ცხოვრება ფიროსმანისა (დღიურიდან), ჟურნ. „მნათობი", 1938 წ., № 6, გვ.176-178

[3] მოგონებანი ფიროსმანზე, თბ., 1986 წ., გვ. 28

ეჰ, ახლა გახდა ნიკალაი დიდი მხატვარი,
უფასოდ გაქრა, უფასოდ და ახლა დაფასდა."

მართალია, დაუფასებლად წავიდა ფიროსმანი ამ ცხოვრებიდან, მაგრამ დარჩა მისი დიდი შემოქმედება, გენიალური მხატვრის ხელოვნება:

„დგას ფიროსმანის მოხატული თბილის-ქალაქი -,
ეს პოეზიის უწმინდესი ადგილის დედა!"

ლადო ასათიანმა მხატვრისადმი დიდი სიყვარული და თავყვანისცემა ასე გამოხატა:

„მთვარეულივით დავემხობი თბილისის მიწას
და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვკოცნი."

ლექსი „ფიროსმანის დუქანი" გაბმული სიმია პოეტის შინაგანი აღტაცების ცეცხლსა და მხატვრის უკვდავებას შორის.

„ნიკოს ტფილისში გაჩაღებული საბაყლო დუქანი ჰქონია შუაბაზარში, მაგრამ, ამხანაგების ვერაგული ღალატის გამო, საბაყლოს უზარალია და ნიკოს იგი მიუკეტნია. ამ გარემოებას ნიკოზე ცუდად უმოქმედია, ამის გამო ნიკოს უზომო სმა, ქეიფი და დროსტარება დაუწყია, თუმცა თავის საყვარელ მხატვრობას არ ღალატობდა, ყალამს ხელიდან არ აგდებდა."[1]

ლადო ასათიანმა ეს ლექსად გადმოგვცა („ფიროსმანის დუქანი"):

„მე მიყვარს შენი გრილი დუქანი,
შენი სიფათი და მარიფათი,
თვალები ცეცხლით განაშუქარი
და წელზე ვერცხლის ქამარი ფართე."

ლადო ასათიანის ფიროსმანისადმი მიძღვნილ ლექსებში იხატება პორტრეტი ხელოვანისა, რომლის გენია ტანჯვამ გააძმაფრა და სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნად აქცია ყოველი მისი ქმნილება. ტრაგიკული სიცოცხლის ბედნიერი, ლამაზი ფერებით, სიმშვიდითა და უბრალოებით წარმოსახვა აერთიანებს ამ ორი დიდი შემოქმედის მხატვრულ ნააზრევს:

„მოვდივარ შენთან, ჩემო ძმაკაცო,

---

[1] გ.ლეონიძე, ცხოვრება ფიროსმანისა (დღიურიდან), ჟურნ. „მნათობი", 1938 წ., № 6, გვ. 189

სხვა მეგობარი ქვეყნად ნუ გინდა.“

თბილისში ლადო ასათიანი ერთ დროს ფიროსმანის ქუჩაზე ცხოვრობდა - პოეტი წარმოსახვით ხვდება ყოველ დილით ნიკალას:

„მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას.“

ეს შეხვედრა ნიკო ფიროსმანთან ლადო ასათიანისათვის, დიდ მხატვართან ყოველდღიური, მჭიდრო სულიერი კაეშნის აღიარებაა.

ლადო ასათიანმა თავისი კვალი დატოვა ქართულ საბავშვო მწერლობაში.

ლადო ასათიანის „უბის წიგნაკში“ არის ასეთი ჩანაწერი: „იაკინთამ რა ჰქმნა?!“ პირველი მოთხრობა იყო რომ ვიტირე. მერე „მაგდანას ლურჯა“ და „ქაჯანა“, შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა თავგადასავალი მატირებდა“. [1]

ლადო ასათიანმა კარგად იცოდა, რომ საბავშვო წიგნის გარეშე დავიწროვდებოდა ბავშვების ინტერესთა სფერო, გონებრივი ჰორიზონტი, სილამაზის შეგრძნება და გემოვნების განვითარება. ამიტომაც ნატრობდა: „მინდა მქონდეს საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის... ისე, დიკენსმა რომ დაწერა და შეადგინა.“ [2]

ლადო ცდილობდა, შესწეოდა საყმაწვილო ლიტერატურას, გაემდიდრებინა, აემაღლებინა მწერლობის ეს ფრიად უსაჭიროესი უბანი. ადრიდანვე გრძნობდა შინაგან მოთხოვნილებას, გასაუბრებოდა პატარებს, გამოენახა მათთან დამაკავშირებელი, უხილავი სულიერი ძაფები. მის „უბის წიგნაკში“ ასეთი ჩანაწერიცაა: „როგორი იქნებოდა გალექსილი „ასფურცელა“ და „ირმისა“ - ორი საუკეთესო ზღაპარი.“ [3]

20-იან წლებში ი.გრიშაშვილი აფრთხილებდა თანამოკალმეებს: „საბავშვო მწერლობა „ფრიად რთული საქმეა. შემოქმედისათვის სულის მოძრაობის გამოხატვა, საკუთარ სულის განცდებში ჩახედვა და ამ განცდების ცხადყოფა უფრო ადვილი საქმეა, ვინემ ბავშვის სულის მოძრაობის მხატვრულად გადმოცემა..“ [4]

---

[1] ლასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979 წ., გვ. 273
[2] იქვე, გვ. 274
[3] იქვე, გვ. 277

ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ პოეტის ლირიკული ავტოპორტრეტიც „ბავშვურ ხედვას“ ეყრდნობოდა:

„ასე მგონია, მეც ბავშვი ვარ და
ბაგეზე ბავშვის ღიმილი მშვენის.“

/„სიმღერა“/

ლადო ასათიანი საბავშვო ლექსით - „ჩვენ კვლავ მოვედით“ - გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ლექსი 1935 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „სტალინელში“ (15, IX, № 212):

„ჩვენ კვლავ მოვედით - მტკიცე თაობა,
ასე მწყობრი და ასე ულევი...
მოგვაქვს რწმენა და გამბედაობა,
მოვდივართ რიგი ასეულების...“

ლადოს პირველი ლექსი კატრენით (აბაბ) და შედგენილი რითმით (მტკიცე თაობა - გამბედაობა; ასე ულევი ასეულების; და გვიხარია - შლეგი ქარია; სკოლის კარები - ნიაღვარები) სისადავით იქცევს ყურადღებას. 30-იანი წლების საბჭოთა ქვეყნის ჰეროიკულ პათოსთან ერთად, შაბლონსა და ტრაფარეტთან ერთად, ლექსში იგრძნობა სიხარული ახალი თაობის შემართების გამო.

ერთი შეხედვით, მოულოდნელია ამგვარი „გატაცება“ საბჭოთა სინამდვილით 30-იანი წლების რეპრესიებით დაღდასმული ლადო ასათიანის შემოქმედებაში. „საბჭოეთის მიწის ერთგულების ფიცის“ სიტყვები დიამეტრულად ეწინააღმდეგება „სალაღობოს“ ეროვნულ მუხტს. ეს გაორება, ეს კომპრომისი 30-იანი წლების საქართველოს სასტიკი რეპრესიებისა და იდეოლოგიური წნეხის ვითარებაში, გარდაუვალი იყო ლიტერატურულ ასპარეზზე დასამკვიდრებლად.

ეს გაორება, თამაშისა და ნიღბის ხერხი პოეზიაში არასოდებს ყოფილა უცხო და, ბუნებრივია, ვერც ლადო ასათიანი იტყოდა უარს პოეტურ თვითდამკვიდრებაზე, რომელიც ბედისწერისა თუ განგების წყალობით, სწორედ 30-იანი წლების საქართველოში უნდა მომხდარიყო.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ „საბჭოთა სამშობლოსადმი“ ერთგულების აღთქმა ნაკლებად თვალშისაცემია ლადო ასათიანის პოეზიაში, გამონაკლისი ამ მხრივ უფრო პოეტის საბავშვო ლექსებია: იქნებ პოეტს უნდოდა იმის მინიშნება, რომ ბავშვე-

ბი თუ დაიჯერებდნენ ხალასად და გულწრფელად „ბოროტების იმპერიის“ სიკეთეს, თორემ ზრდასრული ადამიანის დარწმუნება ამ მხრივ სასაცილო იქნებოდა.

ლადო ასათიანის საბავშვო ლექსების ლირიკული გმირები საბჭოთა საქართველოში ცხოვრობდნენ და, სამწუხაროდ, პოეტი რეალურად მათ სხვაგვარ სამშობლოს ვერ აჩუქებდა, მერე კი, როცა გაიზრდებოდნენ, კარგისა და ავის გარჩევას შეძლებდნენ, ნიღაბს მოირგებდნენ და დაკარგული საქართველოს ძიებას დაიწყებდნენ, ლადო ასათიანი ისეთ ლექსებს დაახვედრებდა, რომ პოეტს არ შერცხვებოდა „წარსული შეცდომებისა.“

ბავშვის ბუნებისა და მისი ლექსიკის უტყუარი ცოდნა პოეტის მრავალ ლექსში ცნაურდება.

ბავშვების დიდბუნებოვან სიყვარულთან ერთად, ლადო ასათიანი დაჯილდოებული იყო შესაშური უნარით - ღრმად ჩასწვდომოდა ბავშვის სულიერ სამყაროს. დიდი მწერლისათვის დამახასიათებელი გულთამხილაობით ახერხებდა ზუსტად გარკვეულიყო ბავშვების გულისნადებში, გამოეცნო მათი მისწრაფებანი, სურვილები, ინტერესები და ხასიათი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვების ბუნების ღრმად გაგების უნარი აძლიერებდა ბავშვებისადმი მგოსნის სიყვარულს ისე, როგორც, თავის მხრივ, ეს სიყვარული აღრმავებდა, ამაბვილებდა ლადოს ინტერესს ბავშვების სულიერი სამყაროს შესწავლისადმი.

ი.გოგებაშვილი წერს: „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდო ნაწარმოებებით, საყმაწვილო ლიტერატურით.“ [1]

ლადო ასათიანის საბავშვო ლექსები: „ჩვენ კვლავ მოვედით“, „პირველი დღე სკოლაში“, „შემოდგომა“, „სიმღერა“, „მზიას ბანაკში მიუხარია“, „საუბარი წითელ ყელსახვევზე“, „ერთის თავგადასავალი“, „გაზაფხულდა“, „ნორჩი ფიზკულტურელების სიმღერა“, „ლალის მამალი“ სოციალისტური რეალიზმის სულისკვეთე-

[1] ი.გოგებაშვილი, თხზ., ტ.2, თბ., გვ. 1945 წ., გვ. 10

ბითაა გამსჭვალული. მასში 30-იანი წლების საქართველოს ბავშვების ცხოვრების წესი იკითხება. პოეტი იმდროინდელი მორალურ-ზნეობრივი და ეთიკური ნორმების ერთობლიობის ფონზე ქმნის ემოციური მუხტით გაჯერებულ თავის საბავშვო ლექსებს, როდესაც ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი სქემატური ცნებები კი არ იყო ერის მომავლისა, არამედ ერთადერთი და რკინის კანონით განმტკიცებული საფეხურები „მომავლის ადამიანის", „საბჭოთა მოქალაქის" ჩამოსაყალიბებლად. პოეტსაც გულწრფელად სურდა, ამ ყალიბში მოქცეული ბავშვი პატიოსანი, ზრდილი და განათლებული პიროვნება გამხდარიყო:

„და ყელსაბვევს რომ იკეთებ,
ეს რას ნიშნავს, იცი?
შენ საქვეყნოდ დაგიდგია
შეურყევი ფიცი,
რომ ბოლომდე ერთგული სარ
საბჭოეთის მიწის".

„ბავშვს თავისი საკუთარი ფიქრები, საგნის საკუთარი ხედვა და ცხოვრების შეგრძნების საკუთარი მანერა აქვს. ამიტომ ნაწარმოები, რომელშიც გადაჭარბებულად არის წარმოდგენილი ბავშვის შეგრძნებისა და ხედვის უნარი, ყალბია. ამგვარი თხზულება ზემოქმედებას ვერ მოახდენს პატარა მკითხველის სულიერ ჩამოყალიბებაზე. ბავშვს ნაწარმოები სამსახურს მხოლოდ მაშინ გაუწევს, როცა იგი შექმნილია ბავშვის ცხოვრების მიხედვით და დამრიგებლობით, ცნებებით კი არა, მისი ასაკისთვის დამაჯერებელი მხატვრული სახეებით და სიტუაციებით აჩვევს მათ კარგ ქცევებს."[1]

ლადო ასათიანი თავის საყმაწვილო ლექსებში ეხება ბავშვებისათვის საყურადღებო ყველა საკითხს და, რაც მთავარია, მათი გაშუქების დროს უხვად იყენებს ლამაზ პოეტურ თქმებს, ნათელი პოეტური სახეებით უხსნის პატარა მკითხველს, რომ სწავლა და შრომა ანიჭებს ადამიანს ბედნიერებას.

„ბავშვებისათვის რომ შეიქმნას საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებები, - წერს ა.ჩაჩიბაია, - აუცილებელია პოეტის ემოციები ორგანულად შეეთავსოს ბავშვის ემოციებს; მათი ერთიანობა მხატ-

[1] ვ.ჯიბუტი, ნორჩი თაობის მეგობრები, თბ., 1971 წ., გვ. 50-51

ვრულ სახეებში მოცემული, არის ის ურღვევი პრინციპი, რის საფუძველზეც ნაწარმოებში ჩაქსოვილი პოეტის ემოციები თანდათან უნდა დაეუფლოს ბავშვებს, თანდათან უნდა განმტკიცდეს მასში და შეგნებულობის ზრდის პროცესში, მოწიფულობაში, მაღალი გრძნობების განვითარებაში წარმართავდეს ბავშვის სულიერი ძალების აღმავლობას.“[1]

„ზედმეტსიტყვაობა ჰკლავს საბავშვო ნაწარმოებს. სიტყვის მაქსიმალურად მომჭირნეობით განწყობილების გამოხატვა, სურათის გამოძერწვა ოსტატობის სასინჯი ქვაა.“[2]

ლადო ასათიანის საბავშვო ლექსის ფორმა, პირველ ყოვლისა, აზრის სიცხადეს, რიტმის თავისუფალ მდინარებას და, რაც მთავარია, მეტად მგრძნობიარე შინაგან მუსიკალურ ჟღერადობას ემყარება. საბავშვო ლექსებში პოეტი ხშირად მიმართავდა ალიტერაციას, როგორც სიტყვის აზრობრივი და მუსიკალური აქცენტირების ხერხს. ლექსი „პირველი დღე სკოლაში“ ემყარება „თ“-სა და „მ“-ის ალიტერაციას:

„თამაზი, თამარ, თემური -
ყველანი ერთად არიან...“
„კლასში პირველნი შედიან:
მერი, მირზა და მარიამ.“

ამ ლექსში ზაფხულთან დამშვიდობება და სკოლასთან, მასწავლებელთან შეხვედრის სწრაფვის სულისკვეთებაა გადმოცემული. ნორჩები მასწავლებელს სითბოთი და მოწიწებით მოუთხრობენ თავიანთ თავგადასავალს:

„ჰყვებიან ასე, ჰყვებიან,
ზეცას სწვდებიან ოცნებით,“ -

ვკითხულობთ ლექსს და ვრწმუნდებით, რომ ლადო ასათიანს ნამდვილად ჰქონდა მომადლებული ნიჭი ბავშვების ცხოვრების თანაზიარებისა.

ლადო ასათიანი სათანადო რჩევა-დარიგებას აძლევდა ნორჩებს, თუმცა არასოდეს მოითხოვდა მკაცრად. პოეტი საოცრად ზუსტად მიგვითითებს უსაქმურობის დამახასიათებელ დეტალებს

---

[1] აჩაჩიბაია, ქართული კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის საკითხები, თბ., 1974 წ., გვ. 292

[2] ვაბაიძე, დიდი ლიტერატურა პატარებს, თბ., 1984 წ., გვ. 92

ლექსში „ერთის თავგადასავალი“. პოეტი მკითხველს წარმოუსახავს ზარმაცის განზოგადებულ სახეს:

„როცა ბავშვებს გაკვეთილზე
მოუხმობდა სკოლის ზარი,
ის ეზოში თამაშობდა -
უქნარა და აბეზარი...“

პოეტმა გაიცნა ზარმაცი, უქნარა და ონავარი, მაგრამ ლექსის ბოლო სტრიქონებში შეცდომის დაძლევის განწყობილება დანერგა. ლექსი ასე რომ არ ყოფილიყო აგებული, ნორჩი მკითხველი არ მიიღებდა, გულგრილად აუვლიდა გვერდს და ავტორს აბეზარ ჭკუისდამრიგებლად მიიჩნევდა.

ლადო ასათიანის გმირს ლექსში სახელი არა აქვს. მას, უბრალოდ, პატარა ჰქვია.

ლადო ასათიანის „პატარას“ ხასიათი მოგვაგონებს ი.გრიშაშვილის „ზარმაცსა“ და “ონავარს“. ი.გრიშაშვილმა გვიჩვენა, ერთი მხრივ, ზარმაცი, ხოლო, მეორე მხრივ, მოუსვენარი, ონავარი ბავშვის სახე. ავტორმა ცხოვრებიდან აიღო მოდელი და ისეთი სული შთაბერა, რომ მკითხველმა გაიცნო ონავარი:

„გუშინ ჩაგიმსხვრევია
სასწავლებლის მინები,
გარიგებენ - წიგნს ისვრი,
ხელებს იკვრეინები.“

/ი.გრიშაშვილი - „ონავარი“/

ხალისიანი ბავშვები იმზირებიან ლადო ასათიანის ლექსებიდან: „მზიას ბანაკში მიუხარია“ და „ნორჩი ფიზკულტურელების სიმღერა.“

„საბავშვო პოეზიაში, სავალდებულო, უნივერსალური ხერხები არ არსებობს, - წერს ვაბაიაძე, - აქ მხოლოდ ერთი რამ არის აუცილებელი და გადაუდებელი სიტყვიერი, პოეტური ოსტატობის მაღალი დონე, საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკის დაცვა, სურათოვნება, სიმართლე, სახეების გრაფიკული სიმკვრივე, შთაბეჭდილებების სიახლე, რიტმულ-ინტონაციური ნაირნაირობა.“[1]

---

[1] ვაბაიაძე, დიდი ლიტერატურა პატარებს, თბ., 1984 წ., გვ. 34

ლადო ასათიანმა ბავშვის თვალსამზერი გააფართოვა, მათთვის მისაწვდომი ენით გამოთქვა სამშობლოსა და თავისუფლებისადმი სიყვარული, შრომა-გარჯისა და სწავლა-ბეჯითობის ფასი, პირდაპირობის, სამართლიანობის სულისკვეთება, უსაქმურობასთან ბრძოლა, ბუნების მოვლენების, ფრინველთა და მცენარეთა სამყაროს შეგრძნება.

გაზაფხული პოეზიაში ყოველთვის სიცოცხლის სიმბოლო იყო. XIX საუკუნის ქართულმა პოეზიამ ილიას „გაზაფხულით“, აკაკის ამგვარად დასათაურებული ათამდე ლექსით, ვაჟა-ფშაველას, ალ.ყაზბეგის ამგვარივე სახელწოდებების ლექსებით შექმნა ერთგვარად მოდელად ქცეული სურათი ტრადიციული „ქართული გაზაფხულისა“. ამ სურათის გამეორების ცდუნება არ ასვენებს ლადო ასათიანსაც:

„მოიქარგა მინდვრის კალთა...
ყინვისაგან არ აციებს...
ზედ ფერხული გაუმართავთ
ენძელებს და ია იებს.“

გვაგონდება:

„ხავერდოვან მწვანე ბალახს
აბიბინებს სიო ნაზად,
თითქოს უნდა დაეფინოს
იმ ყვავილებს ფიანდაზად.“

/აკ.წერეთელი - „გაზაფხული“/

ლადო ასათიანი ცხოვრების პირველ გაკვეთილებს იღებდა, ხასიათსა და ნებისყოფას იყალიბებდა, ცოდნისა და გემოვნებას იძენდა ჩვენი ქართველი კლასიკოსებისაგან. ჭაბუკი ლადო ასათიანის საბავშვო ლექსებში ნათლად იკითხება ქართველი კლასიკოსების პოეზიის ღრმა ცოდნა.

ლადო ასათიანის საბავშვო ლექსებში წელიწადის სხვადასხვა დრო მოხდენილი სურათებით იხატება.

„ისმის შეძახილები,
სიმღერებით სტკბებიან,
აჩუხჩუხებს თათარას
თმაჭაღარა ბებია...
პატარები ბებიას

მკვირცხლად ეგებებიან,
ტკბილად ესიტყვებიან,
ტკბილად ეუბნებიან:
- ჩურჩხელები მოგვეცი,
საყვარელო ბებია!“

სიტყვა „ტკბილი“ განსაკუთრებით ხშირია შემოდგომაზე დაწერილ ლექსში; ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ლადო ასათიანის ლექსის მხატვრულ სემანტიკური ველი მოცულია შემოდგომის სიმშვიდით, ჰარმონიით, სიტკბოთი და სიყვარულით. „მხატვრული ენა წარმოადგენს მწერლის ... შეხედულებათა ერთგვარ სიმბოლურ მოდელს, დაშიფრულ შეტყობინებას, ნიშანთა სისტემას.“ [1]

ლადო ასათიანის საბავშვო ლექსთა შორის გამოირჩევა „ლალის მამალი“. “მამალს არ ეგონა, უიმისოდ ოდესმე თუ გათენდებოდა, მაგრამ ქარხნის საყვირის ხმამ დაახშო მისი ყიყლიყო, ის კი „ასე ამბობს: მე ყიყლიყოს ვერავინ ვერ დამავიწყებს,

ყოველ დილით - სხვებს თუ არა -
ლალის მაინც გავაღვიძებ.“

ლადო ასათიანის „ლალის მამალი“ გვახსენებს ი.გოგებაშვილის მოთხრობას „მამალი თავისი ჯალაბობით.“ აქაც, ამ მოთხრობაში, მამალი როგორც ბედაური, ისე მიუძღვის წინ თავის ჯალაბობას ყელმოღერებული, თავის უპირატესობაში დარწმუნებული.

ლადო ასათიანის საბავშვო ლექსები უმთავრესად დაიბეჭდა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, შევიდა პოეტის სხვადასხვა დროს გამოცემულ კრებულებში.

ამჟამად მოქმედი სასკოლო პროგრამის მიხედვით საშუალო სკოლაში ლადო ასათიანის ნაწარმოებთა სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

კლასების მიხედვით ნაწარმოებები ასე ნაწილდება; II კლასი — „ჩემი სამშობლო“ (ნაწყვეტი); III კლასი — „გზაში“; IV კლასი — „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „ყაყაჩო“, „ბაბუაჩემი“; V კლასი — „კრწანისის ყაყაჩოები“, „ქართლის გზაზე“; VI კლასი — „ბარდნალა“.

ლადო ასათიანის შემოქმედებას ერთ-ერთი საპატიო ადგილი აქვს დათმობილი უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში, სადაც ქართული ლიტერატურის ისტორია ისწავლება.

ლადო ასათიანის შემოქმედებას დაბერება არ უწერია, იგი ქართველ ხალხთან ერთად უკვდავია.

---

[1] გ. კვაჭანტირაძე. წერილები ლიტერატურაზე, თბ., 2001 წ., გვ. 278

ლადო ასათიანის შემოქმედებით წარმოდგენილი სამყაროს პოეტური სურათი გამორჩეულია არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ამ შინაარსის ფორმითაც. ენის ტექსტად გარდაქმნა ლ.ასათიანის პოეზიაში გვევლინება იმგვარ მხატვრულ მეტყველებად, რომელიც ზიარების აქტსაც წარმოადგენს: ადრესატი ამოწმებს არა სიტყვასა და აღნიშნულ საგანს შორის შესატყვისობას, არამედ რწმუნდება კიდეც, რომ ამგვარი შესატყვისობა არსებობს.

როლან ბარტი მხატვრული მეტყველების ამგვარ თავისებურებას „ინსტიტუციალიზებულ სუბიექტურობას“ უწოდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტექსტების სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც ავტორის სუბიექტურ განწყობას ასახავს, ბუნებრივი ენის ობიექტური ტრანსფორმაციული შესაძლებლობების წყალობით იქმნება.

ლადო ასათიანის პოეზიის თავისებურება თვალსაჩინოა ქართული მწერლობისა და, ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურისათვის, კარგად ცნობილი თემების დამუშავების დროსაც პოეტი არ ცდილობს ორიგინალური, სრულიად ახალი თემების მოძიებას, რადგან ნაცნობსა და შეჩვეულ შინაარსსაც თავისებურად, ახლებურად აღიქვამს; „თემა წარმოადგენს ერთობლივი მნიშვნელობის ზედა, რეალურ ზღვარს; არსებითად, მხოლოდ თემა აღნიშნავს რაღაც გარკვეულს. მნიშვნელობა ენობრივი გამოხატვის ქვედა ზღვარს გვიჩვენებს და მას მხოლოდ პოტენცია აქვს, კონკრეტულ თემაში ასახვის შესაძლებლობისა“ (მიხ. ბახტინი).

მოტივი, როგორც ელემენტარული სემანტიკური სტრუქტურა, კვანძთა შორის კავშირის მეშვეობით იქმნება. ლადო ასათიანის პოეზიაში საკვანძო მოტივებად წარმოგვიდგება: ბავშვობისა და სოფლის განცდა, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, ისტორიული წარსული, სიყვარული, ე.წ. ლექსი-შედალიონები, ანუ მიძღვნითი ხასიათის ლექსები.

სიტყვიერი ხელოვნების მეტაფორული და მეტონიმიური ნაწარმოებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მეტაფორა პოეტს რეალობის დანახვის წესებს კარნახობს, რომლებიც არსებითია მოცემულ სოციო-კულტურულ გარემოში. მეტაფორული ტექსტებისაგან განსხვავებით, მეტონიმიური მხატვრული შეტყობინებანი ღირებულია არა თავისთავად, არამედ აღწერილ მოვლენებთან კავშირში:

მეტონიმიის ავტორი მკითხველისგან მალავს იმ სისტემის შეზღუდვებს, რომლებიც ტექსტის სტრუქტურას ქმნიან.

ლადო ასათიანის პოეზია მეტაფორულია, ანუ ეს არის „საძიებელი გამოხატვა საძიებელი წარმოდგენისა საძიებელ სამყაროში". ლადო ასათიანის ლექსები, ლიტერატურისმცოდნეობის თვალსაზრისით, „კარგი ლექსებია", ანუ მათში ტრადიციული პოეტური სამყარო ახალი ინფორმაციულობით არის აღბეჭდილი. პოეტის „დიალოგი" წინამორბედ და თანამედროვე ლიტერატურასთან წარმატებულად შეიძლება ჩავთვალოთ, რადგან ლადო ასათიანმა XX ს. I ნახევრის ქართულ პოეზიაში დატოვა თავის მიერ მოძიებული სამყარო. ამ ძიების პროცესში აღმოჩენილ მეტაფორათა შორის გამორჩეული ადგილი მაინც ლადო ასათიანის „ყაყაჩომ" დაიმკვიდრა. „ლამაზი ქალის შუქით" განათებული ყაყაჩოები ლადო ასათიანის პოეზიის ლირიკულ და ეპიკურ იმპულსსა და სიუჟეტს ამთლიანებს, ერთიან მოდელს ქმნის და გზას გიჩვენებს ნათლად, ღია სამყაროში შესაღწევად.

ლადო ასათიანის პოეზიაში ყველაზე ხშირად განმეორებული ფიგურებია შედარება და პარალელიზმი. ორივე მხატვრული ფიგურა გულისხმობს ანალოგიის პრინციპს. არასრული გამეორება იწვევს პოეტური თანაშემოქმედების სურვილს, რაც განსაზღვრავს კიდეც პოეტის მეტაფორული სამყაროს სიცოცხლისუნარიანობას.

ლადო ასათიანის ლექსის წარმატებით დამკვიდრება ეროვნულ პოეზიაში რითმამაც განაპირობა. ეს გამოიწვია ქართული რითმის ტრადიციისადმი ერთგულებამ; რითმის მუსიკალობა იყო პოეტისათვის უპირველესი. გარითმული ნახევარტაეპები: „მსმელი კაცები სველი ყანწები", „ღამეა ჩამოძენძილი - ღელავს ულვაშა ჯეჯილი", „მტერი ყოფილა თავისა - და მერე ხასად დაეისვამ" კარგად გვიჩვენებს ლადო ასათიანის მიერ ქართული ფრაზის ამღერების ვირტუოზულ შესაძლებლობას.

თანამედროვე ქართველი მკითხველი - ყველა „უცნობი მეგობარი" (ლ. ტოლსტოი) პოეტისა კვლავ მონაწილეობს ლადო ასათიანის ლექსების ზემოქმედების ახსნაში.

მირზა გელოვანი

მირზა გელოვანი სრულიად ახალგაზრდა – 27 წლის ასაკში შეიწირა მეორე მსოფლიო ომმა. მან მხოლოდ მცირე ნაწილი თქვა იმისა, რაც განზრახული ჰქონდა, მაგრამ იმითაც, რისი თქმაც მოასწრო, საკუთარი ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიკავა XX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში.

მირზა გელოვანი დაიბადა 1917 წლის 2 მარტს სოფელ ნაქალაქარში, ახლანდელი თიანეთის რაიონში.

მირზას ბავშვობის პერიოდზე საინტერესო მოგონება აქვს მის უფროს დას – როენას. აი, ეს მოგონებაც:

„ჩემს მშობლებს მეშვიდე შვილი შეეძინათ... რეზო დავარქვით. მირზა მისი პოეტური ფსევდონიმია. შინ რეზოს ვეძახდით. თიანეთი, იორი და ქუსნო, იხინჭა, ხაწირი და ცხრაკარი იყო მირზას ბავშვობის აკვანი. იგი ჯანსუსტი ბავშვი იყო და ცხრა წლისას მშობლებმა სანადირო თოფი უყიდეს, სხეული ნადირობაში გაუმაგრდებაო. ბიძაჩვენი, შაქრო გელოვანი, ცნობილი მონადირე იყო და ძმისწულის გაწვრთნა მან ითავა. მირზას ქედანი, მწყერი, გარეული იხვი უხვად მოჰქონდა. შემდეგ კურდღლებსა და მელიებს მიჰყო ხელი. როცა წამოიზარდა, დათვებზე მიჰყავდათ სანადიროდ. მონადირეებს უხაროდათ მისი სიმარჯვე, ძღიერ შეიყვარეს რეზო და, როგორც თანატოლს, ისე გაიპატიჟებდნენ სანადიროდა ეს ჭკუადამჯდარი, გამოცდილი მონადირეები. ნადირობამ მართლაც გააკაჟა იგი და მეტად უშიშარი და პირდაპირი გახადა. შემდეგ, ფრონტიდან გამოგზავნილ წერილში, დედას სწერდა: როგორი მადლობელი ვარ, იარაღი რომ შემაყვარეს ბავშვობიდანვე. იარაღი, სიმართლე და ვაჟკაცობააო. და-ძმებში გამოირჩეოდა დაჟინებული ცნობისმოყვარეობით“.[1]

1935 წელს მირზამ დაამთავრა თიანეთის პედაგოგიური ტექნიკუმი და, მშობლიური მხარის სოფლებში მცირე ხნით მასწავლებლობის შემდეგ, თვრამეტი წლის ჭაბუკი თბილისში ჩავიდა და მთელი არსებით მიეცა საყვარელ პოეზიას. თავის ადრინდელ ნაწარმოებებს იგი მის მეგობრებს უკითხავდა. თბილისში დაუმეგობ-

[1] ვ. ბეწუკელი, მირზა გელოვანი, ოცდამეშვიდე გაზაფხული, 2001 წ., გვ. 232.

რდა იგი ლადო ასათიანს, ალიოშა საჯაიას, გაბრიელ ჭაბუშანურს და მისი თაობის სხვა პოეტებს. უფროსი თაობის პოეტებისა და პროზაიკოსების ყურადღება ერთბაშად მიიქცია მირზას ალალმართალმა ლექსებმა.

მირზა მთის შვილი იყო და მის პოეზიას საქართველოს ულამაზესი პეიზაჟი კვებავდა.

მ. გელოვანს, როგორც წერს მისი მახლობელი მეგობარი ნ. აგიაშვილი, „მუდამ მზით ჰქონდა გაბრწყინებული ოქროს სქელი ქოჩორი და გრძელწამწამებიან მომწვანო-ცისფერ თვალებს ლაპარაკის დროს არ აფახულებდა და ისე იყურებოდა აქეთ-იქით, ყურს უგდებდა თავისსავე ნათქვამს, თან ყურადღებით იმასაც აკვირდებოდა, რა შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე ჩემი ნათქვამიო... სიცილის დროს სახე რალაც მწუხარე და ოდნავ კაეშნიანი გაუხდებოდა, წარბებს შეიჭმუხნიდა, მაინც მხიარული იყო, მაგრამ შეიძლება ითქვას – პირქუშად მხიარული... სათუთი გული ჰქონდა, როგორც ჭეშმარიტ პოეტს და ფიცხი და პირდაპირი იყო, როგორც ნამდვილი მთიელი.[1]“

1936 წლიდან ლექციებს ისმენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ერთხანს მუშაობდა გამომცემლობებში: „ფედერაციაში“, „საბჭოთა მწერალში“, აგრეთვე გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში.

1939 წელს მირზა გელოვანი ჯარში გაიწვიეს, საიდანაც იგი არ დაბრუნებულა. მალე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, მირზამ გააგრძელა სამხედრო სამსახური. მას მრავალ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა.

1941 წელს, ომის დაწყების დღეებში, მირზა მშობლებისა და დებისადმი გამოგზავნილ წერილში წერდა: „ომი დაიწყო, ვიცოდი, რომ დაიწყებოდა. გვცეროდეთ, ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას. დაე, ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი ხორცი და სისხლი ვარ. მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში ცოტნე დადიანის სულია და ნებისყოფა და თქვენ შეგიძლიათ ამაყად სთქვათ, რომ მე ვიცავ სამშობლოს, რათა მო-

[1] ნ. აგიაშვილი, ჭაბუკები დარჩნენ მარად, 1980წ., გვ. 143.

მავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი... მე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად, მიყვარს ჩემი სამშობლო. ის, ყველაფრის მიუხედავად, ცოცხალია და მისი შვილების დაძახილი აღვიძებს გრიგალებს... ეს არის ყველაზე დიდი ომი, რაც კი ყოფილა დედამიწის ზურგზე. არც ჰანიბალის, არც მაკედონელის, არც ნაპოლეონის ომები არ შეედრებიან ამ ომს სიდიდით... არც სადმე ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად, როგორიც მე მაქვს ახლა, როგორიც აქვს ჩემს ამხანაგებს".

ფრონტიდან გამოგზავნილ ლექსებსა და წერილებში ჩანს პოეტის ღრმა პატრიოტიზმი, ურყევი ნებისყოფა, გამარჯვების დიდი რწმენა. ომიდან გამოგზავნილ წერილებში ის ამხნევებდა მშობლებსა და მეგობრებს ძლევამოსილი დავუბრუნდებიო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დაბრუნდა. ომის ქარცეცხლშიც იგი ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების მაცნედ რჩებოდა და მომავლის იმედით აღავსებდა ყველას, ვინც მის ირგვლივ ტრიალებდა, ვინც მას იცნობდა. 1944 წელს სანგარში დაწერილ ლექსში ნათქვამია:

დამიწდეს გული, თუ იქნება ხენეშიანი,
ჩემო ხეებო, ჩემო კარგებო,
თუმც გრიგალია, ჩემი ხმა და თქვენი შრიალი,
ასე მგონია, არასოდეს დაიკარგება.

უფროსი ლეიტენანტი მირზა გელოვანი დაიღუპა მდინარე დასავლეთ დვინის გადალახვისას წარმოებულ ბრძოლებში 1944 წლის ივლისში. დიდხანს უცნობი იყო მისი საფლავი. მხოლოდ 1963 წ. ივნისში გაიგეს მირზას ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა მირზას სასაფლაოს ადგილი: ბელორუსია, ვიტებსკის ოლქი, ბეშენკოვიჩის რაიონი, სოფელი რჟავკი. საქართველოდან დელეგაციამ იმავე წლის 12 ივლისს მოინახულა მირზა გელოვანის საფლავი.

1964 წლის ზაფხულში მირზას საფლავი მოინახულეს საქართველოსა და ბელორუსიის მწერალთა კავშირების, ამ რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმა, თიანეთის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებმა. ჩატარდა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება: თიანეთის რაიონულ ცენტრში დაიდგა მ. გელოვანის სკულპტურა, თიანეთის საშუალო სკოლას მიეკუთვნა პოეტის სახელი.

1973 წელს მ. გელოვანს მიენიჭა კომკავშირის სახელობის პრემია, ხოლო 1975 წ. რუსთაველის სახელმწიფო პრემია.

მირზა გელოვანი ლექსებს ბავშვობიდანვე წერდა. მისი პირველი ლექსი „თეთრი მიწა“ ჩართულია მწერალ რაჟდენ გვეტაძის მოთხრობაში „ლაშაური საღამოები“. ლექსის დაბეჭდვის ისტორიას ასე იგონებს გრიგოლ ცეცხლაძე: „იმ დღეს მწერალთა სასახლის ბაღში ჩვეულებრივზე მეტი ხალხი იყო. ზოგი საუბრობდა, ზოგი კამათობდა... მე ცალკე მერხზე ვიჯექი და გაზეთს ვათვალიერებდი. ბაღში მორიდებით შემოვიდა სანდომიანი ჭაბუკი და მორიდებით მომმართა: ძია, გრიგოლ, შეიძლება?! რა გნებავთ?! ახლოს მოვიდა და წიგნი გამომიწოდა; ეს სულხან-საბა ორბელიანის ხელნაწერი ლექსიკონია. გაყიდვას აპირებდა, ვასწავლე, რომ ლიტერატურულ მუზეუმში წასულიყო. იქ მას შეიძენდნენ როცა ლექსიკონს ვათვალიერებდი, წავაწყდი ხელნაწერ ლექსს. ეს ჩემი ლექსია, მითხრა ყმაწვილმა. ვთხოვე სხვა ლექსებიც გამოეგზავნა. მისი ლექსები გადავეცი მწერალ რაჟდენ გვეტაძეს, რომელმაც „თეთრი მიწა“ თავის მოთხრობაში შეიტანა („ლიტერატურული საქართველო“, 1967წ. 5 მაისი). აი, ის ლექსიც:

„დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით,
თეთრ კარავებს დაემგვანნენ ატეხილი მთები,
მახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო ხელით.
ახლაც მინდა შენი ნახვა,
ახლაც მენატრები.
ეს სურვილი ძლიერია, როგორც ქარიშხალი,
სისპეტაკით შემოსილი, ვით ეს თოვლი წმინდა.
მომაგონდა შენს სახეზე პაწაწინა ხალი
და თუ შენი ღიმილი მსურს,
შენი გულიც მინდა.

ლექსს დაწერის თარიღად უზის 1934 წ. „ლაშაური საღამოები“ გამოქვეყნდა 1935 წელს, პირველად ეს მოთხრობა დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“. (მ.გელოვანი, ცხრაკარა, თბ., 1960, გვ. 141).

„ამ ლექსმა მწერალთა და მკითხველთა ყურადღება მაშინვე მიიპყრო. შემდეგ, როცა მირზა გელოვანმა მწერლობაში გზა გაიკაფა. ჩვენ გულითადი დამოკიდებულება გვქონდა. მოდიოდა ჩემთან, თავის სიხარულსა და დარდს მიზიარებდა. ძალიან გულთბილ წერილებსაც მწერდა, - წერს მოგონების ავტორი.

მ. გელოვანის პირველი ლექსები დათარიღებულია 1933 წლით. მირზას ლექსებში ნათლად ჩანს მრავალმხრივი ინტერესების მქონე, დიდი გაქანების, ნათელი თვალთახედვის, უაღრესად ტემპერამენტიანი ახალგაზრდა კაცი. „მისი ლექსები ეს არის პოეტური სიმღერები ახალგაზრდობაზე, მეგობრობაზე, გმირობაზე. სიყვარულსა და სამშობლოსადმი თავდადებაზე. ეს ლექსები გამოირჩევიან ცხოვრების მოვლენების ღრმა წარმოდგენით. პოეტური სახეების სიმდიდრითა და ორიგინალობით. მისი ლექსები თავისუფალია წვრილმანობისა და შემთხვევებისაგან. მის ლექსებში იგრძნობა მაღალი პოეზიის ცხოველმყოფელი ძალა.[1]“

მირზა გელოვანის ომამდელი ლექსები ხასიათდება ქართული ეროვნული სულისკვეთების მაღალ ემოციური გამოხატვით.

სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად აღინიშნა, რომ მირზა გელოვანის ადრინდელი პოეზიისათვის დამახასიათებელია ბუნების ვაჟასებური ამეტყველება:

ეს ხეები კაცებს ჰგვანან,
თუ კაცები არიან?
იქით ფშავის მთები ჩანან,
აქეთ ნაქერალია.
ნაქერალის მთების ძირში
წყარო არის ანკარა...
ესიზმრება თურმე ძილში
გოგო მოვა პატარა...
შესვამს, გულმკერდს გაიგრილებს,
ათამაშებს ვერცხლის ღილებს...
(„თუშის ქალი წყაროზე“, გვ. 28)

ან კიდევ:

ხეებს ხეები ეტმასნებიან,
ხევში ლოდები კაცურად სხედან,
ჩაჰყვები ბილიკს, ყველგან ქვებია,
და თავშლის გაშლა ცის ნაჭერს ჰხედავ. („აონი“)

მირზა გელოვანი მთიელი იყო. ის უშუალოდ აღიზარდა ბუნების წიაღში, ამიტომ მისთვის, როგორც პოეტისათვის, ყველაზე

---

[1] შ. რადიანი, პოეტი და მებრძოლი, „ცისკარი“, 1964, №8, გვ. 118.

მახლობელი იყო პოეზიაში მთის თემატიკის ხელახალი შემოტანა და დამუშავება მხატვრული ოსტატობის თანამედროვე მიღწევების მიხედვით. ამის ნათელი დადასტურებაა მ. გელოვანის ყველაზე ადრინდელი ნაწარმოებები: „აყვავებული ალუჩა“, „ფოთოლი“, „ხომ ხედავ თოვლი ცვივა“, „თხოვნა ხეებს“, უსათაურო („ველებს ცვარი დაეცვარა“ და სხვ.).

ლექსში „ფოთოლი“, რომელიც 1933 წლითაა დათარიღებული, ნათქვამია:

მსუბუქი ტანი გაქვს,
სურვილს აყოლილი,
ნეტა შენ...
არ ვგავართ ერთმანეთს
მე და შენ.
ქარს გინდა რომ აჰყვე
და სივრცეს სულ ევლო?
დედიკოს რომ მოსწყდე,
დაჭკნები, სულელო.

ამავე წელსაა დაწერილი ლექსები: „იჯექ წყნარად“ და უსათაურო „ცა მთის წვერზე გადიღუნა“.

ლექსში „იჯექ წყნარად“ ბუნების ასეთი სურათია დახატული: წყნარად!

ჩიტი გალობს ხეზე,
მოლაღური პაექრობს,
ცხვრები თეთრად ჩანან მთებზე,
წყალი ბარად ჩასვლას ჩქარობს.
იღუნება ხის კენწერო,
სხივებს იღებს საჩუქრად,
ჰა, ვიპოვე ჩვენთვის ჩერო,
იჯექ წყნარად.

უსათაურო ლექსი „ცა მთის წვერზე გადიღუნა“, თითქმის პირველი ლექსის გაგრძელებას წარმოადგენს. მომავალ პოეტს, ამჟამად კი მოსწავლეს, კვლავ პეიზაჟი აინტერესებს:

ცა მთის წვერზე გადიღუნა,
რა კარგია ლურჯი თაღი,
ხევი ნისლით დაიბურა,

ღრუბელს მისდევს ამხანაგი.
მზის სხივია ასე წმინდა,
სიო ყვავილს მიეპარა,
შენც მიცქირე თვალებში და
იყავ წყნარად.

მ. გელოვანი თიანეთის ლამაზ კუთხეში დაიბადა. მას არაერთხელ უჭყუმპალავია ივრის ტალღებში. ოცნებას გადევნებული პოეტი როგორც ცოცხალ არსებას ისე ელაპარაკება ამ გიჟმაჟ მდინარეს:

როგორ კარგი ხარ, როგორ იცვლები,
მოდი, მომეცი ძმური ხელები,
კაცი მგონიხარ, გულს გეფიცები
და ასე მიტომ გემეტყველები.

აქ ყველაფერი მიამიტურად, ბავშვის თვალითაა დანახული, მიუხედავად ამისა, ლექსს ატყვია მომავალი ნიჭიერი პოეტის ხედვა და ხელი.

უსათაურო-ერთსტროფიან ლექსში პოეტი ასეთ სურათს გვიხატავს:

ველებს ცვარი დაეცვარა,
სიო ყვავილს გაჰქელავს,
მთვარე ტბის გულს დაეფარა,
ტბა ღელავს.

გაზაფხულის შხაპუნა წვიმა, ხეხილის აყვავება, მოზარნიშული ცა სასიამოვნო ემოციებს აღძრავს ადამიანში, ამ მხიარულობის უშუალო მონაწილეა თვით პოეტიც:

აყვავებულ ალუჩებს
ქარნი აღარ ხრიანო,
ვაშლი რხევას აყუჩებს,
რომ წვიმამ იჩხრიალოს...
მერე ცას აზარნიშებს
ალი, ლალი, ემალი
და რაღაცას მანიშნებს
ჩვენი თეთრი ტყემალი.
(„აყვავებულ ალუჩებს“).

აქ ყველაფერი დანახულია 15-16 წლის ჭაბუკი პოეტის თვალით, იგი გადმოგვცემს იმ განწყობილებას, რომელსაც ბუნების სიმშვენიერე იწვევს მასში. აქ ჭაბუკი პოეტი არავის არ ბაძავს, იგი ეძებს თვითმყოფადობის გზას და პოულობს კიდევაც. მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი გატაცებით წერდა ლექსებს, არასოდეს არ უცდია მათი დაბეჭდვა.

უბრალოება და სისადავე ახასიათებს ჭაბუკობის პერიოდში – 17-18 წლის ასაკში შექმნილ ლექსებს. მან ამ ასაკში უკვე მიაღწია ნამდვილ პოეტურ წარმატებას.

პოეტის ადრინდელ შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა სატრფიალო ლირიკას, მისი პირველი ნაბეჭდი ლექსი „თეთრი მიწა“ სწორედ სატრფიალო ლირიკას განეკუთვნება. სატრფიალო თემას ეხება ლექსი „სახლი №8“.

გაზაფხული მუქად ჩამოიბარდა
და სითეთრე ჰყვაოდა ალუჩაზე.
აი, სახლი, რომელიც მე მიყვარდა,
№8 კოტე მესხის ქუჩაზე.
შენი სახლი გულზე ამოსერილი,
დაშორება, საიდუმლო ხევები;
შორი გზები, შორი შესახვევები,
თიანეთი, ცრემლები და წერილი.
(„სახლი №8“).

სიყვარულის ყმაწვილური ხედვაა ჩაქსოვილი ლექსში „გზაში“. ეს ლექსი 1934 წელსა დაწერილი. მეოცნებე ყმაწვილი ბუნების სურათის ფონზე ესაუბრება თავის რჩეულს:

მივალ და შენი ხელები
ბურუსში დაიჩრდილა.
გადათოვლილან ველები,
დანისლიანდა დილა.
ნეტავ არც ღამე მეთია,
ვწუხვარ, ვდარდობ და გელი,
შენი ყელივით თეთრია
მთა საბუდარის ყელი.
იცოდე, შენი ბრალია,
თუ დავიღუპე გზაზე.

მაგრამ სიყვარულს, სამწუხაროდ, ყოველთვის ბედნიერება არ მოაქვს ადამიანისათვის, მით უმეტეს ადრეულ ასაკში. ამის დასტურია ლექსი „დაღუნული ლერწამი“.

დაიღუნა დასაღუნი ლერწამი,
გაიბზარა ტანი სასალამურე,
შენ წახვედი და მე ძლიერ ვეწამე
დარჩა მხოლოდ მოგონება ღამური.
გაიბზარა ლერწამი; მაგრამ თვალი,
შენი თვალი სხვა ლერწამებს შეხარის.
ეს სიმღერა ბღავილია მართალი
უდაბნოში დატოვებულ ბეხანის.

17-18 წლის იყო მირზა გელოვანი, როდესაც სატრფიალო ლირიკის შესანიშნავ ნიმუშებს ქმნიდა. სიყვარული ერთგვარი უსაშველო ტკივილია ახალგაზრდისათვის, ოღონდ თავისებური, საამო ტკივილი, განკურნებადი სენი. ეს ჭაბუკმა პოეტმა კარგად იცის, ამიტომ ერთ-ერთ უსათაურო ლექსში ასეთ სურათს გვიხატავს:

უცნობ წუხილს გვახვევდა
გზა, ფოთლებით ნაფენი,
მთვარემ თმებზე დაგხვდა
და მახსოვს ყველაფერი.
შენთან გაბაასება,
გახარება წამითა,
მერე გულის ავსება
შენითა და ღამითა.
(უსათაურო „უცნობ წუხილს გვახვევდა“).

საამო და ხალისიანი ყმაწვილური სიყვარულის განცდის ფიქსირებას ახდენს ჭაბუკი პოეტი:

სუფთა შარა რად არ გახსოვს
ჩვენი სახლის ზემოთ,
ჩემი გული რად არ გახსოვს,
სიყვარულო ჩემო?!
რად არ გახსოვს სუფთა შარა,
სუფთა ჩრდილი ხეთა,
სადაც ჩუმად, სადაც წყნარად

ჩვენ ვისხედით ერთად.
(„სუფთა შარა რად არ გახსოვს“).

იშვიათია ისეთი პოეტი, რომელსაც თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი არ დაეთმოს სიყვარულის თემისათვის. საკმარისია დავასახელოთ დიდი შოთა რუსთაველი, რომელმაც უკვდავი ჰიმნი უმღერა სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალას. „სიყვარული აგვამაღლებსო“ ხმამაღლა აცხადებს დიდი პოეტი.

სხვადასხვა ლიტერატურის შემოქმედნი სხვადასხვაგვარად ხატავდნენ სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალას. მაგალითად, ნ. ბარათაშვილი ჟამის ამაოების ფონზე ხატავს სიყვარულს, რომელიც მისთვის არის „ტაძარი მიუსაფარი“. რომანტიკოსი პოეტი ალ. ჭავჭავაძე ასე მიმართავს სიყვარულს: „სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს“. გ. ტაბიძის თქმით, უსიყვარულოდ მზეც არ ანათებს და ათბობს დედამიწას.

მირზა გელოვანმა სიყვარულისადმი მიძღვნილ ლექსებში დააფიქსირა თავისი წამიერი, ბავშვური განცდით მიღებული შთაბეჭდილება და სასურველ შედეგსაც მიაღწია. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჭაბუკმა პოეტმა ამ საკითხს ბუნებრივად დაუკავშირა პეიზაჟიც. ყოველივე ამით მ. გელოვანმა ლექსს მისცა თავისი ბუნებრივი სახე. ეს ერთადერთი ფორმა, სახე ლექსისა იყო მარტივი, რომელიც აუცილებელი იყო ბავშვური განცდების გადმოსაცემად.

მირზა გელოვანის კალამს ეკუთვნის სიყვარულის თემაზე დაწერილი, საკმაოდ გახმაურებული უსათაურო ლექსი „იყოს ეს ლექსი უკანასკნელი“. ამ ლექსში, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, გამოჩნდა მირზას პოეტური ნიჭი:

...ძვირფასო, მახრჩობს ეს ნიაგარა,
შენი ღიმილი რადგან არ მიცავს,
მე ალარ ვიცი, რას შევადარო:
ყვავილს თუ მთვარეს, ცასა თუ მიწას!
შორს მთაზე მოჩანს ციხის ნანგრევი,
როგორც იმედი გულდახურული,
მოჰყეფს მდინარე — მრისხანე დევი
და გიჟი ქარის ისმის მაყრული.
(„იყოს ეს ლექსი უკანასკნელი“).

აქ ნათლად ჩანს ლირიკული გმირის სახე: „უკან დარჩა სიყმაწვილე, ვარდისფერი ილუზიების ხანა და ბობოქარი სიჭაბუკე დაიწყო... ჩვენს თვალწინ გაიზარდა მირზას გმირი, განთავისუფლდა ილუზიებისაგან და ბავშვობის ასაკიდან გამოსულმა პირველად გაუსწორა თვალი რეალურ ცხოვრებას. ყოველივე ეს უნდა გამოითქვას ლექსში, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა შეიქმნას სრულიად ახლებური მხატვრული ხასიათი. ეს არის ის უმთავრესი, რის განხორციელებასაც ემსახურება სტილი."[1]

„იყოს ეს ლექსი უკანასკნელი" პოეტის სხვა სატრფიალო ლექსებისაგან განსხვავდება. აქ ლექსის რიტმი მძაფრია, ინტონაციაც შეცვლილია, რაც პოეტს საშუალებას აძლევს უფრო სრულყოფილად გადმოგვცეს ჭაბუკის სულიერი მღელვარება.

სატრფიალო ლექსებში პოეტი ხშირად ბუნების სურათებსაც ხატავს. ამ ხერხით იგი სრულყოფილად გადმოგვცემს ლირიკული გმირის სულიერ განწყობილებას და მკითხველსაც ამის მონაწილედ ხდის.

უსათაურო ლექსში („წკირს გადატეხს ნუკრის ფეხი") პოეტი ნატრობს ბუნებამ იგი ისეთ სატრფოს შეახვედროს, რომელიც მას გაუგებს, შეიყვარებს:

მთვარის სხივი განახევრდა,
წყლის სარკეზე დანაცემი,
ნეტავ გული შემახვედრა,
სიყვარული შესძლოს ჩემი.

ასევე უსათაურო ლექსში „მახსოვს ჭიუხში ხეტიალს მოვრჩი" ჭაბუკი პოეტი იგონებს წარსულს, - როდესაც იგი ღამით შინ ბრუნდებოდა კლდეზე ფეხი დაუსხლტა და უფსკრულის თავზე ჩამოეკიდა. ქარი როგორც მოხუცი დედა, ისე დაქვითინებდა ცაში დაკიდებულს, ყოველივე ამას იგი გადაურჩა, მაგრამ სიყვარულმა იგი დაიმორჩილა. ამით თვითონაც გაკვირვებული ეკითხება გოგოს:

დღეს კი რა მოხდა...
თქვი გულისტოლო,

---

[1] თ. მირიანაშვილი, მ. გელოვანი, 1933-1936 წლების ლირიკა, „ცისკარი", 1981, გვ. 141-150.

რისთვის მითვლიან ღიმილში ჩრდილებს,
ერთი უბრალო გოგო ხარ მხოლოდ
და ასე როგორ დამიმორჩილე.

ლექსში „იყოს ეს ლექსი უკანასკნელი“ ბუნების ასეთი სურათია დახატული:

შორს მთაზე მოჩანს ციხის ნანგრევი,
როგორც იმედი გულდახურული,
მოჰყეფს მდინარე, მრისხანე დევი,
და გიჟი ქარის ისმის მაყრული.

ასეთივე ბუნების სურათია დახატული ლექსში „ფიქრები ფანტელებში“:

ფანტელები ისე ნაზად ცვივიან,
მორიდება ან კი როგორ იქნება,
ჩემს თმაშიაც მარგალიტის მძივია,
არეული თოვლის მსუბუქ ფიფქებად.

ასეთი ხერხით პოეტი ქმნის მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, აღწევს ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ჰარმონიას. სწორედ ესაა მაღალმხატვრული ნაწარმოების უპირველესი დანიშნულება. მ. გელოვანის ნაწარმოებებში ლირიკული გმირი ლიტერატურულ ტიპად წარმოგვიდგება.

მ. გელოვანი ცდილობს ლირიკულ ლექსებში ჩააქსოვოს ეპოქის სული, რასაც ხშირ შემთხვევაში აღწევს კიდეცაც.

სამწუხაროდ, მ. გელოვანს არ დასცალდა მისი ლირიკული გმირების ფართო საზოგადოებრივ სარბიელზე გამოეყვანა ეპოქალური პრობლემების გადასაწყვეტად. მიუხედავად ამისა, სავსებით სწორად მიუთითებენ მკვლევრები, რომ გვიანდელი მირზა გელოვანის გმირი მთელი თავისი ტიტანური ძალების მობილიზებით თავისი ეპოქის ყველაზე დიდი ბოროტების, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშია ჩაბმული.

ლექსში „როგორც ყოველთვის“ თავის სატრფიალო გრძნობებს ღვთისადმი ლოცვას ადარებს. თავის საყვარელ არსებას საყვედურებს, რომ იგი სიყვარულის ძალას რაღაც ათეული წლებით ზომავს, მაშინ, როდესაც პოეტს თავისი გრძნობების ამოსაწურად ასეულები „და ათასებიც“ ეცოტავება:

ამ განშორებამ არ გაფინა ფერები ფითრის

არც დავიწყებად, არც უკვდავებად.
შენ ოცი წელი გებევრება, მე ასებს ვითვლი
და ათასებიც მეცოტავება (გვ. 112).

უსათაურო ლექში „როცა რამეს ჰგონებდე“ პოეტი თავის სატრფოს შესთხოვს, რომ მან არ დაივიწყოს ის:

„როცა რამეს ჰგონებდე,
როცა ფიქრი დაიწყო,
ქალო, მომიგონებდე,
გოგო, ცეცხლმოსაკიდო.“

თავის გულისნადებს, თავის ფიქრებს პოეტი უმხელს სატრფოს. ლექსში „ჩემს მიწურ ქოხში“, რომელიც 1941 წლითაა დათარიღებული, სანგარშია დაწერილი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი ამ უმძიმეს წუთებშიც არ ივიწყებს სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალას. იგი სატრფოს არწმუნებს:

მაქვს სიყვარული – იების სუნთქვა,
სხვას კი, ძვირფასო, არც ვინატრებდი,
ვარ ერთი ვინმე, ცასავით სუფთა
და ცაზე ვრცელი გულის პატრონი.

პოეტი აქ ნამდვილად გულწრფელია. იგი ფიქრობს, რომ მისი მომავალი შემოქმედება სიყვარულის ყოველისშემძლე ძალას დაუკავშიროს და სასურველ შედეგს ამით მიაღწიოს:

და შენზე ფიქრი მინათებს სისხლში
უჩინარ ბილიკს და ნაბიჯს გვიანს,
ხსნა თუა სადმე, შენ ერთი იხსნი,
რასაც გული და ბავშვობა ჰქვია.

პოეტის ვარაუდით, მისი გამარჯვების წყარო გაზაფხულია, მაგრამ მას ვიწრო ბილიკებით სიარულიც მოუწევს, რაც მეტად მძიმე და მომქანცველია:

ეს გაზაფხული შემხვდა შენს შემდეგ,
შენს შემდეგ მივდევ ვიწრო ბილიკებს.
მე დავიღალე აღმართებში და როცა შევდექ,

შემრცხვა და ბედი, ჩემივ ბედი გავაქილიკე. („შენს შემდეგ“, გვ. 45).

პოეტს არ აშინებს სიძნელეების გადალახვა, სწამს, რომ ის სინდისის ქენჯნისაგან თავისუფალია და საბოლოოდ გამარჯვება მას დარჩება:

მშვიდობით! გული მხოლოდ მიზანს
ესაკადრისა
და ჩემს ნაბიჯებს აშოლტილი ხენი
ლოცავენ,
მე გავიმარჯვებ – მოწამეა მიწა ქართლისა
და გაზაფხულის ცაა მოწამე!
(„შენს შემდეგ").

„მირზა გელოვანის აზრით, ღრმა რწმენა ერთგვარი ავგაროზია, რომლითაც ადამიანის სული დაცულია დაზიანებისაგან და, დროებით მაინც, მას სიბნელე სცილდება. პოეტს ეტყობა, ღრმად და საფუძვლიანად სჯეროდა, რომ ის ზეგარდმო სიხარულის მიმნიჭებელია ადამიანებისათვის, მათი სულის განმანათებელია".[1]

მ. გელოვანი სიყვარულის მარადიული გრძნობისადმი გულგრილი არასოდეს არ ყოფილა. მისი პირველი ლექსებიც შთათქმული იყო სიყვარულის სტიქიით. („გზაში", „სიმწვანის მხარეში", „თხოვნა ხეებს", „ხრეშად დაცვივდა ხეები", „თეთრი მიწა", „იჯექ წყნარად", „სახლი №8");

დავაუკაცების ხანაშიც სიყვარულის თემა მისთვის ორგანული იყო („მწყემსის მუქარა", „მთვარე", „შემოღამება საბადურზე", „უცნობ წუხილს გვახვევდი", „მახსოვს", „აჰა, ძვირფასო", „ექვსჯერ ჩამოკრა მწვანე საათმა"); ფრონტის ხაზზე მყოფი პოეტი პოულობდა დროს მეტად საინტერესოდ გაეშუქებინა ეს მარად ძველი და მარად ახალი თემა.

ომის ფრონტებზეა დაწერილი მისი საუკეთესო ლექსები („მელოდე", „ო, მაპატიეთ", „ჩემს მიწურ ქოხში", „კვლავ ცოცხალი ვარ", „სადგურზე"); მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსი - „მე ეს გრიგალი ვერ წამოაქცევდა" სიყვარულს შეეხება. ფრონტზე დაწერილ ლექსებში საუბარია უაროყოფით სიყვარულზე, მაგრამ მებრძოლი ჯარისკაცი საინტერესოდ ახერხებს პირადი განცდები სა-

[1] გ. კანკავა, სამი პოეტი, „მნათობი", 1960, №8, გვ. 123.

კუთარ გულში გადახარშოს და ადამიანებს გმირობაზე, სიმამაცეზე, ცხოვრების სილამაზით ტკბობაზე ესაუბროს.

მ. გელოვანს ჭეშმარიტი პოეზიის სიმბოლოდ მიაჩნდა ფანდური, მისი თქმით, ამ ხალხურ საკრავზე ამღერდნენ თავიანთ ლექსებს ქართული მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები:

წინაპრებს ჩემსას
ჰყვარებიათ ლარების ჟღერა,
მაღალ ხევსურეთს
ფანდურები თალეს მთებური,
სამეგრელოში სიმის კვნესა
გულს ატკბობს ჯერაც,
ყირმიზა გოგოს
მოძახილთან შეერთებული.
პოეტის თქმით:
დიდი რუსთველი
ჩვენს ქვეყანას ტოვებდა როცა,
ესმოდა მიწას გულმართალი
მისი გალობა.

გურამიშვილის ფანდურს არ გაწყდომია არცერთი სიმი, ვაჟას ფანდურიც შინდის ხისაგან იყო გამოთლილი. როცა ფანდურზე უკრავდა დიდი მგოსანი, მყინვარი თავს დაბლა ხრიდა, რომ მოესმინა მისი საამო მელოდია.

მგოსანი გვაფრთხილებს:
ხომ იცით, ხალხის გულებია
ეს ფანდურები.
შევეხოთ ისე,
ჭუჭყიანი ხელი არ იყოს;

ფანდური „ხალხის გულია“, მასზე დამღერება მოითხოვს დიდ სიწმინდესა და კეთილშობილებას:

რომ იმ ფანდურებს, ჩვენს სახსოვრად
ხალხს რომ დარჩება,
მოკრძალებულად უცქეროდეს
შთამომავლობა.

სიუჟეტიანია ლექსი „ცხენის ტირილი“. შებინდებისას შტაბში შედის კაცი, რომელსაც დილამდე დაბრუნება დაავალეს. მხედარმა

მიუალერსა პირუტყვს, კისერზე ხელი მიუთათუნა, ცხენი ისარივით გაფრინდა. ვიწრო გზაზე გავლა მეტად სახიფათო აღმოჩნდა, ხეები მოხრილი ტოტებით მიწას სწვდებოდა. კაცი გაშვერილ ტოტებს შეასკდა, ცხენიდან ჩამოვარდა. ხევი ვაჟკაცის კივილმა შეაზანზარა. ქაფად ქცეული მდინარე ღრიალით მიიკვლევდა გზას. პირუტყვი ხედავდა, რომ „მხედრის სისხლი წითლად ნალისებრ დაადჩნდა ბაგეს“. ლექსის დასასრულს ნათქვამია:

მოკვდა მხედარი და მას თან გაჰყვა
კაცის და ცხენის ამხანაგობა.

ლექსის ეპილოგი ასეთია:

და ერთხელ ღამით, როცა ბნელოდა,
ეკრა ღრუბელი ზეცის დასავალს,
გზაზე ვიღაცა სევდით მღეროდა
კაცის და ცხენის თავგადასავალს.

ამ სევდიან სტრიქონებში გამოკვეთილადაა ნათქვამი, რომ ცხენი ადამიანის მეგობარია და მას თავისი პატრონი არასოდეს არ დაუტოვებია განსაცდელში.

ოდითგან ცნობილია, რომ ცხენი ადამიანის მეგობარია. ეს მეგობრობა ნათლად ვლინდება სახიფათო მომენტებში. გარდა მხატვრული მხარისა, ლექსს საგანმანათლებლო ფუნქციაც აკისრია. იგი ბავშვებს უნერგავს შინაური ფრინველისა და პირუტყვის სიყვარულს, ასწავლის მათი მოვლა-პატრონობის წესებს.

ძნელად გასაზიარებელია, რომ მ.გელოვანის ზოგიერთ ლექსში, „ზოგჯერ ვხვდებით ბუნდოვან და ძნელად ამოსაცნობ სახეებს, შედარებებს, მეტაფორებს. ხან პოეტს იტაცებს არაფრისმთქმელი ეგზოტიკა, რომელიც ვერ ახდენს მკითხველზე ზემოქმედებას („ცხენის ტირილი და სხვა“).[1]

მ. გელოვანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამშობლოსადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს. მშობელი ქვეყნისა და ხალხის სახე მას განუშორებლად თან დაჰყვება. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „ცხრაკარა“, აქ ერთმანეთს ერწყმის ისტორიზმი, რომანტიკა და ბავშვობის უნაზესი მოგონებანი.

---

[1] ა. მირიანაშვილი, საინტერესო ლექსების კრებული, „მნათობი“, 1954, №4, გვ. 161.

მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, მას ბოლომდე შერჩა ბავშვური სიყვარული სამშობლოსა და მისი ბუნებისადმი.

„მე ვფიქრობ საქართველოს გზებზე, ივრის, ალაზნის, არაგვის ტალღებზე. ვფიქრობ თითქოს ბავშვობა მიცდიდეს იქ. ზოგჯერ დავინახავ ჩემს თავს მონადირეს თუ მოთევზავეს, ვუცდი ტალღებს და ველოდები მზეთუნახავს. მენატრება მთები, ცა საქართველოსი, ხეები, ჩრდილები, ბალახი.“[1]

პოეტს ბრძოლის ველზე თუ ქარიშხალში სამშობლოს ხმა ესმის. ყოველი გმირული სახე დაკავშირებულია სამშობლოსთან:

ცა რომ მთის წვერზე გადიღუნება,
და სიხარული გულში იელვებს,
ათრთოლებული მივყვები წადილს,
ვწერ, სტრიქონებში მზე იყურება,
შენზე სიმღერებს მითვალიერებს
და ნელა ჩადის.

პოეტი თავის მოწოდებას თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ხედავს. იგი ბუნებრივად პოულობს კავშირს წარსულსა და თანამედროვეობას შორის, რაც კარგად გამოჩნდა ბალადაში „შავნაბადა“, მისი დასკვნითი ნაწილი მთელი ქართველი ახალგაზრდობის ფიცია მამულისადმი:

ქართლის მიწავ, უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ,
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს ალისფერ დროშას ვფიცავ!

თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ვინმე შეგეცილოს...
წმინდა ვალის მოსახდელად
უყოყმანოდ შეგეწირო.
მოვკვდე ისე ღიმილმჩენი,
ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად.
რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი
დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ.

---

[1] ნ. აგიაშვილი, „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, 1980, გვ. 130.

მ. გელოვანი ოჯახში გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა:

„არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც კლავდნენ და არ კვდებოდა.“

მირზა გელოვანის პოეტური სამყარო ვრცელია, მისი პოეზიის თემატიკა მრავალფეროვანია. პოეტი უშუალოდ სწვდებოდა ცხოვრებისეულ სიღრმეებს და ცდილობდა მხატვრულად აესახა ეს პროცესები. 30-იანი წლები მეტად მძიმე ხანაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. 70-წლიანი საბჭოური სისტემის რეჟიმში მასების რელიგიური აღზრდა ტაბუდადებული იყო, რამაც გამოიწვია სულიერი დეფიციტი. მასების რელიგიურ აღზრდას, ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის როლს დღეს სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ბალადა „აონი“ დაიწერა 1938 წელს. ნაშრომში აშკარად იგრძნობა იმდროინდელი კომუნისტური წნეხის გავლენა როგორც ნაწარმოების ავტორზე, ასევე კრიტიკოსებზე.

მირზა გელოვანის კალამს ეკუთვნის „ბალადა ვარძიის მშენებლისა“, რომელიც საქართველოს ისტორიულ წარსულს ეხება. ავტორი ქება-დიდებას უძღვნის ვარძიის მშენებელს, ვინც ეს შესანიშნავი ციხე-ქალაქი კლდეში გამოკვეთა.

საინტერესოა მ. გელოვანის სხვა ბალადებიც, „შავლეგო“, „თორღვა“, „შუაღამისას“, რომელიც ეძღვნება ლ. გუდიაშვილს.

ეს ბალადები „არ არიან დაკავშირებული რომანტიკულ ბალადებთან, რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო ელეგიური ტონი, ფანტასტიკა, კავშირი ლეგენდებთან. თანამედროვე პოეზიაში ბალადა მატარებელია გმირული შინაარსისა, გამსჭვალულია მებრძოლი პათოსით.“[1]

თავისი შემოქმედების განვითარების გზაზე მ. გელოვანი ორგანულად იყო დაკავშირებული ქართული ხალხური შემოქმედების ტრადიციებთან. მის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხალხურ გადმოცემებს, თქმულებებს, ლეგენდებს და, საერთოდ, ხალხურ, ფოლკლორულ მასალას. მრავალ მის ლექსში მკითხველი შეიცნობს ხალხური შემოქმედების ცხოველმყოფელ ძალას. ამ

[1] შ. რადიანი, „თანამედროვენი“, 1965, გვ. 415.

მხრივ საკმარისია დავასახელოთ ისეთი ლექსები, როგორიცაა: „გზაში“, „ხევსურული ნანა“, „თუშის ქალი წყაროზე“, „შავლეგო“, „შავნაბადა“ და სხვ. განსაკუთრებით მან აითვისა ხალხური ლექსის ფორმა, ლექსიკა, სტილი. ჩაწვდა სიტყვის სისადავესა და ბუნებრიობას.

„პოეტში არა მარტო შემეცნებით ინტერესს იწვევდა ეს უაღრესად საინტერესო დარგი ქართული პოეზიისა, არამედ ეს ხალხური პოეზია მას შემოქმედებითად ალიზიანებდა, ფანტაზიას უორკეცებდა და უღვივებდა. მდიდარი ხალხური წარმოსახვითი, მხატვრული მეტაფორული აზროვნება კვებავდა მის პოეტურ სულს.“[1]

მ. გელოვანს შემოქმედებას კვებდა ჩვენი დიდი კლასიკოსების საუკეთესო ტრადიციები. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვაჟა-ფშაველას პოეტური ფენომენი. მ. გელოვანი ცდილობს შეისწავლოს „ბუნების ენა“. მას ბუნების შვილად ჰყავს თავისი თავი წარმოდგენილი:

ჩიტმა მასწავლა მინდიას სიბრძნე,
გზას გასწავლიო, - ქარი მპირდება.
ავიღებ მიწას, უბეში ვიბნევ,
შევხედავ ცას და გამიკვირდება.
(„ვაჟას ეზოში მოკლული ჩხიკვი“).

მ. გელოვანი გულდასმით ითვისებდა დიდი ვაჟას პოეტურ სამყაროს და ამით ცდილობდა ერთგვარი ხარკი მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის.

მირზა იმდენადაა მოხიბლული ვაჟა-ფშაველას პიროვნებითა და შემოქმედებით, რომ მას სიზმარშიც ელანდება მისი სახე:

სახლის წინ, ქვაზე, ფიქრებისგან დანამძიმები
ვაჟა-ფშაველა სიზმარივით მომელანდება.
(„ვაჟას კრიალოსანი“).

ვაჟასადმია მიძღვნილი ლექსი „სხვაგან სად არის ვაჟას ბუნება“.

ასევე დიდ პატივს სცემდა მ. გელოვანი დიდი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. მისმა მუხანათურმა მკვლელობამ მთელი საქართველო შესძრა:

---

[1] გ. კანკავა, სამი პოეტი, „მნათობი“, 1960, №8, გვ. 121.

და ტყვიამ რომ გაზიარა
სასიკვდილო განაჩენი,
ყველას მკერდში გაიარა,
თურმე მიწა დასჭრა ჩვენი.

ჭაბუკი მგოსანი მ. გელოვანი ასე მიმართავს დიდ ილიას:

როცა მტრული ხელი გკლავდა,
როცა გული ჩერდებოდა,
ჩარგლის ლოში სადა გყავდა,
მარჯვედ წამოგშველებოდა.
დრო შეიცვალა:
გული ბრძოლამ გააკაჟა,
ძველი გზებიც გადავყელეთ,
მოგიყვანეთ გვერდზე ვაჟა
და ორივე აგაყენეთ.
(„ილიას ობიელისკთან").

მ. გელოვანი, როგორც შემოქმედი, ჩამოყალიბდა უფროსი თაობის პოეტების უშუალო გავლენის ქვეშ (გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი), სალიტერატურო კრიტიკაში აღნიშნულია, რომ „მ. გელოვანი დავალებულია თანამედროვე ქართველი პოეტების თაობისგანაც. ამ გამოთქმაში იგულისხმება, რომ ჩამოთვლილმა პოეტებმა აამოძრავეს მ. გელოვანში დაფარული ენერგია".[1]

პოეტი რევაზ მარგიანი საინტერესო წერილს ბეჭდავს იმის შესახებ, თუ როგორ გაიცნო გალაკტიონი გელოვანმა. რ. მარგიანი მეგობრებთან ერთად თვითონ იყო ამ შეხვედრის მონაწილე. იგი წერს: „ერთხელ მწერალთა სასახლეში შემოვიდა გალაკტიონი. დაინტერესებული თვალებით შევცქეროდით ჭაბუკები დიდ პოეტს, მაგრამ ახლოს მისვლას ვერ ვბედავდით. გალაკტიონი ახალი დაბრუნებული იყო პარიზის კონგრესიდან და შთაბეჭდილებათა სალამოც ჰქონდა გამართული. როგორც იქნა, მხოლოდ მირზამ გაბედა მასთან მისვლა.

ბატონ გალაკტიონ, - თამამ ჭაბუკს ხმა ჩაუწყდა. გაოცებული შევცქეროდით ამ სურათს. მყუდროება ისევ გალაკტიონმა და-

[1] შ. რადიანი, „თანამედროვენი", 1965წ, 425.

არღვია, ეს მოხდა თვალის დახამხამებაში და არ ვიცი, როგორ და რანაირად, ჩვენც ყველანი გალაკტიონის ირგვლივ აღმოვჩნდით. როგორც მოსალოდნელი იყო, საუბარი პარიზის კონგრესის ირგვლივ დატრიალდა... ჩვენდა მოულოდნელად მირზას ხმა დაუბრუნდა, მან შეკითხვა მისცა გალაკტიონს, გალაკტიონმა უპასუხა. შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა: ლექსებს წერთ ჭაბუკებო? ჩვენი ღიმილიანი დუმილი თანხმობას – დასტურს ნიშნავდა."[1]

მწერალი ნ. აგიაშვილი თავის წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად" საინტერესოდ აგვიწერს 1939 წელს ახალგაზრდა პოეტების შეხვედრას გ. ტაბიძესთან.[2] შეხვედრაში მონაწილეობას ღებულობდა მირზა გელოვანი.

მირზა გელოვანის კალამს ეკუთვნის ლექსი „გალაკტიონ ტაბიძეს", სადაც ნათქვამია:

ჯერ კიდევ ბავშვმა გავშალე წიგნი,
გავშალე წიგნი, ჩავხედე მშვიდად.
ვნახე გრიგალი ლურჯი ყდის შიგნით
მთაწმინდის მთვარის ნაკვალევს შლიდა.

მ. გელოვანი ამ ლექსის დაწერის დროს (1938წ.) მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ სწორად ერკვევა იმ საკითხებში, რომელთა შესახებ გალაკტიონის ლექსებშია საუბარი. ჭაბუკი პოეტი დიდ მგოსანს ასე მიმართავს:

შენ გეხსომება, უნაზეს უბეს
როგორ ავსებდა ცრემლების ჩქერი.
მდინარეს შავი მოჰქონდა კუბო
და შინ დიდება ესვენა ჩვენი.
დრო შეიცვალა, ისტორიას ჩაბარდა შავი წარსული:
მაგრამ შენ მოხველ, ჩვენი მზეც ნახე
ყველა მზეებზე უფრო უზადო...
დაე, პოეტის საყვარელ სახელს
მხოლოდ გვირგვინმა უმუზარადოს.

როგორც ფრონტიდან გამოგზავნილი ლექსებიდან და წერილებიდან ჩანს, იგი ფიზიკურად იყო მოცილებული საქართველოს,

---

[1] რ. მარგიანი, „ღიმილის ბიჭი", „ლიტერატურული საქართველო", 1977წ. 1.07.
[2] ნ. აგიაშვილი, „ჭაბუკები დარჩნენ მარად", 1980წ., გვ. 248-253.

თორემ მუდამ სამშობლოში ტრიალებდა, პოეზიის ღმერთი თან ახლდა, მისი ნათელი უნათებდა გზას. ეს ღმერთი მისთვის გალაკტიონი იყო. ფრონტიდან (1943წ.) გამოგზავნილ ლექსში, რომელიც გალაკტიონს ეძღვნება, ნათქვამია:

მე მზრდიდა წიგნი ლურჯი ზარნიშით,
მე თქვენს სახელზე ვლოცულობ ახლაც,
თუმც სიკვდილის წინ თავი ავიშვი,
თქვენთან კვლავ ბავშვის სიმორცხვე მახლავს.
და როცა სიკვდილს ვამარცხებ ერთი,
როს კვლავ იმედი ასიათასობს,
თქვენ გიგონებთ და ცას იმერეთის,
ბრძენო მაღალო, ცაო ძვირფასო!

(უსათაურო: „მე თქვენ გიგონებთ კრძალვით და რიდით").

ძნელი წარმოსადგენია, თითქმის შეუძლებელია ფრონტზე მყოფმა მებრძოლმა ქვემეხებისა და ნალმტყორცნების გრუხუნში საკურთხეველზე წმინდა სანთელი აანთო და ლირიკული ლოცვა ალავლინო.

მ. გელოვანი თავისი სიცოცხლის ბოლო წლებამდე თავისთავს ქართული სიტყვის ოსტატთა შეგირდად თელიდა, მაგრამ განსაკუთრებით აფასებდა ივი გ. ტაბიძის პოეზიას. მირზას თანაკურსელი თ. ოჩიაური იგონებს:

„ქართველი პოეტებიდან, გარდა ახალგაზრდებისა, რომელთა ნაწერებს გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს, ხშირად გვიკითხავდა გ. ლეონიძისა და ს. ჩიქოვანის ლექსებს, მოსწონდა ი. აბაშიძის, ტ. ტაბიძის, გ. აბაშიძის ლექსები."[1] ტ. ტაბიძეს უძღვნა მ. გელოვანმა ლექსი „ტიციანს".

ნინო ჭავჭავაძისადმია მიძღვნილი მ. გელოვანის ლექსი „ნინო ჭავჭავაძეს" (პირველად დაიბეჭდა 2001 წელს).,

ნინო ჭავჭავაძის სილამაზეზე, მის სათნოებაზე, კეთილშობილებაზე ბევრი დაწერილა და თქმულა. მირზაც ყოველივე ზემოთქმულის ტყვეობაშია:

სიყვარული არ ჩამქრალა,
თუმცა დღეები გარბის,

[1] თ. ოჩიაური, მირზას გახსენება, „ცისკარი", 1969წ., №5, გვ. 106.

შენი თეთრი ლეჩაქი და
შენი შავი წარბი.
საქართველოს ვარდის რტოო,
ჩრდილოეთის რძალო, გზა დამირჩა საუთოო,
გრიგალი კი ძალობს.
ლექსის ბოლოს კი ნათქვამია:
შენი ხილვა მენატრება
და წუხილით ვკვდები.

ქართველი მხატვრებიდან მირზას განსაკუთრებით ლ. გუდიაშვილი უყვარდა. რაღაც თავისებურ ზეკაცად ესახებოდა იგი. ხიბლავდა ის, რომ იგი, როგორც მხატვარი, სხვებს არ გავდა, რომ ძალიან თეთრი თმები და ახალგაზრდა სახე ჰქონდა.

„სამხატვრო გალერეის წინ მოვდიოდით, თოვდა. ირგვლივ ყველაფერი თეთრად იყო დაფარული. უცებ მირზამ წინ მიმავალი ლ. გუდიაშვილი შენიშნა. ეტყობა, მოუნდა ყურადღების მიქცევა. აგვიხირდა – გუნდა ესროლეთო. ჩვენ გავჯიუტდით. მირზა გვარწმუნებდა:

არ ეწყინება, გაუხარდებაო. ბოლოს გაბედა, გუდიაშვილს გუნდა ესროლა. მხატვარმა მოიხედა, გაიღიმა და გზა განაგრძო. მირზა კმაყოფილი იყო.“[1]

მ. გელოვანმა ლ. გუდიაშვილს უძღვნა ვრცელი ლექსი „შუაღამისას“. ლადო გუდიაშვილი, თავად შთაგონებული ხელოვანი, ბევრი პოეტის შთაგონება იყო. ყოველთვის მისი შემოქმედებით მოხიბლული საზოგადოება ლ. გუდიაშვილს ლექსის ჯადოქრად სახავდა, მ. გელოვანი ლადო გუდიაშვილს ამ საოცარ თვისებას უსვამდა ხაზს თავის ლექსში. ფუნჯის ოსტატის ნააზრევი იმგვარი სიძლიერითაა წარმოსახული ტილოზე. ავტორისა და მისი ობიექტის შინაგანი მონოლოგი ცხადად რეალიზებულ ფსიქოლოგიურ მომენტს იჭერს, რაც მნახველს არაჩვეულებრივ სიამოვნებას განაცდევინებს,[2] - წერს მკვლევარი რ. ჩხარტიშვილი.

ლ. გუდიაშვილის მარად მოძრავ ბუნებას ნიკო ფიროსმანი შეიცნობს, ამიტომ ლექსის ბოლოს ნათქვამია:

---

[1] თ. ოჩიაური, მირზას გახსენებას, „ცისკარი“ 1969 წ., №5, გვ. 106.

[2] რ. ჩხარტიშვილი, ქართული ჟურნალისტიკის ნარკვევები, 1980წ., გვ. 23.

მთაზე მთვარეა და ნარიყალა,
დაბლა მეტეხი, შენ და ისინი.
ნარიყალიდან მთვრალი ნიკალა
გითვალთვალებს და ჩუმად იცინის.
გარბიხარ, ლანდი როგორც დიდება
მოგდევს, შრიალებს თოვლის სირბილე
და მხოლოდ ერთს არ გაუკვირდება
გუდიაშვილის ჩქარი სირბილი.

მირზა გელოვანის პოეზიას მდიდარ მასალას აწვდიდა ჩვენი მრავალმხრივ მდიდარი ხალხური საუნჯე. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხალხურ გადმოცემებს, ლეგენდებს, თქმულებებს და საერთოდ ხალხურ, ფოლკლორულ მასალას. „ეს ხალხური პოეზია მას შემოქმედებითად აღიზიანებდა. მდიდარი მხატვრული მეტაფორული აზროვნება კვებავდა მის პოეტურ სულს.“[1]

მ. გელოვანის მრავალ ნაწარმოებში მკითხველი შეიცნობს ხალხური შემოქმედების ცხოველმყოფელ ძალას, საკმარისია დავასახელოთ ისეთი ლექსები, როგორიცაა: „ხევსურული“, „ნანა“, „თუშის ქალი წყაროზე“, „გზაში“, „შავლეგო“, „შავნაბადა“.

„განსაკუთრებული სიღრმით აითვისა მ. გელოვანმა ხალხური ლექსის, ხალხური სიმღერების ფორმა, ლექსიკა, სტილი; იგი ღრმად ჩასწვდა ცოცხალ ქართულ სიტყვას, იმ სისადავესა და ბუნებრიობას, რაც დამახასიათებელია ხალხური შემოქმედებისათვის. სისადავე, ბუნებრივი ინტონაცია შეადგენს ამ ლექსის ღირსებას“.[2] „ზოგჯერ მ. გელოვანის მხატვრული სამკაულები, აგებულია ძველ პოეტურ მეშკვიდრეობაში შემორჩენილ საგანთა ასოციაციის საფუძველზე, მაგრამ ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ასეთ შემთხვევაშიც აღწევს სასურველ მიზანს – ლექსს საინტერესოს ხდის წასაკითხად, თავს იზღვევს ყოველგვარი ტრაფარეტისაგან“.[3]

---

[1] გ. კანკავა, სამი პოეტი, „მნათობი“, 1960წ., №8, გვ. 121.

[2] შ. რადიანი, თანამედროვენი, 1965წ., გვ. 424.

[3] შ. ამისულაშვილი, მირზა გელოვანის ლექსები, „ლიტერატურული საქართველო“, 01.07. 1977წ.

1939 წელი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მ. გელოვანისათვის. ამ წლის აპრილში მიიღეს ის მწერალთა კავშირის წევრად, „ჩვენი თაობის“ №4-ში დაიბეჭდა მისი ვრცელი პოემა „შავნაბადა“. მწერალთა სასახლის კლუბში გაიმართა მისი შემოქმედების საღამო, სადაც წაიკითხა რამდენიმე ლექსი და ბალადა „აონ“.

ამავე წლის სექტემბერში, 26 სექტემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე ყრილობაზე ვრცელი დასაბუთებული სიტყვით გამოვიდა (იხ. მ. გელოვანი, ოცდაშვიდი გაზაფხული, ბულგარეთი, ქ. სოფია, გვ. 155-158, იბეჭდება შემოკლებით).

მკვლევარმა სილოვან ნარიმანიძემ 2001 წელს ბულგარეთის ქ. სოფიაში გამოსცა მირზა გელოვანის ნაწარმოებთა ყველაზე სრულყოფილი კრებული „ოცდაშვიდი გაზაფხული“, სადაც შესულია 1935-1939 წლებში დაწერილი მანამდე გამოუქვეყნებელი 10 ლექსი.

წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის ს. ნარიმანიძის შესავალი წერილი „ქართულის მაღლობი“ (მირზა გელოვანის გახსენება). წიგნი შედგება შემდეგი განყოფილებისაგან: „აონის ზარი“, „და წავლენ დღენი“, „ასე მოვიდა დილა“, „დაუბეჭდავი ლექსები“, „პუბლიცისტური გრაგნილები“, „მიმოწერები“.

მწერალთა ყრილობაზე მირზას გამოსვლიდან ნათლად ჩანს, რომ „ლიტერატურაში მოსულ ერთ ნიჭიერ ნაწილს მოჰბეზრდა პოეზიის პომპეზურ-ემპირიულობა და გადაწყვიტეს მირზას პირით საჯაროდ განეცხადებინათ ეს. გამორიცხული არ არის, რომ სიტყვა, ერთგვარად კოლექტიური აზრის ნაყოფი იყოს და ამდენად იგი, თუ შეიძლება ითქვას, მანიფესტის მნიშვნელობას იძენს: არ არსებობს უმცროსი და უფროსი თაობების ლიტერატურა, არსებობს ერთიანი ლიტერატურა, რომელსაც თანაბრად ქმნიან ყველა თაობების წარმომადგენლები.“ (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1987წ. 4 ოქტომბერი).

მირზა გელოვანის კალამს ეკუთვნის პროზაული ნაწარმოებები: „ცხენენ\ი“, „ფრაგმენტები დაუმთავრებელი მოთხრობიდან“, „სამხედრო შოფრის დღიურიდან“.

მირზა გელოვანი წერდა ყველგან, სადაც კი დროს მოიხელთებდა: „ვწერ დასვენებაზე, ვწერ ძილის წინ, კრებებზე... ვწერ დღიურად დგომისას – დაღლილი და უძილო“ იტყობინებოდა

იგი ფრონტიდან და სურდა დაეწერა წიგნი, რომელიც იქნებოდა „გამომშვიდობება ყველაფერთან, რაც ასე აღელვებდა ჩემს ახალგაზრდობას, რომელსაც ეწნება ჩემი თაობის ყველა ხასიათი და იდეა“.[1]

ფრონტზე შექმნა მ. გელოვანმა „ომის ლირიკა, თითოეული მათგანი პოეტის სულის ამოძახილია, გამსჭვალულია ტკივილებითაც და გამარჯვების ღრმა რწმენითაც.

მირზა წერს მებრძოლთა განცდებზე, მათს ტანჯვაზე, იმედებსა და უიმედობაზე, იმ საშინელებებზე, თავის თავზე რომ გადაიტანა; წერს სიცოცხლის სიყვარულზე და სიკვდილის საშინელებაზეც.

ფრონტიდან გამოგზავნილ წერილებსა და ლექსებს დიდი მზრუნველობით აგროვებდა მირზას და რუსუდანი (1912-1967წ.წ.). რუსუდანი თვითონაც პოეტური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო. მის კალამს ეკუთვნის ლექსები და მოთხრობა „ბედნიერი რაკრაკა“, რომელსაც განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემია მიენიჭა. იგი იყო რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა მასწავლებლებსა და ფართო საზოგადოებაში.

რუსუდანი განსაკუთრებული სიყვარულით დასტრიალებდა თავზე მოხუც მშობლებს. მირზას, ცხადია, განუზომლად უყვარდა მოამაგე და. მან ზეპირად იცოდა თავისი დის რუსუდანის რამდენიმე ლექსიც.[2] აი, ერთ-ერთი მათგანი:

სარეველა ბალახი მჭნა, სათიბებში გარეული;
შენ მონადირედ გაქცია, მე ჯიხვი მჭნა გარეული;
წმინდა წყაროს წინწკლები მჭნა, შენგან ვიყო დალეული;
ხელში მომცა სალამური, სიმღერაში გალეული;
მე მწყემსის გოგოდ მაქცია, ცხვარი გვყვანდეს არეული;
(„ნატვრა“)

მირზა გელოვანი თავისი პოეტური რეულის პირველსავე ფურცელზე ასე სწერდა თავის საყვარელ დას:

ახლა, როცა ამას ვწერ, როცა სულში მიცურავს

---

[1] მ. გელოვანი, „უბის წიგნიდან“, 1964, გვ. 242.
[2] ნ. აგიაშვილი, პირად-პირადი, 1986 წ., გვ. 267.

სიხარულის ბორანი,
დარჩეს, დაო ძვირფასო, ეს ლექსები სახსოვრად,
როგორც მოსაგონარი.
და თუ ოდეს დავშორდეთ საუკუნოდ ერთმანეთს,
გულში მაინც დარჩება,
როგორც ღამის ლამპარი, როგორც წმინდა და-ძმობის
ცრემლით გამოსარჩლება.

1939 წლის ერთ სუსხიან დილას გაუყვა მირზა გელოვანი დიდ გზას მოახლოებული გრიგალებისაკენ, საიდანაც, სამწუხაროდ, არ დაბრუნებულა.

სარდლობის დავალებით მ. გელოვანი 1940 წლის აპრილში მივლინებითაა მოსკოვში. აქ იგი კურსკის ვაგზალში შაშხანით ხელში ხვდება ქართული პროზის დიდოსტატს კონსტანტინე გამსახურდიას და ქართული მეცნიერების რაინდს შალვა ნუცუბიძეს. ეს შეხვედრა მ. გელოვანმა დედისადმი მიწერილ წერილში ასე აღწერა: „დღეს კ. გამსახურდიასა და შ. ნუცუბიძეს შევხვდი კურსკის სადგურში და საოცრად დამწყდა გული. კონსტანტინე საქართველოში ბრუნდება დღეს. მე თოფითა და „კატილოკით" ვიდექი მათ წინ და ვზომავდი უფსკრულს, რომელიც ჩვენ შორის იყო საერთოდ და რომელიც გაღრმავდა უცებ. რაც თბილისიდან წამოვედი, ვინ იცის, ამ ორ-სამ წელიწადში ეს უფსკრული ისე გაღრმავდეს, რომ ველარც მონდომებამ და ველარც ჩემმა ყველაფრის შემძლე (გარდა ციგნობისა და გაიძვერობისა) უნარმა ველარ მიშველოს, რომ ამ უფსკრულს გადავახტე. მათაც, ალბათ, იგრძნეს რომ უხერხულობაა რაღაც ჩემი მოსკოვში „ვინტოვკით" ყოფნა, მაგრამ ამაზე არაფერი უთქვამთ. პირიქით, კონსტანტინემ მითხრა, მითხრა კი არა, ინატრა ჩემი წლოვანება".[1]

მ. გელოვანი 1943 წელსაც ყოფილა მოსკოვში მივლინებით. აქ იგი შეხვედრია ირ. აბაშიძესა და გ. ლეონიძეს. ისინი მოსკოვში სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე დასასწრებად ყოფილან ჩასული.

ეს შეხვედრა ირ. აბაშიძეს აღწერილი აქვს „ლიტერატურულ გაზეთში" გამოქვეყნებულ წერილში.[2]

---

[1] მ. გელოვანი, უბის წიგნიდან, 1964 წ., გვ. 238.

[2] ირ. აბაშიძე, მე არ ვკარგავდი სიმაღლეს ჩემსას, „ლიტერატურული გაზეთი", 1985წ., 23 აგვისტო.

1940 წელსაა დაწერილი უსათაურო ლექსი „ექვსჯერ ჩამოჰკრა მწვანე საათმა“. პოეტი დიდი სინანულით ეთხოვება იმ ადგილს, სადაც მთების სურიდან უსვამს წყაროს წყალი, სადაც დაუბეჭდავი წიგნები რჩება:

აქ მისვამს წყარო ირმების სურიდან,
სიკვდილის მერეც აქვე ვიქნები,
აქ გაცოცხლდება ჩემი სული და
დაუბეჭდავი ჩემი წიგნები.

მირზა გელოვანი ჭეშმარიტი პოეტი და ერთგული ჯარისკაცი იყო. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წელს (1941წ.) ფრონტიდანაა გამოგზავნილი ლექსები: „საღამონი“, „ძმათა საფლავთან“, „ჩემს მიწურ ქოხში“. ლექსში „საღამონი“ პოეტი წერს:

იწყება შუქი, იწყება წყევლა,
თავდავიწყება არსად იწყება.
მე მავიწყდება წარსულში ყველა,
საღამონი კი არ მავიწყდება.

პოეტს ომის საშინელებამ გადაავიწყა „გარდასულ დღეთა ლეგა ფურცლები, იცვალნენ ყველა შემოგარენი“, მაგრამ უცვლელი დარჩნენ საღამონი:

და სიკვდილის ჟამს, როცა ღელვანი
წაშლიან ცრემლს და ღიმს დასტოვებენ,
მე დამტოვებენ ქვეყნად ყველანი,
საღამონი კი არ დამტოვებენ.

მ. გელოვანს მტკიცედ სწამდა ომში ჩვენი გამარჯვება, იგი ძმათა საფლავთან მდგარი სწუხდა იმაზე, რომ ბევრ ვაჟკაცს ნაძვნარში საფლავში ეძინა. სამწუხაროდ, თვითონაც ვერ იხილა გამარჯვების დღესასწაული: ლექსში „ძმათა საფლავთან“ ნათქვამია:

როდესაც რკინა ტყვიამ დაძენძა,
როცა ასწიეს ფრთები ანძებმა,
საძმო საფლავში იწექ ნაძვებთან,
არ ესწრებოდი ჩვენს გამარჯვებას.

პოეტი-ჯარისკაცი ცდილობს დასძლიოს გულგატეხილობა და დაქანცულობა, გამოავლინოს გასაოცარი იმედი და მხნეობა, რაც კარგად ჩანს ლექსში „ჩემს მიწურ ქოხში“.

„პოეტს საერთოდ უყვარს შედარება ხალხის საყვარელ გმირებთან და აი, ასე, მინდიას ბრძენი მოთმენით დგას მირზა გელოვანი დიდი ლირიკის სადარაჯოზე, მის მიწურ ქოხში შემოდის სხივი განთიადისა.“[1]

მაქვს მინდიასებრ ბრძენის მოთმენა,
სისხლის ღამე და სისხლის ლოგინი,

ხსნა თუა სადმე, შენ ერთი იხსნი,
რასაც გული და ბავშვობა ჰქვია.

1943 წელსაა დაწერილი და ფრონტიდან გამოგზავნილი ლექსი „ოი, ბავშვობის დღეები“. მებრძოლ ჯარისკაცს მუდამ თვალწინ უდგას მისი საყვარელი თიანეთი, იორი, იქ გატარებული უდარდელი ბავშვობის პერიოდი:

ოცნებას დავემონები
მუდამ ლალი და იოლი,
რატომ არ ჩემი წნორები,
რატომ არ ჩემი იორი.

ოცნებაში გადასულ პოეტს არ ავიწყდება გულის სწორიც:

ოი, რანაირ გეძებდი,
ქალშავავ, შავი თმებითა,
ვინც მკლავდი, ვინც მახარებდი,
გაყრით და შერიგებითა.

ნათქვამია: „როცა ქვემეხები ქუხან, მუზები დუმანო“, მირზა აღმოჩნდა ბედნიერი გამონაკლისი, იგი თითქოს ხელმეორედ დაიბადა, როგორც პოეტი.

სამართლიანად წერს მკვლევარი: „ჭეშმარიტი ტალანტი იყო საჭირო იმისათვის, რომ ქვემეხების ზუზუნსა და ომის ცეცხლს არ გაეუხეშებინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი სულის პოეზია“.[2]

---

[1] ირმა ჩხეიძე, მირზა გელოვანის ფრონტული ლირიკა, „ცისკარი“, 1875 წ., №5, გვ. 153

[2] ირმა ჩხეიძე, მირზა გელოვანის ფრონტული ლირიკა, „ცისკარი“, 1975 წ., გვ. 151.

მართალია, ფრონტზე მყოფ პოეტს ომის საშინელებაზე უხდებოდა წერა, მაგრამ ის მძიმე წუთებშიც არ ეძლეოდა სასოწარკვეთას. საშინელი ხოცვა-ჟლეტის დროსაც არ დაუკარგავს მას მომავლის რწმენა. ლექსში „შენ“ პოეტი წერს:

შენ ნახე, როგორ იწვოდა ზეცა
გაუგონარი, მღვრიე დაწვითა,
შენ გახსოვს, ტყვია მე როგორ ამცდა
და ამხანაგის გულში გაცივდა.
როგორ დაეცა იგი დაჭრილი,
როგორ კაწრავდნენ მიწას თითები
და გაზაფხულის შორი აჩრდილი
როგორ მიჰქონდა დღეს გაფითრებით.
პოეტი დარწმუნებულია:
სიკვდილისაგან შენ ვერრა გიხსნის,
თვითონ სიკვდილი თუ არა სძლიე.

პოეტისათვის ჩვეულებრივი ამბავი გახდა ომის საშინელებაზე წერა, მაგრამ რაოდენ სევდიანიც არ იყოს დაღუპულთადმი მიძღვნილი სტრიქონები, „ომის ლირიკის“ თემა მაინც სიცოცხლის გამარჯვების რწმენაა, გამორიცხულია სასოწარკვეთა, უიმედობა:

იქ, სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ
სისხლის წვიმაში, ტყვიების ჩქერში,
მე არ ვკარგავდი სიმაღლეს ჩემსას,
რომელიც ოდეს გიყვარდა ჩემში.
და სასიკვდილო ტყვიების ფარფატს,
ღამეში გაწვდილ ცეცხლის ენებად,
მე ვუცქერდი, როგორც სანახავს,

როგორც უცოდველ მშვენიერებას –ნათქვამია უსათაურო ლექსში -„იქ, სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ.“

სამართლიანად წერს მკვლევარი ი. ხაჩიძე „ეს მართალი თვალი ბავშვისა, უმანკო და უცოდველი აღქმა გარშემო დატრიალებული საშინელებისა, სასაცილო იქნებოდა ალბათ, რომ არ იყოს გამოწრთობილი დიდი პოეტური ტალანტით. მირზა გელოვანი ახალგაზრდა დაიღუპა, იგი უდაოდ დიდი ნიჭიერებით აღსავსე პიროვნება იყო, მის ლექსებში, ეს ეხება მის ფრონტულ ლირიკასაც და ადრეულ ლექსებსაც, ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ უზადო

ლექსიკური ფორმა და პოეტური სამკაული, არამედ ერთიანი ხალასი ნიჭი ძარღვიანი, მიწის ბელტებივით მხურვალე სიტყვა".[1]

ყველა დიდი ტკივილის დროს, როდესაც ყოველ წუთსაა მოსალოდნელი ფრონტზე დაღუპვა, პოეტს აგონდება წარსული დღეები და მასში მომავლის რწმენა ისადგურებს, რაც კარგად ჩანს უსათაურო ლექსში: „მე არ ვარ გმირი".

ო, არა... მაგრამ სიკვდილის გვერდით,
სისხლიან ჩრდილში მწვავე ბრძოლების,
თქვენ მაგონდებით, როგორც იმედი
წარსულთა დღეთა განმეორების.

მ. გელოვანის განუყრელი მეგობარი პოეტი რევაზ მარგიანი წერს: „ვისაც ომის სუსხი უგრძვნია, ვისაც ცივსა და გაყინულ სანგარში ერთი ღამე მაინც უთენებია, დამეთანხმება, ამგვარ გარემოში, თუ რა ძნელია დაიმორჩილო ფანქარი და ქაღალდის ნაფლეთზე რამდენიმე სტრიქონი მაინც გააკლო. რა ძნელია ქვემეხების გრუხუნსა და დავიდარაბაში იზრუნო ლექსზე, ფიქრს, აზრსა და გრძნობას თავი მოუყარო და ხანმოკლე, თუნდაც ხანგრძლივი შესვენების დროს რაიმე შექმნა. „ომის ლირიკა", როგორც თვით უწოდებს ავტორი, სანგრებში დაბადებული ქმნილებებია და ზარბაზნის კვამლითაა შებოლილი. ყველა ეს ლექსი ადამიანური ვნებებითაა აღსავსე. ვაჟკაცური შემართება და ზოგჯერ სევდამორეული კილო ერთმანეთსაა ოსტატურად შეზავებული და მაღალ შთაგონებასაა ნაზიარები."[2]

მ. გელოვანს ფრონტულ ლექსებში შეაქვს ავტობიოგრაფიული ფაქტორები. ფრონტიდან გამოგზავნილი ლექსები ბრძოლის ეპიზოდებთან ერთად გვაცნობენ მ. გელოვანის მგზნებარე სულისკვეთებას, უდრეკ ნებისყოფას. ამას მოითხოვს იგი მეგობარი პოეტისაგანაც. მეგობარ პოეტს ამავე სახელწოდების ლექსში ასე მიმართავს:

ამაღამ მტერთან მომიწევს შებრძოლა
და იქნებ ტყვიას ვერც გადავურჩები.
ამაღამ ჩემი სვანური მუხლი
მე შემახვედრებს მტერთა ბლინდაჟებს,

---

[1] ირმა ჩხეიძე, მ. გელოვანის ფრონტული ლირიკა, „ცისკარი", 1975წ., №5, გვ. 152.
[2] რ. მარგიანი, ღიმილის ბიჭი, „ლიტერატურული საქართველო", 1977 წ., 1 ივლისი.

დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი,
ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიჟრაჟებს.

მ. გელოვანი მეგობარ პოეტს შეახსენებს, რომ იგი იარაღთან მივიდა ბავშვობიდანვე და ახლა უკვე ნაოჭებს ითვლის:

ვინც იარაღთან მივიდა ბავშვი,
და ახლა შუბლზე ითვლის ნაოჭებს,
მას შეუძლია ბავშვობის ზიარს
გისაყვედუროს, გაგკიცხოს შორით,
თუ სიტყვა შენი არა ჰგავს ტყვიას,
ამ სასტიკ ომში ჩემგან გასროლილს.

ასეთია ამ ლექსის ავტორის საბრძოლო განწყობილება.

მ. გელოვანი თავისი უახლოესი ადამიანისადმი, დისადმი მიწერილ წერილს ურთავს უსათაურო ლექსს „იქ, სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ“. ლექსში ჩამოთვლილია ის ვაჟკაცური შემართებანი, რომელიც პოეტისათვის ბავშვობიდანვე იყო დამახასიათებელი და რომელშიც ოჯახს მიუძღოდა დიდი წვლილი:

იქ, სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ
სისხლის წვიმაში, ტყვიების ჩქერში,
მე არ ვკარგავდი სიმაღლეს ჩემსას,
რომელიც ოდეს გიყვარდა ჩემში.
და სასიკვდილო ტყვიების ფარფატს,
ღამეში გაწვდილთ ცეცხლის ენებად,
მე ვუცქეროდი, როგორც სანახავს,
როგორც უცოდველ მშვენიერებას.
ხანძრებს, ღამეთა კალთაზე გაშლილთ,
გზებზე ჩახერგილ ღამეთა ლოდებს,
მე ვუცქეროდი თვალებით ბავშვის,
რომელიც ასე გიყვარდა ოდეს.

მ. გელოვანი ჭეშმარიტი ტალანტი იყო. იშვიათია პოეტი, რომლის პოეზიაში ერთმანეთს შერწყმოდეს პოეტური სინაზე და ჯარისკაცური შემართება.

როგორც მკვლევარი შ. რადიანი მიუთითებს: „მ.გელოვანი მკითხველს იტაცებდა გრძნობათა სიმდიდრით და ესთეტიკური გამომსახველობის სიახლით. მისი „ომის ლირიკა“, ციკლი ლექსები-

სა ომზე, მებრძოლის ცხოვრების, ბრძოლის, ადამიანური განცდების ღრმა გამომთქმელია.“[1]

ნაძვების ახლოს გაჭრილ საფლავში მწოლიარე გმირზეა საუბარი ლექსში „გმირობას მისას“.

თოვლით დაფარულ ნაძვების ახლოს
ის იწვა ერთი,
და უცქეროდა ღრუბლების მაღლობს
თვალებით თეთრით...

მებრძოლის ახლოს არ ეგდო არც ხმლის ნატეხი, არც ისრის ბუდე, მხოლოდ მოშავო სისხლი უმშვენებდა წარბებს.

პოეტის თქმით:
ამ სისხლს ხსოვნისთვის გულზე წაიცხებს,
მკერდით დაიცავს,
გმირობას მისას არ დაივიწყებს
რუსეთის მიწა.

ფრონტზე მყოფი მეომარი ყოველ წუთს თვალებში უცქერის სიკვდილის აჩრდილს. გასაკვირი არაა პოეტი მებრძოლის გასაჭირზე, უიმედობაზე, საშინელ განცდებზე წერდეს, მთავარი ისაა, რომ ფრონტზე დაწერილი მ. გელოვანის თითქმის ყველა ლექსი მკითხველზე ოპტიმისტური განწყობილების მომგვრელია.

საინტერესოა მ. გელოვანის ლექსი „მთაწმინდიდან სმოლენსკამდე“, სადაც აღწერილია პოეტის ერთ-ერთი თანამებრძოლის საომარი გმირული თავგადასავალი. ეს მებრძოლი ბევრჯერ დაჭრილა, მაგრამ:

„დაჩეხილებს თბილისის ცა გვამთელებდა,
ჩვენს საშველად მთაწმინდიდან წამომდგარი“ — ამბობს პოეტი. ის სმოლენსკთან დაეცა გმირის სიკვდილით ისე, როგორც ფშაველ მონადირეს ეკადრებოდა. ასეთი სიკვდილი უფრო ადვილად ასატანს ხდის გმირის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას:

მე დედაშენს არ ვუამბობ შესაწუხარს,
ვეტყვი მხოლოდ ომში გული არა კვდება,
ვეტყვი, რომ შენ წაიქეცი, როგორც მუხა,
როგორ ფშაველ მონადირეს ეკადრება.

---

[1] შ. რადიანი, „თანამედროვენი“, 1965წ., გვ. 442.

ომის საბედისწერო დღეებში, როდესაც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედი წყდებოდა, მ. გელოვანი მამაც მეომრებთან ერთად იბრძოდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ. პოეტის მიერ ომის თემაზე დაწერილ ლექსებს, როგორც არაერთხელ ითქვა, წითელი ხაზივით გასდევს ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენა. ერთ-ერთი ასეთი ლექსია 1942 წელს დაწერილი უსათაურო „ძველი რიაზანის კედლებს გავყურებ“, აი ისიც:

ძველი რიაზანის კედლებს გავყურებ,
თითქოს გარდასულ ბრბოების ბრძოლას,
ქანავს ბორანი როგორც საყურე,
და რიაზანი მოაგავს ბორანს.
რომ მოვკვდე ვიცი, ბრძოლაში ნაწრთობს
მტრის სიძულვილი გამახალისებს,
რიაზანს – ლანდი ბათუ-ხანისა,
მე შენზე ფიქრი ბნელში შემაკრთობს,
შორს ჩანს ადგილი, რომელიც მიცდის,
შორს... ბრძოლის ველი.

მირზა რიაზანის ბრძოლების მონაწილეა, ლექსიც იქიდანაა გამოგზავნილი 1942 წელს.

მირზა გელოვანის ბოლოდროინდელ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა ლექსი „თოვლი“. (1944წ.).

თოვლი მოვიდა, ო, არა თეთრი,
სულ სხვანაირი თოვლი მოვიდა.
მგონია, მოხვალ შენ მოხვალ ერთი
და თოვლის სპეტაკ კუბოს მომიტან.
დამმარხე თოვლში, დამმარხე ქარში,
თორემ მომბეზრდა მიწა ბოროტი,
იჩქარე, თორემ თოვლივით წავშლი
შენზე ფიქრებს და შენზე მოლოდინს,
წახვედი, როდის ბრუნდები როდის –
დამწვარი თოვლის მსუბუქი ბოლი,
ჩემკენ, ო, ჩქარა, გზაც აქეთ მოდის –
თოვლი, თოვლი, თოვლი...

როგორც მკვლევარი თ. მირიანაშვილი წერს – „ამ ლექსს ერთი შეხედვით საერთო არაფერი აქვს საბრძოლო პოეზიასთან.

ვკითხულობთ ბოლომდე ამ ლექსის სტრიქონებს და ვრწმუნდებით, ომზე მასში სიტყვაც არაა დაძრული. მირზა ჩრდილოური მკაცრი ბუნების ველურ მშვენიერებას ხატავს, მაგრამ ხატავს ისე, როგორც მას აღიქვამს მეომარი, მის განწყობილებას უსადაგებს დაზამთრული უდაბნოს პეიზაჟს, გადათოვლილს, მდუმარეს და მკითხველი ამ შთამბეჭდავი სტრიქონებიდან, ყინვასა და სიცარიელესთან ერთად, ჯარისკაცული ბედის ტრაგიზმსაც შეიგრძნობს."[1]

ცივ სანგარში მწოლს, ომისაგან დაღლილ პოეტს ეწვია ფიქრი ოჯახზე, მშობელ დედაზე, თბილისზე, მთაწმინდაზე, მის თვალწინ დგება დედა, ახსენდება ის წუთები, როდესაც უკანასკნელად შეხედა მას:

ჩემთვის რა იყოს ეს საღამო...
არავინ იცის,
მე მოვდიოდი, შორს რჩებოდა
ყრმობის ბუნება,
დედავ, გრიგალში გადაკარგულს
წუხილით მიცდით
და ჩემს სიცოცხლეს ლოცულობთ და
ჩემს დაბრუნებას.

თქვენი ხმა, როგორც ძვლების კვნესა ისე მოდის ჩემამდე და თქვენი ლოცვა რომ არ მფარავდეს, მე აქამდე ვერ გავუძლებდი ომის განსაცდელს – მიმართავს იგი დედას.

ომის საშინელებამ პოეტს ბავშვობის უდარდელი დღეები გადააივიწყა, მის თვალებში „საშინელი სხივი კიაფობს". ეს სამწუხარო მოგონებები წუთიერად გაიელვებენ, რომელსაც ლექსის ბოლოს ცვლის ოპტიმისტური რწმენა, რომ ქვეყანა ომიდან გამარჯვებული გამოვა, თვითონ კი – ომგადახდილი დაუბრუნდება ოჯახს, ნათესავებს, ნაცნობ მეგობრებს:

მე გამარჯვება დამაბრუნებს თქვენთან,
სწორებთან,
მე გამარჯვება გადამიყვანს მთებზე,
ქედებზე,
ყოველი წვიმა თქვენს მდუღარე

[1] თ. მირიანაშვილი, ომის ლირიკა, „ცისკარი", 1977წ., გვ. 67.

ცრემლს მაგონებდა,
და ის ცრემლები გამარჯვების გზებს
მიქეზებდნენ.

სამართლიანად წერს მკვლევარი დ. იოვაშვილი: „მ.გელოვანის, როგორც პატრიოტი პოეტის, ყველაზე ფაქიზ გულისხმიერებას მკითხველი იგრძნობს მაშინ, როცა მის „დედას“ გადაშლის.

ეს არის შესანიშნავი ნაწარმოები, რომელშიც შთამაგონებლად განცდილი და მშვენივრად გადმოცემულია დედაშვილური განწყობილებანი. მშობელთან დაშორების დაუვიწყარი წუთები, ოსტატურად არის განზოგადებული გრიგალებში გადაკარგულ შვილთა მოლოდინის დედური გრძნობა, დედის ლოცვა... ისე, როგორც მ. გელოვანის სხვა რჩეულ ქმნილებებში, ამ ლექსშიც ყველაფერი წარმოსახულია იმ ლირიკული პათოსით, რომელიც მხოლოდ „დედის“ ავტორის თვისება შეიძლებოდა ყოფილიყო.“[1]

წარსულ დღეთა მოგონება ადამიანში ან მწუხარებას იწვევს, ან პირიქით – აღფრთოვანებას, აღმაფრენას. უსათაურო ლექსში „მე არ ვარ გმირი“, ნათქვამია:

მე არ ვარ გმირი, ცეცხლში ბრძოლების,
ბედი მწყალობს და სიკვდილს ახელებს.
არდაბრუნება არ მეძნელება,
უფრო ძნელია თქვენზე წუხილი.

ო, არა მაგრამ სიკვდილის გვერდით,
სისხლიან ჩრდილში მწვავე ბრძოლების,
თქვენ მაგონდებით, როგორც იმედი
წარსულთა დღეთა განმეორების.

ომში გამარჯვების ურყევი რწმენა არამარტო მის ლექსებს ახლავს, არამედ ფრონტიდან გამოგზავნილ წერილებსაც.

მ. გელოვანის ნაწარმოებთა კრებულში, რომელიც ბულგარეთში – ქ. სოფიაში 2001 წელსაა გამოცემული, 60-მდე წერილია დაბეჭდილი. წერილების მისამართი სხვადასხვაა, უმთავრესი ადრესატებია: მშობლები, დები, აგრეთვე მწერლები: რაჟდენ გვეტაძე,

[1] დ.იოვაშვილი, დიდ სამამულო ომში დალუპული ქართველი მწერლები, თბ., 1967, გვ. 8.

გიორგი კაჭახიძე, კოტე ხიმშიაშვილი, მეცნიერი შოთა რევიშვილი, გორელი პიონერი ლელა კიკნაძე...

ამ კრებულის შემდგენელ-გამომცემელი სილოვან ნარიმანიძე მ. გელოვანის მიერ დედისადმი გაგზავნილ წერილს ასეთ კომენტარს უკეთებს:

„მირზა გელოვანის საიუბილეო კრებულის გამოცემისათვის სხვა მეტად საინტერესო დოკუმენტებთან ერთად, წავაწყდი მის მიერ, 1941 წლის 22 მარტს, ხარკოვიდან დედისადმი ევა მაჩურიშვილისადმი გამოგზავნილ წერილს (იბეჭდება პირველად).

აღნიშნული წერილი მრავალმხრივ საყურადღებო მოსაზრებებს შეიცავს. იგი ფართოდ ეხმიანება ქართველი ხალხის ისტორიის ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს, და ამასთან, თავისებურ განმარტებასა და შეფასებას იძლევა ისტორიულად ჩვენი სახელოვანი შვილების სამშობლოს გარეთ ცხოვრებისა და გმირული, მხედართმთავრული ნიჭის შესახებ. კარგად ჩანს ავტორის დამოკიდებულება ალექსანდრე ორბელიანის, პეტრე ბაგრატიონის, გიორგი საკაძისა და სხვათა მოღვაწეობის შესახებ“.[1]

მირზას ეს წერილი თითქმის ნაბეჭდ 6 გვერდს შეიცავს. მკითხველის გაოცებას იწვევს ჯარისკაცს სად ჰქონდა საშუალება ზემოთ დასახელებულ ისტორიულ პირებზე შეეკრიბა სათანადო საჭირო მასალები, გაეანალიზებინა ისინი და თავისი მოსაზრებები გაეზიარებინა მშობელი დედისათვის.

დავუბრუნდეთ ისევ „ომის ლირიკას“. პოეტს სწამს, რომ იგი იბრძვის სამართლიანობის დასაცავად, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მებრძოლი განწყობილებით გამოირჩევა თვით სატრფიალო ლექსებიც. ლექსში „ნუ მწერ“ ნათქვამია:

წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს,
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.

პოეტს ღრმად სწამდა ჩვენი გამარჯვების, ამიტომ წერდა იგი ასეთი აღფრთოვანებით:

---

1 მ. გელოვანი, ოცდაშვილი გაზაფხული, ბულგარეთი (ქ. სოფია), 2001 წ., გვ. 179.

რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ – მზე გამარჯვების.

მან კარგად იცოდა, რომ ომი მსხვერპლს მოითხოვდა და ეს მსხვერპლი თვითონაც შეიძლება ყოფილიყო. ლექსში „მეგობარ პოეტს“ იგი წერს:

ამაღამ ჩემი სვანური მუხლი
მე შემახვედრებს მტერთა ბლინდაჟებს.
დღეს ჩემი იყო სალამოს მწუხრი.
ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიჟრაჟებს.

მაგრამ პოეტს არასოდეს არ შორდებოდა „ყოფნის მტკიცე იმედი“. მის თითქმის ყველა ლექსს რეფრენად გასდევს გამარჯვების გამომხატველი სიტყვები: „...მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები“, „მე გამარჯვება დამაბრუნებს თქვენთან, სწორებთან“, „მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი“ და ა.შ.

ჯარში ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლია მ. გელოვანისათვის, იგი, პირიქით, - ბედის მადლიერია, რომ ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა: „ჯარმა ბევრი რამ კარგი გამიკეთა, ჩემო კარგო. აქ ვისწავლე ნამდვილი ადამიანი და ცხოვრება მთელი თავისი სიღრმით, სიმართლითა და სილამაზით. აქ ვისწავლე, რა ძვირი ღირს მოსიყვარულე გული და როგორ არ ვაფასებთ მას. აქ დავინახე, როგორი ადამიანი გარემოს მიხედვით ეგუება სინამდვილეს. აქ გადავლახე ბევრი დაბრკოლება, რამაც უფრო აამაღლა ჩემი ამაყი სული“.[1] – წერს იგი თავის დას.

ყოველივე ამის მიუხედავად, პოეტმა მტკივნეულად განიცადა პოეზიის სამყაროსთან განშორება: „სურვილი მაქვს დავწერო წიგნი, რომელიც იქნება გამომშვიდობება ყველაფერთან, რაც ასე აღელვებდა ჩემს ახალგაზრდობას, რომელსაც ექნება ჩემი თაობის ყველა ხასიათი და იდეა და კიდევ: მე ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ შევძლო, რომ შენთან არ მრცხვენოდეს, რომ შენ არ გრცხვენოდეს, როცა შენს ახლოს დაიწყება საუბარი პოეზიაზე, მწერლობაზე.“

მ. გელოვანი სერიოზულად ეკიდებოდა პოეზიას და დიდი მომთხოვნი იყო თავისი თავისადმი: „ჩემი ლექსები ვერ მაკმაყოფილებენ მე და, ალბათ, მივატოვებ მათ წერას, ვიდრე ვერ ვიპოვნი გა-

[1] მ. გელოვანი, უბის წიგნაკიდან, თბ., 1964 გვ. 243.

საღებს, რომელიც გახსნის ჩემს მგრძნობიარე გულს და აჩვენებს მომავალ თაობებს, როგორ გარბოდნენ გულზე დღეები და სტოვებდნენ კვალს, მილიონებისათვის ნაცნობს."[1]

რუსუდანისადმი მიწერილ წერილში, 1944 წლის 13 მარტს, იგი ამბობს:

„ომი ჰკლავს ჩემში ლექსების მწერალს, მაგრამ ზრდის პოეტს. ჩემი მგრძნობიარე გული უცვლელია, თუმცა ნერვები ჩემი და სული გამაგრდნენ, გამოიცვალნენ" (გვ. 270).

როგორც მკვლევარი ი. ჩხეიძე მიუთითებს „მაღალ პოეზიასთან ერთად იმედით, ღონით, რწმენითა და ზოგჯერ სევდითაც სავსე წერილები პოეტი ჯარისკაცისა უფრო მშფოთვარეს ხდიდა მირზა გელოვანის ხასიათს და აახლოებდა დღევანდელობასთან. აი, რითაა მირზა გელოვანი ჭეშმარიტი შემოქმედი, გამორჩეული ჩვენს დღევანდელ პოეზიაშიც. მას ჰქონდა საკუთარი სამყარო, პოეტური, მიმზიდველი, განუმეორებელი."[2]

„სამშობლოს სიყვარულის ამაღლებული განცდა, ჭეშმარიტი ერთგულება – აი, რა ასულდგმულებდა მას, როგორც ადამიანს; ხალასი სიმართლე და მხატვრული დამაჯერებლობა, ფორმის სისადავე, პოეტური ენერგია – აი, რა ახასიათებს მას, როგორც პოეტს. ამიტომაცაა, რომ გვხიბლავს მისი მართალი სტრიქონები, რომელთა წინასწარმეტყველური ინტუიციაც დროთ დაადასტურა".[3]

მირზა გელოვანმა აღასრულა თავისი მოქალაქეობრივი ვალი – უყოყმანოდ შეეწირა თავისი ქვეყნის დაცვისა და დამოუკიდებლობის საქმეს.

თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული პოეტი ერთ-ერთ ლექსში („ჩემი ოთახი") თვითრწმენით აღსავსე სტრიქონებს წერს:

და როცა ჩუმი სიკვდილი მიყმობს,
მიყმობს დუმილი და სასაფლაო,
მოვლენ, იტყვიან, აი, აქ იყო,
ვინც მერე ყველგან დაესახლაო.

დროის მკაცრ გამოცდას გაუძლო მ. გელოვანის შემოქმედებამ და მისი ავტორი მთელ ქართულ მიწაზე, ყველა ქართველის გულში დაასახლა.

---

[1] იქვე, გვ. 167.

[2] ი. ჩხეიძე, მ. გელოვანის ფრონტული ლირიკა, „ცისკარი", 1975წ., №5, გვ. 155.

[3] ბ. მირცხულავა, ცეცხლში ნაწრთობი პოეზია, 1978წ., გვ. 13.

ალექსანდრე საჯაია

ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია – სამივე ერთდროულად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, სამივემ ხანმოკლე სიცოცხლე განვლო, მიუხედავად ამისა, სამივემ თავისი საკუთარი საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული მწერლობის ისტორიაში.

სამივეს მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა, რომელმაც შეიწირა მათი ჯანმრთელობა, მირზა გელოვანი ბრძოლის ველზე დაეცა. გარდა ამისა, მათ 30-იანი წლების რეპრესიების პერიოდში მოუხდათ მოღვაწეობა.

ალ. საჯაია არის უნაზესი ლირიკული ლექსების ავტორი. მის კალამს ეკუთვნის ცეცხლოვანი შინაგანი ტემპერამენტით აღსავსე პატრიოტული ლექსები, ლიტერატურული ზღაპრები, თარგმანები ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან.

ალ. საჯაიას პოეზია მხატვრული ფერების სიძლიერით ხასიათდება, მას მეგრული ჩონგურის სიტკბოება დაჰყოლია თან.

ალ. საჯაიას სამწერლო გზა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. მისი პირველი ლექსი 1935 წელს დაიბეჭდა, ხოლო ბოლო ლექსებს 1944 წელი აქვს თარიღად. შემოქმედისათვის ეს ძალიან მცირე დროა.

ალ. საჯაიას უახლოესი მეგობარი, ცნობილი მწერალი და მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე წერს: „ალექსანდრე საჯაია ძალიან ადრე გარდაიცვალა. იგი ვერ მოესწრო ეგემნა ცხოვრების მთელი სიტკბო და სიმწარე. მთელი ადამიანური სიკეთე თუ ბოროტება მან მხოლოდ წიგნების გმირების ცხოვრებით იცოდა. არც იმედის გაცრუების დიდი ტკივილები განეცადა და არც ადამიანური უმადურობის ყველაზე საშინელი ნაღველი, არც ბავშვობის მოგონებათა სიტკბოების განცდა და არც ჭაბუკის გულუბრყვილო ოცნებებთან გამოთხოვების სიმწარე; დიდი სიყვარულით აფეთქებულ მის გულს ჯერ ვერ მოესწრო ეჭვითა თუ ღალატის საშინელებით აფორიაქებულიყო“.[1]

---

[1] ვ. ჭელიძე, წერილები, ლიტერატურული პორტრეტები, 1971წ., გვ. 235.

მიუხედავად ამისა, „ჩვენმათაობელებმა“ მაინც შეძლეს საყურადღებო ახალი პოეტური სიტყვა ეთქვათ.

საკუთარი ტონალური ლირიკის შექმნა და დამკვიდრება ერთობ ძნელი იყო იმ დროს, როცა აქტიურად მოქმედებდნენ ლიტერატურულ ცხოვრებაში გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, სიმონ ჩიქოვანი და სხვები.

30-იან წლებში მწერლობაში ერთბაშად მოვიდნენ ახალგაზრდები და განაცხადეს თავიანთი სათქმელი. ესენი იყვნენ: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია, რევაზ მარგიანი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ვლადიმერ უბილავა, გაბრიელ ჭაბუშანური, კოტე ხიმშიაშვილი.....

ეს ახალგაზრდები ისმენდნენ ჩვენი დიდი მეცნიერების: ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, კორნელი კეკელიძის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციებს.

ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახლგაზრდა შემოქმედთა წვრთნისა და დავაჟკაცების საქმეში.

ალ. საჯაია დაიბადა 1916 წელს სოფელ ოდიშში (ზუგდიდის რაიონი), გლეხის ოჯახში.

ვ. ჭელიძე ასე ახასიათებს ამ სოფელს: „მდებარეობა იშვიათი სილამაზისა აქვს. ძველად ლედგებიე რქმევია, მერე გადაარქვეს სახელი და ახლა ოდიში ჰქვია. მგონი სწორედ აქ იწყება მთიანი სამეგრელო და, პატარა გორაკებით გურიას მომაგონებს. პოეტის სახლიდან ორიოდე კილომეტრზე, ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, აქოჩრილი ზეგანი იწყება. წინ ტოტებგადაბურდული საუკუნოვანი ცაცხვის ხეები დგას და რქაგანტოტილი ირმებივით გადმოჰყურებს სოფელს; სოფელს კი არა, მთელი სამეგრელოს ბარს... შორს, შორს, სადამდისაც კი თვალის სხივი მისწვდება“[1].

სწავლობდა ზუგდიდში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა თბილისში, რის შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე (ინგლისური ენის განხრით). უნივერსიტეტი დაამთავრა 1940 წელს.

---

[1] ვ. ჭელიძე, წერილები, ლიტერატურული პორტრეტები, 1917 წ., გვ. 236.

ალ. საჯაიას ლექსები, ზღაპრები, თარგმანები, კრიტიკული წერილები იბეჭდებოდა 1935 წლიდან. 1940 წელს „საბლიტგამმა“ გამოსცა მისი ლექსების კრებული, ხოლო 1944 წელს იმავე გამომცემლობამ დასტამბა მისი ზღაპრების წიგნი.

1944 წლის 17 სექტემბერს ალ. საჯაია მენინგიტით უეცრად გარდაიცვალა სვანეთში, დასაფლავებულია თავისი სოფლის სასაფლაოზე.

„ჩვენთაობელები“,როგორც ალ. საჯაიას უახლოესი მეგობარი ლადო სულაბერიძე იხსენებს, მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ხშირად იკრიბებოდნენ „ჩვენი თაობის“ რედაქციაში. საინტერესო დისკუსიებს მართავდნენ და ესწრებოდნენ მწერალთა კავშირის სხვადასხვა ღონისძიებებს, სადაც სიტყვებით გამოდიოდნენ ჩვენი მწერლობის დიდი წარმომადგენლები: გ. ქიქოძე, კ. გამსახურდია, შ. დადიანი, პ. კაკაბაძე, ბ. ჟღენტი და სხვ.

სამშობლოს სიყვარულის განცდა კიდევ უფრო გაამძაფრა მეორე მსოფლიო ომმა.

ალ. საჯაიას თანაგუნდელები იყვნენ: გრ. აბაშიძე, გ. შატბერაშვილი, ვ. გორგანელი, ხ. ბერულავა, მ.ბარათაშვილი და სხვ.

ალ. საჯაიას განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა ვახტანგ ჭელიძესთან, რომელიც მისი თანაკურსელი იყო.

ვ. ჭელიძე განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს პროფ. ერეკლე ტატიშვილის ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში ჩატარებულ ღონისძიებებს, სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ალ. საჯაია.

ალ. საჯაიამ შექმნა სატრფიალო ლირიკის შესანიშნავი შედევრი, რომელსაც „ოცნების კოშკები“ უწოდა.

1937 წლით არის დათარიღებული ალ. საჯაიას ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „თოვლის ქალი“. იგი ალ. საჯაიას მაღალმხატვრული აზროვნების ნიმუშია. ამ ნაწარმოებით ავტორმა სცადა „დაგვავიწყოს საბედისწეროდ მიჩნეული 1937 წელი და გადაგვიყვანოს პოეტურ წარმოსახვაში“.[1]

ალ. საჯაია აქტიურად თანამშრომლობდა ახალგაზრდულ პრესაში. მას საგანგებო მივლინებები ჰქონდა მწერალთა კავშირიდან.

---

[1] ვ. ჭელიძე. წერილები, ლიტერატურული პორტრეტები, 1971წ., 247.

იგი მივლინების გარეშეც ხშირად სტუმრობდა სვანეთს, სადაც მას მასპინძლობდა პოეტი რევაზ მარგიანი.

ვ. ჭელიძე წერს: „ალ. საჯაიამ ორი უკანასკნელი წელი სვანეთში გაატარა თავის მეგობარ პოეტთან რევაზ მარგიანთან... ალექსანდრე საჯაიას ჩაფიქრებული ჰქონდა რამდენიმე ციკლი ლექსებისა სვანეთზე. ყველანი ვგრძნობდით, რომ მის ცხოვრებაში იწყებოდა ახალი პერიოდი, უფრო ინტენსიური მუშაობის პერიოდი. მან უკვე მიაღწია პროფესიულ დაოსტატებას, საკუთარი ხმა გამოიმუშავა, თემატიკა ჩამოაყალიბა; და იმ რამდენიმე ლექსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რისი დაწერაც მოასწრო, მე ვფიქრობ, თამამად შეიძლება ითქვას, პოეტის ჩანაფიქრი უთუოდ საინტერესო იყო და ჩვენს ლიტერატურას ბევრი კარგი ნაწარმოები შეემატებოდა.“[1]

სვანეთით ალ. საჯაიას გატაცებას ასე ხსნის მისი მეგობარი ლადო ავალიანი. იგი წერს: „სვანეთი-საქართველოს ეს დიდებული კუთხე არა მარტო იმით იზიდავდა ალ. საჯაიას, რომ იქ გულითადი მეგობარი, თანამოკალმე და სვანური სტუმართმოყვარეობა ელოდა. მის სულს როგორღაც სწყუროდა იმ მწვერვალებისათვის, იმ სიმაღლეებისათვის გაესწორებინა მზერა, რომლებიც არა მარტო ჩვეულებრივი ნისლით და ჯანღით, არამედ იდუმალების პოეტური ბურუსითაც იყვნენ გარემოსილნი მის წარმოდგენაში. და ამ იდუმალებისაკენ ფარული, დაუოკებელი ლტოლვა მის სულს თითქოს ჰპირდებოდა ბევრი საიდუმლოს გამხელას. დალის სამფლობელოში უსათუოდ მოეწონებოდათ ეს ეშხიანი სტუმარი და გულმართალი ჭაბუკი. ნადირობის ქალღმერთიც მისთვის ალბათ არაფერს დაიშურებდა. პოეტის სიხარულიც უსაზღვრო იქნებოდა, რომ ბედის ულმობელობა არა“.[2]

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ალ. საჯაიას პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სატრფიალო თემატიკას.

---

1 ვ. ჭელიძე, წერილები, ლიტერატურული პორტრეტები, 1971წ., 247.

2 ლ. ავალიანი, ალექსანდრე საჯაია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972წ., 31 მარტი.

ლექსში „სოფლელი ბიჭი“ პოეტის შთაგონების წყაროა უკარება სატრფო. პოეტი ოცნებობს იმაზე, რომ სატრფოს აუგოს ზეციური კოშკი:

ნეტავ მე მომცა ის ზეცა,
ვარსკვლავი დამაკრეფინა,
იფნებთან ქარის ჩურჩული
მარტო მე გამაგებინა;
თეთრად კაშკაშა მწვერვალზე
კოშკები ამაგებინა.

თვითონ კი თავი მოსწონს იმით, რომ სოფლელი ბიჭია და ათასგვარი დარდები გულს აღარ ულრღნის:

ნეტავ ჩემი ჭნა ის ქალი,
გულში ვამბობდი გლეხურად;
სოფლელი ბიჭი ვიყავი,
ჭილოფის ქუდი მეხურა.

ბიჭი თითქმის უდარდელია, იგი პირიქით, ამაყობს იმით, რომ პატიოსანი ახალგაზრდის ცხოვრებით ცხოვრობს. პოეტმა ყოველივე ამით ხაზი გაუსვა თავის წარმოშობას, სადაც ჩანს ერთგვარი სიამაყეც. ეს პასტორალური უბრალოება, როგორც მისი მეგობრები გადმოგვცემენ, დამახასიათებელი იყო თვით პოეტისათვის.

მიუხედავად პოეტის სატრფოს სიშორისა, მაინც იმედის ნაპერწკალი ღვივის მასში. ლექსში „ავდარი“ აღწერილია ბუნების ცვალებადობა, ძლიერება:

თქვენი თვალები, ზღვას რომ ბაძავენ
მე მზის ვიგრძენი გულში ისარი.
დღეს ყველა ქარი ფრენას მაძალებს,
და ეს ავდარიც ალბათ ზღვის არი.

მაგრამ ყველაფერი უძლურია „სიყვარულის ხომალდის“ წინაშე:

ჩემი ხომალდი გადურჩა ავდარს
და საუნჯეთა მფლობელი არის,
მას ვარსკვლავებიც ტყვეებად ჰყავდა,
მან დაატყვევა ყოველი ქარი.

ალ. საჯაიას საუკეთესო ქმნილებებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ლექსს „ცისარტყელა“:

განა იმისთვის ვეწამე ამდენს,
რომ განშორება მეგლოვა ბოლოს.

საინტერესოდაა ჩაფიქრებული ლექსი „თოვლი თოვს“. პოეტი ცდილობს ლექსებში ხმას არ აუწიოს. ყურისმომჭრელი ბგერები არ გამოსცეს სტრიქონებმა. პოეტი მუდამ შიშობს, ქუხილი არ ალმოხდეს, რომ პატარა ქალს გული არ შეუკრთოს:

თოვლი თოვს, თეთრი ქარია,
თეთრ სამოსელით ვირთვები.
ჩიტებო, რა გიხარიათ,
რისთვის მღერიხართ ჩიტები.
დიდი ზამთარი იქნება?
ნეტამაც ასე ინებოს!
თქვენ მაინც რა გეფიქრებათ,
რა გენანებათ, ჩიტებო?

პოეტის დიდი თანაგრძნობა ჩანს პატარა, სათუთი არსებების — ჩიტების მიმართ. დიდთოვლობა, „თეთრი ქარი“ არ აშინებს „მკერდგაღელილ ჩიტებს“. პოეტის სასიყვარულო გზის დასაწყისი ასეთია, რომელსაც იგი არ უღალატებდა ასაკობრივად ზრდის შემდეგაც.

თუ მარტო თვალები პასუხობენ სიყვარულს, იგი არაა სანდო. სულ სხვა გრძნობებია დახატული ლექსში „ქუხილი“. ამ ლექსში პოეტი იგონებს იმ დროს, როდესაც პატარა გოგონასთან მეგობრობა და „სპეტაკი“ განცდები აკავშირებდა. ახლა მას ომახიანი ხმა აქვს და ეშინია, არ დაფრთხოს გოგონა, რომელიც ჯერ კიდევ ოცნების სამყაროშია დარჩენილი:

მე გული მქონდა... გული ძვირფასი,
გადაქცეული ლექსების მონად,
მაინც სიმღერა, ჩურჩულის მსგავსი,
ქვეყნად ვერავინ ვერ გაიგონა.
სხვა მთებში დაქრის და ბაძავს არწივს,
ვინ ლექსია და მარტო გრიგალი...
დაიქუხებდა ჩემი ხმა აწი,
მაგრამ ვაითუ შეშინდეს ქალი.

თუ პოეტი ვარსკვლავების მოწყვეტაზე და სატრფოსათვის ჩამოტანაზე საუბრობს, მას არც მიწიერი სიმბოლოები ავიწყდება. ერთ-ერთ უსათაურო ლექსში ნათქვამია:

წელს უთოდ წერწეტა ლერწამს შევუერთდები,
აი, თვითონ გვირილა წელში გადატეხილი...
აი, თვითონ მაისი მოზეიმე ვარდებით,
თოვლის ფერით, ღვინის ფერით, შემოსილი ხეხილი,
აი, თვითონ გვირილა წელში გადატეხილი.

„წელში გადატეხილი გვირილა“ თითქოს პოეტის ფატალური წინათგრძნობის გამომხატველია:

სასიკვდილოდ მოვედი, მაგრამ დამენანება,
ურითმებოდ დავტოვო წყვილი ქრიზანთემები,
სიყვარული უმანკო, ცრემლით მინატოვები.
ეს მეტყველი ტყეები ცვარით დაინამება.
სასიკვდილოდ მოვედი, მაგრამ დამენანება,
უსიტყვებოდ დავტოვო ეს მეტყველი ტყეები.

გვიანდელი — 40-იანი წლების პოეტურ სტრიქონებში ერთგვარი უიმედობა გამოსჭვივის. როგორც კრიტიკოსი გ. ნატროშვილი აღნიშნავს, მის სატრფიალო პოეზიაში სიცოცხლისა და მშვენიერების არსი შეინიშნება.

საინტერესოა სულ რაღაც ორსტროფიანი ლექსი „ძველი ამბავი“. აქ გადმოცემულია პოეტის დაკვირვება წუთისოფელზე. „ამბავი“ შეიძლება ყოველთვის დაიწყოს, მაგრამ დამთავრება შეუძლებელია, არაფერს არა აქვს დასასრული:

საღამო იყო... — იწყება ამით
ამბავი იგი და არ თავდება.
მთას დაეცემა ანკარა ნამი,
ძილი მოუვლის და გაქვავდება.
რა თბილი არის ლაჟვარდი ცისა,
მზე ხომ სულ ცაზე რონინს უნდება.
საღამო იყო... — იწყება ისევ
ამბავი ძველი და არ სრულდება.

აზრობრივად აქ გამოხატული მცნება მარადიისობაზე, ეხმიანება ვაჟა-ფშაველას შეხედულებას წუთისოფელზე, რომელიც მან გამოხატა ლექსში „სოფლისა წესი ასეა“.

ალ.საჯაიას სატრფიალო ლირიკაში ხშირად გვხვდება ცისარტყელას, ლაჟვარდის, ვარსკვლავების, ხეების ხსენება, ეს სიყვარულის სიმბოლოებია, რომლებიც ნებისმიერ სხვა პოეტსაც გამოუყენებია. მაგალითად, ლექსში „თბილისის ღამე“ ვკითხულობთ:

თუ ეტრფიალე საყვარელ მნათობს
და განშორების იგრძენ სიმძიმე,
თუ გაიხსენებ დაკარგულ სატრფოს
და ერთხელ მაინც არ დაიბინებ, -
არ მომიშორებ, ვიცი, აღარა,
ვიჭნები შენი ძმა და გუშაგი,
მე ქართლის მთვარემ შემაჭალარა,
თორემ ბავშვი ვარ რძეშეუშრალი.

აქ სიტყვა „მნათობი“ სიმბოლოა სიყვარულში ბედნიერი ან დამარცხებული მიჯნურისა.

სატრფიალო თემას ეხება ალ. საჯაიას საინტერესო უსათაურო ლექსი „ვერისაკენ, დებისაკენ“. აი, ეს ლექსიც:

ვერისაკენ, დებისაკენ,
ფიქრი შეუწყვეტელი...
მხოლოდ თოვლის სისპეტაკე,
მხოლოდ თეთრი კედელი,
მთაფარფატა ორი გედი,
ოქროს ბედი რომ არის....
და მრავალი ოქროს გვერდი
დაუწერელ რომანის.
ვარსკვლავებო, ვერისაკენ,
საით მიეხეტებით...
მხოლოდ თოვლის სისპეტაკე,
მხოლოდ თეთრი სვეტები...

ეს დები ახალსკოლადამთავრებულები ყოფილან, მათ შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ალ. საჯაიას მეგობარი ვ. ჭელიძე: „საინტერესო ის იყო, რომ მალე დებიც გამოჩნდნენ ჰორიზონტზე, ახალსკოლადამთავრებული ორი მშვენიერი გოგონა, რომელთაც ჩვენ წავიყვანდით, ან გავიტაცებდით ჩვენს კოშკში და მაშინ ნამდვილი, ძმური ოჯახი გვექნებოდა, დიდი სტუმართმოყვარე და აკარგიანი ოჯახი, და ამას მოჰყვა დებისადმი მიძღვნილი ლექსები,

რასაც თავისი ადგილი უჭირავს ახალგაზრდა პოეტის პატარა წიგნში."[1]

აღნიშნული დებისადმი პოეტს მიუძღვნია საინტერესო ლექსი „კოშკები", რომელიც უნივერსიტეტში ერთ-ერთ საღამოზე წაუკითხავს. ეს ლექსი სამსტროფიანია:

ქარები, ქარები, ქარები იცოდა,
და ყოველ გაფრენას მოსდევდა ახალი...
ეს მისთვის ავაგე, ეს მისთვის მინდოდა,
ასეთი ძვირფასი, ასეთი მაღალი.
და მაშინ დასრულდა ამბავი იმ ღამის,
ათასი ვარსკვლავი ქარიქარ ვიდოდა.
კარები? სარკმელი ასეთი მაღალი,
ასეთი კოშკები მე მისთვის მინდოდა,
მაგრამ კვლავ მარტო ვარ და ზეცას დაღვრემილს
ვარსკვლავი ბრწყინვალე მეასედ მოსწყდება.
მხოლოდ ეს კოშკები, თეთრი და მაღლები,
მხოლოდ ის უმანკო პოეტის ოცნება.

ლექსის შექმნის შესახებ ვ. ჭელიძე წერს:

„ჩვენთვის რომანტიკულად განწყობილი სრულიად ახალგაზრდა ხალხისათვის, რომლითაც მეგობრობა და ერთმანეთისათვის უყოყმანო თავდადება ცხოვრების უმაღლეს იდეალად დავისახეთ, ვფიქრობდით, რომ თბილისის მახლობლად სახლი აგვეგო და ერთად დავსახლებულიყავით. „პატარა კოშკის" აღმართვა სადმე არაგვის ხეობაში თითქოს უფრო რეალური იქნებოდა".[2]

ეს ჩანაფიქრი არ განხორციელებულა: „მხოლოდ ის უმანკო პოეტის ოცნება" - ოცნებად დარჩა.

დების სახე პოეტს თან სდევს, იგი „მათზე ოცნებას გულით ატარებს", რაც კარგად ჩანს ლექსში „ორი და":

მე ასეც ვუმზერ იანვრის დილას,
ყინვარებს ცივს და თეთრად მინათოვს,

---

[1] ალ. საჯაია, რჩეული, 1970 წ., ვ.ჭელიძის წერილი - „პოეტის პორტრეტი", გვ. 168."

[2] ალ. საჯაია, რჩეული, 1970 წ. ვ. ჭელიძის წერილი – პოეტის პორტრეტი, გვ. 167-168.

მე მხოლოდ მინდა შეირხენ წყვილად, გზად შემომხვდნენ და გზა გამინათონ.

რომ შემდეგ მუდამ, სიკვდილის დღემდე,
მათზე ოცნება გულით ვატარო,
სამშობლოსათვის თუ დამიბნელდეს,
მომიგონონ და მიკელაპტარონ.

ალექსანდრე საჯაიას კალამს ეკუთვნის უსათაურო ლექსი „ეს დილა ოცნებას ჰგავს“, სადაც ერთმანეთთან დაპირისპირებულია სატრფოსთან „სიშორე“ და „სიახლოვე“. პოეტი უპირატესობას აძლევს „სიშორეს“, ვინემ „სიახლოვეს“:

შუქსა ჰფენს სიშორე გულს,
შენ ფიქრებს იშორებ, შენ ღრუბლებს იშორებ,
მე მიყვარს ეს ნაზი სიშორე
და სიახლოვე მძულს.

ასეთივე შეხედულება გვხვდება გ. ტაბიძესთანაც, რაც კარგად ჩანს მის ლექსში „რაც უფრო შორსა ხარ.“

ალ. საჯაიას სატრფიალო ლირიკაში არსად არ ჩანს სასოწარკვეთისა და უიმედობის კვალი, პირიქით, - სიმხნევე და იმედიანი განწყობილება შეინიშნება. ასეთ განწყობილებას პოეტი უკავშირებს გაზაფხულს. ლექსში „საგაზაფხულო სიმღერა“ ვკითხულობთ:

ეს აპრილია მღიმარი, ყელი რომ გადმოიღერა,
ეს გაზაფხულის წვიმების ისმის ცეკვა და სიმღერა.
როგორი წელიწადია, რამდენმა ვაზმა იხარა,
გადაგრეხილმა ვენახმა რქა რქაზე გადაიყარა,
ველად რბის ქარი ბუბუნით, ატამს გაფრენა სწადია,
ჭალას დასძახის გუგული: რა კარგი წელიწადია!

როგორც ვხედავთ, ეს ლექსი ბუნების აყვავებას, ადამიანის გულის სიხარულით ავსებას ეძღვნება, რაც ახალგაზრდობასთან, განახლებასთან ასოცირდება.

ლექსი „ისევ მომესმა ხმაური“ 1944 წელსაა დაწერილი. იგი სიჭაბუკეს და სიყვარულს ეძღვნება. საინტერესოა, რომ ეს ლექსი პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებშია დაწერილი და მასში სიყვარულის მადლი და მშვენიერება გასაოცარი ძალითაა დანახული და გადმოცემული:

გასაოცარი მესმის სიმღერა,
მზე და სინათლე ამოცისკარდა,
მხრებზე დამაჯდა ოქროსნისკარტა
ჩიტი და ყელი გადმოიღერა,
რა საოცარი მესმის სიმღერა,
ეს რა სინათლე ამოცისკარდა!
დღეს სიყვარულის წკრიალებს ზარი,
განათლდა სული, როგორც ტაძარი.

როგორც ამ ლექსიდან ჩანს, პოეტს კვლავ გაეხსნა გულის კარი სიყვარულისათვის. ლექსში ხშირადაა ნახმარი სიტყვა ტაძარი, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სიყვარული ადამიანისათვის ღვთის წყალობაა.

სატრფიალო ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია ალ. საჯაიას „სვანური მოტივებიდან", რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. ამავე თემაზეა დაწერილი ლექსი „ქუხილი", სადაც ზღაპრულ-რომანტიკული საღებავებითაა დახატული პოეტის სატრფოსთან შეყრისა და მასთან გატარებული დღეები. ლექსში ლაპარაკია ლერწამის ჩრდილზე, პატარა მთვარეზე, თეთრ თოვლზე, მოქანცულ იფნებზე...

პოეტი გვარწმუნებს, რომ ყოველივე ეს ხიბლავდა და იტაცებდა მის სატრფოს, მაგრამ იგი მეტად ნაზი არსება ყოფილა და მას ქუხილის ხმა საშინლად აშინებდა:

გუხიბლავდა ტყეში წყაროს ხმაური,
ვეტრფოდით ვერხვის ცქრიალა ფურცლებს,
მაგრამ ქუხილის ხმა უცნაური
შეათრთოლებდა გოგონას უცებ.
... მე გული მქონდა... გული ძვირფასი
გადაქცეული ლექსების მონად.
მაინც სიმღერა ჩურჩულის მსგავსი
ქვეყნად ვერავინ ვერ გაიგონა.
სხვა მთებში დაქრის და ბაძავს არწივს,
ვინ ლექსია და მარტო გრიგალი...
დაიქუხებდა ჩემი ხმა აწი,
მაგრამ ვაი თუ შეშინდეს ქალი.

პოეტი მიუთითებს იმაზე, რომ მისი ლექსები ჩურჩულით უნდა წარმოითქვას. აქ საინტერესო პოეტურ სიმბოლიკასთან გვაქვს საქმე.

ალ. საჯაიას სატრფიალო ლირიკა დღესაც აჯადოებს მკვითხველის გულს და იგი ასევე გადაეცემა მომავალ თაობასაც.

ალ. საჯაიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა პატრიოტიზმს. სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება ოდითგანვე ერთ-ერთი წარმმართველი თემა იყო ქართული მწერლობისათვის. მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ყოველთვის იდგა სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ „ჩვენთაობელებს" მეტად მძიმე პერიოდში მოუხდათ სამწერლო ასპარეზზე ამოსვლა. „ასეთ ვითარებაში ალ. საჯაიამ და მისმა რჩეულმა თანატოლებმა ჟურნალის ფურცლებზე მკითხველ საზოგადოებას შესთავაზეს თემატურად მრავალფეროვანი, თავთავიანთ ხმაზე აწყობილი პოეტური სიტყვა, ადამიანური ფიქრი და ტკივილი, ბუნებისა და მშობლიური კუთხეების მომნუსხავი ფერები და, რაც მთავარია, ნამდვილი, გულში ჩამწვდომი, ამაღელვებელი, იმ ხანებში ქართულ პოეზიაში ოდნავ მიწყნარებული პატრიოტული მოტივები"[1] წერს ლადო სულაბერიძე.

საბჭოთა ლიტერატურა ამტკიცებდა, რომ იგი ბედნიერი ქვეყნის სამსახურში იყო ჩაყენებული, მაგრამ მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო. ამ პერიოდის ტოტალურ რეჟიმს ემსახურებოდა ლიტერატურაც. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალ. საჯაიას გულით სწამდა ის წყობა და ის მწერლობა, რომელსაც იგი ემსახურებოდა, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ძნელია სხვა სიტყვებით გამოიხატოს სამშობლოს სიყვარული, ვინემ ეს ალ. საჯაიამ ჩააქსოვა ლექსში „წყარო":

შევდივარ მწვანით დაბურულ ტყეში,
წყარო კასკასებს, ტყე კი წყნარია...
კრიალა წყალით ავივსე პეშვი
და ვთქვი: ესეც ხომ ჩვენი წყალია...
დავხუჭავ თვალებს: ტრფობით დამთვრალი

[1] ლადო სულაბერიძე, სინანულით მოსაგონარი, „მნათობი", 1986 წ., №6, გვ. 116.

მე ჩემს სამშობლოს მივიკრავ გულთან...
ძმებო, გული მაქვს ცამდე მართალი
და მთის წყაროზე ათასჯერ სუფთა!

ამ ლექსიდან ნათლად ჩანს, რომ ალ. საჯაია იყო ნამდვილი პოეტური ბუნებისა და იშვიათი ადამიანური სისპეტაკის განსახიერება.

მთის წყაროზე უფრო სუფთა გულით უმღეროდა პოეტი თავის ქვეყანასა და თავის ხალხს. მკითხველს ხიბლავს პოეტის გულწრფელობა, ლექსის რიტმი, მუსიკალობა, პოეტური სამკაულები. ეს ლექსი ალ. საჯაიას მთელი შემოქმედების მშვენებას წარმოადგენს.

პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები შეიძლება ორ განშტოებად დავყოთ. ესენია: ისტორიული წარსული და მეორე მსოფლიო ომი, რომელიც სამამულო ომის სახელწოდებითაა ცნობილი.

ამ მხრივ საინტერესოა ლექსი

„პატარა კახი", სადაც საუბარია მეფე პატარა კახზე და შ. რუსთაველზე, აგრეთვე დღევანდელ საზოგადოებაზე, რომელმაც შეიძლება შვას მეფეც და პოეტიც.

ეს ჩემი პაპა, ძველი ქართველი...
რამ გაახსენა დღესაც კრწანისი,
თქვენაც იყავით ასე ჯანმრთელი,
ამტანი წლების და სიმწარესი.

პატარა კახის შთამომავალი პატარა კახელი რომ გაიზრდება, შეიძლება გმირობით უფრო გადააჭარბოს თავის წინაპარს:

რომ გაიზარდოს იგი უეცრად,
ახდეს ზღაპარი გასაკვირველი, -
ან რკინის ფრთებით დალეწავს ზეცას,
ანდა მთვარეზე ავა პირველი;

ან ერმა შეიძლება შვას პოეტი, რომელმაც შეიძლება დაწეროს ახალი „ვეფხისტყაოსანი".

ან დაწერს ახალ „ვეფხისტყაოსანს",
თავს დაბრის შოთა მის წინ მუდარით...
ლექსი აცოცხლებს ბედნიერ მგოსანს
მზის ფერადებით ნასათუთარი.

პოეტისათვის საშშობლო იყო ყველაფერი, მისი ხოტბისა და სიყვარულის საგანი, რაც კარგად ჩანს ლექსში „ასეთი ტაში“, სადაც აღწერილია აჭარის თვალწარმტაცი ბუნება:

აჭარა, ჩემი პატარა ნავი...
მე მუდამ მზისკენ მიყვარდა მზერა,
აქ საღამოთი ტალღები ჰყვავის
მეწამულის და მაისის ფერად.
ვეტრფოდი ღრუბლებს წყვილად მოფენილს...
გამიგონია და კიდევ მჯერა,
რომ ეს ცა არის უფრო ცისფერი,
და მუდამ ცისკენ მიყვარდა მზერა.

ალ. სავჯაიას ლექსში „ახალგაზრდა ხე“ საუბარია იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანას უნდა ემსახუროს ახალგაზრდაც და მოხუციც.

გუშინ მესტუმრა მეგრელი ერთი,
ჩვენი ბრიგადის მოხუცი წევრი;
დალია... ყანწი არ დარჩა წვეთი
და სიმღერებიც იმღერა ბევრი.
მე ხანი ვკითხე; მან ხელში მაგრად
ჩამბღუჯა, თვალში მზერა გამირჭო,
მითხრა: ას ოცი წლისა ვარ, მაგრამ
გული თვრამეტის მექნება ბიჭო!

პოეტს მოხუცის ნაამბობმა ახალი ენერგია მიანიჭა და მარადიულ ახალგაზრდობაზე დააფიქრა:

და დავიჯერე, რომ ჟამმა თუნდაც
ჩქარა გარიყოს წლების ფურცლები,
ჩვენ ახალგაზრდა ვიქნებით მუდამ,
ჩვენ არასოდეს არ მოვხუცდებით!

სამართლიანად წერს მკვლევარი თ. მირიანაშვილი, რომ 30-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდა პოეტები „უსაზღვრო ალფრთოვანებით უმღეროდნენ საშშობლოს სილამაზეს. ჩვენი ერის ტრაგიკული და გმირული წარსულისადმი მიძღვნილ მათ ლექსებში ჭაბუკური, მწველი ტკივილი და უდიდესი სიამაყე იკითხება, უსაზღვროა მათი ოცნება საქართველოს ბედ-

ნიერ მომავალზე. „ჩვენთაობელთა“ შემოქმედება ერთიანი და მრავალფეროვანი ჭაბუკური სიმღერაა.“[1]

ალ. საყაია საბჭოთა ქვეყანას ერთ მთლიანობაში აღიქვამდა, მას მშობლიური გრძნობით უყვარდა სხვა ქვეყანაც, ამის დასტურია ლექსი „სომხეთში“. ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სომხური თქმა: „მტკვარი და არეზი მიჯნურებია“.

სომხეთისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი სამი ნაწილისაგან შედგება, ესენია: 1. „ორი მდინარე“; 2. აბრეშუმის ფაბრიკაში, 3. „წამოსვლა“.

ლექსში „ორი მდინარე“ პოეტი წერს:

მე, მზის ფერების ეშხით დამტკბარი,
ვეხვეწებოდი არეზის ტალღას:
მრავალჟამიერს მიმღერდა მტკვარი,
მო, შენც სომხურად მიმღერე რაღაც!“

არეზმა თითქოს ისმინა პოეტის თხოვნა და სიხარულის ნიშნად შხეფები ასხურა მას. ყოველივე ამან აღაფრთოვანა პოეტი:

რა წარმტაცია! კიდითი კიდეს,
ნაპირებს, ველებს ყიჟინა ფარავს...
მითხარ, დღეიდან რისთვის მიკვირდეს,
მტკვარმა აქეთაც ისწრაფოს მარად?
რა წარმტაცია ზეცა მბზინვარე,
წყალი თუ ხალხთა გულების ფეთქვა,
ორი სამშობლო, ორი მდინარე,
საასპარეზოდ წასული ერთად!

სომხეთში სტუმრობით აღტაცებული პოეტი ლექსის დასასრულს წერს:

ამწვანებული ხსოვნა მიმყვება ამ მხარესი,
ახალი მთვარე მითვალთვალებს ციდან,
მაგრამ ყველაზე უახლესი და უმწვანესი
მე გულით მიმაქვს სიყვარული წმინდა.

ამ სიტყვების სიწრფელეში ეჭვი არავის არ ეპარება.

---

[1] თ. მირიანაშვილი, უდროოდ წასული პოეტის პორტრეტი, „ცისკარი“, 1979, №9, გვ. 138.

აქ ჩანს ქართველი კაცის სიყვარული მოძმისადმი. ეს სიყვარული თვალნათლივ ირეკლება არა მარტო ამ ლექსში, არამედ ალ. საკაიას მთელ შემოქმედებაში. ნათქვამია, პოეზია მისი ავტორის სულის სარკეაო. ალ. საკაიას ლექსებს აფენია მისი ავტორის სულის სითბო და სინაზე.

ალ. საკაიას კალამს ეკუთვნის ლექსი „ბორის ბნელაძის ძეგლთან". ჩვენ დღევანდელი გადასახედიდან ვუყურებთ ამ ლექსს. სულ არ გვაინტერესებს ის ფაქტი, რომ იგი კომკავშირული ორგანიზაციის დამაარსებელია საქართველოში, ჩვენთვის საინტერესოა ამ ლექსის მხატვრული მხარე, ის პოეტური საღებავები, რომელიც აქ უხვადაა გამოყენებული. ამ ლექსიდან ყოველგვარი კომენტარის გარეშე მოგვყავს სამიოდე სტროფი:

ჭირხლიანი ღამე ურჩობს,
შლეგი ქარი კვნესის მწარედ,
კვიპაროსის უცხო ჩურჩულს
ქარიშხალი ასამარებს...
ის კი, მარად მხრებგაშლილი,
ეგებება ქარს და ყინვას,
მთვარეც დაშნის ქარქაშივით
დაერცხლილი თეთრად ბზინავს.
ის მუნჯ ქვისგან გამოჭრილი
გადაჰყურებს ტანთეთრ მხარეს,
მისი შუბლის ნაოჭივით
შეჭმუხნულა ზამთრის ღამე.

მეორე მსოფლიო ომმა ფეხზე დააყენა ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, დიდი თუ პატარა.

ლექსში „პატარა პარტიზანი" პოეტი ასე მიმართავს პატარას:

გუშინ შენ, ჩვილი, გაზრდას ნატრობდი,
აჰა, ასრულდა სურვილი შენი:
მხრებზე დაგშვენდა ტყავის ფარაჯა
და მეომარის ქამარი გშვენის;
ცაში მიფრინავს შენი ყიჟინა,
მტერს შეათრთოლებს თვალები შენი.

ლექსში გამოთქმულია ომში ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენა:

ვაშა, შრიალებს თოვლი და ქარი,
ჩვენს დიდ ქვეყანას მზე და დიდება!
არ დაბინდდება ჩვენი ველები,
ჩვენი ყანებიც აბიბინდება...
ქალაქში კვამლი და ჩვენს ჭალაში
ისევ ურმული აღიღინდება.

ომის ქარიშხლიანი დღეებია აღწერილი ლექსში „მამული“. ლექსის დასასრულს ნათქვამია:

დაჰკარით, ძმებო, უფრო დაჰკარით,
ტყვიას მტრის სისხლი ნუ მოშივდება.
სულ იკაშკაშებს ჩვენი ვარსკვლავი,
ჩვენს საამაყო მამულს დიდება!

საინტერესოა ამავე თემისადმი მიძღვნილი ლექსი „დაჭრილი მეომრის წერილი“. ომში ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენა ლექსში ასეა გამოთქმული:

მჯერა, ბნელი დამღუპველი
მოშორდება მზეს ღრუბელი.
ცეცხლიც, ქარიც დამშვიდდება,
დამშვენდება ცას სინაზე,
ვაჟკაცების ნასისხლარზე
ყვავილები გახშირდება.

პოეტმა იწინასწარმეტყველა, რომ ომი მალე ჩვენი გამარჯვებით დამთავრდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ამ დღეს ვერ მოესწრო.

ომის ქარიშხლიან დღეებშია (1943წ.) დაწერილი ლექსი „სიკვდილი“. აქ პოეტი ორგვარ სიკვდილზე ლაპარაკობს: ერთი, — როდესაც ცხოვრების წინაშე ქედი მოიხარა და მტრის უღელს მიათრევს:

როცა ქედმოხრილი, შავბედზე გამწყრალი,
მტრის უღელს მიათრევს ვაჟკაცი მკვნესარი,
მაშინღა ამბობენ: მკვდარია საწყალი,
და, ვაი, ნამდვილი სიკვდილი ეს არის.

ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, და მეორე, - როდესაც ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა:

მხრებში არ იხრება, ცეცხლშიც არ იწვის,

წელში არ გატყდება, მუხაზე მაგარი,
ქართველმა უბრძოლოდ სიკვდილი არ იცის
და აღარც სიცოცხლე სწადია სხვაგვარი.
ასეთი სიკვდილი, სიცოცხლის ტოლფასია.

ომის თემაზეა შექმნილი ლექსი „ოლეგ კოშევოი". ლექსს წამძღვარებული აქვს ასეთი ეპიგრამა: „წამებისაგან გაჭაღარავდა თექვსმეტი წლის ოლეგ კოშევოი, იგი სიკვდილის წინ მღეროდა."

ავტორი უდიდესი ადამიანური გრძნობებით აღსავსე უმღერის სამშობლოსათვის დაღუპულ ჭაბუკს, რომელიც ახლობელი და მშობლიური გახდა თითოეული ადამიანისათვის:

შენ ხომ სიმღერისთვის იყავ გაჩენილი,
ახლაც ლექსის შხეფებს ვარსკვლავებს ესერი,
და სახრჩობელაზე ფეთქავს ჩანჩქერივით
თვით შენი სიცოცხლე – მგზნებარე ლექსი.
წამში გაიარე ასი წლის სავალი,
ამაყი ფიქრებით გათეთრდა ბავშვი;
დაკოდილ გულიდან სიმები მრავალი
დაშლილ-დაწყვეტილი წკრიალებს ქარში,
ჩვენ გულში ჩავმარხეთ შენი ხმის იერი,
ჩვენ კვნესას კაცური სიკვდილი გვიჯობს,
იმღერე სიმღერა ყველაზე ძლიერი,
ოლეგ კოშჩევოი, პატარა ბიჭო!

„ასეთ ძლიერსა და მკვეთრ სახეებში გამოაქანდაკა პოეტმა პატარა ჰარტიზონის სახე, რომელმაც დაივიწყა რა ყოველი ფიქრი სამშობლოს გარდა. ბევრ სხვა ლექსებში და, საერთოდ, თავის პოეზიაში ალექსანდრე საჯაია გულწრფელად ანსახიერებს ადამიანების ყველაზე ლამაზ გრძნობებსა და თვისებებს. თითოეული ლექსი და თითოეული სტრიქონიც კი ისეა ჩამოსხმული, რომ მთელი სინამდვილე ცოცხლდება და თქვენს თვალებს წინ დგება, გგონიათ ყოველივეს თვით განიცდით და ხედავთ. მას არაჩვეულებრივად ეხერხება სურათების მკვეთრად დახატვა, გასულდგმულება, თითქოს თქვენს წინაშე ლექსი კი არა, ხელოვანების კალმით დახატული სურათი იყოს."[1]

---

[1] მ. კვარაცხელია, სამი პოეტი, პირველი სხივი, 1951წ., №2, გვ. 338.

ომის თემაზე ქართულმა პოეზიამ ბრწყინვალე ნაწარმოებები შექმნა, მათ შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ალ. საჯაიას ლექსს „სამშობლო ჩვენია“, სადაც უაღრესად ორიგინალური ჩანაფიქრი განასახიერებს ადამიანური სულის სიმაღლესა და კეთილშობილებას. ბრძოლის ველზე დაეცა მებრძოლი კაპიტანი. სალამო ჩამოწვა, გამეფდა სიჩუმე. მებრძოლის სისხლიან მაჯაზე საათი ჩურჩულებს, ითვლის წამებს. ამ ჩურჩულში მოისმის მარადისობის ძახილი:

დაეცი, შენი ცა დაგნათის...
ნამიც ხომ იარებს გისველებს;
სისხლიან მაჯაზე საათი
ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე.
განა ჩვენ გაქცევა გვჩვევია, -
გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ,
კაპიტან, სიცოცხლე ჩვენია,
ჩვენია სამშობლო, კაპიტან!

ქვეყნის, ხალხის, ადამიანის სიცოცხლის განუწყვეტელი ტრფიალი იგრძნობა ალ. საჯაიას ყოველ ლექსში, რომლებიც ომის შემზარავ ტრაგიკულ სურათებს გადმოგვეცემენ.

ლექსში „მშობლიური კერა“ პოეტი აღწერს თავის ეზო-კარს, რომელიც ყველაფერზე უფრო სათაყვანოა მისთვის:

ეს კედლები ძველისძველი,
მრავალ წელთა წვიმით სველი,
მრავალ ქართა წერა,
ათას მზეზე აორთქლილი,
ასე თბილი, ასე ტკბილი
მამა-პაპის კერა.

პოეტი გრძნობს, რომ მტერი მის ქვეყანას წალეკვით ემუქრება. რასაკვირველია მის სახლ-კარსაც, ამიტომ იგი შურისძიების გრძნობით იმსჭვალება, მას გვერდით უდგას მისი სახლიც, რომელიც „ცეცხლის თვალებს აკვესებს“:

რომ მოგვაწყდა მტერი შავად
ჩემი აკვნის დასაწვავად,
სეტყვად ჩვენი ბაღის, -
შურისგებით დავიდაგე,

და ვუმზერდი მაღლით –
მუგუზლებით მაქეზებდა,
ცეცხლის თვალებს აკვესებდა
ჩემი მშვიდი სახლიც,

საინტერესოა ლექსი „სიმღერა მურზაყანზე“, რომელიც გვისურათებს სვანეთის გრანდიოზულ ბუნებას და სვანი კაცის ვაჟკაცობას. სვანეთის თემაზე შექმნილმა ნაწარმოებებმა ახალი ჟღერადობა შესძინეს ალ. საყვარელას პოეზიას, ახალი მხატვრული მოტივებით გაამდიდრეს იგი.

ნაწარმოებში სვანი კაცი დახასიათებულია, როგორც თავისი ქვეყნის მოყვარე, როგორც ბუნების სიმკაცრეში გაზრდილი დევგმირი. ლექსის ავტორი მისი პიროვნების დასახასიათებლად არ იშურებს შედარებებსა და მეტაფორებს.

„ამ გრძელი, დინჯი, მედიდური და ერთგვარად გმირული რიტმით შესრულებულ ნაწარმოებებში მართლაც რაღაც წმინდა სვანური სიდიადე და სილაღე სუფევს.“[1]

გარდა იმ ლექსებისა, რომელიც უშუალოდ ომს და მებრძოლებს ეხება, პოეტი გვიხატავს ზურგში მყოფი ადამიანების შემართებულ შრომას, რომელიც ომში ჩვენი გამარჯვების საქმეს ემსახურებოდა. ერთ-ერთი ასეთი ლექსია „მჭედელი“; მჭედელი დარწმუნებულია, რომ მისი ნაჭედი ჯავშანი მებრძოლს აუცილებლად სჭირდება, მას შემოესმა მისი ნაჭედი ფოლადის ხმა, რომელმაც ალაფრთოვანა მჭედელი, ბრძოლის ჟინით აღანთო იგი:

და როს გვახარებს კლავე რიხიანი
ჩვენი ჯარების დარტყმა ახალი,
მჭედელს მოესმა ომახიანი
მისი ნაჭედი ჯავშნის ჭახანი.
მისი ნაწრთობი, შეუპოვარი
ფოლადი რეკდა გრიგალის ხმაში
და მისი გული ძალგულოვანი
ბრძოლის წყურვილით აინთო მაშინ.

ეპოქისა და ისტორიზმის ტრადიციებს, ისტორიზმის თემას ქართულ მწერლობაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

---

[1] გ. კანკავა, სამი პოეტი, „მნათობი“, 1960წ., №8, გვ. 126.

მკვლევარი გ. ბენაშვილი წერს: „ისტორიას, როგორც არსებულ რეალობას, გააჩნია ესთეტიკური საფუძველი. აზრი და მიზანი წარმოადგენს ადამიანის სრულქმნილებისაკენ სვლის ასახვას. ამ დიდი ტრადიციის ყველაზე ქმედით ძალად სიტყვიერი ხელოვნება წარმოიდგინება. იმისათვის, რომ იტვირთოს ეს მძიმე მოვალეობა, პოეტის მხოლოდ ნიჭით მომადლება საკმარისი არ არის. იგი ინტელექტის მაღალი ხარისხითაც უნდა იყოს დაჯილდოებული, რადგან ესთეტიკური აქ ერწყმის მორალურ დიაპაზონს, ანუ სულიერი გამოცდილების უვრცეს შეგრძნებას, რაც თავის მხრივ სწორედ ინტელექტუალური კულტურის იპოსტატს წარმოადგენს“.[1]

XIX საუკუნის ცნობილ გლეხთა აჯანყების თემას ალ. საჯაია მიუძღვნა პოემა „უტუ მიქავა“. ეს თემა ავტორმა დაამუშავა 1938-1939 წლებში.

აღნიშნული პერიოდი მეტად მძიმე იყო ქართული მწერლობისათვის. აი, რას წერს მკვლევარი აკაკი ბაქრაძე: „ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა გააღატაკა მწერლობა საერთოდ და მწერალი კონკრეტულად, უნაყოფო გახადა მისი შრომა. ამ გაუგონარ ექსპლოატაციას მწერლობა მშვიდად ითმენს და პროტესტის ნიშნად დაკნავლებისაც ეშინია. ექსპლოატაცია ორგვარია: სოციალური და ინტელექტუალური. ბეჯითად და მტკიცედ დამკვიდრდა ინტელექტუალური ექსპლოატაცია, როცა ადამიანს აიძულებენ ის წეროს და ილაპარაკოს, რაც არ სჯერა, ეს არის შემზარავი ინტელექტუალური ექსპლოატაცია.“[2] აღნიშნული ვითარება დიდხანს გაგრძელდა.

უტუ მიქავა სამეგრელოს გლეხთა ცნობილი ისტორიული აჯანყების მეთაური იყო. მის სახელს ხოტბა შეასხა მეგრულმა ხალხურმა პოეზიამაც.

აღნიშნული პოემა ცხრა კარისაგან შედგება. პირველ კარში აღწერილია ბუნების სურათი. მჭედელ უტუ მიქავას ეხმარება პატარა ბიჭი, რომელსაც იგი ზღაპარს უყვება. ამით იგი არა მარტო ართობს ბიჭს, არამედ ხალხის სიდუხჭირესაც უსვამს ხაზს. აქ სოციალური ჩაგვრაა წინა პლანზე წამოწეული.

---

[1] გ. ბენაშვილი, რანი იყვნენ და რანი არიან, თბ., 1991წ., გვ. 139.

[2] აკ. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1999წ., გვ. 67.

უტუს მონაყოლი ზღაპარი, გარდა ბიბლიური ელემენტებისა, შეიცავს რეალური ხალხური ზღაპრის ელემენტებსაც.

ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქეთ ერთ მეფეს მოსწყინდა დედამიწაზე ყოფნა და ცაში განავარდება მოუნდა. მეფისათვის კიბეს ასი წელი აშენებდნენ, მაგრამ იგი ერთ წამში დაიწვა. აქ მოხერხებულადაა ჩაქსოვილი მშრომელი ადამიანის ჩაგვრის სურათები.

უტუ მიქავას სახელზე შეიქმნა ფოლკლორული მასალები, ლექსები, რომელიც ხალხმა სიმღერად აქცია, ასეთებია: „აბა ულა“ (აბა წასვლა) „უტუ მიქავა და მართალი თოდუა“, „უტუს ლაშქრული“.

მეორე სიმღერაში ლაპარაკია უბრალო ადამიანების გმირობაზე, რაც ნიადაგს ამზადებს მთავარი გმირის საქმიანობის გასაცნობად.

მესამე თავში აღწერილია სამეგრელოს სოფლებში — ლაკადა, მელისქური, კოლხიდა, კორცხელი, ურთა, კირცხი, რუხი და სხვ. ჯარის შეგროვება და აჯანყებისათვის სამზადისი.

სახალხო ჯარიც გამოჩნდება:
ორი იყო სოფლის თავში,
სოფლის ბოლოს იქცა ჯარად.
ჩქარა ხმალი და ქარქაში,
სამეგრელოს ბედო, ჩქარა!
შეჩერდება უტუც წამით,
ამბობს მეგრულს ქარიშხლიანს:
გულში მქონდა ნაპერწკალი,
აჰა, ცეცხლად გამიშლია.

მეოთხე სიმღერაში აღწერილია მამაკაცების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის სულისკვეთება, აკვანში მწოლარე ბავშვს დედა ნანას უმღერის და უტუს ჯარს მომავალ მებრძოლს უზრდის.

მერვე სიმღერაში აღწერილია მთავარი გმირის განცდები, მისი შეხედულებანი სიყვარულსა და სიმამაცეზე.

ბოლო — მეცხრე სიმღერაში ხელფეხშებორკილი უტუ ციმბირში მიჰყავთ. პოემა მთავრდება „შავი დროის“ გაქრობის იმედით. დამარცხების ტრაგიზმი დასრულდა, ხალხი „ცისკრის“ მოლოდინშია. დამარცხებული ჯანყის მოთავე იმედს მაინც არ ჰკარგავს, მან იცის, რომ:

მზე ამოვა და მოიტანს
ციურ ცეცხლთა ნიაღვრებს
და წაგლეკავთ, უღღეურო
შავო დროო, შავო ღამევ.

ალ. საჯაია რა თემასაც არ უნდა შეხებოდა, ამჟღავნებდა მასალის ღრმა ცოდნას, დიდ დაკვირვებას, საგანთან მისვლის აუცილებელ უშუალობას, იძლეოდა ისეთ კოლორიტულ ფერებს, რომლებიც მის ნაწარმოებებს სასიცოცხლო თვისებას ანიჭებდნენ.

პოემაში „უტუ მიქავა“ საინტერესოდ არის დახატული გლეხური ყოფის სურათები, უსამართლობის გამო აჯანყებულ ადამიანთა შეუპოვრობა, მათი მტკიცე იმედიანობა მომავალ თავისუფლებაზე.

ალ. საჯაიას შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა ბუნების განცდას. როგორც მკვლევარი ეთერ დიასამიძე მიუთითებს „ალ. საჯაიას პოეზიის თავისებურების ერთ-ერთი მხარე ბუნების მისეული განცდაა, რომელიც კოსმოსის ზოგად სამყაროს სივრცის გააზრებასთან არის დაკავშირებული...

ფაქიზი და ნაზი სულის პოეტი მძაფრად რეაგირებდა მშობლიური ბუნების სურათებზე და თავის წარმოსახვაში იმგვარად გარდაქმნიდა მათ მომხიბვლელობას, რომ განუმეორებელ სურათს ქმნიდა.“[1]

სალიტერატურო კრიტიკაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ალ. საჯაია, როგორც გ. ტაბიძე, მზერას კოსმოსს მიაპყრობდა, იგი „ბედნიერ ვარსკვლავს“ ეძებდა. მის პოეზიაში ზოგჯერ იგი „სიყვარულის ვარსკვლავად მოიხსენიება“, პოეტს სურს „ბედის საზღვრის გადალახვა, როგორც ნ. ბარათაშვილი იტყოდა, პოეტი ოცნებობს იმაზე, რომ დაიპყროს კოსმოსი, ლექსში „პატარა კახი“ პოეტი წერს:

რომ გაიზარდოს იგი უეცრად,
ახდეს ზღაპარი გასაკვირველი, -
ან რკინის ფრთებით დალეწავს ზეცას,
ანდა მთვარეზე ავა პირველი.

---

[1] ეთერ დიასამიძე, ალ. საჯაიას ცხოვრება და შემოქმედება, 2006 წ., გვ. 118 (საკანდიდატო დისერტაცია, ინახება თბ., ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკაში).

პოეტის ეს ოცნება სინამდვილედ აქცია XX საუკუნის ბოლო ათწლეულმა.

ლექსი „სიყვარულის ხომალდი“ გვისურათებს სიყვარულთან დაკავშირებულ გრძნობებს:

ჩემი ხომალდის გზა-სიყვარული
თეთრი და ირმის ნახტომის მსგავსი,
ჩვენ ვიცით მარტო გულის ფარულის
და დაუხარჯავ ცრემლების ფასი.

ალ. საჯაიას ლექსში „ზამთარი“ ბუნების სურათის აღწერის ფონზეა დახატული კაბური ღვინის მაცოცხლებელი ძალა;

ღვინო აცოცხლებს ვარსკვლავებს ჩამქრალთ,
ახალი მთვარე კახეთს უყურებს.
ასეთ ღამეში ფანდურმა რა ქნას,
როცა ბუხარიც ასე ღუღუნებს.

აქაც ბუნების სურათის აღწერა კოსმოსს უკავშირდება, ზამთრის პირქუშ ბუნებაში სიახლე შეაქვთ ჩიტებს:

დიდი ზამთარი იქნება?
ნეტამც ასე ინებოს,
თქვენ მაინც რა გეფიქრებათ,
რა გენანებათ, ჩიტებო.

პოეტი იმედიანი სიყვარულის სიმბოლოდ ხატავს ცისარტყელას.

ალ. საჯაიას პოეზიაში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ლექსზე „ცაცხვი“. ამ ლექსში ბუნების საინტერესო სურათია აღწერილი. პოეტმა ტყიდან მოიტანა და თავის ეზოში დარგო ცაცხვი. ლექსში ეს ხე დახატულია, როგორც ბევრი საიდუმლოს შემნახველი, რომელსაც იგი პოეტს გაანდობს ხოლმე:

მიყურებს ცაცხვი ჩუმი, მორჩილი,
მას ჩემთან ქარში ფრენა ერჩია,
ჩემთან იზრდება და აქოჩრილი
ის ჩემს ცხოვრებას შემოეჩვია.
ღამით მე მისი ჩურჩული მართობს,
დღისით ორივე ვწუხთ და ვლონდებით,
ცაცხვი ახალ ქარს მოელის მარტო,
მე ახალ ტრფობას დაველოდები.

ნათელი, ჯანსაღი და კოლორიტულ ფერებითა დახატული სამეგრელოს თვალწარმტაცი პეიზაჟები, იქაური ყოფა და გარემო. ლექსში „ჩემი სოფელი“ ნათქვამია:

ტანს იმსუბუქებს ეზო, ბაღები,
ცრებზე დგება ჭადარი ყველა,
და ჰაეროვან ბაირაღებით
გემივით მიდის სოფელი ნელა.

აქვეა დახატული შორეული სივრცეები, კერძოდ ის ბრძოლის ველი, სადაც ამ სოფლიდან წასული გმირები იცავდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას.

ალ. საჯაიას განსაკუთრებით იზიდავდა სვანური პეიზაჟი.

იგი ამ მხარეს დეტალურად იცნობდა. ზაფხულობით სვანეთში ისვენებდა პოეტი და იქაური გრანდიოზული ბუნებით ტკბებოდა.

შესანიშნავი მეტაფორები გვხვდება ლექსში „სვანური მოტივებიდან“, სადაც აღწერილია შეყვარებულთა შეხვედრის სურათი:

შენ უშბაზე დაიძინებ და
მე ხევს ჩავალ ქარიშხლებით.
თუკი შევხვდით, ან ვიწვიმებთ და
ანდა სეტყვად დავიშლებით.

ბუნების საინტერესო სურათი დახატული პოემაში „უტუ მიქავა“.

ცხენისწყალი, ავიწყალი, ზოგჯერ ტყეში გაშლის ხელებს,
ზოგჯერ ველზე, სადმე მთებზე, სადმე ხევში ჩაახველებს.
ან დაღლილი ველურ ქროლვით, ხან გიჟი და ისევ მწყრალი,
გულამტყდარი, ბრაზიანი ცხენისწყალი, ავი წყალი.

პოემის ამ მონაკვეთში (სიმღერა მეორე) ნათლად ჩანს, რომ აჯანყებას დამარცხება ელის. ამაზე მიგვანიშნებს პოეტური შედარებები: „გიჟი“, „მწყრალი“, „გულგამტყდარი“, „ბრაზიანი“, „ავი“ და ა.შ.

ალ. საჯაიას და მისი თაობის პოეტურ მედიტაციებს, რაც უკულმართი დროით იყო განპირობებული, ხშირად ემჩნევათ ერთგვარი უიმედობა და გულგატეხილობა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მათ შემოქმედებას კვებავდა დიდი ოპტიმიზმი, მომავლის ღრმა რწმენა.

ალ. საყაიას შემოქმედებაში სათანადო ადგილი ეთმობა მის პროზაულ ნაწარმოებებს – ლიტერატურული ზღაპრების ციკლს - „ჩემი ზღაპრები“. ამ ციკლში ოთხი ზღაპარია შესული, ესენია: „როგორ იქცა კაცი ხედ“, „ორი ყანჩა“, „უდღეური ბატკანი“, „უთავო მეფე და დიდთავა მეფე“.

საქართველოში, სამწუხაროდ, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ უცდიათ ხალხური ეპოსის ჩაწერა. ქართველი ფოკლორისტების აზრით, ზღაპრების შექმნა უკავშირდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

„როგორ იქცა კაცი ხედ“ პატრიოტულ თემაზეა შექმნილი. „ორი ყანჩა“ და „უდღეური ბატკანი“ დიდაქტიკური ნაწარმოებებია.

„როგორ იქცა კაცი ხედ“ მოგვითხრობს ათი ძმის ომში წასვლის, ცხრა ძმის ომში დალუპვის და მეათის გამოქცევის ამბავს. ზღაპრის ბოლო ნაწილი მოგვითხრობს მოხუცი მამის გაჭაბუკებაზე და ცხრა ძმის გაცოცხლებაზე.

ზღაპარში „უთავო მეფე და დიდთავა მეფე“ ერთმანეთს უპირისპირდება ორი მეფე – ერთი, რომელსაც თავი არა აქვს იმის გამო, რომ წიგნის კითხვა არ უყვარდა და თავი პატარა დარჩა, სხეული გაეზარდა, ხოლო მეორეს პირიქით – თავი გაეზარდა, ბევრს კითხულობდა, ტანი სუსტი შერჩა. ზღაპრის მოქმედი პირები არიან ჩიტი, ფასკუნჯი და მელა. ეს ზღაპარი დიდაქტიკური ხასიათისაა და ქადაგებს ადამიანის ნორმალური განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნის აუცილებლობას.

„ორი ყანჩაც“ დიდაქტიკური ხასიათისაა, აქაც მელაა ერთი მოქმედი პირი, მელა ზღაპრებში საერთოდ გაიძვერა არსებად გვევლინება, ასეა აქაც. ორი ყანჩა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ისინი ძალიან ადრე დაობლდნენ, უფროსი არაფერს არ აკეთებს, უმცროსი კი პირიქით – მთელი ძალით იბრძვის გადარჩენისათვის. ზღაპრის შინაარსი დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ხასიათისაა. ასეთივე დიდაქტიკური ხასიათისაა ზღაპარი „უდღეური ბატკანიც“. ამ ნაწარმოებით ავტორი კიცხავს ტრაბახობას, ბაქიობას.

მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ალ. საყაიას მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელიც მას სტუდენტობის წლებში დაუწყია პროფ. ერეკლე ტატიშვილის ხელმძღვანელობით.

ალ. საჯაია აპირებდა შელის მთლიანი შემოქმედების თარგმნას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მას არ დასცალდა. მან შელის ორი ლექსის თარგმნა მოასწრო, ესენია: „ღრუბელი“ და „სიყვარულის ფილოსოფია“. მანვე თარგმნა შექსპირის „ორი სონეტი“, ედგარ პოს „ანთებული ლი“, ლონგფელოს „წვიმიანი დღე“, ინგლისური „ხალხური ბალადა“.

მართალია, სხვადასხვა მიზეზის გამო ალ. საჯაიამ თავისი მთარგმნელობითი საქმიანობა ბოლომდე ვერ მიიყვანა, იმ თარგმანებითაც, რაც მან მოასწრო, თავისი სიტყვა თქვა, როგორც ინგლისურენოვანი ლიტერატურის მთარგმნელმა.

მკვლევარი ლადო ავალიანი ალ. საჯაიას შემოქმედებაზე წერს: „ალექსანდრე საჯაიას ლიტერატურული ინტერესები რომ მრავალფეროვანი იყო, ამას ისიც მოწმობს, რა გატაცებით თარგმნიდა იგი ინგლისელი კლასიკოსების — შექსპირის, შელის, ედგარ პოს, ლონგფელოს ლირიკულ შედევრებს. ეს შედევრებიც თარგმანში რომ მაღალ პოეტურ დონეს ინარჩუნებენ დღესაც, უთუოდ იმის საწინდარი იყო, რომ ალექსანდრე საჯაია ამ სფეროშიც აპირებდა ეთქვა თავისი გაბედული სიტყვა, რომ ქართულ მწერლობას ის შეძენდა ბევრ ბრწყინვალე თარგმანს. შეუძლებელია დღეს ეჭვი შეეპაროს ვინმეს ამის ვარაუდში, როცა ალ. საჯაიას მიერ თარგმნილ რამდენიმე კლასიკურ ნიმუშს გადაიკითხავს“.[1]

ალ. საჯაიას მისი ლირიკა, პროზა, თარგმანები ყოველთვის შეუნახავენ ერთ-ერთ საპატიო ადგილს ჩვენი მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

[1] ლ. ავალიანი, ალექსანდრე საჯაია, „ლიტერატურული საქართველო“, 1972წ., 31 მარტი.

გიორგი ნაფეტვარიძე

იმ ახალგაზრდა მწერლებს შორის, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე გმირულად დაეცნენ, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს გიორგი ნაფეტვარიძეს. იგი მრავალმხრივი შემოქმედი იყო. მის კალამს ეკუთვნის: ლექსები, ბალადები, პოემები, მოთხრობები, ფრონტული წერილები.

აი, როგორ იგონებს იგი გ. ნაფეტვარიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას საინტერესო ნარკვევი მიუძღვნა მისმა ყოფილმა მოსწავლემ, შემდეგში ცნობილმა მეცნიერმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ოთარ გიორგაძემ.

საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გ. ნაფეტვარიძეს: „რა დამავიწყებს მის ღიმილშეფრქვეულ, ლამაზ და მიმზიდველ მეტყველებას, ოდნავ დახვეული თმით დამშვენებულ გონიერ მაღალ შუბლს, ნაყვაილარ მშვენიერ სახეს, დინჯ ნაბიჯებს, აღსაზრდელებისადმი გადაშლილ თბილ გულს, მოსწავლე ახალგაზრდობაში ნიჭისა და ტალანტის ძიების წყურვილს, ლიტერატურული ცხოვრებით უზომო გატაცებას.“[1]

გიორგი ტარასის ძე ნაფეტვარიძე დაიბადა 1918 წლის 3 აპრილს ვანის რაიონის სოფელ შუამთაში.

გ. ნაფეტვარიძემ პირველდაწყებითი განათლება მიიღო შუამთის შვიდწლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს სამტრედიის პედაგოგიურ ტექნიკუმში. 1935 წელს შედის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. აქ დაუახლოვდა ის ლადო ასათიანს და მის მეგობრებს.

გ. ნაფეტვარიძე ინსტიტუტში სწავლის ოთხი წლის მანძილზე ისმენდა გამოჩენილი მეცნიერების ლექციებს, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქალაქის ინტელიგენციასთან, მწერლებთან. სწავლობდა ბეჯითად, გამოირჩეოდა თავმდაბლობით, მოკრძალებით, მეგობრული ხასიათით, ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ინტერესით. ახალგაზრდა შემოქმედს დიდი აკაკის და გალაკტიო-

---

[1] ო. გიორგაძე, ბრძოლის სიმღერა დარჩა მარადის, ქუთაისი, 1985წ., გვ. 3-4.

ნის ქუთაისი მრავალმხრივ საინტერესო ჯეროვან საზრდოს აწვდიდა.

პოეტმა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა 1939 წელს. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მან მუშაობა დაიწყო ხონის (მაშინდელი წულუკიძე) რაიონის სოფელ მათხოჯის საშუალო სკოლაში.

1940-1941 სასწავლო წელს იგი გადაიყვანეს ვანის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1941 წლის 22 ივნისს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. იმავე წლის 8 სექტემბერს ის ჯარში გაიწვიეს.

პოეტი დაიღუპა 1942 წლის მაისში სევასტოპოლთან. მიმოიხილავს რა გ. ნაფეტვარიძის შემოქმედებას, მკვლევარი ო. გიორგაძე წერს: „...არდავიწყება პოეტისა... განპირობებულია იმ ლიტერატურული მემკვიდრეობით, რომელიც ცხადყოფს, რომ მისი შემოქმედი იყო ჭეშმარიტი ხელოვანი, ორიგინალური ჭვრეტის მხატვარი, ფრიად თავისებური ტალანტი, დიდი მომავლის მქონე პოეტი და პროზაიკოსი, რომლის პოეტურ წარმოსახვაში კარგად ერწყმის ერთმანეთს ძველი და ახალი დასრულებული სახის მქონე და განვითარებადი, მომხდარი და მოსახდენი“.[1] ნათქვამია: პოეტის შემოქმედების სარკე მისი პოეზიაა. გ. ნაფეტვარიძეს არ უვლია წინაპართა მიერ გაკვალული და განვლილი გზით. ის არ ჩაკეტილა საკუთარ თავში, არ შემოფარგლულა მარტო პირადი განცდებით, მისი კალამი საინტერესოდ ხატავდა მიწიერი სამყაროს საჭირბოროტო საკითხებს. ადამიანების შრომას, დიდ ეროვნულ მოღვაწეებს, საქართველოს მთა-ბარსა და ზღვას, მის თვალწარმტაც ბუნებას, მის გმირულ ისტორიას, ნაცნობ-შეგობრებს, სამშობლოს სიყვარულს. მის ხმაში ინტიმურს, სუბიექტურს ყოველთვის თან სდევს და ამშვენებს სახალხო, მოქალაქეობრივი, ცხოვრებისეული ჰანგი.

გ. ნაფეტვარიძის პოეზია ოპტიმისტური, ხალისიანი ერთგულებისა და სიყვარულის გამომხატველია. სხვაზე ზრუნვისა და სხვისთვის თავგანწირვის საგალობელია.

ყველა პოეტს აქვს ისეთი ნაწარმოები, სადაც მისი ავტორის მსოფლმხედველობრივი მრწამსია გადმოცემული. გ. ნაფეტვარიძის

---

[1] ო. გიორგაძე, ბრძოლის სიმღერა დარჩა მარადის, ქუთაისი, 1985წ., გვ. 19.

ასეთი ნაწარმოებია „სიმღერის მარადისობა“. ამ ლექსში მჟღავნდება პოეტის ერუდიცია, ასახული საგნის წიაღისეულ სიღრმეებში წვდომისა და დაფარულის დანახვის შესაშური უნარი.

მაინც რას აქცევს ავტორი ყურადღებას და როგორი თანმიმდევრობით გადმოგვცემს ყოველივე ამას. პოეტი წერს, რომ თვალს მიეფარნენ და დავიწყებას მიეცნენ: სხვადასხვა დროის ტანჯვის მხატვარი და მწუხარების მომღერალნი, რომლებმაც:

მიწის კარიდან ზეცის კარამდე
აავსეს სივრცე სევდიან ჰანგით.

ყოველივე ამასთან შეპირისპირებულია ადამიანები, რომლებმაც ქედი არ მოიხარეს სიძნელეების წინაშე და გზა გაუკაფეს ადამიანებს მომავალი გამარჯვებისაკენ.

ამ უშიშარ ადამიანებს:
უთქვამთ სიმღერა აშლილ ქარშიაც,
უთქვამთ სიმღერა კუბოს კარამდი,
ნატერფალები ბევრი წაშლილან,
ბრძოლის სიმღერა დარჩა მარადის!

გ. ნაფეტვარიძის შემოქმედებაში ერთი-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირიკას. ლექსში „საუბარი სატრფოსთან“ ნათქვამია:

შენ შეგრჩენია როგორც ზღაპარი,
შავი თვალების ელვა მაცდური,
შემხვდი და ცეცხლი შემომაყარე,
ამინთე გრძნობა ახალგაზრდული.
ახალმა დრომ გაალამაზა
და მიმზიდველი გახადა ცხოვრება:
ბედმა გვარგუნა ასე ლამაზი,
ასე უჩრდილო ყმაწვილკაცობა,
ბრძოლამ ჩაგვიდგა აზრი ხალასი
და ქარიშხალმა ძუძუ გვაწოვა.

ყოველივე ამით კმაყოფილი პოეტი სატრფოს ასე მიმართავს:

აქ შთაგონება დავაფრთიანე,
ხალხთან ალალი გულით მიველი,
აჰა, შაირი შარბათიანი
მიიღეთ, როგორც სამადლობელი.

პოეტი სატრფოს ხანდისხან მთვარიან ღამეშიც დაეძებს:

ვარსკვლავი ვარსკვლავს ეხვევა,
ერთად დადიან ღრუბლები...
მე შენ დაგეძებ ამ ღამით
და ხეებს ვესაუბრები.

ფოთლები შეისმენენ პოეტის ხმას, დაეხმარებიან სატრფოს ძებნაში და ცის ნამს აპკურებენ:

ფოთლებს შაესმათ ჩემი ხმა,
თავს ხრიან დანანებითა,
მე შენი ნახვა მწყუროდა,
ცამ ნამი დამალევინა.
(„ცამ ნამი დამალევინა“).

ადამიანის სიცოცხლე აზრიანი ცხოვრების გარეშე, დიდი მიზნებისა და იდეალების გარეშე, სიყვარულის გარეშე შეუძლებელია. პოეტის სიყვარული უმწიკვლოა. იგი წრფელი გულით უმღერის სატრფოს, ასეთ შემთხვევაში მას თავი ბედნიერად წარმოუდგენია:

გზა სიარულმა დალია,
გული – სატრფოზე ოცნებამ.
ქვეყნად რამდენი ქალია,
რამდენიც დაიკოცნება,
შენს შემოხედვად არა ღირს,
თვალის ერთ დახამხამებად!
შენს მონატრულსა მგოსანსა
დღე აღარ დამელამება!

პოეტს, სადაც არ უნდა იყოს იგი, ხალხში გაერევა, წიგნს აიღებს ხელში, თუ ზეცას შეხედავს – ყველგან სატრფოს სხე უდგას თვალწინ:

გამოვალ, ცისკარს შევხარი,
თუ გაგიჟებულ ზენა ქარს,
ხალხში, წიგნებში, ზეცაზე
ყოველ საგანში შენა ხარ!
(„გზა სიარულმა დალია“).

პოეტის აზრით, სიყვარული უნდა იყოს უმწიკვლო, ჯანსაღი, ადამიანთა გამაკეთილშობილებელი, შრომასა და ბრძოლაში სიმხნევის ჩამბერგავი.

ლექსში „საუბარი სატრფოსთან“ პოეტი სატრფოს აგონებს განელილ წლებს, როდესაც არაფერი ჰქონდათ საფიქრალი, ეს პერიოდი ახლა ყრმობის სიზმარივით შემორჩა მის მეხსიერებას:

აი, ხელთა მაქვს წიგნი, რომელსაც
დააქვს წარსულის ბრძოლის გრიგალი, ფურცლებს აჩნია განუზომელად
ჩვენი ნახატი და ნაფიქრალი.

წარსული ცხოვრება თავის სიდუხჭირით ისტორიას ჩაბარდა. ამით აღფრთოვანებული პოეტი ასე მიმართავს სატრფოს:

ბედმა გვარგუნა ასე ლამაზი,
ასე უჩრდილო ყმაწვილკაცობა,
ბრძოლამ ჩაგვიდგა აზრი ხალასი
და ქარიშხალმა ძუძუ გვაწოვა.
გამოსაწრთობად გვწვავდა ალმური,
არ გაგვაჩნია გულში იარა,
შრომა, გმირობა და სიყვარული
ვის შეუძლია ჩვენზე ძლიერად!

პოეტი ბედს არ ემდურის, იგი თავისი ალალი გულით თავის ხალხთანაა, მათთან ერთად იბრძვის ხვალინდელი უკეთესი მომავლისათვის:

აქ შთაგონება დავაფრთიანე,
ხალხთან ალალი გულით მოველი,
აჰა, შაირი შარბათიანი
მიიღეთ, როგორც სამადლობელი!

შოთა რუსთაველი წერს: „სიყვარული აგვამაღლებსო“, მაგრამ გვაფრთხილებს: „საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს ბრძენსა ხელად“-ო.

უსათაურო ლექსში „როცა ალუჩა ყვავილებით შეიმოსება“ უიღბლო სიყვარულზეა საუბარი. პოეტს სატრფოს სახეს აგონებს:

როცა ალუჩა ყვავილებით შეიმოსება
და იის ძირში იღვიძებენ ჭრელი პეპლები,
ყოველ კვირტიდან მომანათებს შენზე ოცნება,
შენი ღიმილი – ჭაბუკობის ფიქრით მეტყველი!

დრომ ერთმანეთს დააცილა პოეტი და მისი სატრფო. ამით გულნატკენი პოეტი ასე მიმართავს მას:

ალარ მოხვედი, სად იყავი არვინ იცოდა,
რომელი ბაღის ვარდი გახდი შესამკობარი,
ჩემზე კეთილმა ხელი სხვამ ვინ გამოგიწოდა,
ჩემებრ ერთგული სად იშოვე სხვა მეგობარი?!

პოეტს სანუგეშოდ ისღა რჩება, რომ სატრფოს სახე მან თავის ლექსებში გააცოცხლა. როგორც დილის ცისკარი ასხივოსნებს ყველაფერს, სატრფოს მოგონება პოეტის ყოველგვარ დარდსა და წუხილს აქარვებს:

თავშესაფარი, ჩემი ყრმობის, წმინდა ოცნების,
შენ წაგიყვანეს, მე გელოდი, ვერ მოგისწარი,
მაგრამ ლექსებში, ჩემს ლექსებში ისევ ცოცხლდები,
როგორც ცოცხლდება მზის სხივისგან დილის ცისკარი.

ასეთივე უილბლო სიყვარულია დახატული ლექსში „გაფრენილი დურაჯი“.

განთიადისას ჩაველ ალაზანს,
ლეკეთის ქედებს ნისლი არ ეკრა,
დურაჯს ვეძებდი შენისთანასა,
მინდოდა ერთხელ თვალი დამეკრა.

სიყვარული ზოგჯერ იმედის მომცემია, ზოგჯერ უიმედობის მომგვრელი. მან იცის სიხარულიც, იცის ტკივილიც. დურაჯი გაფრენილიყო. ამან პოეტს სიყმაწვილის უდარდელი დღეები მოაგონა:

გაფრინდი, წახვედი, შენი ფრთის ტაში
ხორბლით მოფენილ მინდვრებს გაშორდა,
ლამაზი იყავ, როგორც რიჟრაჟი,
და საყვარელი როგორც ბავშვობა.

გ. ნაფეტვარიძის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მეუღლისადმი მიძღვნილ ლექსებს.

როგორც მკვლევარი ო. გიორგაძე აღნიშნავს: „პოეტის ნაწერებში ხშირად მიმოქრის სული პერსონიფიცირებული მეუღლისა, რომელიც ჩირაღდანივით უნათებს გზას მებრძოლ-შემოქმედს. მას არაერთგზის ჩაესმის ყურში სანგრებში მოთამაშე ავბედითი ქარის ხმა: „რა მოგიტანო, სატრფოს წერილი, თუ სიკვდილიო“. სწორედ ამ დროს აშხნევებს წერილის მოლოდინი, რადგანაც იცის, რომ იქიდან სწორედ ის სიყვარული მოაშუქებს, რომელიც ამარცხებს

სიკვდილს. ეს კი უშიშარს ხდის მას. გ. ნაფეტვარიძის პროზა და პოეზია დიდებული ჰიმნია სიყვარულზე, რომელსაც სიკვდილიც კი ვერაფერს აკლებს."[1]

ლექსში „გაზაფხულის რომანტიკა", რომელიც გ. ნაფეტვარიძის მეულლეს ეძღვნება, ნათქვამია:

მომეცი გული! ამ შენს ბარათებს
შენი სიცოცხლე გამოჰყვეს ბარემ,
შენი ღიმილი მე კვლავ ამანთებს,
მო, ჩემთვის ღიმილს ნუ დაიზარებ!

კვლავ მეუღლესთან აბამს საუბარს პოეტი ლექსში „უსათაურო ლექსი ფრონტიდან". იგი გულის სწორს არწმუნებს იმაში, რომ ომი მალე დამთავრდება:

ჩვენ ველით, ჟამი დარეკავს მალე,
მრისხანე რისხვად ფეხზე დავდგებით
და თოფისწამლით გარუჯულ თვალებს
მხოლოდ ისევ შენ მოელანდები.

ომში მყოფ პოეტს მრავალჟამს ახსოვს მეუღლე, მას იგი დიდიხანია არ უნახავს, მაგრამ სამშობლოს დაცვას წინ ვერაფერი დაუდგება:

გამახსენდება, - მართლა მარტო ვარ,
თან ღრუბელივით დარდი ჩამიარს,
და თუ წავიდა, და თუ დაგტოვა,
განა გიორგი დამნაშავეა?

პატრიოტ პოეტს ომში ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენა ასულდგმულებს, მას მტკიცედ სწამს, რომ ომი მალე დამთავრდება და ომგადახდილი პოეტი დაუბრუნდება საკუთარ ოჯახს:

ო, მაპატიე! და სთხოვე გამჩენს,
გრიგალი ჩადგეს, გამოიდაროს,
ვინ იცის, იქნებ ცოცხალი დავრჩე
და შენი გული ჩამოგიტანო!
(„ო, მაპატიე").

სამწუხაროდ, პოეტმა მის სათაყვანებელ არსებას დანაპირები ვერ შეუსრულა. როგორც უკვე ვთქვით, ის სრულიად ახალგაზრდა – 22 წლის ჭაბუკი დაეცა ბრძოლის ველზე.

---

[1] ო. გიორგაძე, ბრძოლის სმენრა დარჩა მარადის, ქუთაისი, 1985წ., გვ. 24-25.

გ. ნაფეტვარიძის შემოქმედებაში სათანადო ადგილი ეთმობა ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული ბუნების აღწერას.

პოეტის პირველი ლექსების თემატიკა იყო მისი სოფლის თვალწარმტაცი პეიზაჟები და ადამიანები, აქედან იგი სწრაფად გავიდა ჩვენი ქვეყნის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების ასახვაზე.

მეტად საინტერესოდ გვიხატავს პოეტი თავის ბავშვობას. მას კარგად ახსოვს ბაბუამისი:

მოხუცებული, მოხრილი ოდნავ.
თეთრი წვერით და ბზის ყავარჯენით.

მას ბავშვებისთვის მოჰქონდა მუდამ
კეთილი გული და მშვილდ-ისარი.
ლექსში „თოვლიან ღამით“ პოეტი წერს:
არ ვარ გრძნეული, არ ვარ მინდია
და მაინც მესმის ბუნების ენა.

საქართველოს გრანდიოზულ მთებს პოეტი ასე მიმართავს:

მიხმობს, მეძახის ხმა იდუმალი,
ნისლები ისევ ჰფარავს მაღლობებს,
მოვედი, მთებო, თქვენი სტუმარი,
თქვით რამე, ვაჟას ხმა გამაგონეთ!
(„მე დარიალში ხმა ჩამესმოდა“).

ამ ცამდე აწვდილი მთებიდან რაკრაკით მოედინება ბროლივით სუფთა, ანკარა წყაროს წყლები:

ხატულა ქვებზე ჟღურტულებს წყარო
სუფთა და წმინდა დედის თვალივით,
წყაროს ნაპირას მაჟალო ხარობს
და წყაროს წყალში დნება მარილი.
(„აქ მონადირე მოდის დაღლილი“).

ბუნების სიმშვენიერე ადამიანის სამსახურშია ჩაყენებული. პოეტს განსაკუთრებით იზიდავს გაზაფხული:

გაზაფხულს ჩვენთვის მოერთო სუფრა,
მათრობელ სუნით სავსე ჰაერი,
და გვიზიდავდა ყველაზე უფრო
თაიგულები ნაირ-ნაირი.
აგერ ყაყაჩო, ია, ბაია,

შქერი, იელი, სადაც გაიცლი,
ფრთაჭრელი, როგორც ჭიამაია,
ატმის ყვავილი, ატმის ყვავილი...
(„მე და ფუტკარი“).

თავისი შნო და ლაზათი ახლავს შემოდგომას. ნაყოფით დახუნძლულია ბაღ-ვენახები, ღამე მშვიდი და წყნარია, მოსვენებით ძინავს მოსახლეობას.

შემოდგომის ღამე არი,
წყნარი. მშვიდი ამინდია,
ეკითხება ფოთლებს ქარი:
ეს ღრუბლები სად მიდიან?
სძინავს სოფელს, ხმა არსაით,
დუმილია, არ ჩანს მთვარე.
დაიღალა და ვარსკვლავიც
შორს, ცის თაღზე ხუჭავს თვალებს.
(„მიდიოდნენ“).

ზამთარსაც თავისი პეწი აქვს. ზამთრის დადგომას განსაკუთრებული სიხარულით ხვდებიან ბავშვები, გუნდაობა, ციგაობა, ნაძვის ხის მორთვა – აი, მათი საქმიანობა ზამთარში.

ბარდნის და ბარდნის წყნარი შრიალით,
ზეცის საუნჯეს დაბლა ალაგებს,
ახლა ძუ დათვი ბუნაგში არი
და ტურა ხვრელში ჰყვება არაკებს.
ახლო მთებია, როგორც შუბები,
ნაძვები დგანან მთების კარებთან,
მათ აქ თოვლიან თეთრი ღრუბელის
გარდა ვერავინ შეეპარებათ.
(„ბაბუა და ზამთარი“).

გ. ნაფეტვარიძის სიტყვა ხატოვანი და მკაფიოა. ამის დასტურად მოგვყავს ადგილი დაუმთავრებელი პოემიდან „ორი გაზაფხული“. აი, როგორ ხატავს პოეტი 30-იანი წლების იმერეთის სოფელს:

ქოხები, ჭვარტლი, სხვენი და ფუტი,
ბაბუს ჩიბუხი მბოლავი მარად.
გზა ღორღიანი, ვიწრო და მრუდი,

ჭიშკარზე ნალი და თავის ქალა.
ნიშანი ძველის, ჟამგადასულის,
სარზე დამჯდარი, როგორც დაცინვა,
მოსაგონარი ჩვენი წარსულის,
ნაამაგარი გლეხი კაცისა.
ჭა კი — ცალ ფეხზე შემდგარი ყანჩა,
ცისკენ მზირალი მარცხენა თვალით,
ეზოში რბილი კოინდრის ფარჩა
და ჯანიერი კაცი და ქალი.
აი, სურათი ნახატი სადად,
სოფლის ბუნება და იდილია,
აკლია რამე? ჰო, მართლა, სადაც
წყდება ორღობე იქ წისქვილია.
თქვენ კიდევ ამბობთ: - აკლია ერთიც,
გამოყოლილი ცრემლივით დროჟამს.
ჰო, მართლა, მაღალ გორაკზე თეთრი
და დანგრეული საყდარი მოჩანს.
რაკი პოემიდან

„ორი გაზაფხული“ ერთადერთი ადგილის მოტანით დავკმაყოფილდით, აქვე შევნიშნავთ, რომ გ. ნაფეტვარიძის ამ პოემაში საინტერესოდაა აღწერილი ძველი წყობის ნგრევა და ახალი ცხოვრების დამკვიდრება ქართულ სოფელში, მშრომელი ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნა განახლებული ცხოვრების შესაბამისად.

როგორც სალიტერატურო კრიტიკაში აღინიშნა, „ეს ნაწარმოები თამამად შეიძლება ამოუყენოთ გვერდში ქართული ეპიკური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს“.[1]

გ. ნაფეტვარიძის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა თემაზე შექმნილი რამდენიმე ბალადა.

ბალადაში „წვიმა“ აღწერილია გვალვით გამოწვეული სიდუხჭირე სოფლად, წვიმის მოსვლით ბუნების გაცოცხლება, ამ სიხარულის ფონზეა დახატული პოეტის შეხვედრა ახალგაზრდა ასულთან, რომელიც მალე თვალს მიეფარა.

---

[1]დ. სტურუა, გ. ნაფეტვარიძე და მისი ლექსები, „კომუნისტი“, 1958წ., 2 ნოემბერი.

ჭაბუკი მებრძოლის ომში დაღუპვაა აღწერილი ბალადაში „სიმღერა პირველ კომკავშირელზე“.

„სვანურ ბალადაში“ აღწერილია სვანი მონადირის ძღვენით მისვლა დადეშქელიანთან, მონადირის დაღუპვა.

ბალადა „მეჩონგურის სიკვდილი“ გვისურათებს, თუ როგორ აკენესებდა იგი ჩონგურს ძველ დროში ადამიანის დარდსა და მწუხარებაზე.

პოეტს სიყვარული მაშინ ეწვია, როდესაც „მისი ბავშვობა არ დაბრუნდება“ („სიყვარულის ბალადა“).

საინტერესოდაა ჩაფიქრებული ბალადები: „მოქანდაკე“, „დაბრუნება“, „დაუმთავრებელი ბალადა“.

გ. ნაფეტვარიძის კალამს ეკუთვნის პოემები: „ორი გაზაფხული“ და „დაბრუნება“.

პოემა „ორი გაზაფხული“ მეტად მნიშვნელოვან თემას ეხება, — მასში საინტერესოდაა ნაჩვენები ახალი დროის ზემოქმედება გლეხის ფსიქიკაზე. ახალმა დრომ სრულიად შესცვალა გლეხის მსოფლმხედველობა, მან იგრძნო შვება, გაშხიარულდა, ფართოდ გაუღო კარები სტუმრებს, განეწყო სხვებთან სამეგობროდ და საშრომლად.

პოემაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები ძველი დროის მიერ ადამიანის ფსიქიკაში შემორჩენილი ძველი ადათ-წესების რღვევის სასიკეთო ნიშნები.

ლირიკულ პოემაში „დაბრუნება“ დახატულია „ტანაყრილი“ და „თვალმშვენიერი“ ძილასა და ფინეთის ომში უგზოუკვლოდ დაღუპული ქართველი ჯარისკაცის სასიყვარულო ისტორია.

პოეტი ფიქრობს, რომ ახალგაზრდა ქალიშვილი გადაივიწყებს სატრფოს, სხვას შეავლებს მზერას, მაგრამ მოხდა პირიქით — იგი პირველი სიყვარულის ერთგული რჩება.

„ძილა და მისი მსგავსი ახალგაზრდები, წერს მკვლევარი ო. გიორგაძე, ძლიერად არიან შეჭრილნი პოეტის სულში. ამ კუნთმაგარ და ბედნიერებით სავსე ახალგაზრდობას დასტრიალებს თავზე მისი ფიქრი და ოცნება.“[1]

---

[1] ო. გიორგაძე, გ. ნაფეტვარიძე, ბრძოლის სიმღერა დარჩა მარადის, 1985წ. გვ. 25.

გ. ნაფეტვარიძის კალამს ეკუთვნის საინტერესო მიძღვნითი ლექსები, ესენია: „აქ დაასრულა გზანი სავალნი“ (ნ. ბარათაშვილს), „აკაკი და ვაჟა“, „აკაკის სიკვდილი“, „საუბარი მაიაკოვსკის სურათთან“, „ლერმონტოვისებური“, „გმირი“ (ზოია კოსმოდემიანსკაიას) „ანდრია სინაურს“...

ეს ლექსები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან პოეტის ლიტერატურულ შეხედულებაზე. ამ ლექსებში ნათლად ჩანს პოეტის დიდი სულიერი სიფაქიზე, ჭეშმარიტი მოქალაქებრიობა.

ლექსში „აქ დაასრულა გზანი სავალნი“ (ნ. ბარათაშვილს) აღწერილია სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ნ. ბარათაშვილის მოგზაურობა მშობელ მხარეში, მისი დარდი და ვარამი. უცხო მხარეში დაკრძალულ პოეტს საფლავში ჩაესმის ხალი ცხოვრებით გალაღებული ქართველის ხმა „აყვავებულხარ მამულო ჩემო“.

დიდი მგოსნის – აკაკი წერეთლის სიკვდილის მომენტთან დაკავშირებული განცდებია გადმოცემული ლექსში „მგოსნის სიკვდილი“. სამართლიანად წერს მკვლევარი დ. იოვაშვილი: „ამ ლექსში პოეტი ცდილობს გვაჩვენოს დიდი ადამიანის სულის შფოთვა და მღელვარება მაშინ, როცა ეს ადამიანი ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იმყოფება“.[1] ლექსის დასასრულს გადმოცემულია აკაკის გარდაცვალების ფაქტის მხატვრული განსაზღვრა და მისი პოეზიის დღეგრძელობა:

ის მოკვდა, როგორც ვარდობის თვეში
და სიმღერებში ტბის გედი კვდება,
ქართული ლექსის სიტკბო და ეშხი
დარჩა ლერწამში მის სადიდებლად.

საინტერესოდაა ჩაფიქრებული ლექსი „აკაკი და ვაჟა“. „დაჭრილი არწივის ბედზე მტირალი“ - ვაჟა ყოველთვის დიდი სიხარულით ხვდებოდა „ოქროსხმოვანი ბარის ბულბულს“ აკაკის, მათთან იყო ყოველთვის დიდი ილიაც.

მუდამ ამაყი და თავმდაბალი,
ქართულ ზრდილობით, ეშხით, თავაზით.
ხვდებოდნენ ერთურთს, ვით მთა და ბარი,
ვაჟა, აკაკი და ჭავჭავაძე.

---

[1] დ. იოვაშვილი, დიდ სამამულო ომში დაღუპული ქართველი მწერლები, 1967წ., გვ.11.

ეპყრათ მახვილი ქართველის კარებთან
ლომკაცებსა და ძლევამოსილებს,
დაჰქონდათ გულით ზღვა მწუხარება
და საქართველოს მიწას ჰკოცნიდნენ.
სამშობლო ერქვა მათ ლექსს სახელი
და საქართველოს ბედზე ჩივილი,
ერთი წუხილი, ერთი ნაღველი
ეფარა სტრიქონს დევის ჩრდილივით.

ლექსში „საუბარი მაიაკოვსკის სურათთან“ ლაპარაკია მაიაკოვსკის მშობლიურ ქალაქ ბაღდადზე, ენძელებით დამშვენებულ ველებზე, საირმის მთებში აბლავლებულ ხარ-ირემზე, ხანისწყლის ნანაზე. ეს ყველაფერი ხელს უწყობს მაიაკოვსკის ბავშვობისა და ყრმობის წლების დახასიათებას, მისი ხასიათის ჩამოყალიბების პროცესის გათვალისწინებას, რასაც მოსდევს დიდი პოეტის საბრძოლო შემართების ამსახველი სტრიქონები:

ბარიკადებზე მჭუხარ გენიოსს
ძმებივით გედგნენ გვერდით ლექსები,
სტრიქონებს თერგის სისხლი ერია,
გერგეტის მთასთან ნაალერსები.
ამბოხებული, როგორც გრიგალი,
სხივით შეგმოსა მზემ დიდებულმა,
ბრძოლის წყურვილი ვერ მოიკალი
უკვდავებასთან შეჭიდებულმა.

ლექსში „საუბარი ესენინის სურათთან“ გ. ნაფეტვარიძე ესენინს „რუსული ლექსის დიდოსტატს“ უწოდებს და იგონებს იმ სამწუხარო მომენტებს, რომლებმაც პოეტი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

„მიძღვნითი ხასიათის ლექსებში ჩვენ ვხედავთ თვითონ პოეტს მისი როგორც ფიზიკური, ისე სულიერი თვისებებით, საგანთა და მოვლენათა შემეცნების თავისებური უნარით, მისწრაფებებით, ინტერესებით“[1]- წერს მკვლევარი დ. იოვაშვილი.

---

[1] დ. იოვაშვილი, დიდ სამამულო ომში დაღუპული ქართველი მწერლები, 1967წ., გვ. 12.

ლექსი „ანდრია სინაურს“ მიძღვნილია ამავე სახელწოდების პოეტისადმი. ანდრია სინაური ტრაგიკული შემთხვევის გამო მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ლოგინზე იყო მიჯაჭვული. ამ ლექსში გ. ნაფეტვარიძე ნათლად ავლენს თავისი ხასიათის ნიშნებს, დაუდეგარ ადამიანურ ბუნებას, დაბრკოლებებთან ჭიდილის დაუოკებელ სურვილს.

ჩვენ საგანგებოდ მოვიტოვეთ გ. ნაფეტვარიძის შემოქმედების უკანასკნელი ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომთან.

როგორც ცნობილია, გ. ნაფეტვარიძემ 1939 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ საღამოზე მან წაიკითხა სტუდენტური დღეების მოგონებით გამთბარი ლექსი „განშორება“, რომლის ავტორი სისხლხორცეულად დაკავშირებულია ქალაქ ქუთაისთან, სადაც გაატარა „დრო სიყვარულის, ვნების, სერობის“, სადაც გამოიჭედა ახალგაზრდობის მარადიული გრძნობა, სადაც ნატრობდნენ მომავალ დიდ გზებზე გასვლას, სწავლობდნენ სამშობლოსათვის თავის გაწირვას.

ლექსში ნათქვამია:

თუ მოადგება მტერი ტრამალებს, ახალგაზრდა პოეტი გვერდში ამოუდგება გმირებს და სამშობლოს სიყვარულით ანთებულ გულს მტრის ტყვიას მიუშვერს.

ლექსში „ნახვამდის“ ასე გამოეთხოვა პოეტი, თავისი ოჯახის წევრებს: დედას, დებს, მეუღლეს, თავის უსაყვარლეს სამშობლოს:

ნახვამდის, დედილო, ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო,
ხშირ-ხშირად მომწერეთ ქაღალდი,
ნუ ტირით, პატარა დებო!
მამები გიცავდათ აქამდი,
კავკასის მაღალო მთებო!
ახლა ჩვენ მოვდივართ, ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო!

მშობლების ძვირფასი ჭაღარა
ღამეს მინათებენ თვალწინ!..

ვინ იცის, მოვალ თუ აღარა, -
წინ გზა დევს უნდო და მკაცრი.

ამ ლექსით დაიწყო ახალი პერიოდი გ. ნაფეტვარიძის პოეტურ ბიოგრაფიაში, პერიოდი ხანმოკლე, მაგრამ საოცრად ტევადი და ნაყოფიერი.

„ომმა, ჩვენი ხალხის გმირულმა ბრძოლამ კიდევ უფრო დააკაკაცა და გამოჭედა გიორგის თვითმყოფადი ლექსი, გაამდიდრა იგი ახალი ინტონაციებით. რეალისტური და ამავე დროს რომანტიულად ამაღლებული, მრისხანე და ერთდროულად ნატიფი – ასეთია ნაფეტვარიძის ომისდროინდელი ლირიკა“[1] - წერს მკვლევარი დ. სტურუა.

ფრონტზე მყოფი პოეტი ლექსში „საღამო წითელ მოედანზე“ წერს:

...და სხვა სიკეთე არ მინატრია,
ჯერ არ მიმშვენებს სახეს ნახმლევი,
შენთვის ფრონტებზე ხმალი ვამტვრიო,
შენი მებრძოლის მერქვას სახელი.

პოეტი მზად არის თავისი სიცოცხლე სამსხვერპლოზე მიიტანოს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მოვიდეს მტერი ურიცხვი, უანგარიშო ულევი,
პირბასრი ხმლებით დავხვდებით ქალ-ვაჟნი გარკინულები.
(„მოდიან მზეჭაბუკები“).

საინტერესოდაა ჩაფიქრებული „უსათაურო ლექსი ფრონტიდან“. ეს ლექსი დაწერილია მოწინავე ხაზზე, იერიშზე გადასვლის წინ.

და ღამით, ცეცხლთან ფარაჯიანებს,
გვქონდა სიზმარი, უძილოდ, ფხიზლივ,
მიწას ვახვევდით გულის იარებს
მიწის ნაშობნი და მიწის ღვიძლნი!
ჩვენ ველით, ჟამი დარეკავს მალე,
მრისხანე რისხვად ფეხზე დავდგებით
და თოფისწამლით გარუჯულ თვალებს

[1] დ. სტურუა, გ. ნაფეტვარიძე და მისი ლექსები, „კომუნისტი“, 1958წ., 2 ნოემბერი.

მხოლოდ ისევ შენ მოელანდები.

ლექსებს გარდა, გ. ნაფეტვარიძემ ფრონტზე დაწერა მრავალი ნარკვევი, ნოველა, პუბლიცისტური წერილი.

„საფრონტო პირობებში მაინც მოასწრო მწერალმა დაეწერა დღიურები და ფრონტული წერილები, სადაც მკაფიოდ მოჩანს გ. ნაფეტვარიძის ვაჟკაცური, ხალასი და კეთილშობილური მგზნებარებით შეპყრობილი ადამიანური და მწერლური ბუნება“[1], - წერს მკვლევარი გ. კანკავა.

გ. ნაფეტვარიძემ საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულ თავდასხმას მიუძღვნა მოთხრობა „პირველი დღეები“. ამ თავდასხმამ აღაშფოთა და ააფორიაქა მთელი მსოფლიო. ომში ჩაება მილიონობით ადამიანი. მოთხრობაში დახატულია ადამიანთა აფორიაქებული, გაოგნებული და დაბნეული სახეები, დედა-შვილების ხვევნა და კოცნა, შეყვარებულთა მორცხვი და ნაღვლიანი გამოხედვა, მამებს დაცილებული ბავშვების ჭირვეულობა და ტირილი, კვიცებდატოვებული ფაშატების ჭიხვინი მძაფრად განაცდევინებს თითოეულ მკითხველს იმ დღეთა საშინელ ტკივილებს. „მიდიან, მიდიან...“ ასე მთავრდება ეს ნაწარმოები. მეტად მძიმედ აღიქმება ყოველივე ეს. მოთხრობა დაუმთავრებელია, მაგრამ მკითხველამდე მოღწეული ნაწილიც ნათლად ამტკიცებს მისი ავტორის მაღალმხატვრულ გემოვნებას. ამ ნაწარმოებში მკითხველი ადვილად დაინახავს ყოველივე იმას, რაც უმაგალითო ომს მოაქვს კაცობრიობისათვის.

ქართული სოფლის ომისდროინდელი ყოფაა ასახული მოთხრობაში „ჩემი ძმა“. მოთხრობაში მაღალმხატვრული ოსტატობითაა დახატული ომში წასული მეომრის დედა, რომელიც დასევდიანებულია იმის გამო, რომ მას დიდი ხანია შვილის წერილი არ მიუღია, შვილიშვილების აღმზრდელ ბაბუას, მიუხედავად მოხუცებულობისა, თავი მაინც მხნედ უჭირავს. გაუმხელელი სიყვარულის გრძნობა ადარდებს ახალგაზრდა გოგონას. მოთხრობის ავტორს არ ავიწყდება უსაქმური და ჭორიკანა დედაკაცებიც.

---

[1] გ. კანკავა, გიორგი ნაფეტვარიძე, „ლიტერატურული საქართველო“, 1964წ., 21 თებერვალი.

ალნიშნულ მოთხრობაში ყველაზე მიმზიდველი სახეა მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი, რომლის სახელიც არაა ნახსენები და რომელიც თავისიანებთან გამოუშვიდობებლად წავიდა ომში. ომში მყოფი ვაჟკაცი არა მარტო იცავს სამშობლოს, არამედ პოულობს დროს იმისათვის, რომ იფიქროს თავისი სოფლის ადამიანებზე, იფიქროს მათ პიროვნულ ბედნიერებაზე, სიყვარულზე.

ავტობიოგრაფიულია მოთხრობა „სიყვარული“. შეყვარებული ქალიშვილი ბაქანზე ელოდება სატრფოს, რომელიც ომში მიემგზავრება. ომში მიმავალ ვაჟკაცს დარჩა შავი, ყურდაჭრილი ნაგაზი, რომელიც პატრონის გაუჩინარების გამო გულშემზარავად ყმუის. ქალი დაიღალა მწუანე მუნდირიანი მამაკაცების თვალიერებით. ამ მოლოდინში ის ფრიად საინტერესო განცდებს ეძლევა.

ომის საშინელებას, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილს, თოფის-წამლის სუნით გაჟღენთილ ჰაერს, სისხლით გაჟღენთილ მიწას... გვიხატავს მწერალი მოთხრობაში „მამაი“.

21 წლის შავთმიანი ჭაბუკი მძიმედ არის დაჭრილი. მას არ შეუძლია სიარული, არ შეუძლია ფიქრი მშვენიერ ქიაზიმ ხანუმზე, ჭაღარა დედაზე. მას ძლიერ მოენატრა დედის ხმა, სატრფოს ფირუზისფერი თვალები, მაგრამ ამაოდ. დაესვა წერტილი ლამაზ სიყვარულს და კაცის სიცოცხლესაც. ეს ტრაგედია ომმა მოიტანა. ნაწარმოებში ყოველი დეტალი ისეა შეკრული კომპოზიციურად, რომ მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

ძნელია აუღელვებლად წაიკითხო მოთხრობა „მზარეული“. ქართველი მებრძოლის წინ მტრის ტყვიამ მოცელა თათარი მზარეული. ქართველმა მებრძოლმა ძალღონე არ დაიშურა მზარეულის გადასარჩენად, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოადგა – მზარეული დაიღუპა. მოთხრობა ასე მთავრდება: „გარეთ ისევ თოვდა. შორიდან ისმოდა ყრუ გრუხუნი. დავიარე და ისევ გავიქეცი სანგრისაკენ.

„...და ვწუხდი, ვაი თუ მეც მიმსხვერპლოს ასე ბრმად ტყვიამ?

ვინ იცის, ეგებ ასე იმსხვერპლა ბრმა ტყვიამ მწერლის სიცოცხლე სევასტოპოლის მისადგომებთან.

პატრიოტული პროზის შესანიშნავი ნიმუშია მოთხრობა „ბაბუა ხაილოს შვილიშვილი“.

ფერდჩალეწილი სახლის ერთ კუთხეში ზის ბაბუა ხაილო, მოხუცი ბოშა. იქვე ახლო ფიჩხს აგროვებს ცხრა თუ ათი წლის ფერმკრთალი გოგონა – ხაილოს შვილიშვილი.

შორიდან მოისმა ავტომატის, შემდეგ კი ნალმტყორცნისა და ტყვიამფრქვევის სროლის ხმა. გერმანელებს მკვდრები დასამარხად მიჰქონდათ. ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა. ეზოში ძაღლმა დაიყეფა. გოგონა ჭიშკრისაკენ გაიქცა. ლაფაროში იწვა სისხლით მოსვრილი პარტიზანი – მასწავლებელი ჩიბინი. გოგონამ იგი ხულაში შეიყვანა, სისხლი მობანა და ბაბუამისის სუფთა საცვლები ჩააცვა. მან პარტიზანი ფიცარზე დააწვინა და ზედ თივა დააყარა. საცოდავი ბებერი ძაღლი კვლავ აყეფდა. ჭიშკარში დამსჯელი რაზმი გამოჩნდა. სად დამალე პარტიზანი – დამტერეული რუსულით მიმართა გოგონას შეზარხოშებულმა გერმანელმა ოფიცერმა. მან ვერაფრით ვერ გატეხა გოგონა, გადაწყვიტა ბაბუა ხაილო და გოგონა ჩამოეხრჩოთ. ამ დროს გავარდა თოფი, გოგონას ფეხთან დაეცა პარტიზანის ტყვიით განგმირული ოფიცერი.

ეს ნაწარმოები ქართული საბავშვო ლიტერატურის ჩინებული შენაძენია, რომელსაც დიდი მხატვრულ-ესთეტიკური და იდეურ-ალმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

მიმოიხილავს რა გ. ნაფეტვარიძის ომის ციკლის პროზაულ ნაწარმოებებს, მკვლევარი ო. გიორგაძე წერს: „ამ თხზულებებში ამბავი საინტერესოდ ვითარდება, სახეები ცოცხლად, დასამახსოვრებლად არიან გამოკვეთილნი, ყველაფერი ახსნილია, გამჭვირვალეა, ადვილად დასანახი და საწვდომი, დიდი გულწრფელობითა და ზომიერებით შეზავებული. თხრობა ლაღი, ბუნებრივი, დახვეწილი და მიმზიდველია. ამ პატარა მოთხრობებს ბევრი რამ აქვთ საერთო ნოველასთან, რის გამოც ჭირს მათი სრული გათიშვა-გამიჯვნა ამ ჟანრისაგან, მაგრამ ეს კიდევ უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის მათ“.[1]

გ. ნაფეტვარიძეს იცნობენ, როგორც პოეტს. დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, რომ სამხედრო „დღიურებისა“ და „ფრონტული წერილების“ ავტორი პროზაიკოსის ალღოთი იყო დაჯილდოებული. მის პროზაულ ნაწარმოებებში ყველაზე მკაფიოდ მოჩანს

[1] ო. გიორგაძე, გიორგი ნაფეტვარიძე, ომის სიმღერა დარჩა მარადის, 1985წ., გვ. 31.

გ. ნაფეტვარიძის ვაჟკაცური, ხალასი და კეთილშობილური მგზნებარებით შეპყრობილი ადამიანური და მწერლური ბუნება.

შესანიშნავი ჭაბუკი ერთნაირი ნებისყოფით და ძლიერებით ეკიდებოდა მოვლენებს: ბრძოლის დროს ბრძოლაზე, სიცოცხლეზე და გამარჯვებაზე ფიქრობდა, შესვენების დროს – შემოქმედებაზე, ოჯახზე, სხვა გამარჯვებებზე. გ. ნაფეტვარიძეს ეხერხება აფორისტული თქმების გამოყენება, ამ მხრივაც იგი ადრე დაბრძენებულ შემოქმედს მოგვაგონებს.

საფრონტო ჩანაწერებში, ესკიზებში, ცალკეულ შენიშვნებშიც კი იგი ადამიანის ცხოვრების მრავალ მნიშვნელოვან მოვლენებს სჭვრეტს.

ყოველ მსგავს ნაწერებში იგრძნობა მხატვრის ხელწერა, სიმართლე, მოვლენის შეგრძნების კარგი უნარი.

ჯარში გაწვევას გ. ნაფეტვარიძე ასე აგვიწერს: „ჯარში რომ გამიწვევდნენ, ვიცოდი, გამოძახება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, წინასწარ გავითვალისწინე ყველაფერი, მაგრამ მაინც მოულოდნელად მოხდა. ღამე, კვირა დაღამდა. ვიწექით გარეთ, სამის ნახევარზე დამიძახეს. ნათელა გაშრა. ნახევარ საათში, სრულ სამზე უნდა გამოვცხადებულიყავი. წამოველი უმალვე. ჭიშკრამდე მომყვა იგი თვალცრემლიანი, ვაკოცე შუბლზე, ხელი ჩავიქნიე და წავედი. მამა გამოვიდა მის დასაბრუნებლად. მე მივდიოდი მარტო, ვბორძიკობდი კოლობოხებზე. ვწევდი პაპიროს და მივდიოდი გაბრუებული. არ ვფიქრობდი არაფერზე. მივდიოდი, მივყვებოდი ჩემი სოფლის მდუმარე შარას. არსად არ ენთო სანთელი, არ ყეფდნენ ძაღლები, არ ყიოდა მამალი. არავინ შემხვედრია, მესმოდა ჩემი ფეხის ხმა შუაღამის დუმილში. და ეს მოგონება დარჩა, როგორც განუმეორებელი და აუხდენელი სიზმარი ქარიან ღამის.“[1]

1941 წლის 25 სექტემბერსაა ჩაწერილი ეს სიტყვები: „რაღა დავწერო, ან რა მნიშვნელობა აქვს ამ შენიშვნებს, გამომადგება ოდესმე? ვფიქრობ, ვითომ დავბრუნდები?

ეჰ, ვინ იცის! ერთი კია: მშიშარები ყველაზე ადრე და ყველაზე უაზროდ იღუპებიან. მე მშიშარა არ უნდა ვიყო, თუმც ჯერ

---

[1] გ. ნაფეტვარიძე, ლექსები, ბალადები, პოემები, მოთხრობები, ფრონტული წერილები, 1970წ., გვ. 257.

შესაშინებელი არაფერი დამმართია“ (დასახელებული წიგნი, გვ. 255).

გ. ნაფეტვარიძე კარგად ჭვრეტს ომის საშინელებას, ომს, მისი თქმით, მხოლოდ ნგრევა და განადგურება მოაქვს, ამიტომ იგი ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „რა ამბები ხდება ახლა მოსკოვში, ლენინგრადში? ნუთუ დაბომბვის ღირსია პეტერგოფის დიდებული შადრევნები და დარბაზები?

საცარი – ევროპის კულტურა! განა განადგურებისათვის იქმნებოდა ყველაფერი? უცნაურია ბედი კაცობრიობის. მსოფლიო ომის შემდეგ ნუთუ კიდევ უნდა დაეწყო ომი კაცობრიობას?

„ვალერი ჩკალოვი“ ვნახეთ. მთელი ღამე საშინელი განწყობილება დამეუფლა. მაგონდებოდი, ნათელა, შენ! შენ, ჩემო მშვენიერო! ჩვენ ძალიან ცოტა ხანს ვიყავით ერთად, ძალიან ცოტა ხანს. დილით ცუდად ვიყავი, ხეს მიყრდნობილი ძლივს ვიმაგრებდი თავს წაქცევისაგან. მერე ყველაფერმა „გაიარა“, დარჩა: ფერფლი, ნაცარი და საუბარი, რომელმაც ვერ მოაღწია შენამდე. ჩანაწერი ლექსით მთავრდება, რომლის სახელწოდებაა „უსათაურო ლექსი ფრონტიდან“ (დას. წიგნი, გვ. 277).

ფრონტული წერილების ერთი ადგილი ასე იკითხება: „დღიურები“ გამოხატავენ ჩემს პირად განწყობილებას. მათში არ შეიძლება ძიება დიდი აზრებისა და მხატვრული სახეების. ჩემთვის კი ყოველ წერტილს აქვს მნიშვნელობა, გასაგებია ყოველი ბგერა. შენთვის, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ბევრი რამ დარჩება სამუდამოდ გაუგებარი, თუ აღარ მექნა შენთან ერთად საშუალება ამ ნაწერების გაშიფვრისა.

გავიმარჯვებთ, უეჭველია. მსხვერპლი? ო, მსხვერპლი იქნება, რადგან დიდი საქმე არასოდეს უმსხვერპლოდ არ კეთდება. მიწის თავისუფლება ითხოვს სისხლს, ცრემლებს, სხეულებს“ (დას. წიგნი, გვ. 298).

გამარჯვებას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია. მეორე მსოფლიო ომმა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა, მათ შორისაა გ. ნაფეტვარიძეც; მან საშობლოს დამოუკიდებლობისა და ბედნიერების საქმეს შესწირა საკუთარი სიცოცხლე, რომელიც ერთჯერ ეძლევა ადამიანს.

ერთ-ერთ ლექსში გ. ნაფეტვარიძე წერს:

მე ომში წასულს ან შენ მიშველი,
ან ეს ლექსები მიპატრონებენ!

მადლიერი ქართველი მკითხველის წიგნის თაროს არასოდეს არ მოშორდება გ. ნაფეტვარიძის სიჭაბუკის წიგნი.

სევერიან ისიანი

სევერიან ისიანის უშუალო, ტემპერამენტიანმა, შინაგანი ენერგიით სავსე ლექსებმა გამოქვეყნების დღიდანვე მიიქციეს ფართო მკითხველი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება.

ს. ისიანის ლექსების პირველი კრებული გამოვიდა 1940 წელს, რომლის რედაქტორი იყო ირ. აბაშიძე.

1945 წელს განხორციელდა ს. ისიანის ლექსების მეორე გამოცემა აკად. გიორგი ჯიბლაძის გამოკვლევით. ამ გამოკვლევაში გ. ჯიბლაძე წერს: „ლიტერატურულ ასპარეზზე ს. ისიანი ლირიკით გამოვიდა და ზარბაზნების გრიალშიც ლირიკითვე დაამთავრა. ლირიკა იყო მისი შემოქმედებითი სულის დაუცხრომელი სტიქია. პოეზია, როგორც გრძნობიერი აღქმა სინამდვილისა, ისიანისათვის ცხოვრების ადექვატურ სახეს წარმოადგენდა, მაგრამ ლირიკაში საკუთარ გულს ხედავდა. ამ გულით ათბობდა ყოველ სტრიქონს, რომელსაც ასე გატაცებით წერდა.“[1]

სევერიან ისიანი დაიბადა 1913 წლის 31 მაისს ცაგერის რაიონის სოფელ ზოგიშში.

ქ. ქუთაისში მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება. 1932 წელს დაასრულა პედაგოგიური ტექნიკუმი.

1933 წელს სწავლა განაგრძო ახლადდარსებული ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 1939 წელს ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები. ს. ისიანის პოეტური დაოსტატება დაკავშირებულია ქ. ქუთაისთან.

„ქუთაისმა და მისმა საგანმანათლებლო კერებმა ბევრი შესანიშნავი სახელი შემატეს ქართულ კულტურას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა სასიქადულო აკაკიმ, აგრეთვე გიორგი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, დავით კლდიაშვილმა ქუთაისში მიიღეს პირველი ინტელექტუალური წრთობა. აქვე აიდგეს ფეხი გალაკტიონმა, ნ. ლორთქიფანიძემ, პოლიკ. კაკაბაძემ, ტ. ტაბიძემ, პ. იაშვილმა, დ. კლდიაშვილმა, ვალ. გაფრინდაშვილმა. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტ-

[1] გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. V, 1974წ., გვ.95.

ში სწავლობდნენ და პოეტურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ლადო ასათიანი და მისი ამხანაგები... მათზე რამდენიმე ხნით ადრე ამავე ინსტიტუტში იყო სევერიან ისიანიც, რომელიც მწერალთა ქუთაისის განყოფილების ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა", წერს მკვლევარი დ. იოვაშვილი.

ს. ისიანი 1932-1934 წელს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, გაზეთ „მუშა და კოლმეურნის" რედაქციის კულტურულ-საყოფაცხოვრებო სექტორის გამგე და მაუდის ფაბრიკის ნაბეჭდი გაზეთის „წითელი ფეიქრის" რედაქტორი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა ქვიტირის საშუალო სკოლაში.

1939 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იბრძოდა ფრონტის მოწინავე ხაზზე ქერჩსა და ყუბანში, ბელორუსიასა და უკრაინაში. ის რამდენიმეჯერ დაიჭრა და კვლავ ფრონტს დაუბრუნდა. მისი უკანასკნელი ბარათი დაწერილია 1943 წლის 3 ივნისს. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პოეტი შორეული ბრიანსკის ძმათა სასაფლაოზე განისვენებს.

მკვლევარი მ. ალავიძე წერს: „სევერიან ისიანის პოეზია მგზნებარე პატრიოტისა და მომღერლის წრფელი გულისთქმაა. ს. ისიანის ლექსს ახასიათებს იდეური და მხატვრული მთლიანობა. მასში გვაქვს მახვილი აზრიც და ლირიკული სითბოც. სტრიქონი საამოდ ჟღერს, ფრაზის გამომსახველობითი ძალა საგრძნობია. პოეტს ეხერხება თემის მიგნება, შთამაგონებელი ნიუანსის დაჭერა, ფორმალური სიახლის ძიებაშიც დაოსტატებულია".[1]

ს. ისიანის ლექსების წამყვანი თემა, უპირველეს ყოვლისა, მისი თანამედროვე სინამდვილე, სამშობლო, მისი აღმშენებლობანი, ადამიანების ახალი მორალურ-ეთიკური ურთიერთდამოკიდებულებაა. ამ ლექსებში ჩანს პოეტის მისწრაფებანი და იდეალები, ხასიათი და ბუნება.

პოეტისათვის სამშობლო არის „უდასავლეთო და გაზაფხული დაუჭკნობელი". ამ ქვეყნის დასაცავად იგი არ იშურებს თავის ძა-

---

[1] მ. ალავიძე, შინმოუსვლელი მეომარი პოეტები, ქუთაისი, 1965წ., 25 აპრილი.

ლას, სულიერ და მორალურ ენერგიას და მზად არის თვით სანუკვარი სიცოცხლე შესწიროს მას.

ს. ისიანის შემოქმედებითი ბუნების გასაღებს იძლევა ლექსი „გული და დღეები“. საჭიროდ მივიჩნიეთ მთლიანად მოვიტანოთ იგი:

მზე დაიღვრება ველზე ულევად,
ჩეროს გაიჩენს ყოველი ღერო.
დღეებს ჩამოაქვთ მხიარულება
და მათ შესახებ მინდა ვიმღერო.
მინდა ვუმღერო ამ მზეს, ამ ყოფას,
დილით ყანების ახმიანებას,
ერთი სიმღერის მარადსაყოფად
მთელი სიცოცხლე არ მენანება!
ხან გარინდებით შევცქერი ამ ცას,
ამ მთებს, რომლებმაც ველი მოჩრდილეს,
ვნატრობ: არ იყოს ისეთი განცდა,
რომელსაც სიტყვა ვერ იმორჩილებს.
ასე მაღელვებს დღეთა ალმური,
და, გულო ჩემო, ვერ გაპატიებ –
ამდენი სითბო და სიყვარული
თუ სტრიქონებში ვერ დავატიე!..

ასეთი გულწრფელი სიტყვებით ეფიცებოდა პოეტი თავის ქვეყანას ერთგულებას და რაინდულ თავდადებას ლექსში „სამშობლო“. ამ ლექსში პოეტმა თავისი საფიცარი ქვეყნის მშვენიერი მოზაიკური სურათი დაბატა. შეამკო მისი ზღაპრული ველ-მინდვრები, მისი შვილების გრძნობა და გული:

ჩემი ოცნების კრიალა ცაზე
მუდამ შენი მზის არის დიდება.
მისი სხივები და სილამაზე
არ ინისლება, არ იბინდება.
იდიდოს იგი, მარად ბრწყინვალე,
ცასა და მიწას არ მოსწყინდება.
ქვეყნად დაადნობს ყველა მყინვარებს,
მსოფლიო ცაზე ამობრწყინდება!
პოეტი სვამს რიტორიკულ კითხვას:

ვინ აამღერა ამდენი გული,
ვინ შთააგონა გმირი ამდენი,
შენს დიდ საზღვრებზე შემორკინული,
სასწაულების შენთვის ჩამდენი?
ამ კითხვას თვითონვე პასუხობს:
შვილებს არგუნე, დედავ ნეტარო,
ზღვა სიხარული დაუშრობელი.
შენს დაძახილზე თუ არ ავენთო,
გამრისხებია მიწა მშობელი.

ჩვენი ქვეყნის თვალწარმტაც პეიზაჟებში პოეტი ყველა სურათს ფერმწერივით ხატავდა, პლასტიკურ სილამაზეს აძლევდა. ლექსში „შეხვედრა ქართან" ს. ისიანი საქართველოს მთის ხეობაში შლეგი ქარის პირისპირ დარჩენილი მგზავრის განცდებს გადმოგვცემს.

შებინდებისას შინ მიმავალ პოეტს ქარი შეეფეთა, რომელსაც ასე მიმართავს:

ვის მიუცია ამდენი ღონე,
რომ გზებზე ბული დაატრიალე,
მე ქუთაისის მკვიდრი მეგონე,
ყოფილხარ თურმე მოხეტიალე!

ს. ისიანი საინტერესოდ გვიხატავს ზამთრის პეიზაჟს ლექსში „ზამთარი ჩემს სოფელში". მთიანი სოფლის ხეებში დაზვინულ თოვლს, ყინვასა და „სევდის დამტევ" ცამაღალ ღამეს ისე აგვიწერს პოეტი, რომ ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ყველა სურათი:

ღამევ, რამდენჯერ მოსულხარ ასე
ცამაღალი და სევდის დამტევი.
ხან: მოქარავნე ღრუბლებით სავსე,
ხან: მოფარფატე თოვლის ფანტელით.

ალალმა დრომ ბუნებასაც შეუცვალა სახე და იგი ქვეყნის სამსახურში ჩააყენა:

ახლა ჩვენი ხარ, ახალი ყოფის
გვაქვს დავალება მკაცრი და მტკიცე:
შენს ცივ ღელებში ჩაღვრილი ოფლი
საგაზაფხულო შეტევად იქცეს.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის ამაღლებული, დამამკვიდრებელი პათოსია დახატული ლექსში „ლევანევსკი“.

სიგიზმუნდ ლევანევსკის პოეტი ასე მიმართავს:

ჩემი ქვეყანა – შენი მშობელი
მდინარეები, მთები, ტყე-ველი,
ჩემი ფიქრები დაუშრობელი
და სტრიქონებში ჩაუტეველი, -
შენ მოგძახიან, შენ გეხებიან,
მოდიან გმირნი დაუძრახველნი,
მეშვიდე ცაზე მათი ხმებია
და მსოფლიოზე მათი სახელი.

ლექსის ლოგიკური დასკვნა ასეთია:

დაე, სამშობლოს მსხვერპლი მიწოდონ,
მეტი არ მინდა ქვეყნად სახელი!

ს. ისიანის ლექსებში ხშირად გვხვდება ინტენსიური, დაძაბული რიტმი და პაექრობა. ზოგჯერ პოეტი ეტოლება მესაჭეს სისწრაფეში, გაქანებაში, დაუდგრომლობასა და სულის მგზნებარებაში.

ს. ისიანმა ლექსი უძღვნა ნესტორ ალავიძეს – უხუცეს მძღოლს, გარბენის გმირს. ეს აზრია განფენილი ლექსში „გარბენის გმირს“.

მეც ხომ სტროფებში ველარ ვეტევი,
როცა ღიაა გულის კარები.
მაშ, გვიხაროდეს გადამეტებით
შენ-გარბენილი კილომეტრები,
მე – სადღეისო ლექსის ბჭკარები!...

ასეთივე ხმითა და განცდით ეხმიანება მფრინავ გოგონას პოეტი ლექსში „მფრინავ გოგონას ფადიკო გოგიტიძეს“. მისი თვითმფრინავის ყოველი ჩამოქროლება მას აღუძრავდა სურვილს, რომ

ერთხელ მაინც შემაძლებინა, -
ზღაპრული ძალა მივსცე სტრიქონებს,
რომ აგედევნო ელვის ისრებად.

ლექსის დასასრულს ნათქვამია:

და გვიან... როცა სამარის ლოდზე
დამაწვებიან წლები მწუხრივით,
მყუდროებაში რომ იშრიალონ,

მინდა მაშინაც კი მომაგონდე
და ჩამომესმას შენი ქუხილი,
რომ უცნაურად შემაჟრიალოს!...

„ამ ლექსის უკანასკნელი სტროფის მართლაც „უცნაურ ფრიალში“ ადვილი გასაგები ხდება, რომ არსებითად ეს იყო შემოქმედებითი გზნების მეორედ განცდის მძაფრი სურვილი, ვიდრე მოგონების სასიხარულო ათრთოლება„ -წერს აკად. გ. ჯიბლაძე.

საინტერესოა ლექსი „არ დაკარგულან“. იგი ისე იკითხება, როგორც პოეტის ავტობიოგრაფია. პოეტი აღმზრდელ ქვეყანას ღრმა ლირიზმით გამთბარი სიტყვებით მიმართავს:

საით წასულან შენი ვაჟები,
შენი გმირები ცეცხლისთვალება,
რომ იტაცებდათ გარიჟრაჟები
და ქარიშხალში დროშის ტარება.
მათი გულები ტყვიით დახრული
ნუთუ წყვდიადის ქვეშ იფარება,
აღარ მოესწროთ გამოზაფხული,
ზეცის ამგვარი გამოდარება!

ეს გმირები, მათ შორის თვით ს. ისიანიც, ადრე მიეფარნენ თვალს, მაგრამ მათი სახელი და დიდება არ წაშლილა:

მათზე შაირებს მთებიც არხევენ,
ჯარი ამღერებს ჭაღარა ჭადრებს,
არ ივიწყებენ გმირთა სახელებს,
რომ დაცემულან რიყრაჟზე ადრე.

მათ ხალხის მეხსიერებაში უკვდავი გმირების სახელი მოიხვეჭეს, დღეს „მათ საფლავებს აყრიან ვარდებს“.

პოეტი ცდილობს თავისი თვალით ნანული ფაქტი, შემთხვევა, თუ მოვლენა საკუთარ პოეტურ ქურაში გამოაწრთოს და კვლავ ხალხს დაუბრუნოს, მის საკუთრებად აქციოს. მას ხიბლავს „ენგური-მთების ამაყი შვილი“.

მე მიყვარს მისი ზვირთების ქაფი
და მწუხარება მაღალმთებური,
რადგან ყოველთვის წინ მიისწრაფის,
ვით მეომარი გულანთებული“, - ნათქვამია ლექსში „ენგური“.

რიონის ჰიდროელექტროსადგურს ბევრმა პოეტმა უძღვნა ლექსი, ერთ-ერთი მათგანია ლექსი „რიონი“, სადაც უხვად გვხვდება მხატვრული სახეები. მხოლოდ ერთი ადგილის მოტანით დავკმაყოფილდებით:

ისევ ქარია
და ქუჩები ხმაურს მოდენის,
დაჭრილ ღამეში
გაწოლილა მიდამო ვრცელი.
ხიდქვეშ ამდგარან
გულმოთხრილი თეთრი ლოდები
და ჭრილობებში
ჩარჩენია მდინარის ცრემლი.

ახალმა დრომ შვება მოუტანა ხალხს, დრომ წაიღო სევდა და წუხილი, რაც კარგად ჩანს ლექსში „ცარლა“.

მინდა შევძახო ნისლების დროშას,
ხავსიან კოშკებს, შხარას და მყინვარს:
ცრემლის მიზეზი გადაჰყვა დრო-ჟამს
და ცარლას მკერდზე ორდენი ბრწყინავს —

ნათქვამია ლექსში.

სამართლიანად წერს მკვლევარი გ. სამხარაძე „თავისი ვრცელი, მძლავრი და თავისუფლების აკვნის დამრწევი უძვირფასესი სამშობლოს მოსიყვარულე პოეტის ცნობიერებაში შთამბეჭდავი ფერებით არის წარმოსახული უსაზღვროდ ლაჟვარდი, საუერდოვანი ველ-მინდვრები, გაზაფხულის სურნელოვანი ვარდყვავილები, მზით გალაღებული დედამიწა, ბარაქიან შრომას დაწაფებული ადამიანები ყველაფერი ეს გულს უხარებდა და სიმღერისათვის განაწყობდა ჭაბუკ მგოსანს.“[1]

ს. ისიანის შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სატრფიალო-ინტიმურ ლექსებს, სადაც მჟღავნდება პოეტის სულიერი მიდრეკილებანი.

აკად. გ. ჯიბლაძე წერს: „ისიანის ლირიკა ადამიანურ განცდას ბუნებრივად და სადად გადმოგვცემდა. ამჩნევდა ბევრ ისეთ

[1] გ. სამარაძე, სერგო ისიანის პოეზია, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XXIV, 1962. გვ. 219.

მოვლენას, რომელიც ინტიმურ ქვეყანაში მოულოდნელობად იქცეოდა. თავის ლექსებში სიყვარულის თემას მან მოუნახა ისეთი ნიუანსები, რომლებიც არ შეიძლება მკითხველის გულს არ მოხვდნენ., კითხულობთ ლექსს „საყვედური ჩემს საათს“ და გრძნობთ, თუ რა ღრმა ლირიკული განცდის პოეტთან გაქვთ საქმე. მან ეს თემა განძარცვა ყოველგვარი შაბლონისაგან და მისცა მოკრძალება.“[1]

პოეტი თავის საათს ასე მიმართავს:

გიძგერს გული და მიდის წუთები,
საუკუნეთა მდინარეს ერთვის.
ყოველთვის გივლი, გესათუთები,
და საყვედური არ მითქვამს შენთვის.
შენ გვატყობინებ დროის დინებას,
მეც შეგეთვისე დიდი ხანია
და თუმც არ გითქვამს, გეცოდინება:
ხვალ გულისწორთან მიმიხარია.

გულისწორთან პაემანმა ერთგვარი სადარდებელი გაუჩინა პოეტს.

თვალებში მიდგას ძვირფასი ლანდი
და მოლოდინის ცეცხლი მედება...

ამიტომ ის იძულებულია თავის ერთგულ საათს ასე მიმართოს:

ხვალამდე მკერდში გულს ვერ გავატევ,
უნდა აჩქარდე უნდა მიშველო!...

საათთან საუბარში ნათლად ვლინდება პოეტის ლირიკული სულისკვეთება.

ამავე თემას ეხება ლექსი „სიყვარულის შემოპარვა“, პოეტი რაღაც უჩვეულო გრძნობამ ააფორიაქა, მოსვენება დაუკარგა.

ეს რა გრძნობები გულში სახლობენ,
გაუცნაურდა ჩემი ცხოვრება.
ხან ყოველ ხეშიც ვხედავ ახლობელს,
ხან ჩემი თავიც მეუცხოვება!..
ეს ტკივილია თუ შარბათია,
თუ იდუმალი რაღაც ზმანება!

---

[1] გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ.V, 1974წ., გვ. 97.

რამდენი ღამე ჩემთან ათია
და მოსვენების არ მომცა ნება.

თურმე, ყველაფრის მიზეზი სიყვარული ყოფილა, რომელიც პოეტის გულში შემოპარულა:

და მივხვდი რითაც ვარ დადაღული,
რაც მამღელვარებს, კარგო ფარულად:
შენ გაგიბზარავს ეს ჩემი გული
და სიყვარული შემოპარულა!..

პოეტის სიყვარული ანკარა წყაროსავით წმინდაა, რაინდული მოკრძალება და თავდაჭერა მშვენივრად არის დახატული პატარა ლირიკულ ლექსში „თაიგული და ეს გული“.

მინდა ვიყო ბავშვი,
მოვსწყდე დედის კალთას,
და როცა მზე გაშლის
რძისფერ ნისლის ფარდას:
გადვიპარო ბაღში,
მივირბინო წყალთან...

რა სურვილი ამოძრავებს ლექსის ლირიკულ გმირს?

შენი ნახვის მკლავდეს ნდომა,
ვიწყო ყვავილთ კრეფა,
ზოგი ჰგავდეს შემოდგომას,
ზოგი – აპრილს მფეთქავს,
თაიგული და ეს გული
შენ მოგიძღვნა ერთად!..

უსათაურო ლექსში „დასალამოვდა, დაეცა ბინდი“ პოეტს მოსვენებას არ აძლევს სიყვარულის გრძნობა, არემარეს ბინდი დაეცა, მუქი ნისლები ზეცისკენ მიდის, ირემი ირემს ეძახის, მერცხლები ლაჟვარდს ეკვრიან. ამ ფონზე პოეტის ფიქრები საყვარელი არსებისაკენ ისწრაფიან:

ჩემი ფიქრები კი შენთან არის –
მიმართავს პოეტი საყვარელ არსებას.

სიყვარულის თემას ეხება ლექსი „ექვსი მადონა“. ექვსივე მათგანი ყვავილის ერთი თაიგულია. ისინი ერთად სწავლობენ, ერთად სეირნობენ. პოეტი ოცნებით მუდამ მათთან ტრიალებს, ეფე-

რება მათ, ალბომში ლექსებს უწერს, მუდამ ალერსიანი სიტყვებით მიმართავს:

მკერდში ათასი გული რომ მქონდეს, -
ყველა თქვენს ნახვას მოისურვებდა,
მომიგონებდეთ, დაგშორდეთ ოდეს,
თქვენს ყვავილებთან, ფერად სურებთან.
დებო, ათასი გული რომ მქონდეს,
ყველა თქვენს ნახვას მოისურვებდა!

დაღესტნის მთებში უკუნი ღამე ჩამოწვა, დეკემბრის მკაცრი ქარი აედევნა ვაგონებს, ზარნიშნიანი ზეცა გაფითრდა, თოვლის ფანტელი პეპლებივით აწყდება ფანჯრებს. პოეტი გაოგნებულია, იგი თითქოს ვერაფერს ამჩნევს, ის წარსულის ტკბილ მოგონებებს გაუტაცნია და ბაგეებიდან ტკბილი ჩურჩული აღმოხდება:

სადა ხარ, კარგო, მითხარი რამე,
სადა ხარ, კარგო, ხმა გამაგონე!..

პოეტი იძულებულია თავისი დაფარული გაამჟღავნოს:

მე ჩემი ცეცხლი ვეღარ დავმალე
და შენზე ვმღერი რჩეულ სტრიქონებს.
მას მუდამ თვალწინ უდგას სატრფოს სახება:
ცაში თუ ჩაქრა მზე და ნათელი,
ჩემს გულში მაინც შეინახება.
განთიადს ვხვდები ღამენათევი
და თვალწინ მიდგას შენი სახება!...
(„გზაზე“).

საინტერესოდაა ჩაფიქრებული უსათაურო ლექსი „შენი შეხვედრა მინდოდა ცალკე“.

შეყვარებული პოეტი სატრფოს სახეს დაეძებს და გულდაწყვეტილია იმით, რომ ვერსად ვერ პოულობს მას:

მაგრამ სად არის... ვეძებ და არ ჩანს...
ქარმა წუხილი გამიზიარა:
იგი ამ მთების გადაღმა დარჩა
და დაგაჩინა გულზე იარა...
გამეხმაურა ზვირთების რიგი,
როცა ნაპირზე მიაწყდა ქშენით:
„აქ მეგობარო არ არის იგი

და ამაოა ლოდინი შენი...“

სატრფოსთან დროებითმა დაშორებამაც საგონებელში ჩააგდო პოეტი.

ლექსში „ვერ დაგტოვებ“ საუბარია იმაზე, რომ მაისში ველ-მინდვრები აყვავდება, მოფრინდებიან ფრინველები, მიდამოს მათი ჟრიამული გააყრუებს, მოვა ზამთარი, - მიწა თოვლით დაიბურება, მთაში არწივსაც დაეტყობა დაძაბუნება.

ასეთი ცვალებადობა ბუნების კანონია, მხოლოდ უცვლელია პოეტის გადაწყვეტილება – ყოველ დროში, ყოველ ვითარებაში სატრფოს ერთგული დარჩეს, მუდამ ახსოვდეს ის. იგი ასეთ პირობას დებს:

მეც მოველ შენთან,
შენით ვხარობ, შენით ვღონდები,
შინ ვარ თუ გარეთ, შენ მახსოვხარ, შენ მაგონდები
და ვერასოდეს, ჩემო კარგო, ვერ დაგშორდები!..

ს. ისიანის შემოქმედების ერთი დიდი ნაწილი მიძღვნილია ჩვენი ქვეყნის სახელოვანი წინაპრებისადმი, კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი. თანამედროვე ცხოვრების ფონზე ნაჩვენებია მათი დამსახურება. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი, „რუსთაველი კრემლში“. პოეტი გულით ატარებდა ენით გამოუთქმელ ნატვრას:

და მქონდა ნატვრა გამოუთქმელი,
გულში სათუთად ღამის მთეველი;
თვალით მენახა შოთა რუსთველი,
დრო-ჟამისაგან დაუძლეველი.
მენახა იგი მგზავრი გვიანი,
ვინც ადიადა სიტყვა მგოსნური.
მენახა შოთა ფრთისკალმიანი,
კვლავ სიმღერებით ჩვენთან მოსული...

პოეტმა ოცნება აისრულა, როდესაც ნახა, თუ როგორ შევიდა შ.რუსთაველი კრემლის დარბაზში და როგორი ტაშიც შეეგებნენ მას იქ მყოფნი:

აღარ ცურავდა ცრემლების ტბაში,
აღარც წარსულის აჩნდა ზიანი,
შემოჰყვა ტაში, დაუხვდა ტაში,

დაუხვდა ხალხი ნათელმზიანი...

პოეტი აღფრთოვანებულია იმით, რომ კრემლში მღეროდა ხალხთა დიდება:

და შრიალებდნენ შოთას რითმები...
ლექსში „მყინვარის გოდება“ ნათქვამია:
ქართლის მიწაზე დაეცა კაცი,
პოეზიაში მზის თანაბარი...

ეს კაცი-ხალხის მამა და მისი ბედნიერებისათვის მუხლჩაუხრელი, გარეწართა ტყვიით გულგანგმირული ილია ჭავჭავაძეა. მყინვარის გოდებას პოეტი საკუთარ ვარამსაც უერთებს, ამიტომ მოთქვამს იგი ასე:

დაეცა იგი იდუმალებით,
ნათელჩამქრალი ველარ ვიცანი.
სულ არ მენახა მისი თვალები
და სისხლიანი შუბლის ფიცარი...
ჩემო ნისლებო, გოდებას ამდენს
ველარ ავიტან მისი მნახველი.
ჩემო ნისლებო, მეშვიდე ცამდე
წაიღეთ ჩემი სევდა-ნაღველი!

ს. ისიანმა ილია ჭავჭავაძის ხსოვნას უძღვნა მეორე ლექსიც, ეს ლექსია „ქართლის ზეიმი“. პოეტი კითხულობს ილიას წიგნებს, საიდანაც იკვეთება ილიას სახე, მისი პოეზიის უბერებელი სუნთქვა.

არ შეწყვეტილა ქუხილი მისი,
თმათა გიშერში შერთვია ვერცხლი.
თვალში უბრწყინავს ქართლის მაისი
და პოეზიის უშრეტი ცეცხლი.

ახალმა დრომ სინამდვილედ აქცია დიდი ილიას ნაოცნებარი:

დიდება შენდა, ლანდო დიადო,
ტყვიამ ვერ შესძლო შენი ზიანი,
წავიდნენ დრონი უგანთიადო
და წამოდექი ნათელმზიანი!
გაგშორდა სევდა გულისწამლები,
გაგეხსნა ზეცა ფირუზიანი,
შემოგცინიან ქართლის ბაღები,

გესმის ჩანგების ტკბილი ზრიალი.
მიმართავს პოეტი დიდ ილიას.

დიდია ქართველ სამოციანელთა დამსახურება მშობელი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ამ საქმეში ერის წინამძღოლს ილია ჭავჭავაძეს მუდამ გვერდში ედგა საქართველოს „უგვირგვინო მეფე“ აკაკი წერეთელი. „გმირებს უხმობდი, რომ ქვეყანას სისხლი აწვიმდა“, - მიმართავს ს. ისიანი დიდ მგოსანს.

ლექსის ავტორის მოხდენილი თქმით, დიდი აკაკის ადგილსამყოფელია „ხალხის გული და მშვიდი მთაწმინდა.“

ხარ სიყვარული და სიცოცხლე მარადჟამული,
თვით ბედნიერი კლავ უმღერი ბედნიერ ერებს,
საქართველოში შენ ჩაუდგი ჩონგურებს გული
და უნაზესი გრძნობით აჟღერებ!
მიმართავს ლექსის ავტორი აკაკის.
გადაივლიან უთვალავი საუკუნენი,

ხალხში დარჩება შუქმოსილი ხალხის გენია, — ნათქვამია ლექსის ბოლოს.

ვაჟა-ფშაველას ეძღვნება ლექსი „ვაჟას სტრიქონებთან“. ლექსი იწყება ასეთი შესავლით:

მოვხურავ ფანჯრებს, მოვწყდები ლაჟვარდს.
მხოლოდ შრიალი მესმის ვერხვების.
გატაცებული ვკითხულობ ვაჟას
და ზვიად მთების სუნთქვას ვხედები...

შეუძლებელია აუღელვებლად წავიკითხოთ ლექსის მომდევნო სტროფები:

ახმიანდება ლექსებში ალი...
ვაჟას ცრემლები, ვაჟას ოცნება,
ხან არწივების ფრთების შრიალი,
ხან გახელებულ ზღვის მიმოქცევა,
ხან ნაძვის როკვა რტოდალეწილის
მეხის ჭუხილი, ხევი რომ ქრება.
ხან შორეთიდან გადმოხვეწილი
ქარიშხლის ველზე აბობოქრება.
ხან თითქოს რისხვით იჭუხა მეხმა
და ახოები გზავნა მთა-ველად.

ხანაც არაგვის კლდეებთან შეხლას
შესჯიბრებია ვაჟა-ფშაველა.
ვაჟას სიდიადით მოხიბლული პოეტი წერს:
და იბურება ტომი ვრცეული,
ალარც შრიალი მესმის ვერხვების.
მე, თვითონ განცდად გადაქცეული
ვაჟას ჭაღარას გადავეხვევი...

სამართლიანად წერს მკვლევარი გ. სამხარაძე „ს. ისიანი სახიერად წარმოიდგენს ვაჟას და ჩვენც გადაგვდებს ჟრუანტელს, მის მღელვარე სულში ფრთააწყვეტილსა და დაუმცხრალს. თემა ისეა განცდილი, ბუნების სურათები ისეა ამეტყველებული, რომ დიდი ადამიანური მღელვარების გარეშე შეუძლებელია ამ რიტმით აღსავსე ლექსის წაკითხვა. ს. ისიანს მშვენივრად აქვს განცდილი ვაჟას პოეზიის კილო, სტროფიკა, ხალხური პოეტიკის ელვარება, მისი მებრძოლური ხასიათი“[1].

დავით კლდიაშვილის ხსოვნას ეძღვნება ლექსი „დავით კლდიაშვილს“; კლდიაშვილის მოთხრობები მკითხველს ძველ დროში აზნაურთა ცხოვრებას აცნობენ:

მოგონებები აიშლებიან
და მოთხრობებზე კამათს ვუნდები,
მაშინვე თვალწინ ჩამოდგებიან
მწარე დაისის აზნაურები.
აგერ სოლომონ, ბედს რომ აძაგებს
ერთი გამხდარი ჯორის პატრონი.
იქ ნათხოვარ ცხენს მიაჩაჩაქებს
და დედინაცვალს ეძებს პლატონი.

დრო შეიცვალა. დიდი ილიას ოცნება „და ამ ზვიადმა საუკუნემა უნდა შვას იგი შრომის სუფევა“ - ჩვენმა ეპოქამ სინამდვილედ აქცია, თითოეული ადამიანი თავისი ნაშრომის ბატონპატრონია.

ლექსის დასასრულს ს. ისიანი დ. კლდიაშვილს ასე მიმართავს:

დღეს აღარ გვყავხარ, შენი აზრები

---

[1] გ. სამხარაძე, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XXIV, 1962 წ., გვ.221

ჩვეულ სტრიქონებს ველარ ალაგებს,
მაინც შენ მუდამ ჩვენთან დარჩები
დიდი მწერალი და მოქალაქე.

ს. ისიანის შემოქმედებას წითელი ზოლივით გასდევს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სამსახური – პატრიოტიზმი.

სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობა კვებავს ს. ისიანის ლექსს „მე და არწივა“. ლექსი დათარიღებულია 1940 წლით, არწივა ცხენის სახელია. ის მხედრის მეგობარია, ჭირსა და ლხინში ერთად არიან:

თავს რომ დაგვნათის ცისკარი დილის,
ლეგა ღრუბელი ველარ დაფარავს.
მტერს ვეკვეთებით ხმალამოწვდილი,
მე და არწივა ოქროსფაფარა...
თუნდაც მოვარდეს შრაპნელის დელგმა,
ცამდე სწვდებოდეს ცეცხლის ალმური,
ლაჩრულად ერთიც არ დაეცემა
ჩვენი მიწის და მზის მოყვარული.

მალე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ამ დაპირების შესრულების დროც დადგა. ომის დაწყების პირველი დღიდანვე ს. ისიანი ქვეყნის დამცველთა რიგებში ჩადგა. მან კატეგორიულად განაცხადა:

არა, კალმის და წიგნების კაცად
მე დღეს დარჩენა არ შემიძლია.

პატრიოტული სულისკვეთებითაა ნასაზრდოები ომის თემისადმი მიძღვნილი ს. ისიანის ლექსები. ერთ-ერთი მათგანია ლექსი „ნახვამდის“.

ვფიცავ, შავ სიკვდილს თვალში ჩავხედავ,
საზიზღარ მტერზე ხიშტ-შემართული,
მე ასე მზრდიდა სამშობლო დედა,
მე ასე მზრდიდა მიწა ქართული.

წერდა პოეტი ომში წასვლის წინა დღეებში. ს. ისიანმა პირნათლად შეასრულა ის იმედები, რომელსაც სამშობლო ახალგაზრდობაზე ამყარებდა. როცა ჩვენი ქვეყანა საშიში საფრთხის წინაშე დადგა, ს. ისიანიც ვაჟკაცურად ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

ფრონტიდან გამოგზავნილ ლექსებსა თუ წერილებში ს. ისიანი გულანთებული მოუთხრობდა მკითხველებსა და მეგობრებს არმიის გმირული ბრძოლების შესახებ.

„საკმაოდ ცნობილი პოეტი იყო ს. ისიანი, ფრონტზე რომ გაიწვიეს, მაგრამ მის პატრიოტულ პოეზიას ომის ცეცხლმა უფრო მეტი სიმძაფრე შემატა და ქვემეხებისა და ყუმბარების გრიალში თითქოს ახლებურად აჟღერდა. იგი როგორც ბატარეიის კომისარი, უშიშრად მიუძღოდა თანამებრძოლებს მტერზე საიერიშოდ“, წერს მკვლევარი ა. თევზაძე.

მშობელი ქვეყნის ველ-მინდვრებს, ცამდე აწვდილ მწვერვალებს, ყველაფერს, რაც მისთვის საყვარელი იყო, ასე გამოეთხოვა პოეტი:

მე თქვენს სიმწვანეს მშობელო მთებო,
შემეძლოს მკერდში დავიმარხავდი,
ჩემო ჭალარა გოლიათებო,
ნახვამდის!
პოეტმა ანდერძივით დაიბარა:
თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად.
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება...

„ამ ლექსში მოჩანს სევდა და ნაღველი, მაგრამ სიცოცხლისადმი დიდი სიყვარულიც იგრძნობა.

საერთოდ, ფრონტზე დაცემული ყველა პოეტის ლექსებში იგრძნობა სიკვდილის წინათგრძნობა, მაგრამ მათი სევდა არაა წვრილმანი ჩივილი მძიმე პირობებისა გამო, არც კაეშანია ომის კირთებით გამოწვეული, დაღლილობა – დასვენების სურვილით ნაკარნახევი. არა, ყველაფერი ეს მხოლოდ გაფრთხილებაა მომავალი თაობებისადმი – იყავით ფხიზლად, ერიდეთ ომსო“[1], წერს მკვლევარი ბ. მირცხულავა.

ს. ისიანმა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში აღმართა მახვილი და ფრონტზე საბრძოლო მოწოდებით აღსავსე ლექსები დაწერა. ლექსში „გაანადგურე“ პოეტი წერს:

---

[1] ბ. მირცხულავა, ცეცხლში ნაწრთობი პოეზია, 1978 წ., გვ. 30.

გახედე, როგორ იწვის ტყე-ველი,
ლაჟვარდი ზეცა კვამლით დაბურეს.
აყვავებული ქვეყნის მნგრეველი, —
გაანადგურე!
ლექსის დასასრულს პოეტი გვაფრთხილებს:
თუ არ შემუსრე მტერი-მტარვალი,
ქვეყნად წყვდიადი დაისადგურებს.
გაანადგურე ქვეწარმავალი, -
გაანადგურე!..

აკად. გ. ჯიბლაძე წერს: „საყვარელი სამშობლო პოეტმა შეამკო თავისი საუკეთესო ლექსებით. მას ჰქონდა საქართველოს ბუნების უხვ ფერთა რეალისტური ხედვისა და პოეტური გამოხატვის უნარი. მისი ჭაბუკური ოცნება მშობელ ქვეყანას დასტრიალებდა. მისი ოცნების კრიალა ცაზე მუდამ სამშობლოს დიდება ეწერა. სამშობლოს მზე პოეტისათვის იყო „უდასავლეთო და გაზაფხული დაუჭკნობელი“. ამ ქვეყნის დასაცავად იგი ნიჭს, გატაცებას, ენერგიას, თვით სიცოცხლესაც არ იშურებდა. მონურად ქედმოხრილობას საძმო საფლავში წოლას არჩევდა. სამშობლოს დაცვას თავის უწმინდეს მოვალეობად სთვლიდა.“[1]

ლექსში „საბრძოლო გადაძახილი“ პოეტი წერს:
დაჰკარ! — გვეძახის ველი ვრცელი,
მოაქვს ძახილი მშობლიურ ქარებს.
ბრძოლის ველიდან გამოქცეული
მოკვდება, მიწა არ მიიბარებს.
გვეძახის გული სააკაძისა:
„მტერს ნუ გაუღებთ სამშობლოს კარებს.“
დაჰკარ! — გვეძახის სამშობლო ვრცელი,
გვეძახის დნეპრის ზვირთების სრბოლა.
დაჰკარ! — მონურად ქედმოხრილობას
საძმო საფლავში სჯობია წოლა.

პოეტმა ომის გზა თავის საყვარელ ლურჯასთან ერთად გაიარა, მოვლენებმა იგი ლურჯას დააშორა, რამაც პოეტი დიდად დაამწუხრა:

---

[1] გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ.V, 1974წ., გვ. 99.

მე განშორებას ბევრს მოვესწარი, -
ასე წავიდა ჩემი ცხოვრება,
მაგრამ ისეთი ძნელი და მწარე
მაინც არ მახსოვს მე განშორება.

პოეტი იმედს არ კარგავს, რომ ის და მისი ლურჯა კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს და დუშმანს რისხვად მოევლინებიან:

ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს მალე,
ტყვიის წვიმაში გამოვლილები.
კვლავ დაგიკოცნი ჭკვიანურ თვალებს
და დუშმანს რისხვად მოვევლინებით!

მტრის განადგურების საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდა ს. ისიანის საყვარელ თბილისს. სწორედ ამაზე წერს პოეტი ლექსში „ყველაფერს ვხედავ“:

მზიურ ქალაქის ერთია ფიქრი,
ერთია მისი გულის იარა:
ამ კედლებს იქით, იმ კედლებს იქეთ,
მტრის შესამუსრად სჭედენ იარაღს.
მრავალ ავდარში გამოუვლია,
ჰქონია ზეცა ცეცხლის მთოველი,
ის სააკაძის ქვეყნის გულია,
მტერს ეკვეთება ბუჩქიც ყოველი.

ლექსში ქვეტექსტიც იკითხება: პოეტს მოენატრა თავისი საყვარელი დედაქალაქი, მის ჭუჩებში გასეირნება, ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრა და ბაასი.

სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა პოეტის სიცოცხლე და შემოქმედებითი გზა. იგი ვერ დაუბრუნდა თავის საყვარელ ოჯახს, მშობლიურ სოფელს, ნაცნობ-მეგობრებს. მისი ყმაწვილკაცობისა და პოეზიის აკვანს – ქუთაისს, „სადაც ფეხი აიდგა, სადაც გულით იხარა“, საფლავში ჩაიტანა საოცნებო თბილისის სიყვარული.

მაგრამ პოეტს მეორე სიცოცხლეს ანიჭებენ მისი მებრძოლი სულისკვეთებისა და პატრიოტული პათოსით გამთბარი ლექსები.

ვლადიმერ უბილავა

მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველსავე დღეს ჯარში წავიდა ვლადიმერ უბილავა, რომელიც შინ ცოცხალი არ დაბრუნებულა.

ვლადიმერ უბილავა დაიბადა 1914 წლის 22 დეკემბერს სოფელ ჭალაში, წალენჯიხის რაიონში.

წალენჯიხის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა 1937-1941 წლებში. დაიღუპა 1942 წლის 14 ივლისს.

1934 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „მამის კერასთან“. ლექსს ქვეშ ეწერა: ვლადიმერ უბილავა, წალენჯიხის საშუალო სკოლის მოსწავლე. ლექსს ეტყობოდა, რომ მისი ავტორი სერიოზულ განაცხადს აკეთებდა ქართულ პოეზიაში. აი, რამდენიმე ფრაგმენტი ამ ლექსიდან:

სოფელში დადგა საღამო მკრთალი,
სადღაც ჭრიალით აღებენ კარებს,
და, როგორც ბაბუს ძველი ნამგალი,
მთაში შეჭრილა მბჟუტავი მთვარე.
ხელში წიგნებით მივყვები ბილიკს.
ცას წყლის წვეთივით ვარსკვლავი სწყდება;
ამაღამ მელის ბუხარი თბილი
და სახვალიოდ – უჯრედის კრება.

ბუხარიც ჩუმად აბოლებს შეშას.
კვამლის ფთილები ერთმანეთს გაჰყვნენ.
მე სიხარული ძილშიც მამღერებს,
მზეც ჩემთან არის გულის წამალი.
განთიადამდე ჰქუხს სადღაც ღელე,
ნაგაზი ყეფს და ყივის მამალი.

ეს იყო ვლადიმერ უბილავას დებიუტი, რომელიც უსათუოდ საუკეთესო საგზური აღმოჩნდა ქართულ პოეზიაში მისასვლელად. ფართო მკითხველმა საზოგადოებამ იმთავითვე შეიყვარა ვლ. უბი-

ლავას პოეზია, მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ლიტერატურული საზოგადოების ცნობილმა პირებმა.

ვლ. უბილავას შემოქმედება თემატიკურად მრავალფეროვანია, ყველა თემა ცხოვრებისეული და აქტიურია. პოეტს უყვარს სამშობლოს გმირული წარსულის გახსენება, იგი უმღერის ხალხის ყოვლისშემძლე ძალას, მას უყვარს ზღვა თავისი უსაზღვრო მოძრაობითა და ხმაურით, იგი ხშირად იგონებს თავის ბავშვობას და სოფელში გატარებულ წლებს, ისმენს მითოლოგიურ ამბებს, რომელსაც საინტერესოდ იყენებს თავის ლექსებში.

პოეტი თავის პირველსავე ლექსში - „მამის კერასთან" საინტერესოდ აღწერს სოფლის იდილიას, მშობლების საქმიანობას, სიხარულით ელოდება ხვალინდელი ლამაზი დილის გათენებას.

სახლში შევდივარ თითქოს სტუმარი,
ხალისით სავსე დედილო მიმზერს;
კერაზე ქვა დევს ვით სასთუმალი
და მუგუზლები წვანან მის ქიმზე.

მამა თავს იქებს, რომ მან ერთი წლის განმავლობაში სამასი შრომადღე გამოიმუშავა.

სამასი შრომა – დღე ამ ხელებით
მე ჩამოვასხი ერთი წლის გზაზე, –
ამბობს მამა და გახარებული
ახალ ბუხართან ჩაჰყურებს გაზეთს.

ყოველ ახალ დილას სიხარული მოაქვს სოფლის მშრომელი ადამიანებისათვის:

მშობლიური სოფლის შემოდგომით მოხიბლულია პოეტი:

ლამაზი კუთხე, კარგი დობერა,
მაღალ თხმელებზე მწიფე მაღლარი;
ბზინავს მტევნები დამთრობელად
და სიმინდების დგას ნიაღვარი.
ირგვლივ დამდგარა სიმინდის ყორე,
მარნებში თრობა იწყეს ჭურებმა,
მესმის ნადურის ღუღუნი შორი
და წისქვილების ახმაურება.

საღამო ხანს ახალგაზრდები ისლით დახურულ პაპისეულ სახლში გმირულ ზღაპრებს ისმენენ. ნათელ სულში ჰყვავის ბაღნარი.

ლექსში „რთველი და მებაღე“ აღწერილია ბარაქიანი შემოდგომის სურათები სოფლად:

აფეთქდა დილა... მგალობელ ჩიტებს
აქვთ საზეიმო შეკრება ბაღში;
ვენახში სიომ დაჰქროლა კიდეც
და წამოშალა ფოთლების ტაში.
მებაღე კმაყოფილია თავისი შრომის შედეგით:
მებაღეს რთველი უდგას და ახლა
იწყება დიდი ზეიმი ბაღში.

მკითხველს ხიბლავს ლექსის „ნაცნობი მინდვრების რომანტიკა“ იდეური სიღრმე და მხატვრულობა. ლექსი დაწერილია 1942 წელს და ფრონტიდანაა გამოგზავნილი. აღსანიშნავია, რომ პოეტი ქვემეხების გამყრუებელ გუგუნში პოულობდა დროს ქაღალდზე გადაეტანა ბავშვობისას სოფელში მიღებული შთაბეჭდილებანი.

მას აგონდება: მშობელი მიდამო, ველზე ცხენების ჭენება, ღელის წისქვილის აგუგუნება, მწიფე ხეხილის ბაღები, საღამო ხანს როგორ მიაყუდებენ გლეხები თოხებს, ცაში არწივის ნაჩვევი ხმა, ტყიდან მგლების ყმუილი – ადამიანს მეტი რა უნდა:

ეგ თვალსეირი უთუოდ კმარა,
რისთვის ვინატრო სხვა რამ დიდება,
სულს აქ დარჩენა სწყურია მარად –
მეტი ხალისი და დამშვიდება.

მიმოიხილავს რა ამ ლექსს ვლ. უბილავას მეგობარი პოეტი რევაზ მარგიანი, წერს: - „საოცარია, როგორ შეძლო ლადო უბილავამ სანგარში, ცეცხლსა და დავიდარაბაში ისეთი იდილიური ლექსი-სურათის შექმნა და მშობლიური გარემოს გაცოცხლება. ესაა „ნაცნობი მინდვრების რომანტიკა“ (1942). ეს ჭეშმარიტად ნაზი და თბილი ჰიმნია მშობლიურ მხარეზე, უაღრესად კოლორიტული და შთამბეჭდავი. დააკვირდით ლექსის ბოლო ორ სტრიქონს. აქ ყველაფერია ნათქვამი ბრძოლისაგან გადაღლილი და გაწამებული მეომრის მიერ. ეს ხომ სულიერი აღსარებაა შთაგონებული მგოსნისა, რომლისთვისაც ძვიფრასია მშობლიური გარემო

და რომლის თავისუფლებისთვისაც იბრძოდა შეუპოვრად და თავგანწირვით.“[1]

დრო შეიცვალა, მშრომელი ხალხის დარდი და წუხილი წარსულს ჩაბარდა, რაც პოეტის მიერ კარგად არის დანახული ლექსში „ბედნიერი ხარ“.

ბედნიერი ხარ! – მეტყოდა ხშირად
კრებიდან მოსულს ბაბუ კანკალით;
უყვარდა ჯდომა ამ ცაცხვის ძირას,
ფერმკრთალი იყო და გულმართალი.

შვილიშვილსაც არ ეზარება ბაბუას მოუყვეს იმის შესახებ, თუ როგორ განთავისუფლდა შრომა ექსპლოატაციისაგან, გამრჯე ადამიანებმა ბუნება როგორ ჩააყენეს ქვეყნისა და ხალხის სამსახურში:

მეც ვუყვებოდი მშობლიურ ამბებს,
დიდ გამარჯვებებს ვხატავდი მშვიდად,
მითქვამს: ქვეყანას თუ როგორ ვაგებთ,
როგორ ვიმონებთ ბუნებას მდიდარს.

თვითონ პოეტიც ახალი დროის მსახურად თვლის თავის თავს:

ჩემმა სამშობლომ მზე დამასხურა,
ამ ნათელ გზაზე შუქი შუქს მოსდევს.
დილაა... მზიან ქვეყნის მსახურად
მოვდივარ, გმირებს რომ გავუსწორდე.
(„გამოღვიძება“).

გაზაფხულის მზის მაცოცხლებელი სხივები პოეტის სულსაც ათბობს, სასიმღეროდ განაწყობს მას:

მინდა ეს ლექსი აჩუხჩუხდეს მთების ჩანჩქერად,
მღელვარე გრძნობებში შეადულოს გრძნობა ანკარა,
მერე ძარღვებში დაიაროს როგორც ლანქერმა
და ცხოვრებაში ამობრწყინდეს შუქურ ვარსკვლავად.
(„შეხვედრა გმირთან“).

---

[1] რ. მარგიანი, ეს ერთადერთი პატარა წიგნი, ვლ. უბილავა, „ცეცხლის მზე“, 1984, გვ.7.

პოეტი ხარობს დედაქალაქის განახლებით, ამაზე კავკასიის ცამდე აზიდული მთებიც კი საუბრობენ. პოეტი ყურს უგდებს ამ გოლიათების ბაასს.

ქართლის მიწა-წყალს უმზერს მყინვარი,
დააჩერდება მთაწმინდას შვებით,
გამეღვიძება ღამით მძინარეს
და მე ბაასი მომესმის მთების.
ეს ქართლის ბედზე ჰქუხან ალავერდს
მაღალ ქანდაკთან მთები ნათელი
და დაჰყურებენ მინდვრებს, ტრამალებს,
კავკასის ძველი გოლიათები.
(„მყინვარი“).

თბილისის ღამე მეტად შთამბეჭდავადაა აღწერილი ლექსში „საღამო ბარათაშვილის აღმართზე“.

თვალს გავაყოლებ სართულებზე ვარსკვლავთა ხამხამს
და ლექსში დგება მოხეთქილი სხივთა რიალი.
ო, ამ აღმართზე რა საღამო მოსულა ახლა,
საღამო მშვიდი, ლაჟვარდივით რიჟრაჟიანი — წერს პოეტი.
გაჩირაღდნებულ თბილისს ნანას უმღერის მტკვარი:
მე ყურს დავუგდებ მტკვრის დუდუნს მარადს,
ვხარობ, ფიფქები მფარავს ყვავილის.
ვახტანგის ზღაპრულ ხორბის გვარად
მთვარე ფართქალით გორაკს ჩაივლის.

ამგვარი თბილისის ხილვა ყველას ხიბლავს, მათ შორისაა თვით ამ ლექსის ავტორიც.

(„მე განვიცადე მტკვრის ღამე თეთრი“).

განახლებული ქვეყნის ბუნებაც განახლებულია, ასეთ ქვეყანაში, ასეთ ბუნებაში სიცოცხლე საამურია:

გარშემო მზეა, გრიგალების ქროლვაც მომესმის...
და ბულბულივით ეგ მიდამო რარიგ ამღერდა!
მე მზის ღვიძლი ვარ, - გადავყურებ სივრცეს მოვერცხლილს
და ბულბულივით ეგ მიდამო რარიგ ამღერდა!
უნდა შევცურდე ამ სიმღერის ზღვათა მორევში,
იქ, სადაც ერთ დროს გველეშაპი რისხვით გვარბევდა...
გარშემო მზეა. გრიგალების ქროლვაც მომესმის

და ბულბულივით ეგ მიდამო რარიგ ამღერდა.
(„გარშემო მზეა“).

ვლადიმერ უბილავას ლექსში „დაბრუნებისას“ დახატულია ბავშვობისას შეჩვეული ველ-მინდვრების ხელახალი ხილვით გამოწვეული მღელვარება:

დაბრუნებისას, მჯერა, აქ მართლაც
ჩემი ბავშვობის ყიჟინა მესმის,
მე ყურს დავუგდებ ნიავის ფართქალს
და ყრმობის ხმაზე ღუღუნებს ისიც.
და ჩემს მშობლიურ ველზე, ბალნარში,
ბულბულის ჰანგთა მესმის წკრიალი;
ვუმზერ, - თავთავა ნელი თამაშით
წინ მეგებება ყანა ცვრიანი.

პოეტს ხიბლავს ზღვა. მასზე მოგზაურობით აღტაცებული პოეტი ვერ მალავს თავის სულიერ სიამოვნებას:

დაიშხუილებს
და ნაპირთან შედგება ერთხანს,
გაუვსებს ხომალდს ღლავის ლაყუჩებს,
ზღვა თოლიებით
საავსე კალთებს ჩვენ წინ დაბერტყავს,
დაიწევს უკან, ზვირთს დააყუჩებს;
ნეტავ თუ ღელვა
დიდხანს გასტანს თავაწყვეტილი,
მე ამ ღელვაში ყოფნა მწყურია!
მიხმობს, მპატიჟობს ტალღა კეთილი
და მოჰქრის, - ზვირთთა თქარათქურია.

ვლ. უბილავას ლექსებს ზოგჯერ მითების სამყაროში გადავყვევართ, ასეთი ლექსებია „ბატა“ და „კოლხური ზღაპარი“. მიმოიხილავს რა ამ ლექსებს, ვლ. უბილავას უახლოესი მეგობარი პოეტი რევაზ მარგიანი წერს: „კოლხური მელოდიებიდან ნასესხები ფაქიზი და მიმზიდველი ლექსებიდან დღესაც არ დაუკარგავთ ელვარება „ნანას“ და „ბატას“. ეს ორი ლექსი თითქმის არ სცილდება ხალხურის სტილიზაციის ფარგლებს, მაგრამ მაინც პოეტის საკუთარ ხელწერას ინარჩუნებს. შორეული წარსულის სევდიან მო-

ტივს პოეტი თვისებურად ახმიანებს და თანამედროვე ქართულს ორგანულად უხამებს ძველი კოლხური ჰანგის ჟღერადობას".[1]

საქართველოს, მისი დედაქალაქის – თბილისის განახლებით ხარობს პოეტი. ამ თემას ეძღვნება ლექსი „მყინვარი". ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები:

„და მომეელინა მე კაცი დიდი
მყინვარზე მდგომი"

მყინვარზე მდგომ მოხუცებულს გამოესაუბრა დიდი ილია, რომელსაც გაანდო თავის გულისნადები.

და დგას მყინვარი... მასზე ილიამ
იცნო მეტყველი ქართლის უფალი;
ვუმზერ- მთა ახლაც დათოვლილია
და ისევ მესმის მე საუბარი:
ეს ქართლის ბედზე ჰქუხან ალავერდს
მაღალ ქანდაკთან მთები ნათელი
და დაჰყურებენ მინდვრებს, ტრამალებს,
კავკასის ძველი გოლიათები.

ზოგჯერ პოეტი ისტორიული წარსულისაკენ გვახედებს, ისტორიულ გმირებს წარმოგვიჩენს. ასეთი ლექსებია: „ნოქალაქევში", „რუხის ბრძოლა", უტუ მიქავა".

ერთ დროს რაინდულ ბრძოლაში მდგარა
თვითონ ეს კოშკი და ნაციხარი,
ამბობენ: ნანგრევს ია რომ ფარავს,
არისო სისხლი ქვაზე მიმხმარი.
ნათქვამია ლექსში - „ნოქალაქევში".

ბრძოლის, ხოცვა-ჟლეტის დრო წარსულს ჩაბარდა, ამჟამად ძმობისა და მეგობრობის ჰანგები ისმის.

(„რუხის ბრძოლა").

მშრომელმა ადამიანებმა წარსულში ხმა აღიმაღლეს ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ უტუ მიქავას ხელმძღვანელობით. ამ თემას ეხება ლექსი „უტუ მიქავას".

ახალგაზრდობის შრომითმა და საზოგადოებრიემა შემართებამ სახე უცვალა სოფელს თუ ქალაქს, დაპყრობილ იქნა მრავალი მწვერვალი, მათ შორის - უშბაც („პირველი ცეცხლი უშბაზე").

---

[1] გლ. უბილავა, ცეცხლის მზე, 1984, გვ. 6.

უშბის მწვერვალის დაპყრობა და იქ ცეცხლის დანთება შეშფოთებას იწვევს სვანეთში:

შევყურებ ჭიუხს, ღამეა კუპრის,
მთელი სვანეთი ფეხზე ამდგარა.
ცეცხლი ვისია?! – ბინადარს უკვირს,
და აშტერდება ზეცის კამარას.

მათი წარმოდგენით: „სვანებს წაგვლეკავს მეწყურთა ღვარი“.

მოხდა პირიქით:

რომ სხვა გრიგალი დაირხა მთაშიც
და განთიადი ეწვია მყინვარს.

როგორც მკვლევარი რ. ჩხარტიშვილი მიუთითებს: „საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი პოლიტიკური მოვლენა – ახალი ცხოვრების, პროგრესისა და ცივილიზაციის შეჭრა სვანეთის მიუვალ მთებში პოეტის მიერ გამოხატულია ორიგინალურად, ხელშესახები მხატვრული სახეებით, რასაც შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად ესთეტიკური ღირებულებაც ენიჭება“.[1]

ებრაელების კოლხეთში დასახლებას და მათ შრომა-საქმიანობას ეხება ლექსი „ებრაელები კოლხიდაში“.

და მოხდა ასე – გმირმა ხალხმა დაარტყა კვერთხი,
კოლხეთს ჭაობი ამოაშრო – ზღვა მეწამული,
და აღადგინა, ააყვავა დიდი მამული.
ებრაელებმა ამ ნიადაგს დაადგეს ფეხი,
და თქვეს: - აგვიხდა ბიბლიური ძველი ზღაპარი,
ჩვენს წმინდა სულში მარადისი ნათობს ლამპარი.

ვლ. უბილავას შემოქმედებაში სათანადო ადგილი ეთმობა სიყვარულის თემას. პოეტი უმღერის სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალას:

ძალა ჰქონია სიყვარულს ზავის,
ვარ ერთ ასულზე გახელებული.
რა ვუყოთ მერე, განზე თუ ჰყვავის,
ღამე მაქვს ფიქრში დათენებული.

მიჯნურთან ახლოს ყოფნა გამხდარა პოეტის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი:

---

[1] რ. ჩხარტიშვილი, ქართული ჟურნალისტიკის ნარკვევები, თბ., 1980წ., გვ. 38.

დღეს თუ რამ მიმბიმს, ეს მარტოდმარტო
თქვენს ახლოს ყოფნის წყურვილი გახლავთ.
(„მარიხისადმი“).

სიჭაბუკის წლების მოგონება პოეტს სატრფოსთან შეხვედრის დაუოკებელ სურვილს აღუძრავს:

ხან კი ღიმილით ძვირფას სატრფოს შემოსვლას ვხვდები.
(„გამტყდარი ღამეები“).

პოეტს ჩინარის ჩრდილქვეშ გაუცვნია ულამაზესი ასული, რომელსაც დაუმდურავს მისი გული. მგოსანი გაშმაგებული დაეძებს მას:

და მინდა ასე, მოგნახო სწორი,
გადაგეკონო ღაწვზე, თვალებზეც,
კვლავ შევიყაროთ, ტურფავ, ჩვენ ორი
და ჩვენს გულისთქმას დაგვშრიალებდეს
თავზე ჩინარი.
(„ჩინარი“).

პოეტი ლექსში „დილის სიმღერა“ დიდი კდემამოსილებით ეფერება ლამაზ არსებას:

დიდხანს მერცხლის ხმა მეგონა
შენი მკვირცხლი მოძახილი,
გულში სხივი ჩაგეკონა
და ნამქერი ზამთრის დილის,
ისევ თოვს და გადათოშილ
სასახლეებს ელიმებათ;
შენც გარბიხარ ფაფუკ თოვლში,
ლოყებს ვარდი გეფინება.

აფხაზეთში მგზავრობისას პოეტს მატარებელში გაუცვნია აფხაზი ასული:

შემოგყურებდი დიდხანს ღიმილით,
შველივით დამდგარს ტურფა ქალებთან,
შორს მზე ბრწყინავდა ოქროს ღილივით
და ფანჯრებიდან გვითვალთვალებდა.
არ მავიწყდება ზღვა და ზაფხული,
მატარებელი შემდგარი ჭშენით,
მაქვს ნეტარებად შემონახული

მე უეცარი გაცნობა შენი.

ორიგინალური ჩანაფიქრით გამოირჩევა ლექსი „ბალადა ჩექმაზე“. ჯარისკაცს სატრფომ საჩუქრად ჩექმა გადასცა:

ეთხოვებოდა სატრფოს ვაჟკაცი,
წინ გასასვლელი გზა ედო შორი,
სახსოვრად ქალმა ჩექმა უბოძა
და უანდერძა ნაბიჯი სწორი.

მებრძოლს სატრფოსაგან ნაჩუქარი ჩექმა მუდამ თვალწინ უდგას, იგი აღაფრთოვანებს მას, როდესაც მტერს კვალდაკვალ მისდევს, მრავალი სიძნელის გადალახვა უხდება, მოუთმენლად ელის გამარჯვების დღის დადგომას.

1935 წლითაა დათარიღებული ვლ. უბილავას ერთ-ერთი საინტერესო ლექსი

„ბალადა დაკარგულ ჯარისკაცზე“. ლექსში გადმოცემულია ავტორის სუბიექტური განწყობილება. ოცი წლის უკან ჯარში დაკარგულა პოეტის ჯარისკაცი ბიძა, რომელიც ვერ მოესწრო ახალ ცხოვრებას:

აი, ენგური, გალმა-გამოღმა
ბუდობს სიმხნევე და სიხარული.
მზე გაიშლება ბაირაღებად
და ჟრუანტელი მინდერებს დაუვლის.

ახალგაზრდა ჯარისკაცი იმპერილიასტური ომის მსხვერპლი გამხდარა. პოეტი ჯარისკაცის სურათს სინანულით ალსავსე სიტყვებით მიმართავს:

ვუმზერ შენს სურათს... ვაჟკაცს გაქებდნენ,
მსურდა მდგარიყავ შენც ჩვენთან ერთად...
სადა ხარ, ძმაო, რად გადაგხვეწეს
შორს, დასავლეთში, ტყვიის საფლეთად!
შენს მერე ჩვენი ცა ივერცხლება,
გმირები მწყობრში დგანან მთებურად,
წასულა სუსხი, ირგვლივ მერცხლებად
მთელი სიცოცხლე ამღერებულა!

მიუხედავად ადრეული ასაკისა, ვლ. უბილავამ ჯერ კიდევ 1936 წელს დაწერა საინტერესო ლექსი „ხანჯალი“, სადაც გად-

მოცემულია ლირიკული გმირის საბრძოლო მზადყოფნა სამშობლოს დასაცავად:

ბევრი რაინდი
პატრონობდა ტანზე აბჯარით,
მან დუშმანები ბევრჯერ გასრისა,
არ ასცდენია
ქვეყნის ორგულს არსად ხანჯალი
მხარგრძელისა და საკაძისა.

მშვიდობიან პერიოდში ხანჯლის ტრიალი და სისხლის ღვრა არავის არ სჭირდება; ხანჯალს მოსვენებით ინახავს მისი პატრონი, მაგრამ მტერი თუ სამშობლოს დაესხმის თავს, ქვეყნის დამცველი კვლავ ჩასჭიდებს ხელს ხანჯალს:

თუ კარს მოგვადგნენ –
წამოდექით, ჩვენო ქოხებო,
ამ ხანჯლით დავცეთ მტერი ტიალი!

ვლ. უბილავა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმათ შორის, ვინც პირველმა თოფი აიღო ქვეყნის დასაცავად.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტიდან მშობლებისადმი გამოგზავნილ წერილში (05.06.42) ვლ. უბილავა წერს: „მეც ამ მამულის დახსნის დროს ბრძოლისათვის ვარ მოწოდებული და, რადაც არ უნდა დამიჯდეს, თუნდაც სიცოცხლედ, არ ვეულალატებ სამშობლოსთვის მიცემულ ფიცს, როგორც ერთ-ერთი წითელარმიელი. ამ სანგრებშიც ეს ოხერი პოეზიის ინტერესები მომყვა, რომლებიც საქართველოში ყოფნისას ხშირად ღამეებს თეთრად მათენებინებდა. და ზოგჯერ ვწერ ლექსებს გაზეთის ნახევებზე. ზოგი მათგანი შეიძლება შევიტანო წიგნში, რომელსაც ერქმევა „ლექსები ცეცხლიან სანგრებზე“ (თუკი მოვესწრები მის გამოცემას).[1]

სწორედ ომის მძიმე დღეებში სანგარშია დაწერილი საინტერესო ლექსი „გურამიშვილის წისქვილი“, ლექსს ასეთი წინათქმა აქვს წამძღვარებული: „უკრაინის ფრონტზე მომაგონდა დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც მირგოროდის ახლოს, ზუბოვკაში, წისქვილის აგებას ფიქრობდა.“

[1] ვლ. უბილავა, ცეცხლის მზე, თბ., 1984წ., გვ. 113.

დიადი პაპა, მოშაირე დაუშრეტელი,
ამ წმინდა ადგილს შეეხიზნა და შეეფარა,
ამ წყაროს პირზე ახმიანა ლექსი მჩქეფარე,

დადგა წისქვილი, ბაღიც ჰქონდა ბევრის მეტყველი – ასე იწყება ლექსი.

მტერმა გადაწყვიტა მიწისაგან პირისა აღგავოს ეს ადგილი. პოეტი მზადაა მტერზე შური იძიოს, იგი დიდი მგოსნის აჩრდილს ასე მიმართავს:

ვინ მოინდომა მგოსნის კვალი ურცხვად გათელოს,
სადა ხარ მგოსნის დიდებულო შუქო ნათელო?

ლექსი ასეთი ანდერძით მთავრდება:

თქვა:
„თქვენზე, შვილნო, ეს მამული მაქვს მინდობილი,
არ გამიფუჭონ ჩემი მიწა, ჩემი წისქვილი“.

ვლ. უბილავამ პირნათლად შეასრულა დიდი მგოსნის დავით გურამიშვილის ანდერძი – დაიცვა უკრაინის მიწა და წისქვილი და თვითონაც შეეწირა ამ საქმეს.

ეს ნაწარმოები ნათელი დასტურია იმისა, რომ ვლ. უბილავა ომის ქარიშხლიან დღეებშიც ფიქრობდა პოეზიაზე და ახალ-ახალი ნაწარმოებებით ავსებდა მის საგანძურს.

ლექსში „გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა“ (1942წ.) პოეტი წერს:

რა ვარ ბრძოლაში თუ დავვარდები,
მტერს შემოსეულს თუ არ დავხვდები;
ვერ გამითელონ ბაღში ვარდები,
ვერ დამიჩრდილონ მთების კალთები.

პოეტი აღშფოთებულია ვერაგი მტრის საქციელით:

ვინ მოინდომა აკლება მისი!
ვინ მოგვისია ურდო მკვლელების!
ჩვენივე სისხლით, ჩვენივე სისხლით
ვიხსნათ ეს მთები და ეს ველები!

ლექსის ლირიკულ გმირს სწამს, რომ ქვეყნის დამცველები მტერს არ შეარჩენენ მის ვერაგულ საქციელს:

გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა,
ტყვიას ტყვიაში აჯენს ვაჟკაცი,

იბრძვის და მამულს უდგას დარაჯად
თოფის, ხიშტის და ხმლების კაშკაში.

ვლ. უბილავას იმ ნაწარმოებებს შორის, რომელიც დაწერილია ფრონტზე, განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ლექსი „დილით“ (1942წ.).

ალნიშნულ ლექსში თითქოს ერთმანეთს უპირისპირდება ბუნების საგაზაფხულო პეიზაჟები და ტყვიების წვიმა, რომელიც დაუგლეჯელს არ ტოვებს არაფერს:

დილით ამოვყავ სანგრიდან თავი –
ჰყვავის ლამაზი იასამანი,
ტანშეფეთქილი ალუჩა ჰყვავის,
მიწას ახურავს მწვანე საბანი.
დილით ამოვყავ სანგრიდან თავი –
რტოებს იმშვენებს ღვინისფრად ვაშლი,
ხეებს ატყვია ყლორტების ზვავი
და ჰეფს გუგული შორეულ ბაღში.

გაზაფხულის მეჯლისი პოეტსაც სასიმღეროდ განაწყობს:

ველარ ჩაკეტავს სურვილს სანგარი,
სულს გაზაფხული ეწვია ურჩი,
მინდვრები გიცდის შენ უანგარო,
ისევ ჩამძახის ნიავი ყურში.
სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა:
მაგრამ მოვარდა ტყვიების ზვავი
და არა დარჩა დაუგლეჯელი.

ფრონტზე ჯარისკაცის ცხოვრებისა და ბრძოლების ზოგიერთ დეტალს გვიხატავს ლექსი - „ჯარისკაცის დღიურიდან“.

ეს ლექსი ფრონტიდან ვლ. უბილავას თავის ძმისთვის ცნობილ მწერალ ელიზბარ უბილავასთვის გამოუგზავნია. წერილში ნათქვამია: „ვიმედოვნებ გაიმარჯვებს ჩვენი სამართლიანი საქმე და მალე ერთმანეთის სადღეგრძელოს შევსვამთ. გუშინ ერთ მდინარეზე გადასვლის დროს მტრის თვითმფრინავმა სულ ახლოს გადაგვიფრინა. რამდენი სიფრთხილეა საჭირო! ღამღამობით ტყეში ვართ, მაგრამ ვერაფერს გვაკლებს შემოდგომის სიცივე.

ამ წერილთან ერთად გიგზავნი ორ ლექსს („ჯარისკაცის დღიურიდან“ და “მას შელიმოდა ფრონტის დობილი“). რომლებიც

უბელო ცხენზე ჯდომისას მაქვს დაწერილი ქ. ყუბანში. ვაპირებდი მაშინ წიგნის დაწერას: „ომი და სანგარი“, მაგრამ ვატყობ, ლექსებზე ფიქრის დრო წამივიდა, ალბათ, დროებით მაინც“.[1]

ლექსის („ჯარისკაცის დღიურიდან“) შესავალ ნაწილში აღწერილია ჯარის ბრძოლის წინა სამზადისი:

დღეს გული ისევ გვიცემს აღგზნებით,
მინამულია ირგვლივ ტყე-ველი;
თხრილში საფრდება ჩვენი რაზმები
თოფით, ხიშტით და ტყვიამფრქვევებით.

ღამეში „ზოგჯერ იფეთქებს გრანიტის ჯიღა და მთიდან მთებში ჩაიგუგუნებს“. ნაომარ ველზე დროებით მყუდროება დაისადგურებს.

გათენდა, ქედებს შუქი დაუვლის,
ო, რა შეტევა გვქონდა წუხელის!
- პირდაპირ! – ბრძანებს კვლავ მეთაური,
ჩვენც მივაბიჯებთ მუხლმოუღლელნი!

ვლ. უბილავამ რამდენიმე საინტერესო ლექსი მიუძღვნა პოეტისა და პოეზიის დანიშნულების საკითხს. ლექსში პოეტი ვ. უბილავა ერთმანეთს ადარებს პოეტსა და მუხას. მუხის ჩრდილი მგზავრებს იზიდავს, ისინი სიამოვნებით უსმენენ ფოთოლთა შრიალს, როგორც საამურ მუსიკას:

მუხა რამ მოსილი მწვანით –
შეგვხვდება გზისპირას მდგარი;
შრიალებს ღრიჭა და ღამით,
სიო ჰქრის თუ გრიგალ-ქარი!
მის ჩეროს მგზავრი თუ აღწევს,
ისვენებს და ისმენს ღელვით,
მუხა რომ მოჰყვება ზღაპრებს
და რტოთა შაირებს მღერის.

ლექსის ავტორის თქმით, ასეა პოეტიც, რომელიც ჰქმნის ლექსებს, რომელსაც მრავალი მკითხველი ჰყავს.

ერთ-ერთ საინტერესო სატრფიალო ლექსში „მიძღვნა“ ნათქვამია, რომ პოეტის სიმდიდრე მხოლოდ ლექსია:

---

[1] ვლ. უბილავა, ცეცხლის მზე, თბ., 1984წ., გვ. 92.

ვინ მომცა ოქრო, ან მარგალიტი,
მხოლოდ რითმებზე ვარ მინდობილი –
მიიღე ლექსი უმაგალითო
და ნუ ვიჭნები შენგან გმობილი!

პოეტს ლექსი მეგობრების მოძებნაშიც ეხმარებოდა, მას გულით სწადდა მარადიული მეგობრის შეძენა:

და გავიღიმე...
ძმობილო, ასე,
ცაზე ბრწყინავდეს მნათობი ეგებ,
გული მაქვს ტრფობის სხივებით სავსე
და მარადიულ მეგობარს ვეძებ.

სოფლის გოგო – ბიჭებთან გაზრდილი ახალგაზრდა პოეტი კარგად იცნობდა ბავშვის შინაგან სამყაროს, ამის დასტურია მისი საბავშვო ლექსები. ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შევეხებით, ესაა ლექსი „ჩემი ხარი“.

იცი, რეზო? – ხბო გვყავს ერთი,
ბუნჩულა და სახეწყნარი,
ტანხატულა და შუბლთეთრი
პაწაწინა არის ხარი.
უნდა ნახო, - დედამისი
როგორ ლოკავს შუბლზე ენით...
მოიწველის ვედრო რძესა
და კვლავ ჯიქანს გაიტენის.

ასეთი სურათი ნაცნობია სოფელში გაზრდილი ყოველი ბავშვისათვის.

ვლ. უბილავას პოეტური სამყარო არ შემოიფარგლება მარტო ლირიკით. მისი მხატვრული ჩანაფიქრის რეალიზება ვერ ეტეოდა ლირიკის ჩარჩოებში. ახალგაზრდა პოეტისათვის მთავარი იყო თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხების ჩვენება. ძველსა და ახალს შორის ჭიდილი 30-იანი წლების ქართულ მწერლობაში სხვადასხვა კუთხით აისახა. ამ თემას მიეძღვნა მრავალი რომანი, მოთხრობა, ნოველა, პოემა.

სინამდვილის პოეტისეული აღქმის საინტერესო ცდას წარმოადგენს პოემა „ტობავარჩხილი“, ტობავარჩხილი „ვერცხლის ტბა“, პატარა ტბაა სამეგრელოს მთიან რაიონში. პოემის სიუჟეტის სა-

ფუძველს საკოლმეურნეო მშენებლობასთან დაკავშირებული კონფლიქტი შეადგენს. ხალხში არსებობდა ცრუ რწმენა, რომლის მიხედვით ტობაგარჩხილი „საშიშ ტბად“ ითვლებოდა. ხალხის რწმენით, მისთვის ხელის შეხება არ შეიძლებოდა, რადგანაც ტყის მეფე განრისხდებოდა და მთებს სეტყვითა და ღვარით გადათელავდა. ამ სიცრუის არ ეშინია ჯახუს. ის კალმახებს იჭერს ტბაში და ნაპირებზე ნახირს აძოვებს.

სოფლიდან განდგომილი ადამიანის სახეა ბექირბი. იგი კერძო-მესაკუთრეული ინსტინქტით შეპყრობილი და ახალი წყობილების წინააღმდეგ ამხედრებული კოჩას გავლენის ქვეშ არის მოქცეული და მის ჯოგს მწყემსავს..

გამჭრიახი ადამიანია ჯახუ, რომელიც ცდილობს თავისი ცოდნა და ენერგია მოახმაროს სოფლის კეთილდღეობის საქმეს.

ჯახუს მიზეზით ბექირბი განუდგა კოჩას. ახლა კონფლიქტი კოჩასა და ჯახუს შორის ჩამოვარდა. ჯახუმ ხანჯლით განგმირა კოჩა, ამ უკანასკნელმა თოფი სასიკვდილოდ დაჭრა ჯახუ, ასეთია პოემის საერთო შინაარსი.

„პოემის ხატოვანი ენა და ნათელი სტილი, თემის ორიგინალური გააზრება და მისი მხატვრული გადაწყვეტა ნაწარმოებს დასრულებულ სახეს ანიჭებს, ხოლო თვით ავტორს მხატვრული სიტყვის ჩინებულ ოსტატად წარმოგვიდგენს“[1] წერს მკვლევარი რ. ჩხარტიშვილი.

მეტად საინტერესოა ვლ. უბილავას მიერ ფრონტიდან გამოგზავნილი წერილი, (16.IX.41), სადაც წერდა: „მე ფახულანის საშუალო სკოლაში დირექტორად დამნიშნეს და სამსახურის დაწყების წინა ღღეს ფრონტისაკენ ავიღე გეზი. ჩემი გადაწყვეტილება სწორია, სხვანაირად მოქცევა მე არ შემეძლო“.[2]

დედის სახელზე გამოგზავნილ წერილში (29.IV.42) ნათქვამია: “ამჟამად მივემგზავრები კვლავ ფრონტის მიმართულებით. წერილს გწერთ ქ. ტიხორეცკის მიმართულებით, ეშელონიდან. მშვენიერი სანახაობაა, ამ თვალუწვდენელ ტრამალებს რომ გადავყურებ ვაგონიდან. ეს მესამე ღღეა ვაგონში ვარ. ყოველი ღღე

---

[1] რ. ჩხარტიშვილი, ქართული ჟურნალისტიკის ნარკვევები, თბ., 1980წ., ვ. 42.
[2] ვლ. უბილავა, ცეცხლის მზე, თბ., 1984, გვ. 87.

ფრონტს მაახლოვებს. ვაჟა-ფშაველას თქმისა არ იყოს: „არ დაგცინებენ, იცოდეთ, ლაჩარი შვილის ყოლასა“... მე სიხარულით მივდივარ ფრონტზე იმ დიდ ომში.“[1]

გარდა მშობლებისა და ძმისა, ვლ. უბილავამ წერილები გამოუგზავნა: ირ. აბაშიძეს, ი. ნონეშვილს, ა. მირცხულავას.

ვლ. უბილავას მიერ გამოგზავნილი წერილი (11.07.42) უკანასკნელია. ის პოეტის დაღუპვამდე სამი დღით ადრეა დაწერილი. პოეტი ფრონტზე დაიღუპა 1942 წლის 14 ივლისს.

ფრონტიდანაა გამოგზავნილი ვლ. უბილავას ლექსი „მას შეჰღიმოდა ფრონტის დობილი“. ამ ლექსის შესახებ პოეტი ტაგუ მებურიშვილი სატოვნად წერს: „პოეტს ფრონტზე დრო სად ექნებოდა, მაგრამ რამდენიმე ლექსის დაწერა მაინც მოასწრო. მოასწრო და ჩვენ გამოგვიგზავნა, ლექსებად დაგვიბრუნდა. წინასწარმეტყველურად გვენიშნება ამ ციკლის ერთ-ერთი ლექსი „მას შეჰღიმოდა ფრონტის დობილი“:

გვიან თვითონაც წაიქცა ბედად,
ნახა ზმანება შეუშფოთველი:
სოფლური ქობი, მობუცი დედა
და ღვინობისთვის მყუდრო სოფელი.

იგი უკრაინის მიწაზე დაეცა და იქნებ სიკვდილის წინ მართლა ეზმანა მშობლიური წალენჯიხა, პაპისეული ძველი სახლი და დედა, შვილზე ფიქრით თვალებგამოღამებული დედა, იქნებ სხვაც ბევრი რამ ნახა, მაგრამ სიკვდილი აცლიდა კი ამდენს?“[2].

სამწუხაროდ, ვლ. უბილავა ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ დარჩა მისი მაღალმხატვრული შემოქმედება, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი მკითხველი.

---

[1] იქვე, გვ. 109.

[2] ტ. მებურიშვილი, გულთან მისასვლელი ბილიკი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1967 წ., 27 ივნისი.

ნიკოლოზ კოპალიანი

მეორე მსოფლიო ომის წლებში არ დარჩენილა არც ერთი ქართველი მწერალი, რომელსაც თავისი მგზნებარე სიტყვა არ ჩაეყენებინოს მტრის განადგურებისათვის ბრძოლის სამსახურში. ბევრი მათგანი შინ არ დაბრუნებულა, მათ შორის იყო პოეტი ნიკოლოზ კოპალიანი.

ნიკოლოზ დავითის ძე კოპალიანი დაიბადა 1915 წელს ცაგერში. აქვე სწავლობდა ჯერ არასრულ საშუალო სკოლაში, შემდეგ პედაგოგიურ ტექნიკუმში. თურმე, ფრიადზე სწავლობდა ყველა საგანს, განსაკუთრებით ჰყვარებია მშობლიური ენა და ლიტერატურა. 13-14 წლისას დაუწყია ლექსების წერა.

1935 წელს ის გამოცდებს აბარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ირიცხება ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ხშირად აქვეყნებდა ლექსებს ჟურნალ „ჩვენს თაობაში“, გაზეთებში: „კომუნისტში“, „ნორჩ ლენინელში“. სალიტერატურო კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა იმ პერიოდში ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მის ლექსებს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ინიშნება ცაგერში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველი დღიდანვე იგი ჯარშია. მეთაურობს ფეხოსანთა ქვეგანაყოფს, 1944 წლის 7 აპრილს ის 29 წლისა, გმირულად დაეცა პუშგორსკის ველზე (ფსკოვის ოლქი).[1]

მოქმედ არმიაში გამგზავრების წინ ნ. კოპალიანმა დაწერა ლექსი, „მე თვითონ მოვალ“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა ხალხური ლექსის „გაფრინდი, შავო მერცხალოს“ სიტყვები. ეს ლექსი 1941 წლის 28 აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა გაზეთმა კომუნისტმა. ამ ლექსში გადმოცემულია ახალგაზრდა პოეტის სულიერი განცდები, მისი საბრძოლო განწყობილებით:

შავო მერცხალო, არ გთხოვ გაფრენას,
ჩემი ძმის ამბის შესატყობადა,
მასზე იციან დღეს ყველაფერი
ჩვენმა აწმყომ და ჩვენმა მყობადმა.
თვითონ გავყვები, ჩემო ფრინველო,

---

[1] ნიკოლოზ კოპალიანი, ისევ თქვენთან ვარ, თბ., 1977 წ., გვ 3-6

ველებს ალაზნის წყალით შეცვარულს,
მე სახლიკაცი თვითონ მომელის,
რომ დაცემული სწრაფად შევცვალო.

ჯერ კიდევ 1938 წელს დაბეჭდილ ლექსში „კომკავშირული ბილეთი“ (დაიბეჭდა ჟურნალში „ჩვენი თაობა“, №12.) პოეტი ფიცს სდებდა, თუ სამშობლოს განსაცდელი დაადგებოდა იგი სიცოცხლეს გასწირავდა მისთვის. იგი ბილეთს ასე მიმართავს:

შევხარით მშობელ ხმელეთს, ლაჟვარდებს
და სიფხიზლეზე მანთებ, მამხნევებ,
ჩემს უკანასკნელ გარიჟრაჟამდე
თუ მტრად მოსული ვინმე დავხელე, -
დავცემ, ვიდრე ზღვარს გადმოლახავდეს,
თავს ვისახელებ, შენც გასახელებ!
და თუ სიკვდილი ფრონტზე მომელის,
მკერდნატყვიარი ვაჟკაცად მნახეთ,
დარჩები შენ და შენი ნომერი
შეირჩენს ჩემი გმირობის საბელს.
ამ ბილეთს ფლობდა კაცი, რომელიც
საზღვარს ვაჟკაცურ მოკლული ნახეს.
დარჩები შენ და შენი ჭირიმე,
ეს სიხარული ჭაბუკს მაწვიე,
ხალხს უთხარ, როგორ შემიწირია
ქვეყნისთვის ყრმობა და სიყმაწვილე,
მისთვის ვაჟობა და სიყმაწვილე,
გმირობა როგორ გავინაწილეთ!

1937 წელსაა დაწერილი პოეტის ლექსი „მზად ვართ მუდამ“. ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს შემდეგი: „ლეჩხუმში, მურის ხეობაში დღემდე დგას სამი ისტორიული კოშკი: „ჰკა მაგას“, „მაგრად დახვდი“ და „არ გაუშვა“. ისინი მტრისაგან კარშეუვალნი იყვნენ.

სამივე ციხე-კოშკი ძმებივით ედგა გვერდში ერთმანეთს:

მურის კლდეთა ქარაფებზე
სამი ციხე გადმომდგარა,
ო, რამდენი ხვაშიადი
იმათ ჩვენთვის დაუფარავთ.

ცისფერი „მაგრად დახვდი“,
„ჰკა მაგას და „არ გაუშვა“
რისხვა იყო მომხდურთათვის,
გულს უკლავდა მტერს და დუშმანს.

ომში წასულ პოეტს მუდამ თავისი საქართველო უდგას თვალწინ:

როგორც ეული ბერი ხეივნებს,
გავყვები ფიქრებს,
ზეცას დავიარ,
ო!, საქართველოვ,
განა ვიხილავ
შენს მთებს, შენს კოშკებს,
თერგს და დარიალს?

პოეტი თავის მეგობარს – გიგა ყურაშვილს უძღვნის ლექსს „როგორ გიხმობდი, როგორ გნატრობდი“, დიდი ხნის უნახავი მეგობრის ნახვაც მას დიდად მონატრებია, რომ გაიხსენონ წარსული, უდრტვინველი დრო.

ჰე, რა დრო იყო! დარჩა სილაზე
ჩვენი ბავშვობის ნაცნებარი,
ლურჯი იების თელავს სინაზეს
ატეხილ დღეთა საოცრებანი.

მეომარი პოეტი მეგობარს თავის გულისნადებს გადაუშლის, მოწოდებად გაისმება ლექსის ბოლო სტროფები.:

მე შენ გეძახი, ბიჭო, მინდა, რომ
აქაც გვადიდოს ძმობის ნამუსმა,
ვუშველოთ ზეცას, - მარად იდაროს,
ვუშველოთ მიწას – მტრისგან ნამუსარალს!
ვუშველოთ მხარეს – არ გაგვიხუნოს
უბე, ტკბილად რომ გამოგვიკვალთა?
შემდეგ ლეჩხუმის ცა დავიხუროთ
და ისევ ვჭექოთ, ჩვენ რომ გვიყვარდა,

1945 წლის 5 აპრილსაა დაწერილი ლექსი ეპიტაფია. ორი დღის შემდეგ 7 აპრილს პოეტი ბრძოლის ველზე დაეცემა. ალბათ, მებრძოლი პოეტი წინდაწინ გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას. ამიტომ გაიპარა ლექსში ერთგვარი ნაღვლიანი განწყობილებაც.

რა საჭიროა გითხრათ ვინ ვარ,

ან რა, ან როდის
დავეძმობილე სიცოცხლეს ან სიკვდილს
სისხლიანს...
ხომ ხედავთ აქ ვარ და ჩემი მზე
აღარ ამოდის...
დავუფლებივარ ამ სივრცეს და ამ გულს
სისხლიანს...

ფრონტზე წასულ თავიანთ საყვარელ მასწავლებელს არ ივიწყებდნენ ცაგერელი მოსწავლეები. ისინი მასწავლებელს სწერდნენ: „ჩვენ ყოველთვის გვინდა ვიცოდეთ, როგორ ან სად ხართ, მასწავლებელო. თავის სანუკვარ მოსწავლეებს ლექსით უპასუხა პოეტმა. ლექსის სათაურია - „სად ვარ?“ პოეტი ლექსით პასუხს აძლევს მოსწავლეებს, ყველა იმ საკითხზე, რაც მათ აინტერესებთ, მათ შორის ფრონტზე მებრძოლის დანიშნულებაზეც განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას:

ის ერთი ღამე ტყვია ელავდა,
არ დამავიწყდეს, მგონი მარადის!
ნაღმმა ამინთო ცეცხლი კელაპტრად
და წავიკითხე თქვენი ბარათი,
რა თბილი იყო, რა მახლობელი,
რა საყვარელი ახალწელივით, -
თქვენი ამბების ჩემთან მთხრობელი
თქვენი პატარა თეთრი წერილი.
უვლია თურმე, არც ისე დიდხანს,.
ულახავს სივრცე მთათა, ვაკეთა...
მომიყვა თქვენზე და ბოლოს მკითხა
როგორ ვარ, სად ვარ, ან რას ვაკეთებ.
მე ხომ მანდ დამრჩა წიგნი, კათედრა,
ტკბილი დღეები სიყრმის ხანათა!
ახლა როგორ ვარ? ღამეს ვათეთრებ,
ჩემი სამშობლოს გასახარადა.

ლექსში პოეტი ბავშვებს უხსნის, რომ იგი აქ საქართველოს, მის ველ-მინდვრებს, ცას და მიწას იცავს, მას არ ავიწყდება მისი მოსწავლეები, იგი მათ სიცოცხლესაც იცავს და ბოლოს:

და ვიდრე ძარღვში სისხლი გაშრება

ჩემს გმირ წინაპარ ქართველთ ვედრები!
აი, სადა ვარ, კარგო ბავშვებო,
აი, რად დამრჩა სკოლის კედლები!..

ლექსის სტრიქონებში კარგად ჩანს პოეტის უსაზღვრო სიყვარული დედასამშობლოსადმი, მოსწავლეების მომავალ ბედიღბალზე მამობრივი ზრუნვა.

საქართველოს ისტორიულ წარსულზე დაფიქრებულ პოეტს მუდამ თვალწინ უდგას თავისი მშობლიური ქვეყნის ლიტერატურა, სახელგანთქმული მწერლები.

ომში მყოფი პოეტი დიდ ილია ჭავჭავაძეს უძღვნის ლექსს „წიწამურთან". ლექსში ლაპარაკია იმ ტრაგედიაზე, რაც დიდი ილიას ვერაგულმა მკვლელობამ გამოიწვია. ამ ფაქტმა დაამწუხრა მთელი საქართველო – პირველ რიგში დიდი ილიას თანამებრძოლები აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა.

თვალცრემლიანი დატოვე ვაჟა,
აკაკიც დარჩა ობოლ სანთურად,
ატირებულან, მშობლიურ ლაჟვარდს
რომ მოგაშორეს მუხანათურად.
მიწაში ჩაფლეს შენი სახელიც,
დღეს რომ აღმდგარა და გამართულა.

დღეს ილიას სახელი ვარსკვლავივით კიაფობს ცაზე. ქვეყნის ვარამის მხრებით ამტანს დიდების შარავანდედით მოსავს საქართველო, მისი ხალხი:

ვიგონებთ გმირს და დიდებულ მგოსანს,
გზაზე დაცემულს ვერაგის ხელით.
ნეტავ დაგცლოდა ჩვენამდე მოსვლა,
შენი სამშობლოს გენახა მხსნელი,
რა სიყვარულის დაფნებით გმოსავს
დღეს საქართველო თვალგანაბული.

ლექსი „შებინდებისას მგოსნის საფლავთან" დიდი მგოსნის აკაკი წერეთლისადმია მიძღვნილი. ფარაჯიანი პოეტის თქმით, მთაწმინდის ბინადარი მწერლები საქართველოს მომავალზე, მის ხვალინდელ დღეზე ბაასობენ. მათ გუნება-განწყობილებას უამებთ აკაკის ჩონგურის წკრიალა ხმა:

„დღე რომ კალენდარს ფურცელს შეახევს,

მთაწმინდაზე რომ მოვა დაისი,
ნიავი ჩანგის სიმებს შეარხევს
და მიმზიდველი ხმები გაისმის.
უხმობს აკაკის – გნახეთ მანდაო,
რომ გააგონოს, ხმას არ იშურებს,
ტკბილი ჰანგები ფარავს მიდამოს.
მთაწმინდის სიო აშარიშურებს...

ნ. კოპალიანი ვაჟა-ფშაველას ხსოვნას უძღვნის ლექსს „ასრულებულა მისი წადილი“. პოეტის თქმით, ვაჟა-ფშაველა დუხჭირ დროს დაიბადა, დუხჭირი იყო მისი ცხოვრებაც:

ასე გაშორდა ლამაზ სამშობლოს,
მის ხმელეთს ყვავილ-ნარგიზებიანს,
არ ღირსებია ცრემლის დაშრობა,
ტკბილი სიმღერა არ ღირსებია.

მისი საფიქრალი მუდამ ერთი იყო, ეს ერთი იყო სამშობლო:

ერთზე ფიქრობდა გარეთ და შინაც,
მშობელი მხარის ბედის მისანი,
აყოვდებაო იტყოდა ხშირად,
ყოილნი ჩემნი ივერისანი!..

დრო შეიცვალა, ვაჟას ქვეყანამ ფერი იცვალა.

ნ. კოპალიანის თქმით, დასანანი ისაა, რომ მისი ქვეყნის აყვავებას თვით ვაჟა-ფშაველა ვერ მოესწრო:

ასრულებულა მისი წადილი –
წინ გვაქვს ქვეყანა, ბაღს რომ ედრება –
რბიან და რბიან წელიწადები –
ახალ სიხარულს რომ გვახვედრებენ.
ეს სიხარული პოეტსაც იწვევს –
ვერ დაივიწყოს იგი ვეროდეს!...
ბრალია-ვაჟა საფლავში იწვეს
ბრალია – ახლა ის ვერ მღეროდეს!..

ნ. კოპალიანი არ ივიწყებს ჩვენი ეპოქის დიდ შემოქმედთ, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძეს, რომელსაც ამავე სახელწოდების ლექსს უძღვნის.

პოეტი ხაზს უსვამს გ. ტაბიძის ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს, წარსულს ადარებს აწმყოსთან, გამოაქვს ოპტიმისტური დასკვნა:

წინათ გტანჯავდა ქვეყნის წარსული,
და რომ დარდები გადაგეყარა,
გვესმოდა შენი ხმა გაბედული:
„დაქროლე ქარო", „დროშები ჩქარა!"
გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
„მფეთქავი ძალა არეს ჰფენია"
გახსოვს? ამბობდი: „ქვეყნად ღიმილი
შეხედეთ ახლა რაოდენია".
აჰა, შეხედე რა რიგად ვმღერით,
„როგორ ანათებს დროშების თვალი,"
და რარიგად ჩანს დღეს მშვენიერი
ჩვენი სამშობლოს მხნე მომავალი.

სტუდენტობის პერიოდის ლექსების ერთი ნაწილი ეხება სიყვარულის თემას. პოეტი ამ ლექსებში უმღერის სპეტაკ სიყვარულს. იგი გულის სატრფოს თავის ხვაშიადს უმხელს. თან ემუდარება მას აპატიოს კადნიერება — ლექსის მიძღვნა მისადმი:

იქნებ ვცდები, რომ მოგმართე ამით მე,
ან ამაოდ იქნებ შენკენ მოვილტვი...
ჩემო კარგო, არ განრისხდე, დამითმე,
სიყვარულმა ასე იცის ყოველთვის.

ახალგაზრდა პოეტის თქმით, სიყვარული ყოველთვის არ არის ადამიანისათვის ბედნიერების მომტანი, იგი სწორხაზოვნად არ მიმართება, მას ზოგჯერ ზიგზაგებით სიარული თუ ფრენა ჩვევია. სწორედ ასეთ სიყვარულზეა საუბარი ლექსში „ნეტავ".

მე კი ისეთი დამრჩა განცდები
მანდ გატარებულ ტკბილ დღეებიდან,
რომ შენც ფიქრობდი ჩემზე, მეგონა
და როცა, ალბათ როცა დავვაჟკაცდები,
თავს გამოვიყვან გაკვირვებიდან,
რატომ ვეძებდი შენში მეგობარს,.

ლექსში „დილა ბანაკად" პოეტი აღწერს ბუნების სიმშვენიერეს, როდესაც „ცას მზიური ღიმი შვენის". მგოსანი ამ ფონზე

ნატრობს მას თავისი სატრფო შეხვდებოდეს:

შენი სახე შემახვედრა,
გულს რომ ათბობს მზეზე უფრო,
გითხრა – ნეტავ მომცა ხვედრად,
რომ მე ერთი დაგეუფლო.

ლექსი „მაინც ერთად ვართ...“ საინტერესოდაა ჩაფიქრებული. პოეტი ახალგაზრდას მოაგონებს ბავშვობის წლებს, როდესაც ორივეს ცხენისწყალში უჭყუმპალავია. მათი გზები გაყრილა-გოგონა მფრინავის პროფესიას დაუფლებია, ვაჟკაცს უნივერსიტეტი დაუმთავრებია. ორივეს გულში სხვადასხვა ადამიანების ტრფობაა ჩაბუდებული. ორივეს ერთი სატრფიალო საგანი მაინც აქვთ, ეს ერთი საგანი სამშობლოა.

იქნება გიკვირს – მკითხავ რად არის
შენზე ოცნება დაშარბათული,
როცა სხვა გაზის გულის ბადალი,
როცა სხვასთან ვარ ტრფობით გართული.
მკითხავ – ეს მღერა ნეტავ რამ შობა,
გულს შენზე ფიქრებს რატომ არ ვუშლი?
ჩვენს თავზე მეტად გვიყვარს სამშობლო,
ერთად ვართ უფრო დიდ სიყვარულში!

ლექსი „და ბოლოს შენთან მოვალ“ კვლავ სიყვარულის თემას ეხება. სადაც არ უნდა იყოს პოეტი – ქარში, წვიმაში, თოვლში, მას გადაუწყვეტია, რომ ერთხელ ამორჩეული სატრფო სხვაზე არ გასცვალოს:

კიდევ ვიცოცხლებ მრავალს,
უჩვევ ბუნების მჩენი,
ქების ოლიმპზე გავალ
და მაინც შენი ვრჩები.

ფრონტზე მყოფი პოეტი ზოგჯერ დროს პოულობდა იმისათვის, რომ წერილები გაეგზავნა არა მარტო ოჯახის წევრებისათვის, არამედ ნათესავებისა და მეგობრებისათვის. ამ მოკითხვის ბარათებში ხანდახან ლექსებიც იყო ჩართული.

1942 წლის შემოდგომაზე დისადმი გაგზავნილ ბარათში ნ. კოპალიანი სწერდა: „გიგზავნი ორიოდე ლექსს, ორივე დედაზე მაქვს დაწერილი.“

პოეტის გამზრდელმა დედამ ქვეყნის პირველსავე დაძახილზე სამი ვაჟკაცი გააგზავნა ჯარში. პოეტი სამი ვაჟკაცის გამზრდელ დედას ესაუბრება:

გახსოვს ის წამი, დედილო,
კარზე რომ მოდგა მტერიო?
სამ შვილს დაგვძახე – თქვენს შორის
არ ეფიქრობ მხდალი ერიოს.
ადექით, შეიკაზმენით,
რომ მტერი მოიგერიოთ!..
დაგვძახე, გამოგვაცილე,
თვალში ჩაგვიდგა ნათელი,
ხარობდი – ომში წავიდნენ
შენგან გაზრდილი მართველნი,
სამი გულადი ვაჟკაცი,
სამი გულადი ქართველი.

გამზრდელ დედას ფრონტზე მყოფი ვაჟკაცი პირობას აძლევს. რომ ისინი ღირსეულად დაიცავენ მამულს, არ შეარცხვენენ დედის მანდილს, ან გმირულად დაეცემიან ბრძოლის ველზე, ან გმირებად დაბრუნდებიან.

სამი დაგვზარდეთ ვაჟკაცი,
სამივე ვეფხის ბწკრიანი,
ქვეყნის საყვარელ შვილებთან
შენი ვაჟებიც კი არი,
ხელში უჭირავთ გორდაი,
წინაპართ გამოპირული,
მას ან სიკვდილი სჩვევია,
ან დაბრუნება გმირული,
დედი, მოგვივალთ ამაყად,
მტერს დარჩეს სისხლის ბინული!

პოეტს, გარდა ომის მძიმე წლებისა, უდარდელი ცხოვრების წლებიც ახსოვს, როცა მისი დედა ძველ წელს გააცილებდა, ახალ წელს დალოცავდა და ბავშვებს ტკბილეულს დაურიგებდა:

დაგვირიგებდი დილით ტკბილეულს,
დამიბერდითო, შვილებო, ასე.
გაიზარდენით, დაწვებმილეულს

რომ მეც მარგუნოთ დღე ლხენით სავსე.

ესპანელი ბავშვის დედისადმია მიძღვნილი ნ. კოპალიანის ლექსი „დედა ფრონტზეა, პატარავ“ ლექსიდან ჩანს, რომ პოეტი კარგად ერკვევა იმ პერიოდის პოლიტიკურ მოვლენაში. ლექსი დაწერილია 1938 წელს.

ფრონტზე მყოფი ადამიანისათვის ძვირფასია ყოველი ნივთი, რომელთანაც მას ყოველდღიური კავშირი აქვს, ეს იქნება საბრძოლო იარაღი, თუ ჩასაცმელ-დასახური. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ლექსი „ჩემო მაზარავ“. მებრძოლი ეალერსება მაზარას, რომელმაც მას გული გაუთბო, ზამთარი თბილად გადაატანინა:

ჩვენ დავძმობილდით,
ჩემო მაზარავ,
სამშობლოს სითბო
თან დამაქვს შენით.
ბრძოლის ქარცეცხლში
არც მე დამზრალვარ,
რომ გავიარო გზა დანარჩენი,
როს გავიმარჯვებთ,
გულს გაუხარებ
ვიცი შენს მნახველს
და თუ კი დამცა
ვერაგის ტყვიამ,
მაინც შევირჩენ
გმირობის სახელს.

პოეტის გულს წამითაც არ გაჰკარებია სევდის, გულგატეხილობის, უიმედობის გრძნობა, პირიქით, მას მუდამ სწამდა, რომ გამარჯვებული დაუბრუნდებოდა მშობელ ქვეყანას, ოჯახს, ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს, მაგრამ, სამწუხაროდ, პოეტის წინათგრძნობა არ გამართლდა. იგი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. არსებობს ანდაზა: „ცხენი კვდება, მინდორი რჩება“. დარჩა პოეტის ლექსები. ნიკოლოზ კოპალიანის ცხოვრების გზა ჭეშმარიტი დადასტურებაა დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვებისა. „არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია“.

შალვა იოსელიანი

27 წელიც არ ჰქონდა შესრულებული ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს შალვა იოსელიანს, როდესაც იგი მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა.

შალვა იოსელიანი დაიბადა 1914 წლის 22 ივლისს წყალტუბოში. მან 1935 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. მას სხვადასხვა თანამდებობაზე უმსახურია: აჭარის რადიომაუწყებლობის კომიტეტში ლიტერატურულ გადაცემათა რედაქტორად, აჭარის ხელოვნების კომიტეტის განყოფილების გამგედ, უკანასკნელად მუშაობდა ბათუმის განათლების სახლის დირექტორად, საიდანაც 1941 წლის სექტემბერში მოხალისედ წავიდა ჯარში.

შ. იოსელიანის პირველი ლექსი 1934 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა ლენინელში“, ხოლო პირველი კრებული დაიბეჭდა 1937 წელს სახელწოდებით „სიმღერები“. უფრო მოზრდილი კრებული, „ლექსები“ გამოიცა 1939 წელს, უფრო გვიან პოემა „დაბრუნება“.

შალვა იოსელიანის ნაწარმოებთა ყველაზე უფრო სრულყოფილი კრებული გამოიცა 1995 წელს „შეწყვეტილი სიმღერის“ სახელწოდებით.[1]

ახალგაზრდა პოეტი შ. იოსელიანი მხოლოდ 22 წლის იყო, როცა მისი ლექსების პირველი კრებული გამოქვეყნდა. ამ ლექსებს ახასიათებდა უშუალობა და მელოდიურობა. ლექსში „მთაში“ ეკითხულობთ:

და ამ დილით ისევ ვგონებ
მზე მომიქნევს ოქროს ხმალს,
ჩამოუტან ამ გოგონებს
დამწიფებულ ფორთოხალს.
ვიტყვი ამბავს, ლექსს უთბილესს,
იავნანინასთანას,
ვეტყვი კიდევ ეს ლუთბიემ

[1] ჟურნალი ჭოროხი, ბათუმი, 1975წ., №2, გვ.42

თქვენთან გამომატანა.“

ამავე კრებულშია შეტანილი ლექსი „ბათუმი“, რომელიც მდიდარია პოეტური სამკაულებით.

ამიხმაურდი, ზღვაო კრიალავ,
როგორც ტალღებში ნათქვამი ლექსი,
ხესთან დამხვდება თვალებცქრიალა
და გაყვითლებულ ფორთოხალს მესვრის.

პოეტის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის აჭარის ბუნების სურათებს. ბუნების მეტყველისით აღფრთოვანებული პოეტი ლექსში „აჭარული პეიზაჟი“ წერს:

წუხელ თითქმის აღარ წვიმდა,
თუმც ჭალებზე ნისლი წევს,
მხრები თეთრად შეუბრწყინდათ
პერანგას და თაგოს მთებს.
თოვს, ფიფქები ფრთაფარფატა
მკერდს გაცვივა ვარდებად,
პალმა ტოტებს ათამაშებს
თოვლის ფარშევანგებად.
ფორთოხალი ტოტებს გაშლის,
დასკდებიან კვირტები,
და ისევე, როგორც ბავშვი,
იით დაიტვირთები,
სიყვარულის საბუდარში
ჩაფრინდება გვრიტები.

ადამიანის გამრჯე მარჯვენამ ხალხის სამსახურში ჩააყენა თვით ბუნებაც კი:

დაუხურავს შარა ჭადრებს,
გვესალმება ხე შრიალით,
მიგვაცილებს მზეზე ადრე
სიმღერები ეშხიანი.
მის სხივები ბაღში დილით
წევს ფოთლებში ურდულებად
და ნარინჯი მოკრეფილი
ცვივა ოქროს ბურთულებად.

წელიწადის ყველა დრო თავისებურად მიმზიდველია. გაზაფხულს თავისი შნო და ლაზათი აქვს: იღვიძებს ბუნება, ადამიანი შრომის ფერხულში ებმება, საფუძველი ეყრება უხვ მოსავალს. ბუნების მორთულ-მოკაზმულობამ გული გაუხალისა მშრომელ ადამიანს:

ველს მოედო შრომა მსუყე,
მთა სამოსელს იკერავს,
მიწა ისმენს, სივრცე ისმენს
ომახიან სიმღერას:
სიხარულო, იყავ მალი,
მთიდან ნისლი გალალე,
გვქონდეს უხვი მოსავალი
ვარიალალ ვარალე!..
(„გაზაფხული აჭარაში“)

ლექსში „დიდაჭარის დილა“ პოეტი აღწერს აჭარის დილის სიმშვენიერეს:

შორით ნისლის ნარჩენები
კლდიდან კლდეზე იწყებს რხევას,
ბავშვებს ივსებს ჩანჩქერებით
სადღეგრძელოს დასალევად.
ფიჭვის ტყეში მზე ამოდის,
ღამენათევ ფოთლებს აშრობს,
შორს მოწყდება სადმე ლოდი
და კლდეებში მოგანგაშობს
ისე ტოკავს გზისპირ ნაძვი
სხივთა უხვი ჩანჩქერებით,
როგორც გული გოგონასი,
სიყვარულით ნაძგერები.

დილის სურათია აღწერილი ლექსში „ვარუდილა“. გამრჯე ადამიანებს შრომის ფრონტზე აცილებს „ვარუდილას“ გულში ჩამწვდომი ჰანგები:

ვარუდილა, მთებო, ლალე,
დააფრქვიეთ მზიან მდელოს,
ველები და მთები სვამენ
ვაჟკაცების სადღეგრძელოს.

ჩვენ ზემოთ დავასახელეთ გაზაფხულისადმი მიძღვნილი ლექსები. პოეტს მხედველობიდან არ გამოპარვია შემოდგომა-წელიწადის ის დრო, როდესაც მშრომელი ადამიანი აბინავებს გამრჯე შრომით მოწეულ ჭირნახულს:

ნალიები გაიჭექა
ტემბებს ითხოვს შრომა,
ჩაყვითლდა და ჩაილექა
მწიფე შემოდგომა.

პოეტი მრავალ ლექსში ხატავს ზღვის თვალწარმტაც სიმშვენიერეს. ბათუმი წარმოუდგენელია ზღვის გარეშე. უსათაურო ლექსში „ბინდდება“ ნათქვამია:

ბინდდება.
მიწა მკერდს დაიამებს,
თითქოს ტალღებიც დგებიან წამით,
რა ლამაზია შავი ზღვის ღამე,
რა ლამაზია შავი ზღვა ღამით!
პოეტის თქმით:

ვამბობ სიმღერას და ვაჟკაცურად
ბანს მეუბნება ჩემი შავი ზღვა. („ზღვა“)

შალვა იოსელიანის შემოქმედებაში სატრფიალო ლირიკას ერთ-ერთ საპატიო ადგილი უჭირავს. იგი გამიჯნურებული პოეტის წმინდათა წმინდა ალსარებაა, აი, რას წერს ამის შესახებ მისი მეგობარი მამია ვარშანიძე, რომელმაც კრებული შეადგინა და „შეწყვეტილი სიმღერის“ სახელწოდებით გამოსცა 1995 წელს. მ. ვარშანიძე წერს: „პოეტის სატრფიალო ლექსებს ადრესატი ჰყავდა... და ვინც იყო იგი ავტორს ჩემთვის შეფარვით გაუმჟღავნებია. უსიყვარულოდ შეიქმნებოდა განა „პატარა ქოლგა“ და სხვა? არა, ეს სტრიქონები შექმნილია გულზე ცეცხლმოდებული კაცის მიერ. ავტორი ერთ-ერთ ლექსში გვამცნობს, რომ ჯერ კიდევ პატარას, სკოლის ბავშვს სიყვარული შეპარვია და მარადისად დამკვიდრებულა მის სულში. ამ დღეთა მოგონება მასში უკვდავია, რადგან წრფელი უმწიკვლო ყმაწვილის გულმა რაც განიცადა, მერე ცხოვლად დააჩნდა.

მგოსნის სიყვარული წინააღმდეგობებით არის აღსავსე და იგი ზოგჯერ გულისმომკვლელად ეხმიანება თითქოს შორს მყოფ სატრფოს. აბა სხვას რას უნდა გვაუწყებდნენ ეს ნაღელიანი სტრიქონები? „გემშვიდობები, ამ ცოტას ხნით, გემშვიდობები“. მე ახლა ვკითხულობ ამ სტრიქონებს და გული სევდით მევსება“.[1]

მ. ვარშანიძე მიუთითებს, რომ ლექსი „პატარა ქოლგა“ უსიყვარულოდ ვერ შეიქმნებოდა. პოეტი სატრფოს ასე მიმართავს:

გაზაფხულს მისდევს შავი ზღვის პირად,
და თვალებს თითქოს აჩერებ მწყრალად,
პატარა ქოლგა ჰგავს მზესუმზირას,
მზეს ემალები, თუ ღიმილს მალავ?

სატრფოს საქციელი ეჭვებს ჰბადებს პოეტში, ვის უნდა შეხვდეს ქალიშვილი, ან რამ დაანაღვლიანა ის:

აბა, ამ ბაღში, აბა ამ გზაზე,

რატომ დადიხარ განმარტოებით? უიღბლო სიყვარულზეა საუბარი ლექსში... „ისე ძვირფასად ვხვდებოდით წინათ...“

ჩვენს შორის შური არ იყო წინათ,
დღეს გაოცება მრჩება ასეთი:
ვერ გამიგია თუ რა გეწყინა,
ან რად დაეტოვეთ ჩვენ ერთმანეთი.
ვდგავართ მარტოოდენ ფიქრები და მე
შუა ღამისას და სისხამ დილით.
და ეწყეველი შენთან გაცნობის ღამეს,
რომელმაც გული ამივსო ჩრდილით.

სიყვარულის თემაზე დაწერილი რამდენიმე ლექსი სევდისაღმძვრელი და და უიმედობის გამომხატველია, ასეთებია ლექსები: „რად შემხვდი“, „ლოდინი“, „სახლთან“ და სხვ. ამასთან ერთად პოეტი სიყვარულს ხატავს როგორც ადამიანის აღმფრენის საგანს. ლექსში „საუბარი სიყვარულზე“ ნათქვამია:

ხან გიცქერ თვალში როგორც მხედარს ვინმე მპყრობელი,
გული ფეთქს, როგორც სირცეებში კლდეთანგრევანი, ამოდი მთვარე ნაპრალებზე ხელაპყრობილი,

---

[1] მაია ვარშანიძე, სიკვდილი სახელოვანი, ჟურნ. „ჭოროხი“, ბათუმი, 1975წ., №2, გვ.46-47.

შენსავით კარგი, მედიდური და შაგვრემანი.
გავყვებით დღეებს ცხოვრებაში ვაჟკაცურს, დინჯად,
მინდა დიდება, სიხარული და მემღერება,
გაშალე გული! ჟამმა ტურფამ ჩვენ მოგვანიჭა
ბედნიერება, არნახული ბედნიერება.

ლექსში „სადღეგრძელო“ აღფრთოვანებული პოეტი ასე მიმართავს სატრფოს:

გაფურჩქვნილხარ, ტრფობის ვარდი
გალილა და ჩემს წინ არი,
მზის მეორედ ამოსვლამდი

შენ გიცქერი პირმცინარი.
პოეტი რჩევა-დარიგებას აძლევს გულის სწორს:
ნურც მორცხვობით კისერს დახრი,
დაშორება არ იდარდო,
ჩვენ ყოველი დღე გვეძახის
ბაღნარებში სატრფიალოდ.
გაგიტყდე და უნდა გითხრა,
სურვილები შეკოკრება,
გული ილტვის, შენ კარგი ხარ,
დავრჩეთ მაინც მეგობრებად.

ლექსში „ვინ გაგწირა, თეთრო ბიჭო“ უილბლო სიყვარულზეა საუბარი. პოეტს ენანება ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც სიყვარულის ალმურს დაუწვავს:

ვინ გაგწირა, თეთრო ბიჭო, ვინ დაგარტყა დანა,
ვინ მოგიხმო ტკბილის ხმითა ერთგულისა დარად,
შენი ტკბილი მყუდროება, ნეტა ვინ წაიღო
ვინ გატირა თეთრო ბიჭო, ვინ ოხერი იყო?!

პოეტი კარგად ხედავს, რომ სიყვარული არის იღბლიანი და უილბლოც. საბოლოოდ ის მიდის ასეთ დასკვნამდე: ადამიანმა სიყვარულისგან მიყენებულ წყენას უნდა გაუძლოს. უიმედობა და საგონებელში ჩავარდნა ხვალინდელ ნათელ დღეზე უარის თქმას ნიშნავს, რაც ვაჟკაცს არ ეპატიება.

ლექსში „ბავშვობის სურათი“ პოეტი ამბობს:

ახლა ვარდები და ფეროვნება
შემომფენია ცხადად, ფარულად,
და სიყვარულის ჰაეროვნება
სულში ერთბაშად შემოპარულა.
მინდა გმირობა ლეგენდარული
შენზე სიმღერა დამრჩა მოტივად.
სამშობლოს, ხალხის და სიყვარულის,
ერთი მგზნებარე პატრიოტი ვარ.

შ. იოსელიანი არ ივიწყებს საქართველოს ისტორიულ წარსულს, მის მწერლობას. მას განსაკუთრებით ხიბლავს შოთა რუსთაველის ეპოქა და თვით დიდი პოეტი. შოთა რუსთაველისადმია მიძღვნილი ლექსი „ორი თარიღი რუსთაველის ბიოგრაფიიდან". ლექსი ორი ნაწილისაგან შედგება. ესენია: 1. მაშინ და 2. ახლა. რუსთაველის წინარე ეპოქა ასეთ ასოციაციებს იწვევს ახალგაზრდა პოეტში:

ფარული ბინდი მოჰფენია ივერთა მხარეს,
დაღამებულა და დამჭკნარა სადღაც ვარდები,
ყარიბობაში აგონდება კაცს გულმწუხარეს
სამშობლოს მთები და სამშობლოს ცის ლაჟვარდები.

ჩვენს ეპოქაში. შ. იოსელიანის თქმით, რუსთაველის სახელი „ხალხის გულში სიყვარულის ზღვასავით გრგვინავს". ამ ლექსის ბოლო სტროფი ასეთია:

გიგულებს უკვდავ საგანძურად მშობელი მხარე,
შენს სახელს წლები ვერ შეარყევს, წლები ვერ მოშლის,
იდიდე მარად, განსხივოსნდი, იყვაილნარე
განახლებულ და ლეგენდარულ საქართველოში.

დიდ ილია ჭავჭავაძეს და მის ეპოქას გვიხატავს პოეტი ლექსში. „ილია". ილიას ეპოქაში საქართველოს დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა. დიდმა ილიამ:

გაჰკიცხა აწმყო და ბედისწერა,
თვალცრემლიანებს უთხრა ნუგეში,
კავკასიონის ქედმაღალ მწვერვალს
ჩახედა ნისლით მოსილ უბეში.
ავაზაკის ტყვიამ არ დაინდო ერის მამა:
მერე მხეცურად ესროლეს ტყვია

მარად მგზნებარე ამბის მჭონე გულს,
მაგრამ სიკვდილიც არ შეუტყვია
მომაელის ბედით გაცისკროვნებულს.

საინტერესოა ლექსი „გმირი ვაჟას მთიდან.“ მწყემსი ვაჟას ლექსების მოხმობით ფანდურზე უკრავს შაირებს. მწყემსს უნდა, რომ მის სიმღერას ყურს უგდებდეს დიდი მგოსანიც, ამიტომ მოუხმობს იგი ვაჟა-ფშაველას:

ჭიუხებში და მთა-ველად
გათენდა, ირიჟრაჟაო,
სადა ხარ ვაჟა-ფშაველავ,
სადა ხარ ჩვენო ვაჟაო!

ამ ლექსის შესახებ მამია ვარშანიძე წერს: „თავისი მაჟორული ტონით. დინამიურობით, ვაჟკაცური შემართებით ყურადღებას იპყრობს ვრცელი ლექსი. „გმირი ვაჟას მთიდან“. მახსოვს, ავტორმა დაბეჭდვამდე, ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე წაიკითხა. იმდენი ტაში დაუკრეს, რომ მერე მე ველარ გავბედე გამოსვლა. ეს ლექსი 144 სტრიქონია და ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. ასხლეტილი სტრიქონები ერთმანეთს რაკრაკით მისდევენ და არასოდეს დაგზარდება ბოლომდე წაკითხვა. აქვე მინდა შევნიშნო ის, რომ შალვა იოსელიანს ზარივით წკრიალა ხმა ჰქონდა. ლექსს გალობასავით კითხულობდა, მსმენელი აღტაცებაში მოჰყავდა. ლექსს კითხულობდა რხევა-რხევით, ხელების იმიტაციით. მოხდენილი და ლამაზი, კარგადაც მოსაუბრე ახალგაზრდა იყო. მალე ისეთი დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ ტრიბუნაზე მის გამოჩენას ოვაციებით ხვდებოდნენ. მარტო ამ ლექსით „გმირი ვაჟას მთიდან“ იგი გვერდში ამოუდგა ქართველ მოწინავე ახალგაზრდა პოეტებს მირზა გელოვანს, ლადო ასათიანს, ალექსანდრე საჯაიას და სხვებს.“[1]

ჩაგრულ დროში დაბადებულს და ჩაგრულების ქომაგს ეძღვნება ლექსი „ეგნატე ნინოშვილს“.

წყევლიდი ყველგან შენს ტანჯვის მომგონს,
„პალიასტომის“ ცრემლით სტიროდი,

---

[1] მამია ვარშანიძე, სიკვდილი სახელოვანი, ჟურნ., „ჭოროხი“, ბათუმი, 1975წ., №2, გვ.43.

შენი ქრისტიანე – საწყალი გოგო,
ცრემლებში კლავდა სისხლიან ლოდინს.
თითქოს სხივები მზემ დაიშურა,
გამეფდა ბინდი, შური და მტრობა,
ძალაძემ ტყვიით გაგანადგურა
დროიძეების შთამომავლობა.

დრო შეიცვალა, ხალხმა ჩაგვრას დააღწია თავი, დღეს ეს ხალხი არ ივიწყებს ჩაგრულთა ქომაგს – ე. ნინოშვილს.

ქართული სცენის დიდოსტატს ეძღვნება ლექსი „კოტე მარჯანიშვილი". ეს ლექსი ყველაზე ადრინდელია შ. იოსელიანის ნაწარმოებებიდან. მას დაწერის თარიღად უზის 1933წელი. აღნიშნულ წელს შ. იოსელიანი VIII კლასის მოსწავლე იქნებოდა. ლექსში ნათქვამია, რომ ადამიანმა შეიძლება გადაივიწყოს ბევრი რაღაც, მაგრამ ქართველი ერი არ დაივიწყებს კოტე მარჯანიშვილის სახელს:

გადაივიწყებს დრო რამდენს ადრე,
შენ დაგადგება მუდამ ნათელი,
რადგან საკუთრივ შენ გამოზარდე
ქართული სცენის გოლიათები.

1995 წელს გამომცემლობა „აჭარამ" გამოსცა შალვა იოსელიანის ლექსების კრებული "შეწყვეტილი სიმღერა". კრებულში ცალკეა გამოყოფილი „საბავშვო ლირიკა". პატარებისადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტი ავლენს მათი შინაგანი ბუნების ცოდნას. მოსაწონია ამ ლექსების იდეური მხარე, პოეტური სამკაულები. ლექსში „პატარა დაროს დედოფალა" აღწერილია პირველი თოვლის მოსვლა და დაროს განცდები, დედის დარიგება.

ადგა დარო, თვალი
მოიფშვნიტა ხელით,
მოუტანა დედამ
ჭრელი ტანსაცმელი...
თავსახური, პალტო,.
ფეხსაცმელი, წინდა,
თოვლი იყო გარეთ
ფუნთუშა და წმინდა.

დაროსაც მოუნდა მინდორში გასეირნება, დედამ დაუყვავა დაროს:

პატარა ხარ, შვილო,
გარეთ ძლიერ ცივა,
ხედავ თოვლის პეპლებს,
ციდან როგორ ცვივა?

თან დასძინა, როდესაც დიდი გაიზრდებოდა, მას არავინ არ დაუშლიდა თოვლსა და სიცივეში გარეთ თამაშს.

დარომ შეისმინა დედის დარიგება, ხელი დაავლო თავის დედოფალას:

დაიჯერა დედას,
აღარ დააცალა,
აიყვანა ხელში
თავის დედოფალა.

ფანჯარასთან დადგა და იქიდან უყურებდა და უსმენდა ბავშვების ჟრიამულს. ლექსი მეტად საინტერესოა აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც.

პატარა მიტროს განცდებია გადმოცემული ლექსში „პატარა რადიოტექნიკოსი“. მიტრო დღედაღამ რადიოზე ოცნებობს მას უკვირს, რომ

არ ჩერდება რადიო,
უცხო მოლაპარაკე,
ამბობს ლექსებს, მოთხრობებს,
ზღაპრებსა და არაკებს.“

მიტრომ გადაწყვიტა თვითონაც გააკეთოს რადიო, მაგრამ ეს ოცნება მისთვის ნაადრევი აღმოჩნდა, რადიომ ხმა ვერ ამოიღო. მან, მიუხედავად დიდი დაბრკოლებისა, თავის გადაწყვეტილებაზე ხელი მაინც არ აიღო!

შეინახა ხელსაწყო,
არ ასვენებს ფიქრები,
თქვა: ვისწავლი რადიოს,
ტექნიკოსი ვიქნები.

მიტროს ასაკში ბევრ ბავშვს გასჩენია სურვილი ამა თუ იმ პროფესიას დაუფლებოდა, ოცნება და სურვილი რეალობად უქცევია და ცნობილი სპეციალისტი გამოსულა.

პატარა სიკომ ძილში სიზმარი ნახა („სიკოს სიზმარი“)

ერთხელ სიკოს დაესიზმრა...
მოეჩვენა ასე ძილში:
ვითომ მოკლა ერთი სროლით
ორი ჯიხვი კაკლის ძირში.

სიზმარი გრძელდება: სიკოს სანახავად გამორბიან მშობლები – დედა, მამა, მეზობლები.

რომ იგემონ ჯიხვის ხორცი, მოაქვთ ტაშტი, მოაქვთ გობი.

პატარა სიკოს მიერ ჯიხვის მოკლვა არავის არ სჯერა, არც მამამისს. პოეტი თავის გულისნადებს ჩართავს ლექსში:

მაგრამ ამას ნურვინ ეჭვობს, მე სიკოს წინ ქედსაც ვიხრი.;
მონადირემ ერთი სროლით
ვაშა, მოკლა ორი ჯიხვი.

ლექსის დედააზრი ასეთია: ბავშვის სიმამაცესა და გამბედაობას ბავშვობიდან უნდა ჩაეყაროს საფუძველი.,

ახალ წელს ბედნიერება მოაქვს როგორც დიდებისათვის, ასევე პატარებისათვის. განსაკუთრებით პატარებს ახალისებს ნაძვის ხის მორთვა („ნაძვის ხე“):

შუქი ჩადგა თვალწარმტაცი,
ნაძვი ეშხით გართულა,
მოაბოლებს თოვლის კაცი
ჩიბუხს დარდიმანდულად.

ნაძვის ხის ტოტებიც მხიარულობენ, ბავშვები ლექსებს მღერიან;

ხის ტოტები გატაცებით
სდუმან და უცქერიან,
როს ბავშვები აღტაცებით
სამშობლოზე მღერიან.

ეტყობა პოეტი ბევრს ფიქრობდა ბავშვებზე, აინტერესებდა მათი მომავალი, ახსენდებოდა თავისი ბავშვობა.

მამია ვარშანიძე წერს: „რამხელა სიბრძნეა ჩადებული ლექსში „ბავშვი“. ბავშვის ონავარ სულს რა შეედრება! იგი მოულოდნელია, მზარდია, გაფურჩქვნის პროცესშია. ამიტომ შენატრის ბავშვის ბედნიერებას პოეტი. ბავშვმა თითქოს იცის ის ენერგია, რაც

მის სულშია მიმალული, და ძალუმად თავს იჩენს, ამიტომ ასე თამამად ეხმიანება პოეტს. „მე დაგეწევი და შენ კი ვერა“.[1]

შ. იოსელიანის კალამს ეკუთვნის პოემა „დაბრუნება“. ეს ნაწარმოები, როგორც მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, ავტორს არ ჩაუთვლია ჭეშმარიტ პოემად და მისთვის შეურქმევია „დაბრუნება“. ნაწარმოები ასახავს აჭარის წარსულ დუხჭირ ცხოვრებას. პოემის მსვლელობისას წარმოჩინდება ორი ძალა — კეთილი და ბოროტი, თანდათან თავს იჩენს მათ შორის წინააღმდეგობაც. ერთი მხრივაა ბარათალი და მისი შეყვარებული გოგო გულფიქალი, გულფიქალის ძმა ავნი, ხოლო მეორეს მხრივაა დახატული უარყოფითი მოქმედი პირები — ზაბით ოსმანდელი და ყადირბეგი. ბარათალი პატიოსანი მშრომელი ადამიანია. ის ობლობაში გაიზარდა, 7 წელიწადს მწყემსი იყო, დაუბრუნდა მამის კერას. განიძრახა წისქვილის აშენება, შეუყვარდა მეზობლის გოგო გულფიქალი, გულფიქალსაც უყვარდა ბარათალი. ზაბით ოსმანოღლიმ წააქეზა ყადირბეგი, რომ მას ცოლად შეერთო გულფიქალი. მათ შორის წინააღმდეგობა თანდათან დაიძაბა. ბარათალი იძულებული გახდა ყაჩაღად გავარდნილიყო და იქიდან ეძია შური ყადირბეგზე. ასეც მოხდა. ამ ბრძოლაში ბარათალი დამარცხდა. ის შორეულ მხარეში გადაასახლეს. ასეა ჩაფიქრებული მთელი პოემა. იგი იდეურად და მხატვრულად სრულფასოვანია.

შ. იოსელიანის კალამს ეკუთვნის თავისი ოჯახის წევრებისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი. მას განსაკუთრებით უყვარდა მშობელი და გამზრდელი დედა.

პოეტის თქმით, დედისა და სამშობლოს სიყვარული განუყოფელია:

ბედნიერი ვარ, კლავ ასე გხედავ,
ზრუნვით დამდევ და გული არ ობლობს,
მე დღეს სამშობლოს ვეძახი დედას,
თქვენ შემოგევლეთ შენ და სამშობლოს.

---

1 გ. ვარშანიძე, სიკვდილი სახელოვანი, ჟურნ. „ჭოროხი“, ბათუმი, 1975წ., №2, გვ.44

ლექსი „წერილი დედას“ (1942წ.) ფრონტიდანაა გამოგზავნილი. მებრძოლი პოეტი დედას შეახსენებს, თუ როგორ ზრდიდა დედა მას პატარაობიდანვე:

ვიცი ოცნების ფარდებში მხედავ.,
დგახარ ამაყად სახე გაშლილი –
და გაგონდები ვაჟკაცის დედას
სახლიდან ფრონტზე წასული შვილი.

პოეტი დედას არწმუნებს, რომ მტერი მალე დამარცხებული იქნება, მისი შვილი მალე დაუბრუნდება მშობლიურ კერას, მთავარია, შვილის დაბრუნებამდე დედა იყოს ყოჩაღად.

დამხვდით ყოჩაღად, კოცნას ვაბარებ
ფრონტზე დაწერილ ქაღალდის ნაჭევს,
მტერს მივარღვევ და მკერდით ვატარებ
მარად საყვარელ სამშობლოს სახელს.

პოეტის ძმაც ჯარშია, ისიც ვაჟკაცურად იცავს სამშობლოს:

ვზივართ სალამოს ოთახში მე და
მამა, გიგონებთ ბავშვური ლხენით,
მეზობლობაში ამაყობს დედა,
მთელი ოჯახი ამაყობს შენით.

ახალგაზრდა პოეტი მებრძოლ ძმას წერილს უგზავნის, წერილს ლექსიც ახლავს:

მე დამავალეს მოგწერო ლექსი,
შენც არ აგცდება ლექსის მიზანი,
ვწერ და სტრიქონში შენი ხმა მესმის,
გწერ და დედიკოს კოცნას გიგზავნი.
ბიჭო, მომინდა ჩემი ხმა გამცნო,
გულით მომინდა, შენს ძმობას ვფიცავ,
შენ გენაცვალეთ, ჩვენო ვაჟკაცო,
მკერდით რომ იცავ სამშობლოს მიწას!
(„ძმას“)

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრეა დაწერილი (1938წ.) შ. იოსელიანის ლექსი „სიმღერა სამშობლოზე“. პოეტი ფიცს დებს სამშობლოს წინაშე, თუ მტერი გადმოლახავს ჩვენი ქვეყნის საზღვარს, იგი უმალ ჩადგება ქვეყნის დამცველთა რიგებში:

თუ დაგჭირდეს, მაინც ვინძლო –
და მოადგეს მტერი კარებს,
ჩემო დედავ, ჩემო ღვიძლო,
ჩემი მკერდით გადაფარე.
(„სიმღერა სამშობლოზე“)

იმავე წელსაა (1938წ.) დაწერილი ლექსი „ახალგაზრდობა,“ რომელიც კვლავ სამშობლოს სიყვარულზეა დაწერილი:

სამშობლო მიწავ, მზე შინ, მზე გარეთ
აგნთებია და გმოსავს ვარდობა,
შენ შემოგევლოს ჩემი მგზნებარე
და ვაჟკაცური ახალგაზრდობა.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პოეტი ფრონტზე წასვლის წინ ასე წერს:

ბავშვობის დღიდან კვალდაკვალ მდევდა
გმირობის ცეცხლი ჩაუქრობელი,
ჩემს ვაჟკაცობას მოესწრო დედა,
მამულისათვის მზრდიდა მშობელი.
და მეც მოვდივარ, მტერო ტიალო,
მოვდივარ რისხვით, ვით ქარიშხალი,
რომ შენს გულღვიძლში დავატრიალო
სააკაძის და ერეკლეს ხმალი.“
(„ჩემო მიწავ“)

სამშობლოსათვის თავის განწირვა სხვადასხვა ვარიაციებითაა განმეორებული მის ლექსებში. ომის ქარცეცხლში მყოფ პოეტს გზას უნათებს დედის მანდილი, იგი სიამაყის გრძნობით აუწყებს დედას:

ახლა ყრმის გული მიცემს მალი-მალ,
რომ დავსცე მტერი სისხლში ნაბანი,
დაუნდობელი ქარიშხალი ვარ
სამშობლოს ერთი ლომგულთაგანი.
დამხვდით ყოჩაღად, კოცნას ვაბარებ
ფრონტზე დაწერილ ქაღალდის ნაბევს,
მტერს მივარღვევ და მკერდით ვატარებ
მარად საყვარელ სამშობლოს სახელს.
(„წერილი დედას“)

შალვა იოსელიანის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ლექსის თარგმანი რუსულიდან, უკრაინულიდან, სომხურიდან.

1964 წელს შალვა იოსელიანს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით გიორგი სალუქვაძე გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „მებრძოლი პოეტი“ (იხ. „საბჭოთა აჭარა“, 1964, 8 აგვისტო) წერს: „მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტური ცეცხლით გამთბარ პოეტს შეეძლო თავისი შემოქმედება ძირითადად აჭარის ამღერებით შემოეფარგლა და დარჩენილიყო ფართო დიაპაზონის ლირიკოსად. ჭაბუკი პოეტის ფიქრები დღენიადაგ დასტრიალებდა საქართველოს ამ უშშენიერესი კუთხის პეიზაჟებს, მის აწმყოსა და მომავალს, ყოველი სტრიქონი გულიდან იყო ამოტანილი, სურათები პლასტიკური, დანახული ნამდვილი მხატვრის თვალით. მისი პეიზაჟები ადამიანის სულის მოძრაობის ფონზეა გაშლილი.“

შალვა იოსელიანს ბევრი რამის თქმა არ დასცალდა, მაგრამ რაც თქვა გულის წადილით ამოთქვა და დაუტოვა მომავალ თაობას. ქართული მწერლობის ისტორია მას ყოველთვის შეუნახავს თავის კუთვნილ ადგილს, ის ხალხის ხსოვნაში მარად დარჩება, როგორც შინმოუსვლელი პოეტი-ჯარისკაცი.

დავით პატატიშვილი

მეორე მსოფლიო ომიდან შინ არ დაბრუნებულა სრულიად ახალგაზრდა პოეტი დავით პატატიშვილი. ის დაიბადა 1928 წლის 25 ივნისს სიღნაღის რაიონის სოფ. არბოშიკში. 1936 წელს წარჩინებით დაამთავრა სიღნაღის პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო 1940 წელს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ დაიწყო მუშაობა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლაში.

ნაცნობთა მოგონებებით იგი ყოფილა საშუალო ტანის ქერა ყმაწვილი, კეთილშობილი, დინჯი, დარბაისელი.[1]

დავით პატატიშვილს სიცოცხლეში თავისი ლექსების კრებული დაბეჭდილი არ უნახავს. მხოლოდ 1960 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების პირველი წიგნი „დიდი სიჭაბუკე", რომელიც იხსნება პოეტი-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის შესავალი წერილით „ფრონტელი პოეტი".

წიგნის რედაქტორია პოეტი ალიო მირცხულავა.

წიგნი სამი განყოფილებისაგან შედგება, ესენია: „გზაჯვარედინი", „სიყვარული და ბედნიერება", „საუბარი გულთან". წიგნის მეორე, შადარებითი შეჯერებული გამოცემა, განხორციელდა 1978 წელს სახელწოდებით: „გული და ქარიშხალი".

წიგნს წამძღვარებული აქვს შესავალი წერილი, რომლის ავტორია ა. ბრეგაძე.

წიგნი ორი განყოფილებისაგან შედგება. ესენია: „გული და ქარიშხალი", „ფიქრთა ლაქვარდზე დაწერილი".

წიგნში საინტერესოდაა დახატული ომის საშინელებანი, მკითხველის წინაშე ცოცხლდება მებრძოლთა გმირული შემართება პირისსისხლიანი მტრის წინააღმდეგ.

ახალგაზრდა პოეტის პირველი ლექსები იბეჭდებოდა სიღნაღის რაიონის გაზეთ „კოლმეურნის" ფურცლებზე.

---

[1] მ. ალავიძე, შინმოუსვლელი ქართველი პოეტები. გაზ. „ქუთაისი", 1961 წ., 22 ნოემბერი.

დ. პატატიშვილის ლექსების კრებულში შესულ ლექსებს აწერიათ არა მარტო თარიღი, არამედ იმ ადგილების სახელწოდებებიც, სადაც ისინი დაიწერა (1941-1944 წლებში) ესენია: ქქ. ბელცი, ხარკოვი, კოტოვსკი, პოლტავა, დნეპროპეტროვსკი, ჩერკასკი, სტალინგრადი და ა.შ.

პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე აღნიშნული კრებულის შესახებ წერს: „ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ მეომარი პოეტს თავისი მძაფრი განცდებისათვის მოუნახავს ისეთი ნათელი, ნიჭიერად, უბრალო გამოსახვის ფორმა, რომლითაც მკაფიოდ გვაგრძნობინებს თავის თავს, ვიდრე ბევრი მისი ტოლი თუ გნებავთ, ბევრი უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი. ამას იგი აღწევს თავისი გულწრფელობით, უშუალობით და პოეტური საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით. მას არ სჭირს „სიყმაწვილის სენი“,[1] მას არ ეშინია. ახალგაზრდა ჭაბუკი, რომელიც სიცოცხლით ჯერ არ დამტკბარა, რომელსაც სამი თვის წინათ შერჩეული ცოლი დაუტოვებია, და მებრძოლის ფარაჯი ჩაუცვამს, საბრძოლო ფიცს დებს:

ვფიცავ, დიდებას, რუსთაველს, საადს,
ვფიცავ, შენს სახელს, შენ საქართველოვ,
ვფიცავ, შევხვდები სიკვდილის საათს
ქედმოუხრელი, როგორც გასტელო.
დავტოვებ მხოლოდ გასისხლულ ბარათს,
რომ მასზე დედამ ილოცოს მარად.“
(„ვფიცავ“)

დ. პატატიშვილი ლექსის მსახურია. იგი მზად არის ლექსისათვის თავიც გასწიროს. იგი საკუთარ გულს ასე მიმართავს:

დაიწვი, გულო,
მზე იწვება და ვერცხლავს მთა-ბარს,
აენთე ეშხით და იფეთქე მეტ გამძაფრებით.
(„საუბარი გულთან“)

პოეტის ყველა ლექსი მებრძოლი განწყობილების გამომხატველია. თავის პოეტურ სტილის დ. პატატიშვილი მტკვარს ადარებს. მას იტაცებს მტკვრის ბედი, რომ მტკვარი „წელთა სვლაში არ ბერდება“.

---

[1] დ. პატატიშვილი, დიდი სიჭაბუკე, თბ., 1960 წ., გვ.6.

იხარე, მტკვარო, ანთებულო, სახენათელო,
საუკუნეებს გადაეცი სიცოცხლის თასი,
მშობლიურ ველებს,
აყვავებულს ჩვენს საქართველოს
ტალღების ნაცელად უკვდავების შარბათი ასვი.
(„მტკვართან“)

დ. პატატიშვილი როგორც მხატვრული სიტყვის ერთგული მსახური, სიამაყის გრძნობით ათვალიერებს რვეულს, სადაც მისი ლექსებია ჩაწერილი. აღფრთოვანებული პოეტი ამბობს:

ჩავცქერი სტრიქონს და ვილიმები,
ბუნება ცაში ალმასებს ხატავს,
მე ვარდის სისხლით და მზის სხივებით,
სიცოცხლეს ვხატავ!..

ომამდე დაწერილი ლექსების თემატიკაც ნაირფერადია, ესენია: სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, საქართველოს ბუნება, სიყვარულის თემა და ა.შ. ლექსების უმრავლესობა ქუთაისის სახელმწიფო ინსტიტუტში სწავლის პერიოდშია დაწერილი.

პოეზიის ცეცხლით გულანთებული პოეტი ლექსში „მარადი არის გზანი სავალნი“ წერს:

მარადი არის გზანი სავალნი,
გახედავ ზვირთებს, ეს ხომ ასეა:
ანათებს მაღალ ცის დასავალი,
სიცოცხლე, ცეცხლი და პოეზია.
პოეტის თქმით:
დრო მდინარეა, მუდამ მდინარი,
ბოლო წლები კი – ცელქი ტალღები,
ჩვენი დღეების ხარობს ჩინარი,
მარადისობის კარის გამღები.
(„წლები“)

ლექსში „არ შემიძლია რომ არ მიყვარდე“ პოეტი უმღერის საქართველოს მდინარეებს, ველ-მინდვრებს თუ ზვიად მთებს:

„კავკასიონი... რა მაღალია,
როგორ შევხარით ფართო მხრებიანს,
მე მთათა შორის მასზე ძალიან
ჯერ არცერთი მთა არ მყვარებია.

თუნდ მივწვდე მიწას, გადავიკარგო,
ვნახო ვარსკვლავნი და სილაჟვარდე,
მე პუშკინივით კლავ გეტყვი კარგო,
„არ შემიძლია რომ არ მიყვარდე!“

წელიწადის ყველა დროს თავისებური სილამაზე და ელფერი აქვს, მაგრამ მათ შორის გამორჩეულია შემოდგომა.

მოვიდა ცეკვით, ყურძნის მტევნებით,
მოვიდა ლაღად, უხვად, მთებურად –
გამოაშუქა მწვანე ტევრები,
ბაღის სიმწიფე ქარვისებური,
შემოდგომაა სიამით საესე
და მგრძნობიარე, როგორც ამური,
ვიმღეროთ ძმებო, ვიმღეროთ ასე,
აყვავებულა ჩვენი მამული!

აყვავებულ ქვეყანაში სიცოცხლეც საამურია, ამიტომ მარადიულ სიცოცხლეს ნატრობს ადამიანი:

დაუსრულებლად სიცოცხლეს ვნატრობთ
ოქროს ისრების რხევით, თამაშით,
მზე ასე სწვავდეს ცის დასალიერს,
ვიცოცხლოთ, ძმებო, მზის ქვეყანაში.
(„მრავალჟამიერ“)

დ. პატატიშვილის შემოქმედებაში სათანადო ადგილი ეთმობა სიყვარულის თემას. ლექსში „შარავანდედი“ ნათქვამია:

დიდი ხნის წინათ ბრძნულად თქმულია,
არა სიბნელე, არა ლანდები,
არამედ მხოლოდ სიყვარულია.

კაცთა ცხოვრების შარავანდედი. წიგნში „დიდი სიჭაბუკე“ ერთი თავი ასეა დასათაურებული: „სიყვარული და ბედნიერება“. ლექსში „დიდი სიჭაბუკე“ პოეტი ასე მიმართავს სატრფოს:

„რა მოგთხოვო, კარგო, სიყვარულის გარდა,
ეს ქვეყანა, ეს მზე გულით შემიყვარდა.
რას ვამზგავსო, მითხარი, შენი ტანის რხევა,
მე ხომ აყვავებული სიყვარულის ხე ვარ!
სიჭაბუკე და სიყვარული, პოეტის თქმით, თანატოლნი არიან.

გესმის ხმა დიადი? გესმის ხმა ნარნარი?
ეს ხომ ჩემი დიდი სიჭაბუკე არის!

ამ თემისადმი მიძღვნილი ლექსების უმრავლესობა პოეტის მიერ სტუნდენტობის პერიოდშია შექმნილი. ამ ლექსებს აწერია დაწერის წელი და ადგილი – ქუთაისი.

ლამაზმანმა პოეტს იმედისმომცემი, ალერსიანი მზერა მიაპყრო, რამაც ჭაბუკი აღაფრთოვანა:

შენ შემომხედე რაღაც იდუმალ
და ალტაცებით სავსე თვალებით,
მე აღვიგზენი, ავენთე უმალ,
ქალწულის მზერას ვერ ვემალები,
შენ ხომ ნორჩი ხარ, ნაზი ქალწული...
შენშიც ელვარებს გზნება ქალური,
მოდი, კეთილო, გამიპე გული,
მაპკურე ეშხი და სიყვარული!..

სატრფოს ღიმილიანი სახის მოსაგონებლად პოეტს ეზოში ნატვრის ხე დაურგავს:

გულში ჩავიდგი თვითონ მზე
შენი სახელის დარად,
ეზოში დავრგე ნორჩი ხე,
რომ იშრიალოს მარად.

პოეტი დამშვიდებულია, იგი ამაყად დააბიჯებს იმის გამო:
რომ შენზე შევქმენ საუკუნის ლეგენდა დიდი,
და აგიმართე სიყვარულის წმინდა ტაძარი.
(„სიყვარულის მონოლოგი“)

სიყვარულის თემას ეხება ლექსები: „სიყვარულის მონოლოგი“, „მიმღერე“, „სიცოცხლის ბარათი“, „ეს წამი“, „მიყვარხარ“, „დაგიბრუნდები“ და სხვა.

დ. პატატიშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიული წარსულის ჩვენებას.

ლექსი „პატარა კახი“ ნათქვამია:

ცივი გომბორი ისევ მშვიდია
და წყალში ისევ თვლემენ წნორები,
ივრის ტალღებიც მშვიდად მიდიან,
პატარა კახის ნაამბორები.

ლექსში პოეტი ოსტატურად რთავს საქართველოს ეროვნული თავისუფლების დაკარგვის საკითხს:

უმანკო სისხლის მკერდიდან წვეთდა,
ნისლებში თვლემდა ირგვლივ ყოველი,
დაკარგულ ბედზე ჩიოდა მცხეთა,
და ზეცას კვეთდა სვეტიცხოველი.

იმ პერიოდში, როცა ეს ლექსი დაიწერა, (1939წ.) გმირობას უდრიდა თქმა იმისა, რომ „დაკარგულ ბედზე ჩიოდა მცხეთა“.

დაკვირვებული თვალი მაშინაც მიხვდებოდა, თუ რა საიდუმლო იმალებოდა ამ გამოთქმაში. დღეს კი მზესავით არის ნათელი ჩვენი „უფროსი ძმის“ ნახელავი.

საკაძის დროინდელი საქართველოს აწეწილი პოლიტიკური ვითარებაა დახატული ლექსში „საკაძის ხმალი“.

რაინდის გული კვლავ იწვოდა ბრძოლის სამხილით,
მაგრამ ოცნების ნათელ ვარსკვლავს ნისლი ფარავდა,
მუხლმოკვეთილი, დაისრული ეგდო მარაბდა
და საქართველო ქვითინებდა ლეჩაქახდილი.

პოეტის თქმით: „საკაძეს კი ხმალი ისევ ემუზარადა.“ თავისი გმირული ბრძოლებით საკაძემ საქართველოს ისტორიაში საპატიო ადგილი დაისაკუთრა.

მარაბდის ომში ძმების ხერხეულიძეების გმირული ბრძოლაა აღწერილი ლექსში „ხერხეულიძეების დედა“.

ცნობილია, რომ მარაბდის ომში იბრძოდა ხერხეულიძეების მთელი ოჯახი – ცხრა ძმა:

ამდგარა ხალხი სისხლის ღვარია,
ღრიალებს კაცი, ჭიხვინებს ცხენი...
ხერხეულიძე ცხრანი არიან,
ძმები გმირები და მედროშენი.
დაეცა ერთი, დაეცა ორი,
ტყვიამ ცხრანივე დასცა მიწაზე,
სისხლის გუბეში ჩავარდა დროშა,
სხვა გმირი მიდის ისიც იტაცებს.

როცა ცხრანივე დაეცა ბრძოლის ველზე, დედამ სტაცა ხელი დროშას და ლაშქარს წარუძღვა:

დროშას მაღლა სწევს და შვილებს ლოცავს
ხერხეულიძე – ქართველი დედა.

ახალგაზრდა პოეტი ადრე დაწერილ ლექსებში განზე არ ტოვებს ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვან საკითხებს. ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი“ ნათქვამია:

„სამჯერ დატოვე საფლავის მტვერი,
აღსდეგ, იხილე ხალხი მშობელი,
სამჯერ ამღერდა ლერწამის ღერი,
ვით უკვდავების საგალობელი.
ჩვენთან ხარ მშფოთვარ ლექსის გენია,
დაუჭკნობელი და მომღერალი,
შენ სიკვდილიც კი ვერ მოგერია
და ცოცხლობ ხალხში, როგორც „მერანი“,.

ბარათაშვილის მერანია ნახსენები დ. ნაფეტვარიძის ლექსში „მარადი არის გზანი სავალნი“.

მწამს ვიდრე ქვეყნად ხარობს ჩინარი,
გული ლაღია და მომღერალი,
იქროლებს მარად დაუძინარი
ბარათაშვილის ფიქრთა მერანი.

საქართველოს „უგვირგვინო მეფეს“ აკაკი წერეთელს ეძღვნება ლექსი „აკაკი“.

აკაკი ღამით თბილისს ათვალიერებს, ის მოხიბლულია მრავალი ჭირგადანახადი თბილისის სილამაზით:

გაჰყება პროსპექტს, ღამეა ახლა,
სინათლის ზღვაში თბილისსა სძინავს,
ჩავა აკაკი, ჩავა და ნახავს,
ბარათაშვილის მტკვარსა და ჩინარს.
მთაწმინდის თავზე ადის მგოსანი,
პოეტს ფოთლების ჩურჩული ესმის,
შეირხა იგი ეშხით მოსილი.
და ამდულარდა სიცოცხლის ლექსი.

ნანახით გულდაჯერებული პოეტი ისევ მთაწმინდას დაუბრუნდება:

ის წავა წყნარად მთაწმინდის თავზე
განთიადივით გაელიმება

და დიდ სამშობლოს მოწმენდილ ცაზე
დაეკიდება ოქროს მძივებად.
ამოანათებს ცის ღია კარში.
ალმოსავლეთის უჭკნობი ვარდი
და განთიადზე ოპერის ბაღში
ძეგლთან დადგება აკაკის ლანდი.

დიდ ხელოვანს — მსახიობ ვერიკო ანჯაფარიძეს ეძღვნება დ. პატატიშვილის ლექსი „ვერიკო ანჯაფარიძეს". გამოჩენილი მსახიობის შესრულებით მაყურებელს უნახავს ბევრი მოქმედი პირის დასამახსოვრებელი სახე.

ყოველივე ამით მოხიბლული პოეტი ასე მიმართავს დიდ ხელოვანს:

სიყვარული და სიძულვილი მუდამ მტრებია,
ყოველი გმირი სიკვდილს ხვდება მშვიდად, მეფურად,
ატირებულხარ,. გარდაცვლილხარ და უნებურად
შენებრ ლამაზად მეც სიკვდილი მომნატრებია.

დ. პატატიშვილის მიერ პატრიოტულ-მეომრული სულისკვეთებით შექმნილი ლექსები გაერთიანებულია სათაურით „გზაჯვარედინზე".

მიუხედავად ფრონტული მძიმე დღეებისა, პოეტს ერთი წუთითაც ვერ შეაშინებს სიკვდილის ლანდი.

მიგულეთ ისევ სიკვდილის ურჩად,
ჟამთა გრიგალი მზეჭაბუკს ვერ მღლის, ხმამაღლა აცხადებს პოეტი. მისივე თქმით,
სამშობლოსათვის სიკვდილი გწამდეს
პოეზიაა უდიადესი.

დ. პატატიშვილის პოეტური სამყარო, მისი მეოცნებე ბუნება, სიცოცხლის წყურვილი, კარგად არის დახატული ლექსში „ფიქრები სანგარში".

სანგარში ვწევარ... წინ მთებია, უკან მთებია
და ჩანჩქერები ჩასძახიან უძირო ხრამებს,
დაიძახებენ, არწივები აფრინდებიან,
ყუმბარის ცეცხლით აანთებენ უძილო ღამეს.

მტერი ლამობს ააოხროს მისი სამშობლო, ქვეყნის დაძახილზე ჭუდზე კაცი გამოვიდა მშვიდობის დასაცავად:

ამღერებულებს, ჩვენი დროის მძლე ავთანდილებს,
სიცოცხლე გვინდა ბედნიერი სამშობლოსათვის — აცხადებს პოეტი.

სამშობლოს დასაცავად ხმალშემართულ მებრძოლ პოეტს თვალწინ უგდებს თავისი ქვეყნის მთები, ველ-მინდვრები, მდინარეები, ყოველ წუთს აგონდება თავისი დედა, მამა, ყველაფერი ეს პოეტს თავისი ჭაბუკობის პერიოდს ახსენებს:

ვინ იცის, იქნებ დედაჩემი ეზოში დადის,
იქნებ არ სძინავს, უნებურად გაუფრთხა ძილი,
მის წინ თამაშობს ჩემი ყრმობის ცისფერი ლანდი,
შორს საზღვარზე ჰყავს გაგზავნილი მეომრად შვილი.
ჭალარა მამა ჭაბუკივით ეტრფის ვაჟკაცებს,
რაინდებს ლოცავს ტკბილ ქართულით, სველი ხელადით,

ამ მშფოთვარე პერიოდში მებრძოლი ბევრ რაღაცაზე ფიქრობს, მაგრამ სიკვდილის შიში არ გაკარებია მის გულს:

ჩადგა გრიგალი, სიყვარული ვარსკვლავებს ვკითხე,
ჩავეკარ მიწას, სიყვარული შევფიცე ამით,
მე ყველაფერზე, ყველაფერზე ვიფიქრე დიდხანს,
მაგრამ სიკვდილზე, მეგობრებო, არც ერთი წამით.

პოეტს ღრმად სწამდა, რომ ომის დამთავრდებოდა, ქვეყანა ჭრილობას მოიშუშებდა, ხალხი კვლავ ჩადგებოდა შრომის ფერხულში:

ეს ომი შექმნის ეპოქას ახალს,
ეს სისხლი ვარდად გადაიშლება,
მიწა კვლავ ნახავს სხვა დროს და სხვა ხალხს
და მზე ზეცაზე არ წაიშლება,
ომიც ჩადგება ვით ქარიშხალი,
მოვლენ დღეები მშვიდი და მყუდრო,
მკერდს დააჩნდება ბრძოლის ნიშანი
და სიყვარული ილაღებს უფრო...
ეს ომი მრავალ გმირობას ბადებს...
მიტომ იბრძვიან გოლიათები,
რომ ხალხსა და ცას, მიწას და ბაღებს
ადგეთ სიმშვიდე, როგორც ნათელი!
(„ეს ომი შექმნის ეპოქას ახალს“)

დ. პატატიშვილს ღრმად სწამდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კუთხეს, საკუთარ ოჯახს დაუბრუნდებოდა.

დ. პატატიშვილის მშობლებისათვის ფრონტიდან არაერთხელ გამოუგზავნიათ მადლობის წერილები მათი შვილის საბრძოლო წარმატებებისათვის.

ბოლო პერიოდში დ. პატატიშვილი ლიტვაში ებრძოდა ფაშისტებს.

პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე დ. პატატიშვილის ლექსების შესახებ წერს: „ეს ლექსები იმ ადამიანს ეკუთვნის, რომელსაც არ შეუძლია არ წეროს. არ შეუძლია ამავე დროს უშუალო არ იყოს და არ შეუძლია ნათლად და უბრალოდ არ გადმოგვცეს ის, რასაც განიცდის. ეს სტრიქონები კონკრეტულად არ თამაშობს, არც რაიმე ლიტერატურულ თეორიას თუ კანონს არ ამტკიცებს თავის ლექსებში, გარდა ერთისა, რომ პოეტმა უნდა განიცადოს, ეს განცდა უნდა იყოს ნამდვილი და არა გამოგონილი, და შემდეგ სხვასაც უნდა განაცდევინოს.[1]

დ. პატატიშვილის ფრონტელი მეგობრები იგონებენ, რომ მას ასეული სანგრებიდან წამოუშლია, მათ წინ გაძღოლია და მტრის წინააღმდეგ იერიშზე გადასულად, ეს ყოფილა 1944 წლის 15. ამ იერიშის დროს და პატატიშვილი გმირულად დაღუპულა.

ერთ-ერთ ლექსში პოეტი წერს:

და ასე ვიწვი მგოსნის ოცნებით,
მივსდევ ქარიშხალს, დღეებს ბურიანს,
თუ დავეცემი, კვლავ გავცოცხლდები,
პოეზია ხომ სასწაულია.

ეს სიტყვები საბედისწერო აღმოჩნდა პოეტისათვის, ის დაეცა გმირის სიკვდილით, მაგრამ დარჩა მისი ლექსების წიგნები, რომელიც პოეტის სახელს დავიწყებას არ მისცემს.

---

[1] დ. პატატიშვილი, დიადი სიჭაბუკე, ირაკლი აბაშიძის შესავალი წერილი, თბ., 1961 წ., გვ.8.

ვაჟიკა ფხოველი

თიანეთის რაიონი ორმა შინმოუსვლელმა პოეტმა გამოაჩინა, ესენი გახლავთ მირზა გელოვანი და ვაჟიკა ფხოველი.

ვაჟიკა ფხოველი (დიმიტრი იოსების ძე ცალხელიშვილი) დაიბადა თიანეთის რაიონის სოფელ საყდრიონში 1921 წელს. არმიაში გაიწვიეს 1941 წელს. იბრძოდა რიგით ჯარისკაცად, დაიღუპა 1945 წელს ბერლინის მისადგომებთან. ვაჟიკა ფხოველის ლექსები არმიაში მის წასვლამდე და ომის პირველ დღეებში იბეჭდებოდა ჟურნალებში „ჩვენს თაობაში", „პიონერში", გაზეთებში „კომუნისტში", „ნორჩ ლენინელში".

ნიკა აგიაშვილი თავის წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად" ვაჟიკა ფხოველზე შემდეგს მოგვითხრობს: „კოხტადაცქვეტილულვაშებიანს ზედგამოჭრილივით უხდებოდა ფსევდონიმი – ვაჟიკა ფხოველი. თეთრი ტილოს ხალათზე მუდამ შალის ჟღალი „ტუჟურკა" ჰქონდა მოცმული და კიზირიოკიანი რუსული ქუდი ეხურა. გაბრიელ ჯაბუშინურს, მირზა გელოვანს და სხვა უფროს ამხანაგებს ისე დაჰყვებოდა, თითქოს მთებიდან პატარა ძმა ჩამოსვლიათო.[1]

თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ილო ბეჟანიშვილი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 1963 წლის 22 თებერვლის ნომერში (№8) ვაჟიკა ფხოველზე წერდა: „სამწუხაროდ, მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა პოეტის სიცოცხლე. 1941 წლიდან იგი გაბედულად მიაბიჯებდა ომის გზებზე. ბრძოლებით გაიარა უკრაინა, ბალტიისპირეთი, პოლონეთი, გადალახა მდინარეები – დასავლეთ ბუგი და ვისლა. 1945 წლის იანვარში მტრის ტერიტორიაზე მონაწილეობდა ქალაქების – ლინდსბერგის, მეზერიტის, შვიბუსისა და ცილხაუს აღებაში. მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ძალზე დასანანია, რომ ვაჟიკა ფხოველს, ამ ახალგაზრდა მზარდ პოეტს ომის ქარიშხალმა სწორედ მაშინ მოუსწრო, როცა იფურჩქნებოდა მისი პოეტური ნიჭი. იგი მთელი გულით შეჰხარო-

---

[1] ნ. აგიაშვილი, ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ., 1980 წ., გვ. 200-201.

და მომავალს, მაგრამ უდროოდ წასულმა, საძმო საფლავში ჩაიტანა ბავშვური ღიმილი, ჭაბუკური ოცნება და პოეტური ჩანაფიქრი. გაელვებას ჰგავდა ვაჟიკა ფხოველის გამოსვლა ჩვენს პოეზიაში. ბევრი მისი ნაწერი დაიკარგა, უფრო მეტმა, ალბათ, სანგრებში სისხლით ნაწერმა, ჩვენამდე ვერ მოაღწია.[1]

ვაჟიკა ფხოველის ლექსები შეკრიბა და 1986 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პოეტმა ვახტანგ გორგანელმა. მანვე დაურთო წინასიტყვაობა, რომლის სათაურია: „მე სამშობლოთი ამაყი ვიყავ“. წინასიტყვაობაში ნათქვამია: „გულისტკივილით ვიგონებ სიყრმის მეგობარს ვაჟიკა ფხოველს. კვლავ თვალწინ მიდგას მისი სახე და ასე მგონია, საცაა შემომიღებს კარს, მაგრამ, ვაი, ახლა მას შინმოუსვლელი ჰქვია, არადა რა არაჩვეულებრივი ახალგაზრდა იყო, ნიჭიერი, გულმართალი, ულალატო, პირდაპირი, მუდამ კარგის მაძიებელი და უშელავათო შემფასებელი. მასთან საუბარი, კამათიც ერთ რამედ ღირდა. ის რომ ლიტერატურაზე, ისტორიაზე და ენათმეცნიერებაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, იტყოდი, როდის მოასწრო ამდენი რამის წაკითხვაო. კიდევ ერთი სახარბიელო თვისება ჰქონდა: გაიცნობდი თუ არა, მაშინვე თავის გავლენის ქვეშ მოგაქცევდა, წიგნს შეგაყვარებდა, გზაზე დაგაყენებდა, ცხოვრების აკვარგზე ჩაგაფიქრებდა, კალამს აგაღებინებდა ხელში, ბედს სცდიდი: თუ ჰო, ხომ კარგი; თუ არა, სიტყვის თაყვანისმცემლად ხომ მაინც დარჩებოდი, ესეც საქმე იყო.

ასე სწამდა: ვინც შემოქმედების ფასი იცის, ის ცუდ გზას არ დაადგებაო.

შემოქმედებით პაექრობასა და შეჯიბრებაში მიდიოდა ჩვენი სიჭაბუკე.[2]

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის ბუნების წიაღში დაბადებული და გაზრდილი პოეტის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ბუნების აღქმასა და განცდას.

ლექსში „დილა“ ნათქვამია.

---

[1] ი. ბეჟანიშვილი, ვაჟიკა ფხოველი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1963 წ., 22 თებერვალი.

[2] ვაჟიკა ფხოველი, მე სამშობლოთი ამაყი ვიყავ, თბ., 1986 წ., გვ. 4

დღემ ფხოვეთში ბნელი დასცა,
ამ გულივით ცაა სუფთა,
მზე ქალივით მოიტაცა
და შიგ მკერდში ჩაიხუტა.
შემოვიდა როგორც გმირი,
შემოაღო კარი ფრთხილად
და მთებში ომგადახდილი
არაგვს გაჰყვა ბარში დილა.

აქ საინტერესოა არამარტო დღისა და ღამის მონაცვლეობის სურათის დახატვა. არამედ მხატვრული გააზრება იმისა, რომ ადამიანისათვის მთავარია იმედიანი დილის მობრძანება, რომელიც სიბნელეს – ამ შემთხვევაში ღამეს ამარცხებს. აქ კარგად ჩანს ადამიანსა და ბუნებას შორის არსებული აუცილებელი სასიცოცხლო კავშირი.

ბუნების მეჯლისი, მისი მორთულ-მოკაზმულობა ადამიანსაც სიმღერის ხასიათზე აყენებს:

ძირს მშვიდი არის ფხოვეთი,
ჰშვენის სიმწვანე, მინდორი,
სულ იყავ ასე ლამაზი
ამქვეყნად სხვა რა ვინდომო!
აყვავდი აყვავებული;
გულ-მკერდს გიმშვენებს ველია,
შენგნით დამტკბარი ვაჟები
შენზე სიმღერებს მღერიან.

როგორც ლექსის შინაარსიდან ჩანს, ადამიანი და ბუნება სრულ ჰარმონიულობაში არიან ერთმანეთთან.

ლექსში "გაზაფხული ხუდადოვის ტყეში" დახატულია ბუნების გამოღვიძება გაზაფხულზე. ხუდადოვის ტყეს გულში ჩაუკრავს ცხრა ძმის საფლავი, მათ ხსოვნას ის სათუთად ინახავს. ბუნების ამ სიმშვენიერის დახატვისას პოეტი არ ივიწყებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ომში გმირულად დაღუპული ვაჟკაცების სახელებსაც. ფერი იცვალა მთაწმინდამ, სასიმღერო ჰანგები მოედო თბილისის ქუჩებს.

ჰყვავის მთაწმინდა, ცელქი ნიავი,

თბილისის ქუჩებს ეალერსება,
რომ სასიმღეროდ სიტყვა ფრთიანი
გამოაფინონ ლექსის მწყემსებმა.

სხვადასხვა სურათია დახატული ლექსებში: „დილა მთაში“, „გზად“, „გაზაფხული“. „შემოდგომის დილა“, „ზამთარი“.

ვაჟიკა ფხოველის შემოქმედებაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირიკას. პოეტის ლექსებიდან ჯანსაღი, სპეტაკი ვაჟკაცური სიყვარული შემოგვნათის. პოეტი სატრფოს ასე მიმართავს:

აი, ისევ შეგხვდი, გნახე
და ვამაყობ შენით, მზაღო,
ვაჟკაცური შენი სახე
რომ ამშვენებს ბარიახოს.
არ ვზოგავდი შენთვის ამ გულს,
შენ გეტრფოდი და ვიწვოდი,
ფხოვეთიდან გადაკარგულს
თუ მიცდიდი, რა ვიცოდი.

ლექსი „პაემანი“ სიყვარულის თემას ეხება. ამ ნაწარმოებში საინტერესოდაა ჩართული ქართული ანდაზა „კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანს“. ქალ-ვაჟს გადაუწყვეტიათ ბუნების წიაღში შეხვდნენ ერთმანეთს:

ამ დღეს საპაემნოდ
აქ, არაგვთან, მე და შენ
ეს ადგილი ვირჩიეთ,
კლდეს რომ ტალღას აჯახებს.
რა ვიცოდით, თუ რომ გზა
აქეთ ჰქონდა დედაშენს,
პაემანზე მოგვისწრო
სიყვარულის ყაჩაღებს.
დარცხვენილ შეყვარებულებს მოაგონდათ:
რომ სულ მუდამ კოკა წყალს
ვერ მოიტანს, ვერ ზიდავს
და იმ გზაზე გატყდება
რომელ გზაზეც მოგქონდა.

საინტერესოდაა ჩაფიქრებული ლექსი „უშენოდ“. შეყვარებულ ვაჟკაცს სურს, რომ სატრფოს სახე მუდამ თვალწინ ედგას, უფრო ზუსტად, ხშირად ხედავდეს მას, მაგრამ იძულებულია მხოლოდ მოგონებებით დაკმაყოფილდეს:

სადა ხარ, საით წახვედი,
სად ეგებები დილას.
შენი ნაწნავი მგონია
ცაზე ღრუბლების ფთილა.
რომ მეთქვა შენი სახელი
ვერც კი მოვასწარ, ქალავ,
მას შემდეგ მაგ შენს ხატებას
გულის სიღრმეში ვმალავ.
შეყვარებულებს საპაემანოდ მცხეთა აურჩევიათ.
კარგო, ერთმანეთს შევხვდით მცხეთაში
ვნახეთ მტკვარი და მას ზღვა ვუწოდეთ.
როგორ ვესტუმრეთ ამ ზღვას მე და შენ,
ალბათ, ჩვენს გარდა არვინ უწყოდა.

ტკბილი საუბრით კმაყოფილებს დიდხანს არ სურდათ ამ ზღაპრული ადგილის დატოვება. მაგრამ თბილისი ელოდათ.

ალარ გეწადა „ზღვის“ დატოვება,
წყლის შეყვარებულს უწყლოდ გრცხვენოდა,
როცა ფიქრები ფიქრებს მოება,
მივხვდით, თბილისი რომ მოგველოდა...

ამბობენ: „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა“. სწორედ ასეთ სიყვარულზეა ლაპარაკი ლექსში „ზოგიერთ ქალიშვილს ზოგიერთი ვაჟიშვილისაგან“.

ვერ მხედავ, ნატრობ – ნეტავ მაჩვენა,
არ გიძლებს გული და, ვიცი, დარდობ,
გახარებს მხოლოდ ცალკე დარჩენა,
ჩემზე ოცნება და ფიქრი მარტო.
თუ არ გიყვარვარ, მაშ რაღად მეტრფი,
თავს სიყვარულით რაღად ატყვევებ,
სწორე მითხარი, ვიდრე სხვა მეტყვის,
მე მატყუებ თუ შენს თავს ატყუებ?

ვაჟიკა ფხოველის სატრფიალო ლირიკა გამოირჩევა საყვარელი არსებისადმი ნაზი, ნატიფი დამოკიდებულებით, იგი შორსაა ხორციელ ვნებათა აპოლოგიისაგან. სიყვარული მის ლექსებში ადამიანის ამამაღლებელი, განმწმენდელი და გამაკეთილშობილებელი გრძნობაა.

ვაჟიკა ფხოველის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიული წარსულის ჩვენებას.

ბევრ მტარვალს აულესავს ხმალი საქართველოს წინაალმდეგ, ზოგჯერ საქართველო დამარცხებულა კიდეც, მაგრამ სასოწარკვეთილი არავის არ უნახავს მტრისათვის ზურგი არ უჩვენებია, საბოლოოდ მას რგებია გამარჯვება:

შენ თავს იცავდი მტარვალთაგან
ვაჟკაცურ გარჯით,
დასაბამიდან სიმამაცე გფარავდა
მხოლოდ,
შეინარჩუნე გმირულ ბრძოლით სიცოცხლე
ბოლოს
და ქვეყანაზე გამარჯვების სიმბოლოდ
დარჩი.

დადგა ახალი დრო, ფერი იცვალა საქართველომ, სიმღერის ხასიათზე დადგა ხალხი, მათ შორის პოეტიც:

სამშობლოს ველო, მინდორო,
სამშობლოს დღეო, მზიანო,
სიცოცხლე როგორ ვინდომო,
მტერმა რომ დაგაზიანოს.
ცათამდის ამაღლებულხარ
შენი ახალის ფერითა;
არაგვის ცეცხლით გამთბარო,
ხელში სინათლის ჭერითა.

პოეტი ვაჟა-ფშაველას მოუხმობს, რომ მან სამშობლოს სადიდებელი სიმღერით დაატკბოს მისი ქვეყანა:

სად არის ვაჟა-ფშაველა,
კიდევ დაგატკბოს მღერითა,
გახაროს, თვითონც იხაროს,
დედასამშობლოს ცქერითა.

ვაჟკაცა ფხოველი მარტო სამშობლოს წარსულით როდი ამაყობს, მხოლოდ წარსულის სიდიდეს როდი უხდის ხარკს, იგი თანამედროვეობაში ხედავს საამაყოსა და სადიდებელს.

პოეტი ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ ქვეყნის წინსვლა და წარმატება დიდად არის დამოკიდებული ხალხთა მეგობრობაზე. ხალხთა მეგობრობას მტკიცე საფუძველი უნდა ჩაეყაროს ქვეყნის შიგნით და გარეთაც.

არ მოგდგამს ჯიშად ბრძოლაში დაღლა
და უსირცხვილოდ გატეხა ფიცის.
ჩვენ მეგობრობა გვწინამძღვრობს ახლა
და დღეგრძელობა გვალალებს მისი. („მეგობრობა“)

ახალმა დრომ ცხოვრების ახალი წესი შემოიღო, ამ თემას ეხება ვრცელი ლექსი „ფხოველთი“. მას შეიძლება პოემაც ვუწოდოთ. ეს ნაწარმოები ოთხი თავისაგან შედგება, ესენია: 1. „საფიხვნო“; 2. „ფხოველთის დაბადება“; 3. „ფხოველები“; 4. „მოხუცის სიმღერა“.

თითოეულ თავში დახასიათებულია ძველი ყოფის ადათ-წესი, რომელიც ახალმა დრომ მოგონებად შემოუნახა შთამომავლობას. დღეს კი:

მთებში რისხვად მოვლენილი დრო წავიდა,
მგლის ლეკვივით გაჰყვა წესი წარმართული,
და დღეს, როგორც ვეფხვნი წელში გამართულნი,
ფხოველები ჩამოდიან ორწყალიდან.

ეს ლექსი ძალზე თანამედროვეა და უშუალოდ გამოხატავს მშრომელი ხალხის ცხოვრებას, ახალი საქართველოს შენების პათოსს.

ვაჟკა ფხოველის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ე.წ. მიძღვნით ლექსებს, რომლებშიც იგი სახელოვან წინამორბედთა, საქართველოს რჩეულ მწერალთა სახელებს აცოცხლებს.

ლექსთა ასეთ წყებას მიეკუთვნება: „ილია და ვაჟა“ „ალექსანდრე ყაზბეგს“, „წავიდა მწყემსად“.

ლექსში „ილია და ვაჟა“ აღწერილია, თუ როგორ ესტუმრა დიდ ილია ჭავჭავაძეს ასევე დიდი სტუმარი – ვაჟა ფშაველა და როგორ ჩამოუტანა ილიას მთიდან ლექსებით სავსე ხურჯინი:

არწივს ესტუმრა არწივი,

მთით ჩამოსული ბარადა,
ხურჯინით ჩამოიტანა,
მთელი ფხოვეთის ბარაქა.
დაუშრეტელი მარაგი,
ქართული სიტყვის დიდება,
მთათა გულ-მკერდის ნაჟური
ულეველ მარგალიტებად.

დიდმა ვაჟამ ლექსების კითხვა დაიწყო, ერის მამა ილია გულისყურით უსმენდა. ბოლოს დიდად კმაყოფილი ორივე ბუმბერაზი ერთმანეთს ეამბორა:

მერე შეწყდება კითხვა და
სიტყვის მთასავით გორება.
ორი ძმასავით შეზრდილი
ერთმანეთს ეამბორება.
დატკბება გული მასპინძლის,
სტუმრის გრძნობა და გონება,
ადგება ბარის არწივი,
მთის არწივს ეამბორება.

ლექსი კომენტარს არ მოითხოვს, ყველაფერი გასაგებია. ასე სცემდნენ ერთმანეთს პატივს ქართული მწერლობის ბუმბერაზები — ილია ჭავჭავაძე და ვაჟა ფშაველა და თავიანთი სიცოცხლის მთელ მანძილზე საქართველოს უკეთესი მერმისისათვის იბრძოდნენ.

ლექსი „ალექსანდრე ყაზბეგს“ გვისურათებს საქართველოს ყოველი კუთხის — მათ შორის ყაზბეგის განახლებულ ცხოვრებას. ძველი ცხოვრებით განაწამებმა ყაზბეგმაც თავი დააღწია მონობის უღელს. მთაშიც დაჰბერა თავისუფლების სიომ.

ჭაბუკი პოეტი ასე მიმართავს დიდ მწერალს — ალექსანდრე ყაზბეგს:

უთხარი ვაჟა-ფშაველას,
გულს ნუ იხოკავს, ტიალი,
დღეს წალმა შემოტრიალდა
სოფლის უკუღმა ტრიალი,
შენ, მყინვარწვერის არწივო,
ცას მოგლეჯილო მთვარეო,

აღსდექ, იხილე სამშობლო,
შენი ელგუჯას მხარეო.

ვაჟიკა ფხოველის კალამს ეკუთვნის ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილი მეორე ლექსი „წავიდა მწყემსად“. ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგმა მშრომელი ადამიანის ცხოვრების პირობების გაცნობის მიზნით მწყემსობა გადაწყვიტა. მის ამ ნაბიჯს გულისწყრომით შეხვდნენ ოჯახის წევრები,. ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები. ისიც ფაქტია, რომ მეცხვარეობაში მიღებული ცოდნა მწერალმა შესანიშნავად გამოიყენა თავის შემოქმედებაში. მწყემსის ცხოვრება არ იყო მშვიდი და წყნარი:

წვიმდა და ღამეს ათევდა, ამ დროს
ფარეხთან ჰყავდა გაშლილი ფარა,
ნაბადმოსხმული უძილო სანდრო
კავს დაყრდნობოდა და იდგა წყნარად.
სულის სიმშვიდე ველარც აქ ნახა,
მისდევს ფეხდაფეხ წყრომა და გესლი,
მასში გაერთდა კარგი და გლახა –
ბატონიშვილი და ვიღაც მწყემსი.

ლექსის ავტორის თქმით, „იგი სხვა სულით მოვარდა ხევში“. ალ. ყაზბეგის დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე შესანიშნავად დაახასიათა დიდმა ილია ჭავჭავაძემ.

ვაჟიკა ფხოველს ეკუთვნის ბალადა: „ხარება და გოგია“. ამ ბალადას წამძღვარებული აქვს შემდეგი ეპიგრაფი. „ხარება და გოგია ცნობილი რევოლუციონერები იყვნენ. 1905 წლის შემდეგ რეაქციის მოციქულებს თავზარს სცემდნენ. ათი წლის განმავლობაში მათი თავშესაფარი საბადურის ტყე იყო, სადაც მტარვალებთან ბრძოლის დროს დაიღუპნენ“.

ხარება და გოგია ძმადშეფიცულები იყვნენ, ორივე მედგრად ებრძოდა მტერს. თითქოს ბუნებამაც იგრძნო მათი სიცოცხლის დასასრული:

ღამე გაუარესდა,
როგორც სევდა ბესიკის,
მთვარე, თითქოს მოღლილი,
გადიხარა მთებს იქით,
დაიღალა გოგია,

დაოსილი დაეცა,
საბადურთან დალია
სული, მტერს არ გაექცა.

ხარება დაეკონა გოგიას და ცხარე ცრემლებით დაიტირა, მაგრამ მასაც არ ჰქონდა დიდი ხნის სიცოცხლე.

ფიცით დაემშვიდობა
გრძნობით და სიყვარულით,
მაგრამ იქვე დაეცა
მტრისგან ტყვიადაკრული.

ვაჟიკა ფხოველი როგორც განათლებული პიროვნება ყურადღების გარეშე არ ტოვებს პოეტისა და პოეზიის დანიშნულების საკითხს. „ესეც ლექსია და პოეზია“ ამ თემისადმია მიძღვნილი. პოეტი სამართლიანად მიუთითებს, რომ ქართველი კაცი ბრძოლაში ხმალსა და სიტყვას თანაბრად ხმარობდა. პოეტური სიტყვა ისე ჭრიდა, როგორც ხმალი.

ალბათ ლექსებმა მთები დასეტყვა
და ლექსად იქცა თითქმის ყოველი,
აქ ძველთაგანვე ხმალსა და სიტყვას
ხომ ერთნაირად ხმარობს ქართველი.

პოეზიის ბრძოლისუნარიანობაში დარწმუნებული პოეტი აცხადებს:

ქარი ქრის ისევ, არაგვის ღელვა
ატეხილ ჭალებს შემოესია.
ალბათ, როგორ მე, არავის სჯერა,
ესეც ლექსია და პოეზია.
(„ესეც ლექსია და პოეზია“)

ვაჟიკა ფხოველის შემოქმედების ძირითადი თემა სამშობლო და მისი დაცვაა. პოეტს სამშობლოს დაცვის გარეშე ადამიანის სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია:

სამშობლოს ველო მინდორო,
სამშობლოს დღეო მზიანო,
სიცოცხლე როგორ ვინდომო,
მტერმა რომ დაგაზიანოს („სიმღერა“)

სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ვაჟკაცს, რომელიც ბრძოლის ველზეა და მომხდურ მტერს ანადგურებს, პოეტი ასე მიმართავს:

ჩემო ფოლადის არწივო,
არ გინდა ხვეწნა, მუდარა,
მებრძოლის გულის საამოდ,
ვიცი მზადა ხარ მუდამა.
შენი გზა-კვალის მლოცავი,
ვლულუნებ, როგორც ქედანი,
მტარვალზე გამარჯვებული
შენი ერთგული მხედარი.
მაშ გასწი, გაინავარდე,
გაფრინდი, ჩემო არწივო,
სამშობლოს დროშა გაშლილი
რომ უფრო მაღლა ავწიოთ. („გაფრინდი, ჩემი არწივო!“)

სამშობლოს დაცვის თემას ეხება ვაჟიკა ფხოველის ლექსი „წერილი ფრონტიდან“. პოეტს გადაუვიწყნია ყველაფერი, გარდა ერთისა. ეს ერთი – სამშობლოს დაცვაა.

დღეს ჩემი სატრფო ტყვიამფრქვევია,
ეს ბრძოლის ველი – წვა და ტრფიალი,
ტყვიას მტრის გული დაუხვევია
და დაფლეთილი გდია ტიალი.

საბრძოლო მოწოდებად გაისმის ამ ლექსის თითოეული სიტყვა. პოეტი ღრმად არის დარწმუნებული თავისი ქვეყნის ომში გამარჯვებაში. ქართველ ხალხს სამშობლოს დაცვა არ ესწავლება, მას საჭიროების შემთხვევაში ხმალი და კალამი თანაბრად ეჭირა. შემოსეულ მტარვალებს ცეცხლის ენამ უნდა გასცეს პასუხი.

დღეს ესაა ყოველი ქართველის მოვალეობა.
მტერს ვაჟკაცურად უნდა დახვედრა,
ხალხის მტარვალებს – ცეცხლით პასუხი.
ათასი გული ერთად ამხედრდა,
ათასი გული ერთ სიტყვას უცდის.
ლექსის დასასრული ასეთია:
მწამს, შეიცვლება სინათლით მწუხრი,
ჩვენი იქნება მწამს გამარჯვება.

(„წერილი ფრონტიდან“)

სიტყვა „გამარჯვება“ ჭაბუკი პოეტის თქმით, ქართველმა კაცმა ბრძოლით მოიპოვა. ქართველი ქართველს პირისპირ როცა შეხვდება, მათი ურთიერთმიმართვის პირველი სიტყვა არის „გამარჯვება“.

გამარჯვებულმა გმირთა გმირმა
მრავალჯერ მტერზე
ეს გამარჯვება მთელი ქვეყნის
ხალხებს აჩვენა
და მიტომ შეგვრჩა სალმად სიტყვა
ჩვენც „გამარჯვება“.

ვაჟიკა ფხოველის ლექსი „გამარჯვების ცისარტყელა“ ფრონტიდანაა გამოგზავნილი. ლექსში ნათქვამია:

„შენ სამშობლოთი ამაყობ მუდამ,
დღეს გიყვარს ისე, როგორც აროდეს
და სიყვარულიც ასეთი უნდა –
კვდებოდე მისთვის და არ ნანობდე.

პოეტს თავისი სამშობლოს მიმართ, მიუხედავად ჯარისკაცული ცხოვრების სიდუხჭირისა, სამდურავი არ დასცდენია, აღნიშნული ლექსის დასასრული ასეთია:

„და თუ გმირულად სამარე ჰპოვე,
გამარჯვების დღეს ვერ შეესწრები,
გაგაცოცხლებენ კვლავ ისევ პოეტს
ომგადახდილი შენი ლექსები.

დიდად სამწუხაროდ, პოეტი გამარჯვების დღეს ვერ მოესწრო, შინ ვერ დაბრუნდა, მაგრამ დარჩა მისი ლექსების კრებული „მე სამშობლოთი ამაყი ვიყავ“, რომელიც ვაჟიკა ფხოველს შინმოუსელელ ჭაბუკ პოეტთა შორის ყოველთვის შეუნახავს ღირსეულ ადგილს.

ლიტერატურა

1. ასათიანი ლ. – ერთტომეული, თბ., 1979.
2. აბაშიძე გრ.,... და ლექსად იქცა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1987წ. 10 ოქტ.
3. აბაშიძე ირ. დღეს სამოცდაათის, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1987წ. 10 ოქტ.
4. აგიაშვილი ნ., ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ., 1980.
5. აგიაშვილი ნ., პირად-პირადი, თბ., 1986.
6. აგიაშვილი ნ. შემოქმედებითი გატაცებით, გაზ. „ქუთაისი“, 1967წ. 7 ნოემბ.
7. აგიაშვილი ნ., ლექსის სიჭაბუკე, გაზ. „კომუნისტი“, 1967წ. 25 იანვ.
8. აგიაშვილი ნ. „უნდა მოხდეს შერიგება“, გაზ. ლიტერატურული საქართველო“, 1988წ., 22 იანვარი.
9. აგიაშვილი ნიკას არქივიდან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1955წ., 1995წ. 16-23 ივნისი.
10. ავალიანი ლ. დიდი სიჩუმის ეჭო, თბ., 1982.
11. ავალიანი ლ., „ჰეი, თქვენ არაგველებო...“ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987წ., 9 ოქტომბერი.
12. ალავიძე მ., ლადო ასათიანი (ბიოგრაფიულ-მემუარული ნარკვევი), ჟურნ., „რიონი“, 1961წ., №4.
13. ალავიძე მ., ლადო ასათიანის სამშობლოში, გაზ. „ქუთაისი“, 196წ. 28 თებერვალი.
14. ალავიძე მ., „უკვდავი იყოს სახელი მისი“, გაზ. კომუნიზმის სხივი, 1967წ. 14 იანვ.
15. ალავიძე მ., პოეტური ქარა „სალაღობოდან“, გაზ. „ქუთაისი“., 1967წ., 23 ივნისი.
16. ალავიძე მ., უკვდავი მესიტყვე, გაზ. „კომუნიზმის სხივი“, 1967, 4 თებერვალი.
17. ალავიძე მ., ზეიმი ბარდნალაში, გაზ. „ქუთაისი“, 1971წ., 12 მაისი.
18. ალავიძე მ., 565 წლის ლადო ასათიანი, გაზ. „ქუთაისი“, 1972წ. 15 იანვ.

19. ალავიძე მ., ფიქრები ლადო ასათიანზე, გაზ. „კომუნიზმის სხივი“, 1975წ. 6 თებერვალი.
20. ალავიძე მ., ლეჩხუმის ტოპონიმია, ჟურნ. „განთიადი“, 1982წ.
21. ალავიძე მ. „სალაღობოს“ ფილოლოგიური განხილვა, ჟურნ. „განთიადი“, 1987წ. №2.
22. ალავიძე მ., რას მეტყველებენ დოკუმენტები, გაზ. „ქუთაისი“, 1988წ. 13 იანვ.
23. ამისულაშვილი შ. პოეტი ჯარისკაცის უკვდავება, გაზ. „კომუნისტი“, 1976წ, 18 ივლისი.
24. ალხაზიშვილი გ., „მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987წ. 9 ოქტ.
25. ასათიანი გ., საუკუნის პოეტები, თბ., 1988.
26. ასე იტყვიან ჩემზე. მოგონებები ლადო ასათიანზე, 1987.
27. აფხაიძე შ., ადამიანები და წიგნები, თბ., 1964.
28. აფხაიძე შ., სიჭაბუკის მომღერალი, ჟურნ. „მნათობი“, 1958წ. №6.
29. ბაიაძე ვ., დიდი ლიტერატურა პატარებს, თბ., 1984.
30. ბარბაქაძე თ., 10 წერილი ქართულ ლექსზე, თბ., 1993.
31. ბარბაქაძე თ., „...და მაინც ცისკენ, ბროლკრიალა მეცხრე ცისკენ!“, ნ.დარბაისელის „დილისპირულის“ წინასიტყვაობა, თბ., 2002გ.
32. ბარბაქაძე რ., ფერის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1993.
33. ბარნოვი გ. ლადო ასათიანის შემოქმედების ზოგიერთი ხალხური წყაროს შესახებ, ჟურნ.„მაცნე“, 1968წ. №2.
34. ბარტი რ., ავტორის სიკვდილი, კრ. „სჯანი“, III, 2002.
35. ბენაშვილი დ., კრიტიკული ნარკვევები XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1967.
36. ბენაშვილი გ., ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდები, თბ., 1989.
37. ბენაშვილი გ., ლიტერატურულ მედიტაცია, თბ., 2002.
38. ბენაშვილი გ., ნიადაგ მარად მღერალი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2002 წ. 15-21 ნოემბ.

39. ბოცვაძე ი.,. ლადო ასათიანი, გაზ. „სტალინელი“, 1958წ., 22 ივნისი.
40. ბრეგაძე დ., „მოსაგონარი“, წიგნიდან: „ასე იტყვიან ჩემზე“, 1987.
41. გაწერელია აკ., ქართული კლასიკური ლექსი,I თბ., 1953.
42. გელოვანი მ., „ოცდამეშვიდე გაზაფხული“, თბ., 2001წ.
43. გვეტაძე ვ., დადიოდა ჭაბუკი პოეტი ქალაქში, ჟურნ. „დროშა“, 1987წ. №1.
44. გვეტაძე ვ. აკრძალული ლადო ასათიანი, ჟურნ. „დროშა“, 1991. №4
45. გიორგაძე ო., ბრძოლის სიმღერა დარჩა მარადის, თბ., 1985წ.
46. გიორგაძე ო. წერილი ბრძოლის ველიდან, ქუთაისი, 1971წ. 13 იანვარი.
47. გოგებაშვილი ი., თხზ., ტ.II, თბ., 1945წ.
48. გრიშაშვილი ი., საბავშვო მწერლობა, გაზ., „ქართული სიტყვა“, 1924წ. №29.
49. დოიაშვილი თ., ლექსის ევფონია, თბ., 1981.
50. დოიაშვილი თ., Enjambement, თბ., 2000.
51. დუმბაძე ნ., ლიტერატურული წერილები, ბათუმი, 1959.
52. დუმბაძე ნ. ქურიძე მ., ყმაწვილკაცობის ფურცლები, ბათუმი 1977.
53. დუმბაძე ნ., ლადო ასათიანის ყმაწვილკაცობის ფურცლები, ჟურნ., „ჭოროხი“, 1975წ. №5.
54. დუმბაძე ლ., ლადო ასათიანის ცხოვრების ერთი ფურცელი, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 2000წ.
55. ვაჟა-ფშაველა, თხზ., თბ., 1986.
56. ზანდუკელი ვ. „ყოფნა-არყოფნის ამსახველი ლექსები ქართულ ხალხურ ლირიკაში, ქართული ფოლკლორი XVII), თბ., 2002.
57. თათელაძე მ., ჩაშლილი რთველი, გაზ. „ქართველი ერი“, 1991 წ. 9 მაისი.
58. თეკერეი უ. ამაოების ბაზარი, წიგნი I, თბ., 1971.
59. თვარაძე რ., ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა, თბ., 2001.

60. თითმერია ჯ., ჯიში გმირული, ჯიში ქართული, გაზ., „ლიტერატურული საქართველო“, 1987წ. 9 ოქტ.
61. იოვაშვილი თ., დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველი მწერლები, თბ., 1967წ.
62. თითმერია ჯ., ზეცით კურთხევა მანდილოსანს, რომელსაც უყვარდა და რომელიც უყვარდათ!.. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1996წ. 2-9 თებერვ.
63. თომაძე მ., ახსოვს პოეტის სუნთქვა, გაზ „კომუნიზმის სხივი“, 1971წ., 6 მაისი.
64. ისიანი ს. ყველაფერს ვხედავ, თბ., 1951წ.
65. კაკაბაძე ზ. ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება, თბ., 1979.
66. კალანდაძე გ., მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიიდან, კრ., II, თბ., 1973.
67. კალანდაძე გ., ლადო ასათიანი (1917-1943), ჟურნ. „მნათობი“, 1971წ. №10.
68. კალანდაძე გ., ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1964. 69. კანკავა გ., სამი პოეტი, ჟურნ. „მნათობი“, 1960წ. №7.
70. კანკავა გ. ნაფეტვარიძე გ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1964წ. 21 თებერვალი.
71. კეკელიძე კ., შოთა რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი, ჭუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 29, 1966.
72. კენჭოშვილი ი., გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში, თბ., 1999.
73. კეცხოველი ნ., ადამიანი და ბუნება, თბ., 1974წ.
74. კვანჭილაშვილი ტ., ლადო ასათიანი, ჟურნ. „ცისკარი“, 1984წ. №9.
75. კვარაცხელია მ., სამი პოეტი, ალმანახი „პირველი სხივი“, ნაწ., II, 1951.
76. კვაჭანტირაძე მ., ოთარ ჭილაძის მხატვრული სისტემის სემიოლოგიური ასპექტები, თბ., 1999.
77. კვაჭანტირაძე მ., წერილები ლიტერატურაზე , თბ., 2001.
78. კიკნაძე გ., ლადო ასათიანი, ჟურნ. „ცისკარი“, 1958წ. №6.
79. კიკნაძე ვ., სიცოცხლის მომღერლები, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956წ. 1 მარტი.
80. ლამბერტი ა. სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.
81. ლებანიძე მ., „კრწანისის ყაყაჩოები

82. ლეონიძე გ., ცხოვრება ფიროსმანისა, ჟურნ. „მნათობი“, 1938წ., №6.
83. მამულაშვილი მ., „ორი მოგონება ლადო ასათიანზე“. წიგნიდან ასე იტყვიან ჩემზე, 1987.
84. მარგიანი რ. „ლიტერატურული საქართველო“, ვლ. უბილავას დაბადების 60 წლისთავი, 1976წ. 28 მაისი,
85. მეტრეველი რ., მეფე თამარი, თბ., 1991.
86. მეფისაშვილი გ., „ერთი საღამო აფხაზეთში“, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1971 წ. 3 აპრილი.
87. მირიანაშვილი თ., მ. გელოვანის 1933-1936 წ. ლირიკა, ჟურნ. „ცისკარი“, 1981წ. №4.
88. მიქაძე ა., სიყრმის მეგობრები, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1977წ. 31 ივლისი.
89. მიშველაძე რ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1998.
90. მიშველაძე რ., „მოკვდა თუ არა ყველამ აცხონა...“, „კრიტიკა“, 1987წ., №3.
91. მირცხულავა ბ., ბრძოლაში ნაწრთობი პოეზია, 1978წ.
92. მშვილდაძე ნ., ჭაბუკები დარჩნენ მარად„ ჟურნ. „მნათობი“, 1965წ., №1,
93. მჭედლიძე ი., რომ არა 1937 წელი, ლადო ცოცხალი იქნებოდა. ჟურნ. „სარკე“, 2001წ. 16-22 მაისი.
94. ნაფეტვარიძე გ.., ლექსები,ბალადები, პოემები, მოთხრობები, ფრონტული წერილები, 1970წ.
95. ნიკოლეიშვილი ავთ., XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი, 2002.
96. ნიკოლეიშვილი ავთ., XX საუკუნის ქართული ლიტერატუ ის ისტორიის ნარკვევები, I, ქუთაისი, 1994.
97. ნიკოლეიშვილი ავთ., პოეტური სიტყვის ზეიმი, გაზ., „ქუთაისი“, 1988წ. 13 თებერვ.
98. ნიჟარაძე ე., სისხლის ყოვილი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987წ. 9 ოქტ.
99. ორჯონიკიძე რ., ლადო ასათიანი, ჟურნ., „ცისკარი“, 1962წ., №4.

100. რაზმაძე მ., ალბომიდან, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1987წ, 10 ოქტ.
101. სამხარაძე გ., სევერიან ისიანი, ქუთაისის პედაგოგიური ინ-სტიტუტის შრომები, ტ. XXIV, 1962წ.
102. სანიკიძე ო., დედა ისტორია, I, თბ., 1986.
103. საბოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
104. საჯაია ალ., ნაადრევი ვარდები, 1987წ.
105. სიგუა ს., ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში, 1974წ.
106. სიგუა ს., ლიტერატურული პრელუდიები, თბ., 1974.
107. სირბილაშვილი მ., „ლამაზ წიგნს დაგახვედრებ“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1987წ. 10 ოქტ.
108. სიხარულიძე ქს., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949.
109. სპარსიაშვილი ა., ვინ იყო ჯურხა? გაზ. „სახალხო განათლება“, 1974წ., 12 ივლისი.
110. სტურუა დ., გ. ნაფეტვარიძე და მისი ლექსი, 1986წ. 2 ნოემბერი.
111. ტაბიძე ტ., წერილები, ნარკვევები, თბ., 1957წ.
112. უბილავა ვლ., ცეცხლი მზე. 1984წ.
113. უგულავა ი., ხაბაზთ უბანი – აბასთუმანი, ჟურნ. „დროშა“, 1977წ. №12.
114. ქარელიშვილი ე., „მცირე მოგონება“ წიგნიდან: ასე იტყვიან ჩემზე, 1987წ.
115. ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბ., 1950.
116. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950.
117. ქინქლაძე ზ., ქართული სადღეგრძელოები, თბ., 1996.
136
118. ქობულაია სპ., ასსანთლიანი ასათიანი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997წ. №9.
119. ქორიძე დ., სახელოვანი ქართველი ქალები, თბ., 1965.
120. ქორიძე ზ. ლადოს ყაყაჩო დამაკლდებოდა, გაზ., „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1987წ. 10 ოქტომბერი.
121. ქუთაისელ მწერალთა კრებაზე, გაზ. „სტალინელი“, 1937წ. 16 ივლისი.

122. ქურიძე შ., წერილები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზე, ბათუმი, 1962.
123. ქურიძე შ. ფურცლები ლადო ასათიანის ცხოვრებიდან, გაზ., „ქუთაისი", 1972წ. 14 ნოემბერი.
124. ქურიძე შ., ლადო ასათიანის უცნობი ლექსები, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1973წ. 25 თებერ.
125. ქურიძე შ., ჭაბუკი იყო, ქარბუქი იყო, ბათუმი, 1985წ.
126. ყურაშვილი ვ., აი, როგორ სწამდათ მისი, გაზ. „სტალინელი", 1961წ. 24 მაისი.
127. ყურაშვილი მ., საყვარელი პოეტი, გაზ. „კომუნიზმის სხივი", 1967წ. 6 მაისი.
128. შალამბერიძე გ. „...და შეეწირა პოეზიას, როგორც წმინდაი", გაზ. „სახალხო განათლება", 1987წ. 14 ოქტომბერი.
129. შალამბერიძე გ., პოეტის სტუდენტური დღეების გახსენება, ჟურნ. „ცისკარი", 1988, №1.
130. შალამბერიძე გ., მომღერალი მომღერლების ქვეყანაში, თბ., 1993.
131. შამელაშვილი რ., საჩუქარი პოეზიის მოყვრულთათვის, გაზ. „კომუნიზმის სხივი", 1977წ. 14 ივლისი.
132. შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონის ფოლკლორული ჩანაწერები, ჟურნ. „მაცნე", 1969წ., №5.
133. ჩარკვიანი ჯ. ბევრეული სიცოცხლე. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1977წ. 14 მისი.
134. ჩარკვიანი ჯ., საზეიმოდ თქმული, გაზ., „ლიტერატურული საქართველო", 1987წ. 9 ოქტ.
135. ჩარკვიანი ჯ., ხომ ლამაზია ეს საქართველო, გაზ. „კომუნისტი", 1987წ. 10 ოქტ.
136. ჩარკვიანი ჯ., ტანჯული პოეტი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 2002 წ. 15-21 ნოემბ.
137. ჩაჩიბაია ა., ქართველი კლასიკოსები და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის საკითხები, თბ., 1974.
138. ჩიქოვანი ს., ლადო ასათიანი, ჟურნ. „მნათობი"I, 1965წ. №11.
139. ჩიქოვანი ს., თხზ. ტ.III, 1967.

140. ჩიქოვანი მ., სიცოცხლის მოღერლი, გაზ. „კმოუნიზმის სხივი“, 1967წ. 6 მაისი.
141. ჩიქოვანი მ., ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971.
142. ჩიჩუა შ., კონკრეტული მხატვრული კონცეფცია, თბ., 1961.
143. ჩიჩუა შ., XX საუკუნის ქართული ლირიკა, გაზ. „ლიტერატურული სქართველო“, 1972წ. 18 აგვისტო.
144. ჩორგოლაშვილი მ., „ჩემი გაზაფხულის ყვავილები“, თბ., 1987.
145. ჩხარტიშვილი რ., ქართული ჟურნალისტიკის ნარკვევები, II ნაწ. თბ., 1980.
146. ჩხარტიშვილი რ., ეპოქის მხარდამხარ, თბ., 1984.
147. ჩხარტიშვილი ი., ლადო ასათიანი და საფო მგელაძე, ჟურნ. „განთიადი“, 1993 წ., №1-2.
148. ჩხეიძე ი., მ. გელოვანის ფრონტული ლექსები, ჟურნ. „ცსკარი“, 1981წ. №4.
149. ჩხეიძე ო. ალ საჯაიას თარგმანები, ლიტერატურა და ხელოვნება, 1947წ. 11ოქტ.
150. ცინცაძე ი., ბასიანის ბრძოლა, თბ., 1971.
151. ცხვედიანი ნ., საქართველოში გაჩენის ღირსი, გაზ. „კომუნიზმის სხივი“, 1977წ. 23 ივლისი.
152. ცხვედიანი ნ., ლადო ასათიანი და ნიკო ფიროსმანი, ჟურნ. „მნათობი“, 1992წ. №12.
153. წერეთელი აკ., პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, ტ..V, თბ., 1990.
154. წერეთელი აკ., ლადოლ ასათიანის ქალები და... მუზა, გაზ. „ვერსია“, 2000წ. 31 მაისი.
155. წოწონავა თ., კიდევ ერთხელ ლადო ასათიანზე, გაზ. „ქუთაისი“, 1985წ. 14 სექტემბერი.
156. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ.III, თბ.,I 1986.
157. ჭავჭავაძე ი., პუბლიცისტური წერილები, ტ. IV, თბ., 1987.,
158. ჭელიძე ვ., პოეტის ხატი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1977წ., 14 მაისი.

159. ჭელიძე ვ., ლიტერატურული პორტრეტები, 1971წ.
160. ჭელიძე ვ., ძვირფასი სილუეტები, თბშ., 1989.
161. ჭილაძე თ., ოთხი პოეტი, ჟურნ. „მნათობი“, 1956წ. №4.
162. ჭილაძე თ., ნიკო ფიროსმანაშვილი, ჟურნ. „მნათობი, 1972წ. №10.
163. ჭილაია ს., წინაპრები და მეგობრები, 1964.
164. ჭიჭინაძე კ., ალიტერაცია ქართულ შაირში, თბ., 197;.
165. ჭუმბურიძე ზ., ლიტერატულური წერილები, თბ., 1975.
166. ჭუმბურიძე ზ., „სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“, გაზ. „კალმასობა“, 1997წ. 10 ნოემბ.
167. ხერხეულიძე გრ., პოეზიის სამყაროში, თბ, 1971.
168. ხინთიბიძე აკ., გლაკტიონი თუ ცისფერყანწელები, თბ., 1992.
169. ხინთიბიძე აკ., ვერსიფიკაციული ნარკვევები, თბ., 2000.
170. ხინთიბიძე აკ., ქართული ლექსთმცოდნეობა, თბ., 2000.
171. ხინთიბიძე აკ., რითმა ლამაზი ოქროს ფასია, ჟურნ. „მნათობი“, 2002 წ. №11-12.
172. ხინთიბიძე აკ., „ბასიანის ბრძოლის“ ავტორი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2002წ., 15-21 ნოემბერი.
173. ჯანაშვილი დიმ., ისტორიული სურათები, ჟურნ. „ივერია“, 1982წ. №12.
174. ჯაჭველიანი დ., მათ ვინც არასდროს არ მივიწყებენ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1975წ. 1 მაისი,
175. ჯიბლაძე გ., ლადო ასათიანის დღეები და ლექსები, ჟურნ. „ცისკარი“, 1972წ. №12.
176. ჯიბლაძე გ., - ლადოს გრძნეული ლექსი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987წ. 9 ოქტ.
177. ჯიბლაძე გ., კრიტიკული ეტიუდები, ტ. V, 1974.
178. ჯიბუტი ვ., ნორჩი თაობის მეგობრები, თბ., 1971.
179. Бройтман С. Лирический субъект, в кн.: Введение в литературоведение, М.,1999.
180. Введение в литературоведение, М., 1999
181. Веселовский А., Историческая поэтика, М., 1989.
182. Кассирер Э. Сила метафоры, В кн.: «Теория метаоры», М., 1990.

183. Лотман Ю., Тартуско-Московская семиотическая школа, М., 1994.
184. Современное зарубежное литературоведение, М., 1999.
185. Тынянов Ю.Н. Поэтика, История литературы. Кино, М., 1977.
186. Чернец Л., Адресат, В кн.: «Введение в литерат уроведение», М., 1999.
187. Фрейденберг О., Поэтика сюжета и жанра, М., 1997.

განშორების შემდეგ ლადო ობლად, მარტოსულად გრძნობდა თავს. ლექსს აშკარად ემჩნევა დიდი ტკივილის კვალი, რომლის დროსაც პოეტმა ნიკო ფიროსმანის სულიერ სამყაროში ჰპოვა თავშესაფარი:

„რა დამრჩენია, ვის ვუმღერო, ვის გავუცინო?
ამ ქვეყანაზე მე არავინ არ შემიყვარა,
ისევ შენს თვალებს ნაღვლიანებს უნდა ვუცქირო
და სიხარულით შევეგებო ჩემს ძმა - ნიკალას."

პოეტს არ ასვენებდა ფიქრი დიდ შემოქმედზე და დღენიადაგ მის ნაკვალევს დასდევდა: „დავდივარ იმ ადგილებში, სადაც ნიკალას დაუდგამს ფეხი," - წერს ლადო თავის დღიურში.

ლადო ასათიანმა შემთხვევით გაიცნო ფიროსმანის ძველი მეგობარი უშანგი სვანი. ამ მოხუცი კაცისაგან გაიგო ბევრი საინტერესო ამბავი მხატვარზე: „რა საწყალი გულისა იყო და რა მიამიტი. თავისი ნახატების ყადრი არ იცოდა და სულ აქეთ-იქით არიგებდა, ფანტავდა და აბნევდა, ჩამოლლეტილი დადიოდა და სულ ერთსა და იმავეს ღიღინებდა."[1]

ლადო ასათიანი იკვლევდა და სწავლობდა ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებას. პოეტი აღტაცებაში მოჰყავდა არა მარტო მის ნახატებს, არამედ უცნაურად გატარებულ მის ხანმოკლე ცხოვრებასაც. ლადოსთვის ფიროსმანი იყო „მარტოდენ გული და ბავშვლო პატიოსნება."

ლექსში „ფიროსმანის მეგობრებთან" პოეტმა ზუსტად მოხაზა მხატვრის გარეგნული იერი, ალბათ, დაეყრდნო ფიროსმანზე არსებულ ფაქტობრივ მასალას, რომელსაც აგროვებდა „ტვინდასეტყვილი" ნიკალაის ძველ დოსტებისგან."

აბორგებულ ქარში გასული პოეტი დაეძებს ფიროსმანის ლანდს, ქუჩებშიც კი ვერ აბიკებს გულგრილად, რადგან:

„აქ, ამ ქუჩებში დადიოდა, როგორც სიზმარი,
(საქართველოს ცას აქ ეტრფოდა მისი ოცნება),
ჩამობნელი, ტანმაღალი, მარად ხიზანი,
მარტოდენ გული და ბავშვლო პატიოსნება."

ზუსტად ასე ახასიათებს ლადო გუდიაშვილი ფიროსმანს: „ნიკო ფიროსმანი იყო მაღალი ტანისა, შეჭაღარავებული და უკან გა-

[1] ნაგიაშვილი, ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ., 1980 წ., გვ. 188